საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

გურამ მანჯგალაძე

# გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაში (1860—1918 წწ.)

„მეცნიერება"

თბილისი

1991

63.3 (247)

მ 286

მონოგრაფიაში საქართველოსა და სსრ კავშირის სხვადასხვა არქივებში ავტორის მიერ მოპოვებული დოკუმენტური მასალების და აგრეთვე თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიღწევების საფუძველზე, განხილულია გერმანიის კაპიტალის ექსპანსია ამიერკავკასიაში.

ნაშრომში შესწავლილია გერმანიის კაპიტალის საქმიანობა სახალხო მეურნეობის იმ დარგებში (სამთამადნო მრეწველობა, მეტალურგია, ნავთობის მრეწველობა), სადაც მას მეტნაკლებად მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავა. ამ დარგებში გერმანული კაპიტალის მოღვაწეობა ძირითადად გაშუქებულია ჭიათურის რაიონში მძლავრი გერმანული სამთამადნო ფირმების და საკერავი მანქანების დამამზადებელ-გამსაღებელი ცნობილი ფირმის "კომპანია ზინგერის" საქმიანობით. გერმანულ კაპიტალს ამიერკავკასიაში დამკვიდრება უხდებოდა ადგილობრივ, რუსულ და უცხოურ (ინგლისურ, ფრანგულ, ამერიკულ) კაპიტალთან მძაფრ საკონკურენციო ბრძოლაში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი ისტორიის მეცნ.დოქტორი გ.მ ა რ ჯ ი ა ნ ი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ.კანდიდატი გ.შ ე ნ გ ე ლ ი ა
ისტორიის მეცნ.კანდიდატი მ.კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე

მ $\frac{0505020906}{М\ 697(06)-91}$ რეზ.-91
© გამომცემლობა "მეცნიერება", 1991

ISBN 5-520-01167-2

# შესავალი

XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმებამ გზა გაუხსნა ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას. როგორც რუსეთში, ისე ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა კაპიტალიზმის განვითარებისათვის. მაგრამ მარტო სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური ვითარება და წიაღისეულის სიუხვე ვერ უზრუნველყოფდა მრეწველობისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის დარგების სწრაფ აღმავლობას. საჭირო იყო მნიშვნელოვანი ოდენობით თავისუფალი კაპიტალი, რომელიც ნაკლებად გააჩნდა როგორც ადგილობრივ, ისე რუსეთის ხაზინას. წარუმატებელი აღმოჩნდა სახელმწიფოს ცდაც თავის თავზე აეღო სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, საბანკო საქმის განვითარება. ამით იყო განპირობებული, რომ მეფის მთავრობა ყოველნაირად ხელს უწყობდა უცხოური კაპიტალის შემოტანას და უცხოელ მწარმოებელთა დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. თუმცა, ამასთან ერთად, ერთგვარ ღონისძიებებს ღებულობდა რუსეთის ქვეშევრდომთა ინტერესების დასაცავად.

ადგილობრივი და რუსეთის კაპიტალის შედარებითი სისუსტით სარგებლობდნენ უცხოეთის კაპიტალის წარმომადგენლები და საკმაო გულმოდგინებით იკიდებდნენ ფეხს ამიერკავკასიის მრეწველობის წამყვან დარგებში - მანგანუმის, სპილენძის, ნავთობის წარმოებაში. ეს ხელს უწყობდა ამიერკავკასიაში საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებას, რომელიც სრულიად რუსეთის ბაზრის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

მეფის მთავრობა, უცხოეთის კაპიტალისათვის ხელშეწყობის გარდა, ცდილობდა ამიერკავკასიაში რუსეთის კაპიტალის დამკვიდრებასა და გაძლიერებას, მისი მეშვეობით კი მხარის ეკონომიკის თავისი ინტერესებისადმი დაქვემდებარებასა და მაქსიმალური სარგებლობის მიღებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთის კაპიტალი ამიერკავკასიაში მოისწრაფოდა მაქსიმალური ზემოგების მისაღებად, ნაკლებ ანგარიშს უწევდა მხარისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს, ეწეოდა ბუნებრივი სიმდიდრეების მტაცებლურ, ველურ ექსპლოატაციას და ხელს უწყობდა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ცალმხრივ არაპროპორციულ განვითარებას.

როგორც ცნობილია, იმპერიალიზმამდელი კაპიტალიზმის მთავარი ნიშანია თავისუფალი კონკურენცია. იმპერიალიზმში გადასვლისას წარმოიქმნება მო-

ნოპოლიები, რომლებიც გამორიცხავენ კონკურენციას. რუსეთში კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადასვლა მას შემდეგ მოხდა, როცა თავისუფალი კონკურენცია ნაწილობრივ შეცვალა კაპიტალისტურმა მონოპოლიამ. მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამახასიათებელია სამეურნეო ცხოვრებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია. ამასთანავე, სხვადასხვა ქვეყნის მონოპოლიურ გაერთიანებებს, საერთოდ იმპერიალისტურ წყობას საერთო ნიშნებთან ერთად გააჩნდათ გარკვეული თავისებურებანი, რაც რუსეთის მაგალითზე თვალნათლივ შეინიშნება.

მონოპოლისტური და ფინანსური კაპიტალის ბატონობის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია კაპიტალის გატანის განსაკუთრებული მნიშვნელობა. იმპერიალიზმის ეპოქაში საერთაშორისო მონოპოლიები იყოფენ მთელ მსოფლიოს, თუმცა ეკონომიკურად უკვე განაწილებული იყო. ამასთანავე, იმპერიალისტური სახელმწიფოების განვითარების პროცესში არათანაბარი განვითარება ნახტომისებურ ხასიათს იძენს და წინააღმდეგობრივია.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყნის იმპერიალისტურ სისტემებს შორის კონკრეტულ-ისტორიული განსხვავებანი არ გამორიცხავს მთავარი ნიშნების საერთო კანონზომიერებების ერთობლიობას. ცალკეულ ქვეყნებში იმპერიალიზმის განვითარების ისტორიული თავისებურებანი თავს იჩენენ საერთო და ძირითადი კანონზომიერებების ბაზაზე. ეს კანონზომიერებანი განსაზღვრავენ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეკონომიკისა და პოლიტიკის არსს ყველა ქვეყანაში.

უკანასკნელ ხანებში ჩვენს ისტორიოგრაფიაში სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ იმპერიალიზმის ეპოქაში რუსეთის იმპერიის კანონზომიერებისა და თავისებურების შესწავლას. მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარება, რაც სათავეს 1900-იანი წლებიდან იღებს, უდიდეს ზეგავლენას ახდენდა განაპირა მხარეების, კერძოდ ამიერკავკასიის, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს თემა შეიცავს მრავალ და რთულ პრობლემას, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია უცხოეთის კაპიტალის გავლენას რუსეთის იმპერიისა და მისი განაპირა მხარეების ისტორიულ და ეკონომიკურ განვითარებაზე.

XIX ს. ბოლოს რუსეთში უცხოეთის კაპიტალის მოზღვავებამ პრესაში მძაფრი პოლემიკა გამოიწვია. ზოგი მოითხოვდა უცხოეთის კაპიტალდაბანდების ვადიდებას, ზოგი კი წინააღმდეგი იყო.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთის კაპიტალიზმი მჭიდროდ დაუკავშირდა უცხოეთის კაპიტალს. საერთაშორისო კაპიტალიზმი იყო რუსეთის კაპიტალიზმის საიმედო დასაყრდენი ისტორიის ძნელ უღელტეხილებზე, კერძოდ მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსეთის ბურჟუაზიის გადარჩენას 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლისაგან.

1917 წ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთის იმპერიაში უცხოეთის კაპიტალის არსებობა აღიკვეთა.

საქართველოში სხვანაირი ვითარება შეიქმნა: 1918 წლის 26 მაისს აღდგა ქართული სახელმწიფოებრიობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლი-

კის მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა ქვეყნის გაჩანაგებული ეკონომიკის აღსადგენად, უცხოეთის კაპიტალის მოსახიდად. ამ მიმართულებით გარკვეული წარმატებებიც მოიპოვეს. მაგრამ ეს გრძელდებოდა 1921 წლის თებერვლამდე, როცა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთმა ინტერვენცია განახორციელა და მოახდინა მისი ფაქტიური ოკუპაცია. ამით ჩვენშიც რამდენიმე წელი შეწყდა უცხოური კაპიტალის მოქმედება.

უცხოეთის კაპიტალის ექსპანსიის შესწავლა საკმაოდ რთულია, რადგან ხშირად არ გაგვაჩნია ზუსტი ცნობები უცხოეთის მსხვილი ფირმების, თუ ცალკეული საწარმოების კაპიტალდაბანდებების, მოგებების და ა.შ. შესახებ. არც თუ იშვიათად, უცხოეთის კაპიტალის წარმომადგენლები შეგნებულად იძლეოდნენ არასწორ სტატისტიკურ მონაცემებს, ფარავდნენ რუსულ ფირმებში თავისი მონაწილეობის მასშტაბებს. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო გერმანული კაპიტალისათვის, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერ პოზიციებს იკავებდა რუსეთის და, კერძოდ, ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობაში.

XX საუკუნის დამდეგისათვის დამთავრდა მსოფლიო კოლონიური სისტემის შექმნა. დედამიწა თითქმის მთლიანად გაინაწილეს იმპერიალისტურმა ქვეყნებმა. მისი უდიდესი ნაწილი ხელთ იგდეს ძველმა კოლონიურმა ქვეყნებმა (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი). ახალგაზრდა დიდი კაპიტალისტური ქვეყნები (გერმანია, აშშ) თავს "დაჩაგრულად" გრძნობდნენ და ამა თუ იმ ფორმით მოითხოვდნენ მსოფლიოს ხელახალ "სამართლიან" გადანაწილებას. გერმანიას "ლურჯი ცის ქვეშ" სურდა ის ადგილი, რომელსაც თავისი ძლიერების შესაბამისად იმსახურებდა. ეს ადგილი მას შეეძლო მიეღო დანაწილებული მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებით. ასეთი გადანაწილება კი მთლიდ მსოფლიო მასშტაბის ომის გაჩაღებით შეიძლებოდა, რაც გარკვეული სამხედროსა და ვითარების შემთხვევაში იყო შესაძლებელი. ასეთ სიტუაციაში, მსოფლიო მასშტაბის კონფლიქტის გამოწვევამდე, შეუძლებელი იყო სხვისი კუთვნილი კოლონიური ტერიტორიების დაპყრობა. ამიტომ, შექმნილ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კოლონიალიზმის ფარულ ფორმებს – სხვისი კოლონიების ტერიტორიაზე საკუთარი ერის დასახლებების შექმნას, ამა თუ იმ სახის ქონების შეძენას, კაპიტალის გატანას და ა.შ.

ეს პროცესი გარკვეულ პოლიტიკურ და მეცნიერულ ინტერესს იმსახურებს. კოლონიალიზმის ისტორიის შესწავლა, განსაკუთრებით კოლონიური პოლიტიკის ფარული ფორმების კვლევა, უკვე განაწილებული კოლონიების გადანაწილება, იქ ეკონომიკური და პოლიტიკური შეღწევა და პოზიციების განმტკიცება, რაც დაკავშირებული არ არის უშუალო ტერიტორიულ დაპყრობებთან, და საერთოდ კოლონიური ავანტიურის გაშუქება ისტორიული მეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა.

ისტორიოგრაფიაში, საზოგადოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლონიური პოლიტიკის საშუალებებისა და ფორმების ანალიზს, იმპერიალისტური ქვეყნების ექსპანსიონისტურ სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის დიალექტიკური

ურთიერთკავშირის გახსნას. ის არსად არ იფარგლებოდა კოლონიური პოლიტიკის შესწავლაში მარტო მისი ჩამოყალიბებული ფორმის – ტერიტორიული დაპყრობისა და სრული პოლიტიკური დამორჩილების განხილვით. ხაზს უსვამდა რა, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმი ამჯობინებს სრულ კოლონიურ სამფლობელოებს, რამდენადაც იგი იძლევა მაქსიმალური მოგების მიღების საშუალებას და კონკურენტებისაგან მისი დაცვის გარანტიას, ისტორიოგრაფია ამასთანავე დიდ ყურადღებას უთმობდა კოლონიური ფორმების გამოვლინების მრავალფეროვნებას.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკა საბოლოო ანგარიშით გარკვეულ დაპყრობით მიზნებს ისახავდა, მაგრამ ადრეულ ეტაპზე იგი იძულებული იყო მიემართა რთული ტაქტიკური მანევრებისათვის, გამოეძებნა ექსპანსიის მოქნილი და "უწყინარი" მეთოდები, თავი გაესაღებინა ახლო და შუა აღმოსავლეთის, მათ შორის კავკასიის ხალხების მფარველად და ა.შ. ამ რეგიონში, აფრიკისაგან განსხვავებით, კაიზერულ გერმანიას არ გააჩნდა საკუთარი კოლონიები. რამდენადაც აქ ძლიერი იყო სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოზიციები, რომელთაც აქ კოლონიების დაპყრობა დაასწრეს გერმანიას, – გერმანიის იმპერიალიზმის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ექსპანსიას წარმატება შეიძლება მოჰყოლოდა მხოლოდ ხანგრძლივი და საფუძვლიანი მომზადების შემდეგ. გერმანიის იმპერიალიზმი დიდ იმედებს ამყარებდა ბაღდადის რკინიგზის მშენებლობაზე, რომელიც უნდა ქცეულიყო გერმანიის ეკონომიკური შეღწევის არტერიად არა მარტო თურქეთში, არამედ ახლო და შუა აღმოსავლეთში. ამ პოლიტიკის საბოლოო სტრატეგიული მიზანი იყო გერმანიის შეღწევა რუსეთის კავკასიისა და შუა აზიის სამფლობელოებსა და ბრიტანეთის ინდოეთში. თავისი გენერალური გეგმის შესაბამისად გერმანიის მონოპოლიები, პოლიტიკური აგენტურა, დიპლომატია და სამხედრო წრეები ცდილობდნენ ახლო და შუა აღმოსავლეთში გერმანიის გავლენის თანდათანობით გაძლიერებას.

წინამდებარე გამოკვლევის ქრონოლოგიური და თემატური ჩარჩოები საკმაოდ ვრცელია. ამიტომ ყველა საკითხის ამომწურავად გაშუქების პრეტენზიას არ ვაცხადებთ. ჩვენს მიზანს შეადგენდა ზემოაღნიშნული პრობლემის მონოგრაფიული შესწავლა, ისეთი საკითხების კვლევის გაღრმავება როგორიცაა გერმანული კაპიტალის ექსპანსია ამიერკავკასიის მრეწველობის ძირითად დარგებში – სამთო მრეწველობაში, ნავთობის მოპოვებასა და ექსპორტში, მეტალურგიულ და ლითონდამამუშავებელ მრეწველობაში და ა.შ.

დოკუმენტებისა და მასალების საფუძველზე ვცადეთ აგვეხსნა ის ურთიერთობა, რომელიც არსებობდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, გერმანიის იმპერიალიზმის მისწრაფებებსა და ამიერკავკასიაში გერმანული კაპიტალის ექსპანსიას შორის, შეგვეფასებინა გერმანული კაპიტალის ექსპანსიის მნიშვნელობა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებასა და, საერთოდ, მის ისტორიაში. ამასთანავე საკითხები, რომლებიც ასე თუ ისე გაშუქებულია სხვა ავტორთა ცნობილ ნაშრომებში, განმეორებების თავიდან ასაცილებლად შეძლებისდაგვარად მოკლედ არის განხილული.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის იმპერიალიზმის, რომელმაც მეოთხედი საუკუნის მანძილზე კაცობრიობა ორჯერ ჩაითრია მსოფლიო ომის ცეცხლში, აგრესიული პოლიტიკის გატარების ზოგიერთი მეთოდის განხილვა დღესაც არ არის აქტუალობას მოკლებული.

დაბოლოს, ნაშრომი ეხმაურება თანამედროვეობას. ამჟამად, როდესაც დასახულია ერთობლივი საწარმოების შექმნა, კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარება, უცხოური კაპიტალის მოზიდვა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, უცხოეთის კაპიტალდაბანდებათა პირობების, მეთოდებისა და ა.შ. ისტორიის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რათა წარსულის გამოცდილებით შევიარაღდეთ, თავი დავიზღვიოთ ცდუნებისაგან, რომელიც გარკვეულ ზარალსა და ზიანს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. ეს მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ დღეს, როდესაც საქართველომ მიიღო საზღვარგარეთის ქვეყნებთან ცენტრის გარეშე პირდაპირი ეკონომიკური კავშირების დამყარების უფლება, მეტად იზრდება ჩვენი პასუხისმგებლობა ამ კავშირების ფორმებისათვის, მათი მოქმედების ხასიათისა და შედეგებისათვის.

## I. გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიის სამეურნეო ცხოვრებაში

### § 1. გერმანიის სამრეწველო-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში

XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში გერმანიაში კაპიტალიზმის იმპერიალისტურ სტადიაში გადაზრდა მიმდინარეობდა რეაქციული, ნახევრადაბსოლუტური პოლიტიკური წყობის, იუნკრობისა და ფეოდალური გადმონაშთების ძლიერი ზეგავლენის პირობებში. ოფიცერთა კორპუსში, რომელიც არცერთ ქვეყანაში არ ასრულებდა ისეთ დიდ როლს, როგორც ამ ქვეყანაში, იუსტიციისა და დიპლომატიურ ორგანოებში იუნკრობას გაბატონებული ადგილი ეკავა.

პრუსიის იუნკრობის ხელმძღვანელობით "რკინითა და სისხლით" შექმნილი ერთიანი ეროვნული სახელმწიფო იყო მსხვილი მიწათმფლობელებისა და ბურჟუაზიის კლასობრივი კავშირი, რომელიც მიმართული იყო დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. მისი მთავარი იდეურ-პოლიტიკური შინაარსი იყო ანტიდემოკრატიზმი, რომელიც გახდა ბისმარკის ბონაპარტისტული დიქტატურის საფუძველი.

ნაციონალური სახელმწიფოს შექმნა შეესაბამებოდა კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მოთხოვნილებას. მან შესაძლებელი გახადა გერმანიის ეკონომიკის სწრაფი ზრდა, მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის გაფართოება, ამასთანავე ხდებოდა საბანკო და საკრედიტო საქმის მძლავრი განვითარება. 1870 წ. შეიქმნა გერმანიის ბანკი, 1872 წ. - დრეზდენის ბანკი. მათ დაიწყეს სპეციალური ინსტიტუტების შექმნა კაპიტალის ექსპორტისა და კოლონიური ექსპანსიის გასატარებლად. ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ დარგად იქცა მძიმე ინდუსტრია. მსხვილმა მრეწველებმა შექმნეს თავიანთი სამეურნეო-პოლიტიკური გაერთიანებანი, რომლებიც ძლიერ ზეგავლენას ახდენდნენ მთავრობის პოლიტიკასა და ბურჟუაზიული პარტიების საქმიანობაზე[1].

მეწარმეთა ყველაზე მძლავრი კავშირები შეიქმნა მრეწველობის იმ დარგებში, სადაც მსხვილი წარმოება იყო გაბატონებული, - სამთო საქმესა და

---

1 Klassenkampf, Tradition, Sozialismus, Grundriss. Berlin, 1974, S.285.

შავ მეტალურგიაში. 1871 წ. დაარსდა რაინლანდისა და ვესტფალის საერთო ეკონომიკური ინტერესების დაცვის კავშირი, 1874 წ. – რკინისა და ფოლადის გერმანელ მწარმოებელთა გაერთიანება, 1876 წ. მსხვილმა მრეწველმა ვ. ფონ კარდორფმა ჩამოაყალიბა გერმანელ მრეწველთა ცენტრალური კავშირი, რომელმაც წამყვანი ადგილი დაიკავა გერმანიის მძიმე მრეწველობის მეწარმეთა გაერთიანებებს შორის და რომელიც პრესისა და პროპაგანდისტული ორგანიზაციების საშუალებით დიდ ზეგავლენას ახდენდა გერმანიის საზოგადოებრივ აზრსა და საგარეო პოლიტიკაზე.

უფრო გვიან აღმოცენდნენ: მრეწველთა კონფედერაცია (1895 წ.), ჰანზის ლიგა, რომელიც ჩამოყალიბდა XX ს. დამდეგს, საბაჟო პოლიტიკის გარშემო ბრძოლისას, და ვაჭრობის წარმომადგენელთა გერმანული ყრილობა (შემდგომში – მრეწველობისა და ვაჭრობის). მაგრამ მათ არ შეურყევიათ გერმანელ მრეწველთა ცენტრალური კავშირის ხელმძღვანელი როლი გერმანიის მძიმე მრეწველობაში. მეწარმეთა მსხვილი გაერთიანებანი იქმნებოდა ეკონომიკის სხვა დარგებშიც. ერთ-ერთი იყო გერმანიის ქიმიური მრეწველობის ინტერესთა დაცვის თანამეგობრობა (დაარსდა 1877 წ.), რომელიც მოიცავდა 453 საწარმოს 125 ათასი მუშით[2].

მეწარმეთა გაერთიანებანი ძალზე აქტიურად მონაწილეობდნენ ისეთი პოლიტიკური და პროპაგანდისტული ორგანიზაციების შექმნაში, როგორიც იყვნენ გერმანიის კოლონიური კავშირი, გერმანიის ფლოტის კავშირი და სხვ.

1878 წ. ბერლინში აღმოცენდა სავაჭრო გეოგრაფიისა და საზღვარგარეთ გერმანიის ინტერესების დამცველი ცენტრალური კავშირი. მისი წევრები იყვნენ ცნობილი მსხვილი ფინანსისტები და მრეწველები: ა. ფონ ჰანზემანი, ვ. სიმენსი, ვ. ანეკე, საგარეო საქმეთა უწყების თვალსაჩინო მოხელე ჰ. ფონ კუსეროვი; კავშირს დიდ დახმარებას უწევდნენ გერმანიის ბანკის მმართველი გ. სიმენსი და ცნობილი მრეწველი პ. გრუზონი[3]. როგორც წესდებაში იყო აღნიშნული, საზოგადოებას განზრახული ჰქონდა "გერმანიის ვაჭრობისა და გერმანიის მრეწველობისათვის გასაღების ახალი სფეროების ძიებანა", ვაჭრობისა და ნავიგაციის სადგურების, აგრეთვე გერმანული კოლონიების შექმნისათვის ხელის შეწყობა. საზოგადოების განყოფილებები შეიქმნა აგრეთვე ბრემენში, ქემნიცში, ფრაიბურგში, იენაში, კასელში, შტუტგარტში, ლაიფციგში. პანგერმანული კავშირის მომავალი თავმჯდომარის ე. ჰასეს ინიციატივით შეიქმნა სავაჭრო გეოგრაფიისა და კოლონიური პოლიტიკის საზოგადოება. რასიზმის თეორეტიკოსმა ფ.რატცელმა

---

2 K a e l b l e H.Industrielle in der Jnteressenpolitik in Wilhelminische Gesellschaft, I895-I9I4. Berlin, I967.

3 Bericht über die Verhandlungen des Ersten Kongresses für Handelsgeographie und Förderung Deutschen Interessen im Ausland, 26-28 okt. I880. Berlin, I980.

მიუნხენში ჩამოყალიბა "საზღვარგარეთ გერმანიის ინტერესების დაცვის კავშირი"[4].

ბერლინის სავაჭრო გეოგრაფიისა და საზღვარგარეთ გერმანიის ინტერესების ხელშემწყობი ცენტრალური კავშირის საქმიანობამ, როგორც ჩანს, ვერ დააკმაყოფილა დასავლეთგერმანელი მსხვილი მრეწველები და ვაჭრები, ამიტომ მათ 1881 წ. დასაწყისში ფ. ფაბრის ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბეს კოლონიზაციისა და ექსპორტის დასავლეთგერმანული საზოგადოება. როგორც პრესა აღნიშნავდა, დიუსელდორფში დამფუძნებელ კრებას დაესწრო "რაინ-ვესტფალის მსხვილი ინდუსტრიისა და ვაჭრობის 60 ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენელი". საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს კელნელი მრეწველი ე. ლანგენი, მმართველობის შემადგენლობაში შედიოდა გერმანელ მრეწველთა ცენტრალური კავშირის გენერალური მდივანი ხ.ბიუკი. შემდგომში ორგანიზაციაში შევიდნენ გელზენკირხენის სამთამადნო სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი ე. კირდორფი და "ჩრდილოეთ გერმანიის ლოიდის" წარმომადგენელი ა. მაიერი[5].

დაახლოებით ამავე პერიოდში აღმოცენდნენ მთელი რიგი რეგიონული სავაჭრო და კოლონიური საზოგადოებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ კოლონიური პოლიტიკის საშუალებით გერმანიის ექსპორტის გაფართოებას და აგრეთვე ხელებს გადალმა ემიგრაციის საშუალებით გერმანიაში "ჭარბი" მოსახლეობის "სოციალური საკითხის" გადაწყვეტას.

1882 წლის გაზაფხულზე აუგსბურგის "ალგემაინე ცაიტუნგმა" გამოაქვეყნა მეკლენბურგელი ბარონის გ. ფონ მალტცანის სტატია, რომელშიც მხარდი ჭარბწარმოების გამო საზღვარგარეთ გერმანული კოლონიებისა და სავაჭრო ფაქტორიების შექმნა გამოცხადებული იყო "გერმანიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენად"[6]. გაბატონებული კლასების სხვადასხვა ჯგუფები მხარს უჭერდნენ გერმანიის კოლონიური კავშირის შექმნას[7].

კოლონიური კავშირის დამფუძნებელი კრება შედგა 1882 წლის 6 დეკემბერს მაინის ფრანკფურტში. თუ კავშირის საქმიანობის დასაწყისში მასში იყო 200 წევრი, 1884 წელს მის 43 განყოფილებაში ითვლებოდა 9 ათასი კაცი.. გერმანიის კოლონიურ კავშირში კოლექტიური წევრის სახით ერთიანად შევიდა კოლონიზაციისა და ექსპორტის დასავლეთგერმანული საზოგადოება, რაც მიუთითებდა რაინ-ვესტფალის მრეწველთა განსაკუთრებით დაინტერესებაზე კოლონიებით, საქონლის ექსპორტითა და ნედლეულის შემოზიდვით.

გერმანიის კოლონიურ კავშირში თავდაპირველად ჭარბობდნენ საშუალო

--------------

4 სცსია, ფ.17, ანაწ.2, ს.656, ფურც. 3; ფ.84, ანაწ.2, ს.2966, ფურც. 338.

5 W e h l e r H.-U. Expansionistische Interessenverbände und der "Deutsche Kolonialverein" von I882.- In Interessenverbände in Deutschland, S.177.

6 "Allgemeine Zeitung", I882. 29-30.III.

7 "Kölnische Zeitung", I882, 20.IX.

მრეწველები,ვაჭრები და ინტელიგენციის წარმომადგენლები,მაგრამ ხელმძღვანელ ბირთვს შეადგენდნენ მსხვილი ბურჟუაზიისა და იუნკრების წარმომადგენლები.

კოლონიურ კავშირს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის თითქმის ყველა წამყვან ბანკთან.ისინი აფინანსებდნენ მრავალ მის წამოწყებას[8].

გერმანიის კოლონიურ კავშირში შედიოდნენ დასავლეთ გერმანიისა და საარის მძიმე ინდუსტრიის წარმომადგენლები,როგორიც იყვნენ კრუპი,განიელი, კირდორფი,ჰამახერი,შტუმი და სხვ. ბერლინისა და სილეზიის მსხვილი მრეწველი კირდორფი და გერმანიის მრეწველთა ცენტრალური კავშირის პრეზიდენტი შეარცკოფი.კავშირის წევრები იყვნენ პერცოგი რატიბორი,თავადი პლესი, გრაფები ჰენკელ ფონ დონერსმარკი და შაფგოჩი,მანქანათმშენებელი და ორთქლმავალმშენებელი ქარხნების მფლობელი ზიგლე.სანაოსნო კომპანიებისა და სავაჭრო ფირმების წარმომადგენლები- ვერმანი,იანცენი,სლომანი,ტორმელენი და სხვ.კოლონიური საზოგადოების აქტიური მოღვაწეები იყვნენ მინისტრები ლუციუსი,ფონ ბალჰაუზენი,ფრიდენტალი და ჰობრეხტი,გრაფი შტოლბერგ-ვერნიგეროდე,რაიხსტაგის პრეზიდენტი გრაფი არნიმი,ვიცე-პრეზიდენტები - თავადი ჰოჰენლოე-ლანგენბურგი და აკერმანი,ნაციონალ-ლიბერალური და თავისუფალი კონსერვატორების ლიდერები ბენიგსენი,მიკელი,ფრანკენბერგი,ბევრი ადმირალი,ბურგომისტრი,აკადემიური სამყაროს წარმომადგენლები, მათ შორის ცნობილი ისტორიკოსები ტრაიჩკე,ზიბელი,რანკე,შმოლერი, შლიმანი და სხვ[9].

კოლონიზაციასა და კაპიტალის გატანაში განსაკუთრებით აქტიურად საქმიანობდა გერმანიის კოლონიზაციის საზოგადოება,რომელიც დაარსა კ.პეტერსმა 1884 წ.მარტში.1885 წ.27 თებერვალს ვილჰელმ II-მ ამ საზოგადოებას გადასცა სპეციალური დაცვის სიგელი.1887 წ.დეკემბერში გერმანიის კოლონიური კავშირი და გერმანიის კოლონიზაციის საზოგადოება გაერთიანდნენ გერმანიის კოლონიურ საზოგადოებად.ამ დროისათვის იგი ითვლიდა 15 ათას წევრს,ხოლო 1914 წლისათვის მისი წევრების რიცხვმა 46 ათასს მიაღწია.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან - კაპიტალიზმიდან იმპერიალიზმში გადასვლის პერიოდში იწყება მონოპოლიების ჩამოყალიბება,რომლებიც მიისწრაფოდნენ ექსპანსიონიზმისაკენ.პროპაგანდის მიზნით კოლონიურმა საზოგადოებამ იწყო გაზეთ "დოიჩე კოლონიალცაიტუნგის",მრავალგვარი ბროშურისა და სხვა მასალების გამოცემა.საზოგადოება ფართოდ იყენებდა აგრეთვე წამყვანი ბურჟუაზიული პარტიების პრესას,მათ შორის ნაციონალ-ლიბერალთა წამყვან ორგანოს "კელნიშე ცაიტუნგს"[10]. გერმანიის კოლონიური საზოგადოება წარმოადგენდა მსხვილი ბურჟუაზიის,უპირველეს ყოვლისა მისი მონოპოლისტური წრეებისა და იუნკრების,გავლენიან ორგანიზაციას,რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა გერმანიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან წარმოების კონცენტრაციის პროცესთან

8 Wehler H.U. დასახ. ნაშრ. გვ.181.

9 Черный И.С. Начало колониальной экспансии Германии в Африке (1879-1885), М., 1970, с.82-83.

10 "Kölnische Zeitung", 20.XI.1882.

ერთად ძლიერდება ბანკების კონცენტრაცია. როგორც ცნობილი მკვლევარი ჰალგარტენი მიუთითებს, გერმანიის ძირითადი კაპიტალის თავმოყრა რამდენიმე ბანკის ხელში ხელს უწყობდა გერმანიის მრეწველობის მსოფლიო ბაზარზე შეღწევას და მსოფლიო მასშტაბით საფინანსო ოპერაციების წარმოებას. ბანკები აქტიურად მონაწილეობდნენ გიგანტური საწარმოების წარმოქმნაში, რომლებიც, ერთის მხრივ, გააფთრებით იბრძოდნენ საქონლის ექსპორტის გასადიდებლად და არ ერიდებოდნენ დემპინგს, რაც დამახასიათებელია კარტელებისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ, ზრდიდნენ ნედლეულის მოხმარებას, რომლის დიდი ნაწილი საზღვარგარეთიდან შემოდიოდა[11].

საზღვარგარეთ კაპიტალის გატანისა და ვაჭრობის გასაძლიერებლად გერმანულმა ბანკმა 70-80-იან წლებში ფილიალები გახსნა გერმანიისა და საზღვარგარეთის მთელ რიგ ქალაქებში. 1873 წელს ამ ბანკმა შეძლო თავისი სააგენტო გაეხსნა თვით ლონდონში.

XIX ს-ის 80-იანი წლებიდან გერმანული ბანკი, მისი ფილიალები, გერმანიის სხვა ბანკები გადავიდნენ აქტიურ საზღვარგარეთულ ფინანსურ ოპერაციებზე, რამაც ხელი შეუწყო გერმანიის კაპიტალის ექსპორტიორ ქვეყნად გადაქცევას. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობდა გერმანიის მძიმე მრეწველობის ძირითადი დარგების (ქვანახშირის მოპოვების, მეტალურგიული, ქიმიური, ელექტროტექნიკური, სამთამადნო) მონოპოლიზაციის გაძლიერებას. გერმანიაში არსებობდა სინდიკატებიც, მაგრამ მონოპოლიის ძირითადი ფორმა იყო კარტელები. XIX საუკ. მიწურულში გერმანიაში მოქმედებდა 250 კარტელი, რომელთაგან ერთი მეოთხედი იყო შავ მეტალურგიაში, ერთი მეექვსედი სამთამადნო მრეწველობაში და ა.შ.

ამასთანავე იქმნებოდა საერთაშორისო მონოპოლიები, გერმანიის კაპიტალი ცდილობდა არა მარტო აქტიური მონაწილეობა მიეღო მათში, არამედ დაეუფლებოდა წამყვან პოზიციებსაც. თუ 1897 წლისათვის გერმანული კაპიტალი მონაწილეობდა 40 საერთაშორისო კარტელში, 1910 წლისათვის მისმა რაოდენობამ თითქმის ასს მიაღწია.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან სწრაფად ვითარდება გერმანიის საგარეო ვაჭრობა. 1890 წლისათვის იგი შეადგენდა 7,5 მილიარდ მარკას ოქროთი, 1900 წელს იგი გაიზარდა 10 მილიარდ მარკამდე, ხოლო 1913 წელს მიაღწია 21 მილიარდ მარკას. ასეთი ზრდის მიუხედავად გერმანიის საგარეო ვაჭრობის ბალანსი მაინც პასიური რჩებოდა. შემოტანილი ნედლეულისა და პროდუქტების ღირებულება მნიშვნელოვნად ჭარბობდა სამრეწველო საქონლის ექსპორტის ღირებულებას[12].

სავაჭრო ბალანსის დეფიციტი ივსებოდა საზღვარგარეთული ინვესტიციების მოგებით. ამასთანავე კაპიტალის ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი იგ-

---------------

11 Х а л ь г а р т е н Г. Империализм до I9I4 года; Социологические исследования германской внешней политики до первой мировой войны, М., I96I, с. II5-II7.

I2 Л у к и н-А н т о н о в Н.М. Очерки по новейшей истории Германии. I890-I9I4. М.-Л., I925, с.37.

ზავნებოდა ჩამორჩენილ ქვეყნებში,სადაც იყო კოლონიური ზემოგების მი-ღების შესაძლებლობა[13].

კაპიტალის გატანის ფორმები იყო: უცხოეთის ფასიანი ქაღალდებისა და სამრეწველო საწარმოების შეძენა,სახელმწიფო სესხების გაცემა,რკინიგზე-ბის მშენებლობასა და ბუნებრივი სიმდიდრეთა ექსპლოატაციაში მონაწილეო-ბის მიღება.ამასთან დაკავშირებით ა.ერუსალიმსკი აღნიშნავდა: "გერმა-ნიის კაპიტალის ექსპანსიაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდნენ გერ-მანული ბანკები.ჩვეულებრივ ისინი წარმართავდნენ ექსპანსიის ყველა სხვა ფორმას და ამასთან დამოუკიდებელი მნიშვნელობაც ჰქონდათ"[14].

ვრცელი კოლონიური იმპერიის უქონლობა აიძულებდა გერმანიას მეტნაკლე-ბად თანაბრად მოეთავსებინა თავისი კაპიტალი საზღვარგარეთ,ევროპასა და ამერიკაში.ევროპის სახელმწიფოთაგან გერმანული კაპიტალი განსაკუთრებით ფართოდ იჭრებოდა ავსტრია-უნგრეთში,ოსმალეთის იმპერიასა და რუსეთში.რუ-სეთის ცენტრალურ რაიონებთან ერთად გერმანული კაპიტალი მნიშვნელოვნად იკიდებდა ფეხს მის განაპირა რაიონებში,კერძოდ ამიერკავკასიაში.

იმპერიალიზმზე გადასვლის პერიოდში გერმანიის საგარეო ექსპანსიაში ჩამოყალიბდა ორი მიმდინარეობა,რომელთა მისწრაფება ერთი და იგივე იყო, მათი საშუალებით შეიძლებოდა უფრო წარმატებით განხორციელებულიყო გერმა-ნიის იმპერიის ექსპლოატატორული კლასების დაპყრობითი მიზნები.გერმანიის მონოპოლისტურ წრეებში არსებობდა ორი ფრაქცია,რომელთა შორის იყო რო-გორც საერთო კლასობრივი და საგარეო პოლიტიკური მიზნები,ისე განსხვავე-ბა მეთოდებში - ძალდატანებითი, დაპყრობითი თუ არაპირდაპირი შეჭრის, მშვიდობიანი შეღწევის ამ მეთოდის დაპირისპირება განსაკუთრებით ნათლად ვლინდებოდა მსოფლიო მასშტაბის კრიზისული მოვლენების დროს. იუნკრობა და მონოპოლისტური მძიმე ინდუსტრიის მაგნატები მოითხოვდნენ სხვისი ტერიტო-რიების დასაპყრობად ძალდატანებით, ანექსიონისტური მეთოდების გამოყე-ნებას.მათი შეხედულებების ტიპიური გამომხატველი იყო 1891 წ.შექმნილი პანგერმანული კავშირი (თავდაპირველად საყოველთაო გერმანული კავშირი) და მისი შვილობილი ორგანიზაციები.მონოპოლისტური ბურჟუაზიის მეორე მიმ-დინარეობა,მსხვილი საბანკო კაპიტალის წარმომადგენლები,გერმანული ბან-კისა და მისი ხელმძღვანელის გ.ფონ სიმენსის მეთაურობით,ჯერ კიდევ მთ-ლიანად არამონოპოლიზებული და ახალი სამრეწველო დარგების - სამთამად-ნო, ქიმიური,ელექტროტექნიკური და სხვა კონცერნების ხელმძღვანელები ექ-სპანსიის არაპირდაპირი, მშვიდობიანი მეთოდების მომხრენი იყვნენ. სხვა კონტინენტებზე მშვიდობიან შეღწევასთან ერთად ისინი მოითხოვდნენ შუა ევროპის ეკონომიკური კავშირის შექმნას. ამ იდეებს ქადაგებდა 1904 წ. ი.ვოლფის მეთაურობით შექმნილი "შუა ევროპის ეკონომიკური კავშირი".

-------------

13 Шепелев Л.Е. Акционерная статистика в России, в кн: Монополии и иностранный капитал в России, М.-Л., 1962, с.165-168.

14 Ерусалимский А.С. Внешняя политика и дипломатия германского империализма в конце XIX века, М., 1951,

უნდა აღინიშნოს, რომ შუა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნას, რომელშიც გერმანიის მეთაურობით უნდა შესულიყვნენ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მნიშვნელოვანი ტერიტორია, მხარს უჭერდნენ პანგერმანისტები. გერმანიის ბატონობის ქვეშ მყოფი ეს ე.წ. შუა ევროპა უნდა გამხდარიყო გერმანიის იმპერიალიზმის მსოფლიო ექსპანსიის გაშლის საყრდენ ბაზად[15].

თუ პანგერმანელი მოღვაწენი – ე. ჰასე, გ. კლასი და სხვები გამოხატავდნენ გერმანიის მძიმე ინდუსტრიის ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს, გ. დელბრიუკი, ი. ვოლფი, პ. როორბახი, ფ. ნაუმანი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ისეთ ფინანსურ მაგნატებთან, როგორიც იყვნენ ა ე გ-ის პრეზიდენტი ვ. რატენაუ, გერმანული ბანკის ხელმძღვანელი გ. სიმენსი და მისი მემკვიდრე ა. ფონ გვინერი, რომელიც აფინანსებდა ბაღდადის რკინიგზას, ელექტრომრეწველი ბოში, მსხვილი სანაოსნო კომპანიის დირექტორი ა. ბალინი და სხვ[16].

ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც გერმანიის იმპერიალიზმმა იწყო თავისი "მსოფლიო პოლიტიკის" განხორციელება, ის ძირითადად იყენებდა "მშვიდობიანი შეღწევის" მეთოდებს. ასე იყო ახლო აღმოსავლეთში – განსაკუთრებით ბაღდადის რკინიგზის მშენებლობისას, ბალკანეთში, სამხრეთ ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ამ მეთოდით მოქმედებდა გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაშიც, თუმცა ეს არ გამორიცხავდა გერმანიის "მზის ქვეშ ადგილისათვის" ბრძოლაში ძალის გამოყენების მუქარას ან ძალის გამოყენებას. ასე მოქმედებდა გერმანიის იმპერიალიზმი ჩინეთში 1897-1898 წწ., როდესაც ჩინეთში იჯარის სახით მიიტაცა ЦЗИАОЧЖОУ, 1899 წ. – კაროლინის, მარიანის კუნძულებისა და კუნძულ პალაუს ოკუპაციის დროს, 1900-1901 წწ. ჩინეთში იხეთუანელთა აჯანყების ჩაქრობის დროს. შანტაჟსა და მუქარას გერმანიის იმპერიალიზმი მიმართავდა მაროკოს პირველი (1905 წ.) და მეორე (1911 წ.) კრიზისების დროს, ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცოგოვინას ანექსიის დროს (1908) და ბალკანეთის ომების პერიოდში 1912-1913 წწ[17].

გერმანიის საგარეო პოლიტიკაში ექსპანსიის ორივე მეთოდი ურთიერთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და ერთმანეთს ავსებდა. ძალის აშკარა გამოყენებასა ან მუქარასთან ერთად გერმანიის იმპერიალიზმი განაგრძობდა სხვადასხვა სახით – კრედიტის, სავაჭრო და სამრეწველო ექსპანსიის "მშვიდობიან" შეღწევას. განსაკუთრებით აქტიურდება გერმანიის კაპიტალი სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის ამიერკავკასიის სამთამადნო

---

15 Europastrategien des deutschen Kapitals, 1900-1945, Köln, 1977, s.30,159.

16 იქვე, გვ. 31

17 G u t s c h e W. Einleitung. – In: Herrschaftsmethoden des deutschen Imperialismus, 1897/98 bis 1917, S.31.

მრეწველობაში შეჰრით[18].

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გერმანიის ინვესტიციებმა საზღვარგარეთ მიაღწია 5 მილიარდ მარკას[19], 1893 წ. – 10, ხოლო 1905 წ. 15–18 მილიარდ მარკას[20]. ამ პერიოდისათვის არსებობს სხვა მონაცემებიც და ზუსტი ციფრის დადგენა ჭირს.

XX საუკუნის დამდეგს გერმანიის საზღვარგარეთული ემისია მკვეთრად გაიზარდა. მაგალითად, ერთი მონაცემით დიდმა ბრიტანეთმა 1900–1907 წწ. საზღვარგარეთ გაიტანა 415 მილიონი გირვანქა სტერლინგი, გერმანიამ – 861, ხოლო საფრანგეთმა – 767[21].

კაპიტალის ექსპორტი იყო კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების ექსპლოატაციის უმნიშვნელოვანესი იარაღი. სწორედ ამით იყო განპირობებული გერმანული კაპიტალის ექსპორტის სწრაფი ზრდა XX საუკუნის დასაწყისში. ამ მოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიისათვის, გერმანიის კოლონიებში გადიოდა გერმანული საქონლის ექსპორტის 1 %, ხოლო ყველა კოლონიასა და ნახევრად კოლონიურ ქვეყანაში დაახლოებით 16–17 %. ეს იყო გერმანიის იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობისაკენ მისწრაფების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი[22].

## § 2. გერმანული კაპიტალი ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში

გერმანულ კაპიტალს, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობ-სათვის ჭიათურის მანგანუმის საბადო უძველესი დროიდან იყო ცნობილი, მის პირველ აღმომჩენად და შემსწავლელად ითვლება აკად. აბიხი, რომელმაც 1846 წელს პირველად ნახა ეს საბადო, ხოლო შემდეგ "სამთო ჟურნალში" გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევა[23].

საქართველოში მანგანუმის მადნის საბადოს გეოლოგიური გამოკვლევის შედეგების პოპულარიზაციაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აკაკი წერეთელს. დიდი პოეტი მანგანუმის მადანს უშუალოდ გაეცნობია ჯერ კიდევ ბავშვობაში, ხოლო შემდეგ ლიტერატურული წყაროებით – პეტერბურგში სტუდენტობისას 1859–1862 წლებში, მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით

---

18 სცსია, ფ. 13, ანაწ. 7, ს. 2753.

19 К у ч и н с к и й Ю., История условий труда в Германии, М., 1949, с.133.

20 F e i s H. Europe the World's Banker 1870-1914, New Haven, 1930, p.70.

21 Г о б с о н, Империализм. Л., 1927, с.188,206.

22 М е н д е л ь с о н А.А. Теория и история экономических кризисов и циклов, М., 1964, т.3, с.36.

23 სცსია, ფ. 264, ანაწ. 1, საქმე 7, ფურც. 2.

ჭიათურის საბადო 1872 წ. გამოიკვლია გეოლოგმა ს.სიმონოვიჩმა. აკაკის გამოკვლევის ამსახველი ნაშრომი თავის მოსაზრებათა დართვით რამდენიმე ენაზე უთარგმნია და გაუვრცელებია[24].

სპეციალისტმა, საფუძვლიანმა გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ ჭიათურის მანგანუმის საბადო მადნის მარაგით, ხარისხითა და მოპოვების ხელსაყრელი პირობებით, აგრეთვე სარკინიგზო და საზღვაო გზებთან სიახლოვით თითქმის სწორუპოვარი იყო არა მარტო რუსეთის იმპერიაში, არამედ მთელ იმდროინდელ მსოფლიოში. ჭიათურის მანგანუმის საბადოს მსოფლიო მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა უძლიერეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მეტალურგიული მრეწველობის განვითარების გამო. მანგანუმის თვისებების მეცნიერულად შესწავლა-დადგენამ, სხმული ფოლადის მიღების ბესემერული და მარტენული მეთოდის დანერგვისა და სრულყოფისათვის მისმა გამოყენებამ, როგორც ცნობილია, ხელი შეუწყო მსოფლიო მეტალურგიის განვითარებას, ფერომანგანუმის ფართოდ გამოყენებას.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, მსოფლიო მეტალურგიული მრეწველობის განვითარების მიხედვით, მანგანუმზე მოთხოვნილება კოლოსალურად გაიზარდა. მეტალურგიული მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა მანგანუმისა და რკინის შენადნობთა მიღება. შენადნობი, რომელიც 8-დან 36 %-მდე მეტალურ მანგანუმს შეიცავდა, წარმოადგენდა სარკულ თუჯს, ხოლო 50 %-დან 82 %-მდე შენადნობი – მეტალური მანგანუმის შემცველ ფერომანგანუმს, რომელიც გამოიყენებოდა განსაკუთრებული ხარისხის ფოლადის მისაღებად. მანგანუმი, როგორც ცნობილია, ფოლადსა და რკინას ანიჭებს ჭედადობას, სიბლანტეს, სიმკვრივეს, ზრდის მათ დრეკადობას, აგრეთვე გამძლეობის ზღვარს და სხვ.

მაღალხარისხოვანი მანგანუმიანი ფოლადი ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობაში – მანქანათმშენებლობაში, სამხედრო მრეწველობაში, სარკინიგზო და გემთმშენებლობაში, ქიმიურ მრეწველობაში.

მანგანუმის მადანი, როგორც ცნობილია, მრავალ ქვეყანაში მოიპოვება. მაგრამ მისი მოპოვება თვალსაჩინო კომერციული დანიშნულებით მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში, [illegible], საქართველოში, ინდოეთსა და ბრაზილიაში დაიწყო და განვითარდა[25].

ჭიათურის რაიონში განლაგებული მადნები გამოირჩევა მაღალი ხარისხით, ექსპლოატაციისათვის ადვილი და ხელსაყრელი პირობებით, ამიტომ ამ საბადოთი თავიდანვე დაინტერესდნენ განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოები, მათ შორის განსაკუთრებით ინტერესს ავლენდა გერმანია.

მანგანუმის მადნის საბადოთა იჯარით აღებასა და სამრეწველო ექსპლოატაციას იმთავითვე შეუდგნენ თავადაზნაურობისა და გლეხობის წრიდან გა-

---

24 იხ. ა. კ ო ჭ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, აკაკი წერეთელი და ჭიათურის მანგანუმი, თბილისი, 1960.

25 გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში, თბილისი, 1960, გვ. 34-38.

მოსული ქართველი, აგრეთვე სხვა ეროვნების ადგილობრივი საქმოსნები, ვაჭრები.

ჭიათურაში სამრეწველო საქმიანობის წამოწყება თავიდანვე სცადეს აგრეთვე რუსეთიდან ჩამოსულმა და უცხოელმა კაპიტალისტებმა. 1879 წელს აქ იმყოფებოდნენ ვაჭრები და მეწარმენი: ლოპარტი, კლუგე, სკარიაგინები, იგნატიევები და სხვ[26].

იმ დროს, როცა მსოფლიო მეტალურგიის განვითარება ფეროშანგანუმის გამოყენების ბაზაზე მიმდინარეობდა, ხოლო მსოფლიოში არსებული მანგანუმის არც თუ მრავალი მდიდარი საბადოს დიდი ნაწილი გამოკვლეული არ იყო, ჭიათურას მიაშურეს დასავლეთის დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების სავაჭრო-სამრეწველო ფირმებმა და მრეწველებმა, რომლებიც 1879 წლის დამდეგიდან შეუდგნენ საბადო ადგილების შეძენას თუ იჯარით აღებას[27]. ამ მოზღვავებულ ნაკადში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უდავოდ გერმანულ კაპიტალს ეკუთვნოდა.

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ჭიათურაში უცხოური კაპიტალი შედარებით გვიან იწყებს საქმიანობას, რაც არ შეეფერება სინამდვილეს.

1879 წელს ჭიათურაში საბადოთა შესაძენად და საექსპლოატაციოდ ჩამოვიდნენ: ცნობილი გერმანული ფირმის – კრუპის მეტალურგიული ქარხნის (ესენი) წარმომადგენელი გალბაური, სააქციო საზოგადოების "Gute Hoffnung"-ის (ვესტფალია) რკინის საბადოების დირექტორი ე. მაიერი და რუსეთისათვის ფეროშანგანუმის ძირითადი მიმწოდებლის – პეტერბურგის სავაჭრო სახლის "კ. ვახტერისა და კომპანიის" წარმომადგენელი ბარონი ო. ფონ მერცენფელდი, რომელსაც თან ახლდა სამთო ინჟინერი ი ო ს ა[28]. მერცენფელდმა მაშინვე შეიძინა და იჯარითაც აიღო რამდენიმე ქცევა მადნიანი მიწები, "გამოიწერა" ინსტრუმენტები და მუშები, დაიწყო შტოლნების გაყვანა. ამ დროიდან მან დაიწყო ჭიათურის საბადოთა ექსპლოატაცია. ამას მოწმობს ო. ფონ მერცენფელდსა და სვირელ თავად დავით აბაშიძეს შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მე-6 მუხლი გვაუწყებს, რომ მერცენფელდს ამ ხელშეკრულების დადებამდე, საკუთარი, თავისი რწმუნებულის მეშვეობით აუღია საბადო ნაკვეთები ვაშაძეებისაგან (რგანში). ცხადია, რომ მერცენფელდმა ჭიათურის აუზში საწარმოო საქმიანობას ხელი მიჰყო 1879 წლის დამდეგიდან[29].

გერმანელებს გარდა ჭიათურაში ფეხის მოკიდებას ცდილობდნენ სხვა უცხოელებიც: ფრანგები, იტალიელები, ბერძნები და სხვ.[30]. ჭიათურას მოაწყდნენ სხვადასხვა ქვეყნისა და ეროვნების, სხვადასხვა სოციალური წარმოშობის (ადგილობრივი და მოსული) საქმოსნები. უცხოელები ჭიათურაში

---

26 ა. კ ო ჩ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, თბილისი, 1962, გვ.276.

27 ი ქ ვ ე, გვ. 273-274.

28 Сборник сведений о Кутаисской губернии. К., 1885, с.6.

29 ი ქ ვ ე.

30 ს. დ ა ლ ი ა ნ ი, ქვაჰუნდის გაწამაწია, "დროება", 1879, 6.XII, №262.

გამოჩნდნენ მადნის ამოღების დაწყებისთანავე – 1879 წლიდან.

უცხოელთა ასეთ შემოსვლას მოჰყვა გააფთრებული მეტოქეობა ადგილობრივსა და მოსულ საქმოსნებს შორის. უცხოელთა ფინანსური უპირატესობის მიუხედავად ეს ბრძოლა თავიდანვე მათ სასარგებლოდ არ წარმართულა. ქართველ მრეწველებს სათავეში ჩაუდგნენ ისეთი ენერგიული საქმოსნები, როგორიც იყვნენ გედევან ჩუბინიძე და პავლე მოსეშვილი[31]. აქ მკვიდრად მოიკიდა ფეხი ივანე მუხრანბატონმაც. აღნიშნავდა რა გ. ჩუბინიძის, პ. მოსეშვილის და ი. სიხარულიძის დამსახურებას ჭიათურაში ადგილობრივი საქმოსნების პოზიციების განმტკიცებაში, ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი მიუთითებდა, რომ ქართველი საქმოსნები არ შეუშინდნენ მდიდარ უცხოელთა მოძალებას. შეიქმნა ბრძოლა ჭიათურის გარშემო "მადნეული ადგილების" ყიდვის თაობაზე. "უცხოელებს – განაგრძობს გ. წერეთელი, – უნდოდათ ეყიდათ საბადოები და მერე ეწარმოებინათ ქვის საქმე". ქართველმა საქმოსნებმა "არ მოინდომეს, რომ უცხო ქვეყნელებს ჩაეგდოთ ცეხი შავი ქვის წარმოებაში და ამიტომ აგონებდნენ, უხსნიდნენ ადგილის მეპატრონეებს, რომ არასგზით გაეყიდათ შავი ქვის მადნები. ამ სახით შეიქმნა სასტიკი ბრძოლა ორ მხარეს შორის. ცალ მხრით ადგილის მეპატრონენი პავლე მოსეშვილისა და გედევან ჩუბინიძის თაოსნობით იმაგრებდნენ წარმოებას; მეორეს მხრით, უცხო ქვეყნის აგენტები არ ზოგავდნენ თავიანთ მარწმუნებელთა ფულს, რომ ფულის დახმარებით გამოერთმიათ მადნები იქაურის მწარმოებლისა და ადგილის მეპატრონეებისათვის"[32].

ამ დროს, როგორც მოსალოდნელი იყო, ხმა აიმაღლეს გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ჩვენში ადგილობრივი ძალებისა და რესურსების გამოყენების ბაზაზე მრეწველობის განვითარებით. მათ იმთავითვე დაიწყეს ცდა ჭიათურის მანგანუმის საბადოების უცხოელთა ხელში გადასვლის თავიდან ასაცილებლად. სერგეი მესხი გაზეთ "დროებაში" 1879 წელსვე გამოეხმაურა საბადოების მფლობელთა მიერ მიწების უცხოელებზე გადაცემას და მათ მეპატრონეებს აფრთხილებდა: "ჩვენი რჩევა ეს არის, რომ ნუ აჩქარდებიან, ნუ ინდობიან ყველა უცნობ გამვლელ-გამომვლელს ნუ დაერწმუნებიან იმათ ..ნოტარიალურ პირობას... თუ ამდენი ხანი მოგითმენიათ, თუ ამდენი ხანი ეს შავი ქვა შავ ქვად ყრილა, ერთ-ორ წელიწადს, სანამ ყველაფერს დაწვრილებით გაიგებდეთ, კიდევ ეყაროს. თქვენი მადანი ისეთი საქმისათვის არის საჭირო, რომ მას შემდეგში, თუ არ მომატება, დაკლებით მაინც არასოდეს დააკლდება ფასი"[33].

---

31 ელ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში, თბილისი, 1960, გვ. 132.

32 "დროება" 1879, 30 XI, № 248.

33 ი ქ ვ ე.

ჭიათურის საბადოების საერთო პირთა და უცხოელთა ხელში გადასვლის წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე აკაკი წერეთელი. იგი უხსნიდა მეპატრონეებს: "აი, რა შეიძლება მოხდეს: ზოგი სიღარიბით, ზოგი სულწასულობით, ზოგი უმეცრებით ტყუილუბრალოდ დაკარგავენ ამ საშვილიშვილო საქმეს და სხვის ხელში ჩააგდებენ, რომ თვითონვე საშვილიშვილოდ უღლად დააწვეთ კისერზედ და ბოლოს "არ ველოდით", და "არ გვეგონაო" იწყონ თავის მართლება, მაგრამ ეს ველარაფერს მიეშველება მათ მაშინ, როდესაც შავი ქვის პატრონები თვითონ შავ მუშებად გადაიქცევიან და სხვის სამოწყალოდ დარჩებიან"[34].

ქართველი მოღვაწენი, რომლებიც თავის ქვეყნის სამრეწველო-ეკონომიკური განვითარების აუცილებლობას ქადაგებდნენ, სწორად აფასებდნენ ჩვენში უცხოური კაპიტალის შემოჭრის შესაძლებლობას და შედეგებს, ამიტომ, ბუნებრივია, გადაჭრით იღაშქრებდნენ ჭიათურაში უცხოური კაპიტალის გაბატონების წინააღმდეგ.

ქართველ მოღვაწეთა საქმიანობამ ხელი შეუწყო იმდროინდელი საქართველოს სამთამადნო მრეწველობის წამყვანი დარგის ადგილობრივ პირობებში შესაძლო ჩასახვა-განვითარებას. თუმცა ადგილობრივი სამრეწველო კაპიტალის ნაკლებობა მკვეთრად იგრძნობოდა, მაინც ადგილობრივმა საქმოსნებმა მოახერხეს მეწარმეობა, უცხოური კაპიტალის მოძალების მოგერიება, ჭიათურის მრეწველობაში გადამწყვეტი პოზიციების კარგა ხნით შენარჩუნება. უცხოელთა წარმომადგენლებმა, მაგალითად მერცენველმა, არ დაზოგეს არც ფული, არც შრომა და ენერგია ამ საქმის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ მან "... დიდხანს ვერ შესძლო მუშაობა და იძულებული გახდა ამ საქმისათვის თავი მიენებებინა"[35]. ადგილობრივმა მრეწველებმა ისეთი მეტოქეობა გაუწიეს მერცენველს, რომ მას საქმე ხელიდან გამოაცალეს.

ჭიათურის აუზში შექმნილი ვითარება ამწვავებდა ბრძოლას ადგილობრივ და უცხოურ კაპიტალს შორის და რამდენადმე ხელს უწყობდა ადგილობრივი კაპიტალის წარმატებას. საბადოს მიწები მეტისმეტად დაქუცმაცებული იყო სხვადასხვა მფლობელთა შორის, მიწები არ იყო საბოლოოდ გამიჯნული, ამიტომ მფლობელთა შორის განუწყვეტელი დავა მიმდინარეობდა. უცხოელები არ იყვნენ გარკვეულნი ადგილობრივ პირობებში, თანაც მათ უნდობლად ეკიდებოდნენ საბადოთა მეპატრონეები[36]. ყოველივე ეს ხელს უშლიდა უცხოურ, კერძოდ გერმანულ კაპიტალს მნიშვნელოვნად მოეკიდებინა ფეხი მანგანუმის დამუშავების დასაწყისში.

ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა ჭიათურაში მწვავე ფორმებში მიმდინარეობდა. უცხოური კაპიტალის მოძალების მოსაგერიებლად ადგილობრივი მრეწველები განუწყვეტლივ ცდილობდნენ გაერთიანებული ძალით მოქმედებას. ამ ბრძოლას წარმართავდა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია –

---

34 "დროება", 1880, 5. I, № 5.

35 "ივერია", 1889, 12. I, № 8.

36 სცსია, ფ. 264, საქმე 1642, ფურც. 228.

"შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა ყრილობა", რომელსაც სათავეში ედგნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ივანე (კიტა) აბაშიძე, ნიკოლოზ ლოლობერიძე, პეტრე წულუკიძე, სოლომონ წერეთელი და სხვ. ყრილობამ, თავისი ერთგვარი შეზღუდულობის მიუხედავად, გარკვეული დადებითი როლი შეასრულა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში. ის მხარს უჭერდა და განამტკიცებდა ადგილობრივ სამეურნეო ძალთა პოზიციებს მრეწველობაში, ენერგიულად იცავდა მრეწველების ინტერესებს მთავრობის ორგანოებში, ხელს უწყობდა მრეწველობის წინსვლა-განვითარებას, ეწეოდა საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას, ესწრაფოდა ადგილობრივ მეწარმეთა შეკავშირება-გაერთიანებას – "ამხანაგობების", სინდიკატებისა და სააქციო საზოგადოებათა ჩამოყალიბების მეშვეობით.

ჭიათურაში უცხოელთა დამკვიდრების ცდები ჩაიშალა. გ. წერეთლის გადმოცემით, მერცენფელდმა ჭიათურაში 200 ათასი მანეთის ზარალი ნახა, მნიშვნელოვნად დაზარალდნენ სხვა უცხოელებიც. საკონკურენციო ბრძოლას თავი გაართვეს ქართველმა საქმოსნებმა პ. მოსეშვილმა, გ. ჩუბინიძემ და სხვ. მოწინავე ქართველი საზოგადოების მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჭიათურაში უცხოური სამრეწველო კაპიტალის გაბატონების თავიდან ასაცილებლად. ქართველმა საქმოსნებმა შეძლეს საუკეთესო საბადოთა შენარჩუნება ან იჯარით აღება და დასაკუთრება. ისინი უგზოობის პირობებში ახერხებდნენ მოპოვებული მადნის გაზიდვას რკინიგზის მაგისტრალამდე, რაც უცხოელთათვის მეტად ძნელი აღმოჩნდა.

უცხოელებმა 1885 წლიდან რამდენიმე ხნით ხელი აიღეს ჭიათურის საბადოებზე და მანგანუმის სხვა ადგილობრივ საბადოებზე (აჯამეთი, ჩხარი, ნახშირღელე) გადაინაცვლეს, რამდენადაც ისინი რკინიგზის მახლობლად მდებარეობდნენ[37]. ხელი მოეცარათ რა მანგანუმის ამოღებაში, ისინი მანგანუმის ადგილობრივ ბაზარს შეესივნენ (უმთავრესად ზესტაფონს, გომს, ფოთს, ბათუმს), მანგანუმის მადნის ადგილობრივ ბაზარზე დაიკავეს გაბატონებული მდგომარეობა. ასე რომ ამჯერად უცხოურმა, მათ შორის გერმანულმა, კაპიტალმა ჩვენებური მადნის ექსპორტის სფეროში გადაინაცვლა[38].

ამრიგად, ჭიათურის მრეწველობის ასპარეზზე ძირითადად მხოლოდ ადგილობრივი მრეწველები დარჩნენ. მათ "ძლევამოსილება იდღესასწაულეს უცხოქვეყნელების წინააღმდეგ. ეს მოხდა 1885 წლის დამდეგს"[39].

მაგრამ ქართველ მრეწველთა დიდ უმრავლესობას საბრუნავი კაპიტალის უქონლობის გამო საქმის გაგრძელება არ შეეძლო. ქართველ მეწარმეთა დიდი ნაწილის შედარებით უსახსრობით მაქსიმალურად ისარგებლეს უცხოელმა ექსპორტიორებმა და მათმა აგენტებმა, რომლებიც, მეწარმეებთან წინასწარი გარიგებებითა და კრედიტის ვალებით, შეღავათიან ფასში იძენდნენ მადანს.

----------------

37 სცსია, ფ. 264, საქმე 962.

38 გ. მ ა რ ჯ ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

39 "ივერია", 1889, 12 I, № 8.

ადგილობრივი მრეწველები იოლად ებმებოდნენ უცხოელ კრედიტორთა მიერ დაგებულ მახეში და კაბალაში ექცეოდნენ. ისინი იძულებულნი იყვნენ უშუალოდ, ან ვაჭარ-შუამავალთა საშუალებით დაკავშირებოდნენ მადნის შემსყიდველ უცხოურ ფირმებს. ჭიათურის მანგანუმის მადნის ექსპორტი თითქმის მთლიანად უცხოელთა ხელში აღმოჩნდა[40].

უცხოური ფირმები მადნის ბაზარზე ხელოვნურად ქმნიდნენ ისეთ ვითარებას, როცა დამზადებული მადნის რაოდენობა აღემატებოდა მასზე მოთხოვნილებას. შესყიდული მადნის მარაგის ადგილზევე დატოვებით უცხოელები ახერხებდნენ მადნის ფასის ხელოვნურად დაცემას. ამრიგად, უცხოური კაპიტალი სესხის მეშვეობით აკაბალებდა მანგანუმის მრეწველებს, შესყიდული მადნის მარაგის ადგილზევე დატოვებით და მისი ფასის ხელოვნურად დაწევით, სავაჭრო მოგების სახით, იღებდა ზედმეტი ღირებულების მეტ ნაწილს[41].

გერმანული კაპიტალი, როგორც აღვნიშნეთ, ჭიათურაში მანგანუმის მადნის აღმოჩენის დასაწყისშივე გამოჩნდა, მაგრამ მაშინ მან ვერ შეძლო ფეხის მტკიცედ მოკიდება. 900-იანი წლებიდან იწყება გერმანული კაპიტალის გაძლიერებული შეჭრა ჭიათურის მანგანუმის წარმოებაში. მალე იგი მონოპოლიურ მდგომარეობას იკავებს ადგილობრივ, რუსულ და უცხოურ კაპიტალთან საკონკურენციო ბრძოლაში. ამ ბრძოლაში გერმანულ კაპიტალს მძლავრად უჭერდა მხარს თვით მილიტარისტული სახელმწიფო-გერმანია, რომელიც მსოფლიოს გადანაწილებისათვის ემზადებოდა.

ცნობილია, რომ, გარკვეული ისტორიული პირობების გამო, გერმანიამ XX საუკუნის დამდეგისათვის ეკონომიკური განვითარების მხრივ მნიშვნელოვნად გაუსწრო თავის იმპერიალისტურ მეტოქეებს ინგლისსა და საფრანგეთს. მძიმე ინდუსტრიისა და მისი საფუძვლის მეტალურგიული მრეწველობის განვითარება აუცილებელი იყო ძლიერი სამხედრო მრეწველობის, მილიტარისტული პროგრამების (სახმელეთო და საზღვაო), განსახორციელებლად. მეტალურგიული მრეწველობის განვითარება შეუძლებელი იყო მაღალხარისხოვანი მანგანუმის დიდი საბადოების გარეშე, რაც არა თუ გერმანიას, დასავლეთ ევროპას საერთოდ არ გააჩნდა. ამიტომ დაისახა მიზნად გერმანულმა კაპიტალმა ჭიათურაში ფეხის მოკიდება და მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვება. გერმანელებმა კარგად გამოიყენეს 1900-1903 წლების ეკონომიკური კრიზისი და თანდათანობით ჩაიპყრეს პოზიციები არამარტო მანგანუმის ექსპორტში, არამედ წარმოებაშიც. ამ პერიოდში ჭიათურაში განსაკუთრებით აქტიურობდა ბერლინის მანგანსინდიკატის ერთ-ერთი წარმომადგენელი - "ბერლინის ბანკი", ანუ "სააღრიცხვო საზოგადოება", რომელიც დაკავშირებული იყო ქართველ მრეწველთა გაერთიანებასთან "შავი ქვა"[42].

ბერლინის "სააღრიცხვო საზოგადოება" და რუსეთში უკვე დაშვებული

---

40 ა. გ ა კ ა შ ე ლ ი, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ისტორიიდან, თბილისი, 1957, გვ. 14.

41 ა. მ ა რ გ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ. გვ., 61.

42 ЦГИАД, ф.23, оп.12, д.9, л.4.

სააქციო საზოგადოება "არტურ კოპელი" ჭიათურაში ერთობლივად მოქმედებ-
დნენ 1905 წლიდან. საზოგადოების წარმომადგენელთა არაერთგზისი თხოვ-
ნის შემდეგ მთავრობამ 1906 წ. დაამტკიცა აღნიშნული ფირმების მიერ
შექმნილი საზოგადოება "მანგანუმის ელევატორებისა და მექანიკურ ნაგე-
ბობათა ჭიათურის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოება". 1908 წელს შედგა
დასახელებული საზოგადოების პირველი კრება, რომელსაც დაესწრნენ აქციო-
ნერები. საზოგადოებას ეკუთვნოდა 3 მილიონამდე მანეთის 15795 აქცია.
საზოგადოების ყველა წევრი გარდა ერთისა (გოლუბკოვი 6 აქციით) გერმა-
ნელი იყო. კრების დადგენილებით საზოგადოებამ სხვადასხვა პირთაგან შე-
ძენილ და იჯარით აღებულ მიწებსა და საბადოებში გადაიხადა 238 ათასი
მან., ამასთან ააგო სხვადასხვა ნაგებობანი – ელევატორები, გზები, სა-
პაერო-საბაგირო გზები. ამასთანავე საზოგადოებამ წინასწარი შეთანხმე-
ბა დადო "ფრანკფურტის რკინის მადნის საზოგადოებასთან", რომელმაც იკი-
სრა ჭიათურიდან გაზიდული მადნის რეალიზაცია[43].

აღნიშნულმა საზოგადოებამ 1908 წლის ბოლოს სახელმწიფო ბანკის პეტე-
რბურგის კანტორაში 1 მილიონ 200 ათასი მანეთი ჩარიცხა და შეუდგა სამ-
ზადისს საქმიანობის გასაშლელად. მას იმთავითვე დაუპირისპირდა ჭიათუ-
რის მანგანუმის მრეწველთა ყრილობა, რომელიც წინააღმდეგი იყო საბადო-
დან რკინიგზამდე საზოგადოების მიერ დაწესებული ფუთზე 4 კაპიკიანი
გადასახადისა. გერმანული სააქციო საზოგადოების დაშვების წინააღმდეგ
საჩივარი აღძრა აგრეთვე გ.დ. წერეთელმა, რომელმაც ჯერ კიდევ 1898
წელს აიღო სამრეწველო რაიონში ვიწროლიანდაგიანი გზების გაყვანის ნე-
ბართვა. ხანმოკლე ბრძოლა გერმანული ფირმისათვის წარუმატებლად დამთავ-
რდა. რადგან გერმანული ფირმის მიერ გაყვანილი საჰაერო-საბაგირო გზე-
ბი საზარალო იქნებოდა არა მარტო კონცესიონერ გ. წერეთლისა და მრეწვე-
ლთა ყრილობის მიერ დაპროექტებული ადგილობრივი სატრანსპორტო გზებისა-
თვის, არამედ ჭიათურის სახაზინო რკინიგზისათვისაც, მთავრობამ უარი
უთხრა გერმანულ ფირმას წირქვალ-ყვირილას საჰაერო-საბაგირო გზის გაყვა-
ნაზე და მისცა წირქვალიდან ჭიათურამდე ასეთივე გზის გაკეთების უფლე-
ბა. ამაზე გერმანულმა სააქციო საზოგადოებამ უარი განაცხადა და მუშაო-
ბის გაგრძელება არ ისურვა. მან 1911 წლის 15 ნოემბერს შეწყვიტა არსე-
ბობა. გერმანული სააქციო საზოგადოების ფაქტიური მფლობელი, ერთი შეხე-
დვით, იოლად წავიდა საზოგადოების ლიკვიდაციაზე, მაგრამ, როგორც შემდ-
გომში დავინახავთ, არა იმიტომ, რომ მან ხელი აიღო ამ საქმეზე, არამედ
იმიტომ, რომ უფრო ადრე ის გახდა ჭიათურაში ოპერაციების საწარმოებლად
დაშვებული მძლავრი გერმანული ფირმის "გელზენკირხენის სამთო-სააქციო
საზოგადოების" ერთ-ერთი მთავარი აქციონერი[44].

გერმანული ფირმის ლიკვიდაცია არ მოასწავებდა გერმანული კაპიტალის
შემოჭრის შესუსტებას ჭიათურის სამრეწველო რაიონში. შემდგომ პერიოდში

---

43 გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 262-263.

44 იქვე, გვ. 267.

ჩვენს მანგანუმის წარმოებაში უფრო გაძლიერდა გერმანული კაპიტალი. აქ იგი წარმოდგენილი იყო ისეთი ძლიერი ფირმებით, როგორიც იყვნენ: "გელზენკირხენის სამთო-სამრეწველო საზოგადოება", "სამთომრეწველთა საზოგადოება ლოიჩერ კაიზერი" და " კავკასიის საბადოთა ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობით". ჭიათურაში განსაკუთრებით აქტიურობდა "გელზენკირხენის სამთო-სამრეწველო საზოგადოება", რომელიც გერმანიის სამთამადნო მრეწველობის ყველაზე დიდი საწარმო იყო. ამ საზოგადოებამ რუსეთის მთავრობის მიერ ჭიათურაში ოპერაციების საწარმოებლად დაშვებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო მოქმედება და გერმანელი საქმოსნის ო. გილერტის მეშვეობით შეიძინა 76 დესეტინაზე მეტი საბადო ითხვისსა და მღვიმევში[45]. "გელზენკირხენის" სააქციო გაერთიანების წევრი იყო მრავალი მსხვილი საბანკო, სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანება და ცნობილი მრეწველი. მრავალი ავტორიტეტული წყაროს მოწმობით "გელზენკირხენის" აქციონერი იყო თვით გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი[46]. "გელზენკირხენის" მიერ გაცემულ აქციათა საერთო ღირებულება შეადგენდა 94 007 000 მარკას, ანუ 54 100 400 ოქროს მანეთს. ფირმას 1909 წელს სათავეში ედგა გამგეობა (28 წევრით), ჰყავდა ორი გენერალური დირექტორი (ე.კირდორფი და პ. რანდებროკი) და ექვსი დირექტორი (ფ. ფუნკე, ე. კლეინე, რ. ზეიდელი, ლ. რაში, გ. გელინგი, გ. რესელი)[47].

განუწყვეტლივ იზრდებოდა "გელზენკირხენის" მთელი კაპიტალი, რომელიც, როგორც ჩანს, მარტო რუსეთისათვის არ იყო განკუთვნილი. მან 1914 წლისათვის 117 627 000 მარკა შეადგინა. გერმანულმა სააქციო საზოგადოებამ, ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში თავისი ექსპანსიის რამდენადმე შესანიღბად, თავისი წესდებით ჭიათურაში განკუთვნილი ძირითადი კაპიტალი განსაზღვრა მხოლოდ 155 000 მარკის, ანუ დაახლოებით 118 065 მანეთის რაოდენობით[48].

გერმანულ ფირმას ჩვენში საქმე ასე ჰქონდა ორგანიზებული: პასუხისმგებელი აგენტი და მთავარი ადმინისტრაცია ჭიათურაში იყო მოკალათებული, ფირმის ადმინისტრაცია იმყოფებოდა ეოთში, ხოლო კანტორები რგანში, მღვიმევში, ითხვისში, პერევისაში; ჭიათურაშივე იყო საზოგადოების მიერ რუსეთში წარმოებული ოპერაციების ანგარიშსწორება, ხოლო ფოთში – გერმანიაში გასაზიდი მადნის გემებზე დატვირთვისა და ალრიცხვის ორგანიზაცია. წარმოების მთელი აპარატი ჭიათურაში მხოლოდ გერმანელებით იყო დაკომპლექტებული, რის შესახებაც შეშფოთებული 1916 წ. აცნობებდა რუსეთის მინისტრთა საბჭოს: "გერმანული ფირმების მოღვაწეობის უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს რუსული ტექნიკური ძალების იგნორირებაც. მათ მთელი მომ-

---

45 ვ. მ ა რ გ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 268.

46 ЦГИАЛ, ф.23,оп.I4, д.508, л.20

47 ვ. მ ა რ გ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 271.

48 ЦГИАЛ, ф.23, оп.28. д.5I4, л.260. . . . . .

სახურე პერსონალი გერმანიიდან მოიყვანეს"[49].

გერმანულმა ფირმამ ჭიათურის მრეწველობაში მრავალი ფართო მასშტაბის ოპერაცია წამოიწყო. ჯერ ერთი, იმთავითვე შეუდგა ადგილობრივ მეწარმეთა დაკაბალება-დაქვემდებარებას მათზე სესხებისა და ავანსების გაცემით (მათგან მადნის დიდი რაოდენობით შესყიდვასა და ექსპორტს); მეორე, მანგანუმის საბადოთა ხანგრძლივი იჯარით აღებას და შესყიდვას; მესამე, მაღაროთა ექსპლოატაციის რაციონალურად, ტექნიკურად მოწყობას, საბადოებიდან რკინიგზის ჭიათურის შტომდე მადნის ტრანსპორტირების მექანიზაციას, რგანში მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობას; მეოთხე, ფირმა ზრუნავდა სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციების გასაფართოებლად და ქობულეთში საკუთარი ნავსადგურის მოსაწყობად; დაბოლოს ფირმა რამდენადმე მოგვიანებით შეუდგა საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციას.

"გელზენკირხენმა", რომლის სახელთანაა დაკავშირებული გერმანული კაპიტალის მძლავრი პოზიციების შექმნა ჭიათურაში, მანგანუმის მადნის საუკეთესო საბადოების ხელში ჩაგდებასთან ერთად, განსაკუთრებული გულმოდგინებით გაშალა ოპერაციები ადგილობრივ მრეწველთაგან მადნის დიდი რაოდენობით შესაძენად[50]. ამან თავისი ნაყოფიც გამოიღო: "გელზენკირხენმა" ხუთნახევარ წელიწადში (1909 წლიდან 1914 წლის ივლისამდე) ჭიათურიდან გერმანიაში გაზიდა 60 მილიონამდე ფუთი მადანი, აქედან მხოლოდ 1914 წლის პირველ ნახევარში 12 მილიონ ფუთზე მეტი[51], რაც ჭიათურიდან საერთოდ გაზიდული მადნის (38,5 მილიონი ფუთი) თითქმის მესამედს შეადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ "გელზენკირხენი" ჭიათურაში საკუთარ საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციას შეგნებულად აფერხებდა, ხოლო სხვა საბადოებიდან მადნის შესყიდვასა და ექსპორტს პროგრესულად აძლიერებდა, ამისათვის მოხერხებულად იყენებდა ქართველ მრეწველთა ერთი ნაწილის უსახსრობას, მათ სესხს ან ავანსს აძლევდა და აკაბალებდა, თუმცა შეძენილი დიდძალი მადნის გაზიდვას ძლივს ასწრებდა. "გელზენკირხენის" ურთიერთობა ადგილობრივ მრეწველებთან ასე წარმოგვიდგება: გერმანულმა ფირმამ დიდძალი კაპიტალი შემოიტანა ჭიათურაში, მან განიზრახა ადგილობრივ მრეწველთა მიერ მოპოვებული მადნის რაც შეიძლება დაბალ ფასებში შეძენა. კონკურენტ უცხოურ ფირმებზე უპირატესობის მოსაპოვებლად ფირმამ დაიწყო ადგილობრივ მრეწველებზე გრძელვადიანი, უპროცენტო სესხებისა და ავანსების გაცემა, რასაც სხვა საექსპორტო ფირმები მხოლოდ იშვიათად და შედარებით უმნიშვნელო მასშტაბით ეწეოდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ "გელზენკირხენი" თავისი შემსყიდველებისაგან - გერმანიის მეტალურგიული ქარხნებისაგან - დიდძალ კაპიტალს ღებულობდა (თბილისის კომერციული

---

49 Там же, л.6

50 პ. მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე, გერმანელი კოლონისტები საქართველოში, თბ., 1974, გვ. 146.

51 ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ეროვნული ბურჟუაზია და უცხოური კაპიტალი 1879-1921 წწ. ჭიათურის რაიონში, "მაცნე", 1963, №2, გვ. 109.

ბანკის მეშვეობით). გერმანული ფირმა ამ სესხებსა და ავანსებს უანგაროდ როდი იძლეოდა. მისი ყველა დებიტორი ვალდებული იყო კრედიტორისათვის მიეცა ნოტარიულად შემოწმებული ხელწერილი, საკუთრებაში არსებული თუ იჯარით აღებული საბადოების ყველა საბუთი, ამასთანავე საბადოში მოპოვებული მადანი, მთლიანად ან მისი უდიდესი ნაწილი, ჩაებარებინა გერმანული ფირმისათვის არსებულ საბაზრო ფასებში. ვალის დაფარვისას კრედიტორი დებიტორს უბრუნებდა ყველა ჩაბარებულ საბუთს, ხოლო თუ უკანასკნელი დადგენილ ვადებში მადნის ჩაბარებით ვალებს არ დაფარავდა, კრედიტორი ხდებოდა ჩაბარებული საბუთების სრულუფლებიანი მფლობელი. მთელი ამ, გარკვეული გაგებით, საიდუმლოებით მოცული ოპერაციების ხასიათი გამოაშკარავდა პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როცა ჭიათურაში გერმანული ფირმების სალიკვიდაციოდ მთავრობის მიერ შექმნილმა განსაკუთრებულმა სამმართველომ ადგილზევე შეისწავლა საქმის ვითარება.

ამრიგად, ადგილობრივი მრეწველები სესხებისა და ავანსების მიღებისას საბადოებს აგირავებდნენ, მოპოვებულ მადანს კრედიტორს აბარებდნენ ხანგრძლივი დროის მანძილზე, მასვე აძლევდნენ გზას მადნის გასაზიდად, ასევე მადნის საწყობ ადგილებსა და ბაქნებს უფასო სარგებლობაში.

ასე დააკაბალა და დაიქვემდებარა "გელზენკირხენმა" მრავალი ადგილობრივი მრეწველი. დაკაბალებულ ადგილობრივ მრეწველებს არ შეეძლოთ დამკრედიტებელი ფირმის ლიკვიდაციის დროისათვის ვალების გადახდა. უამისოდ კი მთელი მათი საბუთები ფირმის ხელში რჩებოდა. ასეთ ვითარებაში მათ, როცა დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ჩვენში შეწყდა გერმანული ფირმების, მათ შორის "გელზენკირხენის" საქმიანობა, ადგილობრივმა დებიტორმა მრეწველებმა მთავრობას მიმართეს და განუცხადეს, რომ ვალების დაფარვა სურთ დამზადებული მადნის ჩაბარებით. მათ მოითხოვეს, რომ ფირმის ქონების კონფისკაციის ან სხვაზე გადაცემისას მთავრობა არ შეხებოდა მათ საკუთრებას თუ დროებით სარგებლობაში არსებულ საბადოებს, რომლებიც დაგირავებული ჰქონდათ გერმანული ფირმისაგან მიღებული თანხების გადახდის საგარანტიოდ. ბევრი მათგანი მოითხოვდა აგრეთვე კრედიტორისათვის მიცემული საბუთების დაბრუნებას. მთავრობის ორგანოებმა ეს განცხადებები გადასცეს სალიკვიდაციო სამმართველოს[62]. სამმართველო საფუძვლიანად გაეცნო საქმის რეალურ ვითარებას. აღმოჩნდა, რომ სალიკვიდაციო ფირმის მიერ დაკაბალებულ მრეწველებს არ შეეძლოთ ვალების დაფარვა. ყოველივე ამის გამო სალიკვიდაციო სამმართველომ არ დააკმაყოფილა მრეწველთა მოთხოვნა და ეს ხელშეკრულება სალიკვიდაციო ფირმას დაუტოვა.

ჭიათურის მრეწველობაში გაბატონებისათვის "გელზენკირხენი" ყველაზე მძლავრ საშუალებად მანგანუმის მადნის უმდიდრესი საბადოების მთლიანად და დიდი ხნით ხელში ჩაგდებას მიიჩნევდა. ამ მიმართულებით მოქმედებას ის ჯერ კიდევ ჭიათურაში ოპერაციების ოფიციალურად დაწყებამდე შეუდგა და დიდი კაპიტალიც დააბანდა. 1903-1909 წლებში "გელზენკირხენმა" გერ-

---

62 ЦГИАЛ, ф.23, оп.I4, д.507, л.26.

მანეთი მრეწველის ო. გილერტისაგან მიიღო 76 დესეტ. მეტი ფართობის იჯარით აღებული საბადოები მღვიმევსა და ითხვისში. ოფიციალურად დამ-ტკიცების შემდეგ მან გერმანულ ფირმა "შალკე"-საგან 83 000 მანეთად მიიღო იჯარით აღებული საბადოები რგანში[53]. 1909-1914 წლებში "გელზენ-კირხენი" ენერგიულად განაგრძობდა საბადოებისა და უმადნო მიწების, ბა-ქნების შესყიდვას რგანში, მღვიმევში, პერევისაში, ითხვისში, აგრეთვე ჭიათურის სავიწრო რკინიგზის ხაზის მახლობლად.

"გელზენკირხენის" საწარმოები იმ დროისათვის მაღალ ტექნიკურ დონე-ზე იყო მოწყობილი. ამასთანავე ფირმამ მრავალი ნაგებობა ააშენა და ტე-ქნიკური მოწყობილობა დაამონტაჟა. მათ შორის აღსანიშნავია მადნის გა-მამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედ-ვით იყო გამართული და 1913 წელს შევიდა ექსპლოატაციაში[54].

ფირმა ცდილობდა ქობულეთში საკუთარი ნავსადგური მოეწყო. 1912 წელს მან ამ მიზნით მიმართა რუსეთის მთავრობას. როგორც მეფისნაცვალი, ისე მეფის მთავრობა მზად იყვნენ დაეკმაყოფილებინათ "გელზენკირხენის" თხო-ვნა, მაგრამ სამხედრო უწყების ჩარევის შედეგად, რომელსაც სამართლია-ნად საშიშად მიაჩნდა ბათუმის ციხე-სიმაგრის მახლობლად უცხოეთის ნავ-სადგურის მოწყობა, გერმანულ ფირმას საბოლოოდ უარი უთხრეს ქობულეთში ნავსადგურის აგებაზე[55].

როგორც ვნახეთ, "გელზენკირხენის" ფირმა ენერგიულად ცდილობდა მონო-პოლიური მდგომარეობა მოეპოვებინა ჭიათურის საწარმოო რაიონში. ამ მისწრაფების საბოლოოდ განხორციელებაში მას ხელი შეუშალა პირველმა მსოფლიო ომმა. ომის დაწყების შემდეგ მთავრობის დადგენილებით ჭიათუ-რის რაიონში მოქმედი გერმანული ფირმების საქმიანობა შეწყდა. ამისათ-ვის სპეციალურად შექმნილმა სალიკვიდაციო სამმართველომ "გელზენკირხე-ნის" მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ჭიათურაში (რამდენადმე შემცირები-თაც) 2 670 858 მანეთად შეაფასა[56].

"გელზენკირხენის" პარალელურად ჭიათურის რაიონში 1911 წლის სექტემ-ბრიდან მოქმედებდა მეორე გერმანული ფირმა "კავკასიის საბადოთა ამხა-ნაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობით". ფირმის დამაარსებლები და განმ-კარგულებლები იყვნენ გერმანელი ვაჭრები და საქმოსნები. ფირმის დირექ-ტორატში გერმანელებთან ერთად იყო ქართველი სამთო ინჟინერი ბარნაბ პა-პავა, რომელიც, ფირმის შუამდგომლობითა და რუსეთის მთავრობის ნებართ-ვით, ფირმის პასუხისმგებელი გამგე გახდა ჭიათურაში[57].

მართალია, ფირმაში ფორმალურად გერმანელი საქმოსნები (ზ. ბერენდები, ი. ბოდენგმაიერი, მ. როზენბაუმი) და ბ. პაპავა იყვნენ გაერთიანებუ-ლნი, მაგრამ, როგორც შემდგომში გაირკვა, ფირმის ფაქტიური მეპატრონე

---

53 გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 285-286.

54 ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

55 ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 10, д.297, л.2.

56 გ. ჟ ა ნ ჯ ღ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 146.

57 ЦГИАЛ. ф.23, оп. 28, д. 514, л.262.

იყო გერმანიის სამრეწველო-საფინანსო კაპიტალის ერთ-ერთი უმსხვილესი წარმომადგენელი კრუპი. ეს ამბავი ცნობილი გახდა მთავრობისთვისაც. ფინანსთა სამინისტრო 1914 წლის დამლევს აცნობებდა იმპერიის მინისტრთა კომიტეტს: "სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, რომ ამხანაგობა გერმანიის სამხედრო ქარხნების მთავარი მომმარაგებელია, კრუპის ქარხნებისათვის მანგანუმის მადნის მთავარი მიმწოდებელი"[58].

"კავკასიის საბადოთა ამხანაგობის" ერთ-ერთმა წევრმა, ბ. პაპავამ, ჯერ კიდევ 1909 წელს იჯარით აიღო 9 დესეტინა ფართობის საბადო ნაკვეთები ჭიათურაში. შემდგომში ფირმამ დაიწყო და გააგრძელა საბადოთა ძიება და იჯარით აღება, მადნის შესყიდვა და ექსპორტი. ის იმთავითვე შეუდგა სამუშაოების წარმოებისათვის აუცილებელ ნაგებობათა, ტექნიკურ მოწყობილობათა და, კერძოდ, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ასაშენებლად ზრუნვას.

ფირმამ დიდძალი კაპიტალი დააბანდა ჭიათურის მანგანუმის აუზის სხვადასხვა ზეგანზე საუკეთესო მადნიანი ნაკვეთების ხელში ჩასაგდებად, რომ ამით დიდი ხნით უზრუნველეყო საკუთარი სამრეწველო წარმოება, თავისი მომავალი გამამდიდრებელი ფაბრიკის, აგრეთვე ახალი საწარმოო და სატრანსპორტო-ტექნიკურ მოწყობილობათა სრული დატვირთვა.

საბადო ნაკვეთებს ბ. პაპავა იძენდა და იჯარით იღებდა (ნოტარიალურად შემოწმებული ხელშეკრულებების გაფორმებით), ხოლო შემდეგ თავის უფლება-მოვალეობას (სათანადო აქტით) გადასცემდა ფირმას ჰ. ბერენდტის სახელზე. უკანასკნელი ამ შემთხვევაში მთელი სააქციო საზოგადოების (მათ შორის ბ. პაპავას) უფლებებსაც განასახიერებდა.

გერმანული ფირმის მიერ დადებულ ხელშეკრულებებს ჰქონდათ როგორც საერთო, ისე განსაკუთრებული ნიშნები. მათი ხანგრძლივობა 30 წლით და ამდენივე ხნით გაგრძელების უფლებით ფორმდებოდა, ე.ი. საბადოს თითქმის სრულ გამოფიტვამდე. ნაკვეთების მეპატრონენი ვალდებულნი იყვნენ მოიჯარე დაეცვათ ხოდავისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ხელშეკრულების ძალით ევალებოდათ დავასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურება და ჯარიმის გადახდა მოიჯარის სასარგებლოდ. ნაკვეთის პატრონს ევალებოდა მიწისმფლობელობასთან დაკავშირებული გადასახადის გადახდა, ხოლო მოიჯარეს - მეწარმეობასთან დაკავშირებულისა.

გერმანულ ფირმას ყოველი ნაყიდი დესეტინა საბადო ნაკვეთი, რამდენ დაბალხარისხოვანიც არ უნდა ყოფილიყო, თითქმის ყოველთვის უჯდებოდა 4 ათას მანეთზე მეტი, ზოგჯერ 7 ათასამდეც.

გერმანულმა ფირმამ, ბ. პაპავას მეშვეობით, სხვადასხვა ხელშეკრულებითა და აქტების ძალით სხვადასხვა ვადით (30-30 წ., "საბადოს მარაგის სრულ ამოწურვამდე", "სამუდამო საკუთრების უფლებით") ხელთ იგდო დიდძალი ფართობი ჭიათურის მანგანუმის საბადოთა აუზის ზეგნებზე: პერევისაში, შუქრუთში, რგანში. მის სარგებლობაში იყო 600 ნაკვეთი. ფირმას ლი-

---

58 ЦГИАЛ, ф.23,оп.I4, д.507, л.47-50.

ვიდაციისას აღმოჩნდა 106 საიჯარო ხელშეკრულება[59].

"კავკასიის საბადოთა ამხანაგობის" ბალანსის აქტივში, საბადოთა შემდეგ, პირველი ადგილი ეკავა მის მიერ ითხვისის ხეობაში აგებული მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკისა და დამხმარე ნაგებობათა, აგრეთვე მუშათა საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ხარჯებს[60]. ფირმამ 1911 წელს დაიწყო ტექნიკურად საუცხოოდ მოწყობილი მძლავრი გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც 1913 წ. დაამთავრა. კავკასიის სამთო სამმართველო თავის 1911 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ "კავკასიის საბადოთა ამხანაგობის გამამდიდრებელი ფაბრიკის მთელი მოწყობილობა, მანქანები და მექანიზმები გერმანიიდანაა მოტანილი"[61].

ისე, როგორც საერთოდ გერმანულ ფირმებს, "კავკასიის საბადოთა ამხანაგობასაც" მაღაროები, გამამდიდრებელი ფაბრიკა, ბრემსბერგი, საპაერო-საბაგირო გზები და საერთოდ ტრანსპორტი მაღალ ტექნიკურ დონეზე ჰქონდა მოწყობილი. მან ჭიათურაში პირველმა გამოიყენა ავტომანქანები მაღაროდან საბადოს ზედაპირზე მადნის გადმოსაზიდად.

სალიკვიდაციო სამმართველომ გერმანული ფირმის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება 2 181 281 მანეთად შეაფასა[62].

ჭიათურის მანგანუმის უმდიდრესმა საბადოებმა თავიდანვე მიიპყრო გერმანიის მეტალურგიული მრეწველობის ყურადღება. მართალია, გერმანიას გააჩნდა მადნის გარკვეული მარაგი, მაგრამ დაბალხარისხოვნების გამო იგი გამოუსადეგარი იყო მაღალი მარკის ფოლადის დასამზადებლად. ასეთ ვითარებაში გერმანული კაპიტალი ცდილობდა დაეუფლებოდა საქართველოს მანგანუმის უმდიდრეს საბადოებს. გერმანულმა ფირმებმა "გელზენკირხენმა" და "კავკასიის საბადოთა ამხანაგობამ" ენერგიული მუშაობა გააჩაღეს ამ მიმართულებით. მათ ხელთ იგდეს რამდენიმე ასეული დესეტინა მადნიანი და უმადნო მიწები, დიდი თანხები დააბანდეს და უახლესი ტექნიკით აღჭურვეს თავისი საწარმოები. ამასთანავე მათ სხვადასხვა საშუალებებით დაიკაბალეს ადგილობრივი მრეწველები და მათგან შეღავათიან ფასებში იძენდნენ დიდი რაოდენობის მადანს. ამის შედეგად I მსოფლიო ომის წინ ჭიათურაში მოპოვებული მადნის უდიდესი ნაწილი გერმანიაში გადადიოდა, რომელიც მძლავრად იქ მუშავდებოდა, გერმანიის მრეწველობის მოთხოვნილების უდიდეს ნაწილს აკმაყოფილებდა და ფეროშენადნობები სხვა ქვეყნებში, ხშირად რუსეთშიც, გაჰქონდა.

ჭიათურაში გერმანული კაპიტალის კიდევ უფრო გაძლიერებას I მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. ომის დაწყების შემდეგ, შავი ზღვის სრუტეების ჩაკეტვამ და ექსპორტის შეწყვეტამ გამოიწვია ჭიათურის მანგანუმის მრეწ-

---

59 გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 303.

60 ЦГИАГ, ф.23, оп.28, д.514, л.263-264.

61 Отчет Кавказского горного управления за 1911 год, 1912, с.118.

62 სცსია, ფ. 264, საქმე 811, ფურც. 1-5.

ველობის შეუკავებელი დაღმავლობა.

ომის დაწყების შემდეგ მეფის რუსეთის მთავრობამ გააუქმა ჭიათურა-ში მოქმედი გერმანული ფირმები. სპეციალურად შექმნილმა სალიკვიდაციო სამმართველომ ლეგალურად აღწერა და შეაფასა გერმანული ფირმების უძრავ-მოძრავი ქონება, განიხილა მათ მიერ წარმოდგენილი ბალანსის ყოველი მუხლი.

ჭიათურის რაიონში მოქმედი გერმანული ფირმები, როგორც ჩანს, გერმანიის მმართველი წრეების ენერგიული მხარდაჭერით სარგებლობდნენ და ჭიათურის მანგანუმის მიწოდებით დიდად უწყობდნენ ხელს გერმანიის მეტალურგიული მრეწველობის მომზადებას პირველი მსოფლიო ომისათვის.

1914–1917 წლებში ჭიათურის რაიონში ადგილობრივ, რუსულ და უცხოურ კაპიტალს შორის გაიშალა ხანგრძლივი და მწვავე საკონკურენციო ბრძოლა გერმანულ ფირმათა ქონების ხელში ჩასაგდებად. უცხოური ფირმები ხშირად საკუთარი მთავრობების ენერგიული მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

თავის მხრივ გერმანული ფირმები I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე შეეცადნენ საკუთარი პოზიციების შენარჩუნებას ჭიათურის მრეწველობაში. ამ მიზნით ისინი ადრევე დაუკავშირდნენ შვედურ ფირმას "ვინტერვიკენსს", რომლის ერთ-ერთი მთავარი აქციონერი იყო შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრი კურტ ვალენბერგი. კ. ვალენბერგს საკმაოდ ფართო კავშირები ჰქონდა რუსეთის მმართველ წრეებში. ამან საშუალება მისცა შვედ მინისტრს წინასწარ მოესინჯა ნიადაგი პეტროგრადში. შვედური ფირმის განზრახვაზე დადებითი პასუხი გასცა კ. ვალენბერგის რუსმა კოლეგამ ს. საზონოვმა. ამის შემდეგ 1915 წლის აპრილში გერმანულმა ფირმებმა სპეციალური ხელშეკრულება[63] დადეს "ვინტერვიკენსთან". ამ ხელშეკრულებით "გელზენკირხენმა" და "კავკასიის საბადოთა ამხანაგობამ" მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება ჭიათურაში 5 მილიონ კრონად გადასცეს "ვინტერვიკენსს"[64].

მაგრამ ამ შეთანხმების წინააღმდეგ გამოვიდნენ ვაჭრობის და მრეწველობის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროები, რომლებმაც ჭიათურაში შვედური ფირმის დაშვებაზე უარყოფითი დასკვნები წარუდგინეს მინისტრთა საბჭოს. ამ სამინისტროთა პოზიცია განამტკიცა კავკასიის მეფისნაცვლის, ყოფილი უმაღლესი მთავარსარდლის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის უარყოფითმა პოზიციამ ჭიათურაში შვედური ფირმის დაშვებაზე. მინისტრთა საბჭომ 1916 წლის 17 ნოემბერს განიხილა საკითხი და, ს. საზონოვის ენერგიული მხარდაჭერის მიუხედავად, "ვინტერვიკენსს" უარი უთხრა გერმანული ფირმების ქონებისა და უფლებების შესყიდვის ნებართვაზე[65].

---

63 რუსეთის ხელმძღვანელი წრეების უმრავლესობას ეს ხელშეკრულება, არც თუ უსაფუძვლოდ, ფიქტიურად მიაჩნდა (ЦГИАЛ, ф.37, оп.77, д.398, л. 6-7; გ. მ ა რ ჯ ი ა ნ ი, სამთამადნო მრეწველობა... გვ.439–442).

64 ЦГИАЛ, ф.23, оп.28, д.514, л.192.

65 ЦГИАЛ, ф.23, оп.28, д.510, л.9.

ომის მძიმე ვითარებაში ხაზინამ არ შეიძინა გერმანული ფირმების საწარმოები და ქონება ჭიათურაში და ამ ფირმების სალიკვიდაციოდ შექმნილ "განსაკუთრებულ სამმართველოს" დაავალა მთელი მათი უძრავ-მოძრავი ქონების გასაღება. შეძენის მსურველი კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მრავლად აღმოჩნდა როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში. შვედური ფირმის პარალელურად, რომელსაც, როგორც ვნახეთ, უარი ეთქვა, გერმანული ფირმების ქონების ხელში ჩასაგდებად იბრძოდნენ სავაჭრო სახლი "ძმები ოგანეზოვები", რუსი მრეწველები ს. ლიანოზოვი და გ. ლვოვი, რუსეთის გემთმშენებელთა საზოგადოება (თავმჯდომარე ვ. ივანოვი), რუსეთის ორთქლმავალმშენებელი და მექანიკური საზოგადოება (დირექტორი ს. პალაშკოვსკი), ტექნიკოს-სპეციალისტთა ჯგუფი: ე. გრუბე, ე. ლვოვი, დ. ბრულიოვი, სამთო ინჟინრები ტერ-დავიდოვი და ლ. ბელენკო, ცნობილი სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანება "სტახეევი და კომპანია", თავადი კანჭაუზენი და მრავალი სხვა[66].

გერმანული ფირმების მემკვიდრეობით ძალზე დაინტერესებულნი იყვნენ ქართველი საზოგადოებრივი წრეები, კერძოდ ს. ნიკოლაძე, გ. ზდანოვიჩი, კ. აბაშიძე, პ. ქავთარაძე, კ. აფხაზი და სხვ. მათი ოცნება იყო, ჭიათურის მანგანუმის სიმდიდრე ქართველ ხალხს დარჩენოდა. ქართველი ინტელიგენციისა და მრეწველთა ყრილობის წარმომადგენლები საამისოდ საზოგადოებრივ აზრს განაწყობდნენ. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ გერმანული ფირმების ქონების საჯარო ვაჭრობით (აუქციონით) გაყიდვისა. ისინი მოითხოვდნენ სალიკვიდაციო ფირმების საწარმოებისა და ქონების ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა ყრილობისათვის ზომიერ ფასში გადაცემას, რადგან როგორც ყრილობის ერთ-ერთი წარმომადგენელი აღნიშნავდა: ეს "ერთის მხრივ, უპასუხებდა ადგილობრივი მრეწველობისა და საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს. მეორე მხრივ კი იქნებოდა მუდმივი წყარო მოსახლეობის სხვადასხვა მომწიფებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ადგილობრივ მრეწველთა ორგანიზაციისათვის"[67].

თავისი თხოვნის განსამტკიცებლად მრეწველთა ყრილობის საბჭომ 1916 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში სპეციალური მოხსენებებით მიმართა მთავრობას, რომლებითაც ითხოვდა ადმინისტრაციულ და ფინანსურ დახმარებას გერმანული ფირმების ქონების შესაძენად. ნოემბრის მიმართვაში ნათქვამი იყო: "ამ საწარმოების შემოსავალს უნდა განაგებდეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მას გამოიყენებს სახელმწიფო საჭიროებისათვისვე, და რომელიც ამა თუ იმ ფორმით ადგილობრივ მოსახლეობას დაუბრუნებს მხარიდან გატანილი სიმდიდრის ექვივალენტს"[68]. იქვე აღნიშნული იყო, რომ ყრილობა ერთადერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა ჭიათურაში, რომელიც მთავ-

---

66 გ. მ ა რ ჯ ი ა ნ ი, სამთამადნო მრეწველობა..., გვ. 43-48.
67 ЦГИАГ, ф.23, оп.28, д.514, л.101.
68 სცსია, ფ. 13, ანაწ. 12, ს. 336, ფ. 70-71.

რობის კონტროლს ექვემდებარება და მის ამოცანებს ახორციელებს.

ჭიათურაში გერმანული ფირმების უძრავ-მოძრავი ქონების შეძენას ცდილობდნენ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სათავადაზნაურო საკრებულოებიც, მაგრამ მათმა მეცადინეობამ უშედეგოდ ჩაიარა.

სალიკვიდაციო გერმანული ფირმების საწარმოთა შესაძენად აქტიურად მოქმედებდა უცხოეთის კაპიტალიც. ინგლისური კაპიტალი ჭიათურაში დამკვიდრებას ცდილობდა "რუსეთის სამთო-სამრეწველო საკომისიო საზოგადოების" საშუალებით, რომელიც დაკავშირებული იყო რუსულ-ინგლისურ ჯგუფთან ლონდონში და ეწეოდა სამთო-სამრეწველო დაწესებულებათა მოწყობასა და დაფინანსებას[69].

ჭიათურაში გერმანული ფირმების ქონების შეძენა სცადა ამერიკის კაპიტალმაც. ე.წ. "რუსულ-ამერიკულმა პალატამ" 1916 წლის ივნისში გერმანული ფირმების "სალიკვიდაციო სამმართველოს" აცნობა, რომ სურს გერმანულ ფირმათა საწარმოების შეძენა, ამიტომ ითხოვდა საწარმოთა ტექნიკური მდგომარეობისა და შესყიდვის პირობების მიწოდებას. მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ ინგლისელები. დიდი ბრიტანეთის საელჩო, ჭიათურის გერმანელთა საწარმოების შესაძენად რეკომენდაციას უწევდა რა ორ მსხვილ ინგლისურ ფირმას - უოლის(მიდლსბორო) და ფერგიუსონს (ლონდონი), ამასთანავე რუსეთის მთავრობას არწმუნებდა, რომ ჭიათურის საწარმოთა ამერიკელთა ხელში გადასვლა ნიშნავდა "მათზე გერმანული გავლენის შენარჩუნებას"[70]. ე.ი. ამ შემთხვევაში განმეორდებოდა "კინტერვიკენსის" შვედური მოდელი, რაც შეიძლება უსაფუძვლო არ იყო.

გერმანული ფირმების სალიკვიდაციო სამმართველოს ენერგიული მუშაობის მიუხედავად ორივე გერმანული ფირმის საწარმოებისა და სხვა ქონების აღწერა-შეფასება და საკუთარ განკარგულებაში მათი მიღება მხოლოდ 1917 წლის 2 თებერვლისათვის დამთავრდა. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შედეგად შექმნილმა დროებითმა მთავრობამ ვერ შეძლო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია. რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების ქვეშევრდომთა მიმართ გამოცემული შეზღუდვითი კანონები კვლავ ძალაში დარჩა. 1917 წლის მარტის ბოლოს გერმანული ფირმების სალიკვიდაციო სამმართველომ გამოაცხადა ჭიათურაში ამ ფირმების კუთვნილი ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. მაგრამ საქმე შეაჩერეს. გერმანული ფირმების ლიკვიდაციის საკითხი 1917 წლის 15 ივნისს განიხილა "იხაკომმა", მან ცნობად მიიღო ამ ფირმების ხაზინისათვის გადაცემის გადაწყვეტილება და სალიკვიდაციო სამმართველოს გადასვლა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განმგებლობაში. აგვისტოში "იხაკომმა" თხოვნით მიმართა დროებით მთავრობას პეტროგრადში, რომ მისი მონაწილეობის გარეშე არ გადაწყვეტილიყო გერმანული ფირმების ქონების ბედი[71].

---------------

69 ЦГИАЛ, ф.634, оп.I, д.237, л.II.

70 ЦГИАЛ, ф.23, оп.28, д.5I4, л.I02.

71 ЦГИАЛ, ф.23, оп.28, д.5I4, л.453-454.

ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ვერც დროებითმა მთავრობამ მოასწრო. მას მოუსწრო რუსეთში ოქტომბრის გადატრიალებამ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ სცადა ამ პრობლემის გადაჭრა, იმ დროისათვის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ძირითადად რეალური იდეის განხორციელება. ამ იდეით ჭიათურაში გერმანული კაპიტალის მონაწილეობით უნდა შექმნილიყო "შერეული" სააქციო საზოგადოება. ამ საზოგადოების პროექტიც შეიმუშავეს, მაგრამ იგი არ განხორციელდა. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობამ პირველი მსოფლიო ომის წლებში ჭიათურაში სალიკვიდაციოდ განკუთვნილი გერმანული ფირმების უძრავ-მოძრავი ქონება დაუბრუნა ძველ მეპატრონეებს, რომლებმაც აქ თავისი საწარმოები და სხვა საკუთრება კიდევ რამდენიმე ხნით შეინარჩუნეს[72]. მსოფლიო ომის, რევოლუციის, დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921 წწ.) მძიმე ეკონომიკურ პირობებში მანგანუმის მადნის მოპოვება სწრაფი ტემპით ეცემოდა, ხოლო 1921 წლიდან თითქმის მთლიანად წყდება.

ასე წარიმართა და დამთავრდა პირველი მსოფლიო ომის წლებში ჭიათურაში სალიკვიდაციოდ გამოცხადებული გერმანული ფირმების უძრავ-მოძრავი ქონების განსხვისების ცდა, რომლის ხელში ჩასაგდებად იბრძოდა ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა.

## § 3. ფირმა "სიმენსი და ჰალსკეს" საქმიანობის დასაწყისი ამიერკავკასიაში. სატელეგრაფო ხაზების მშენებლობა.

მსოფლიოში ცნობილი გერმანული ფირმის "სიმენსის" დამაარსებელი იყო ღარიბი მოიჯარადრის ოჯახიდან გამოსული ერნსტ ვერნერ სიმენსი (1816-1892)[73].

XIX საუკუნის 40-იან წლებში რამდენიმე გამოგონებისა და ტექნიკური სრულყოფის წყალობით ფირმა ეკონომიკურად მოძლიერდა და ფართოდ გახდა ცნობილი ევროპასა და შემდეგ მსოფლიოშიც. 1847 წელს ვერნერ სიმენსი შეუთანხმდა მექანიკოს ჰალსკეს სატელეგრაფო ხაზების მშენებლობის, ელექტრომოწყობილობის წარმოებისა და ა.შ. ფირმის ჩამოყალიბების შესახებ. თავისი ბიძაშვილის, ცნობილი იურისტის გეორგ სიმენსის ფინანსური დახმარებით სიმენსმა ჰალსკესთან ერთად იმავე წელს შექმნა პატარა სახელოსნო, რითაც საფუძველი ჩაეყარა მომავალ ფირმას. სახელოსნოში თავდაპირველად სულ 10 კაცი მუშაობდა.

"სიმენსი და ჰალსკე" პირველი ფირმა იყო ევროპაში, რომელიც ტელეგრაფის ხაზების მშენებლობაში დასპეციალდა. ფირმის გაძლიერებას მნიშ-

---

72 ელ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 163.

73 Н.Д. Н а н и т а ш в и л и, Германский капитал и Закавказье. Деятельность фирмы "Сименс и Гальске", 1860-1917. Тб., 1982, с.23-24.

ნელოვნად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ამ დროს ევროპაში დიდი გაქანება მიიღო სატელეგრაფო ხაზების მშენებლობამ. XIX საუკუნის 40-იან წლებში ვერნერ სიმენსმა ააგო რამდენიმე სახმელეთო და წყალქვეშა ხაზი პრუსიასა და, საერთოდ, გერმანიაში, სადაც იგი ითვლებოდა ელექტროტელეგრაფის დამფუძნებლად. 50-60-იან წლებში ვერნერ სიმენსი ძმებთან ერთად მონაწილეობდა ევროპასა და სხვა კონტინენტებს შორის რამდენიმე დიდი წყალქვეშა კაბელის გაყვანაში. 1866 წელს ფირმამ გაიყვანა ტრანსატლანტიკური კაბელი ინგლისსა და აშშ-ს შორის. ფირმა განსაკუთრებით წარმატებას აღწევდა ელექტროწევისა და ელექტროგანათების შემოღების შემდეგ. 60-70-იან წლებში იგი გაბატონდა გერმანიაში და წამყვანი ადგილი დაიკავა ევროპის ელექტრომრეწველობაში.

90-იანი წლების დასაწყისში "სიმენსისა და ჰალსკეს" გერმანიასა და საზღვარგარეთ არსებულ საწარმოებში დასაქმებული იყო 2000 კაცი[74].

გერმანიასა და ევროპაში წარმოებული ელექტრომოწყობილობის დიდი ნაწილი მოდიოდა "სიმენსისა და ჰალსკეს" ფირმაზე.

"სიმენსისა და ჰალსკეს" ფირმა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო კაპიტალის გატანაში. 80-იან წლებში იგი აარსებს თავის განყოფილებებს ევროპის მრავალ ქვეყანაში, მოგვიანებით ევროპის ფარგლებს გარეთაც, აშშ-შიც კი.

პირველი საქმიანი კონტაქტები რუსეთთან სიმენსებმა დაამყარეს XIX საუკუნის შუა ხანებში. პირველი შეკვეთით, პეტერბურგ-მოსკოვის მშენებარე რკინიგზის პარალელურად, მათ გაიყვანეს ტელეგრაფის ხაზი ამ ქალაქებს შორის. 1852 წლიდან "სიმენსი და ჰალსკე" ფართო საქმიანობას იწყებს რუსეთის იმპერიაში. 1852 წელს ფირმამ გაიყვანა რიგა-პეტერბურგ-ორენბაუმ-კრონშტადტის ხაზი, 1854 წელს 1100 ვერსი სიგრძის პეტერბურგ-ვარშავის ხაზი. ამას მოჰყვა მთელი რიგი სატელეგრაფო ხაზების გაყვანა რუსეთის დიდ ქალაქებს შორის. 1856 წელს პეტერბურგში დაარსდა "სიმენსისა და ჰალსკეს" ფილიალი. მან მალე შეავიწროვა ადგილობრივი ფირმები და წამყვანი ადგილი დაიკავა რუსეთის იმპერიაში. "სიმენსისა და ჰალსკეს" რუსეთის ფილიალს სათავეში ჩაუდგა ვერნერის ძმა კარლი. ფირმას ფილიალი ჰქონდა ლონდონშიც. ფირმის პეტერბურგის ფილიალი დიდი გავლენით სარგებლობდა და მალე იგი ფაქტიურად დამოუკიდებელ ფირმად იქცა. ამის მიუხედავად მას მჭიდრო სამეცნიერო-ტექნიკური და ფინანსური კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა ბერლინისა და ლონდონის განყოფილებებთან[75].

1869 წელს ფირმიდან გამოვიდა ერთ-ერთი მისი დამაარსებელი ჰალსკე, მაგრამ ბერლინსა და პეტერბურგში ფირმამ შეინარჩუნა ძველი სახელწოდება, ხოლო ლონდონში ამის შემდეგ იგი იწოდებოდა "ძმები სიმენსების ფირმად".

---

74 В.А. К и с е л е в, Электропромышленность в ее прошлом и настоящем, М. 1915, с.9.

75 W. S i e m e n s, Lebenserinnerungen, Berlin, 1966, s.262-263.

რუსეთსა და, კერძოდ, კავკასიაში "სიმენსისა და ჰალსკეს" ფირმამ საქმიანობა დაიწყო სხვა გერმანულ ფირმებზე გაცილებით ადრე[76]. ვერნერ სიმენსის აღიარებით, რუსეთში მოპოვებული წარმატებების წყალობით ფირმა გადაიქცა მსოფლიოს ერთ-ერთ ცნობილ და უმსხვილეს კაპიტალისტურ გაერთიანებად. რუსეთის მთავრობის მიერ ფირმასთან დადებული კონტრაქტი მოქმედებდა 12 წლის განმავლობაში. ამ პერიოდში ფირმამ სამუშაოებისათვის რუსეთის ხელისუფალთაგან მიიღო 3 400 ათასი მანეთი[77], მალე ფირმას რუსეთში გამოუჩნდნენ საშიში კონკურენტები, მაგრამ იგი მაინც ახერხებდა ძირითადი პოზიციების შენარჩუნებას.

70-იანი წლებიდან სიმენსების პეტერბურგის ფირმა აფართოებს თავის საქმიანობას ელექტროტექნიკაში. ამ პერიოდიდან იგი აქტიურად მონაწილეობს ელექტროგანათების, ელექტროტრამვაის ხაზების გაყვანაში. 80-იანი წლების დასაწყისში სიმენსების ფირმამ პეტერბურგში საკმაოდ დიდი ელექტროტექნიკური ქარხანა ააგო[78].

გერმანული კაპიტალის შემოსვლამ რუსეთის ელექტროტექნიკურ მრეწველობასა და ტრანსპორტში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ დარგების განვითარებას[79]. ამასთანავე, უცხოეთის, კერძოდ გერმანიის, კაპიტალის მოზღვავებას რუსეთის იმპერიაში მეორე მხარეც გააჩნდა. მაქსიმალური მოგებისაკენ მათი მისწრაფება იწვევდა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეთა გამოფიტვასა და ეკონომიკურ დასუსტებას, რადგან მოგებათა დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გადიოდა.

ფირმამ "სიმენსი და ჰალსკე" თავისი საქმიანობა ამიერკავკასიაში დაიწყო 50-იან წლებში ტელეგრაფის ხაზების გაყვანით. ყირიმის ომის შემდეგ იმპერიასა და, კერძოდ, კავკასიაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის გამო კავკასიის ადმინისტრაციამ 1857 წელს სთხოვა ცენტრალურ მთავრობას სატელეგრაფო ხაზების გაყვანაში დახმარება, რაც პირველ რიგში გათვალისწინებული იყო კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში განლაგებულ ჯარის ნაწილებთან სარდლობის სწრაფად დასაკავშირებლად[80].

კავკასიის მეფისნაცვალი ბარიატინსკი ცენტრალურ ხელისუფლებას პირველ რიგში სთხოვდა 20 კილომეტრამდე სიგრძის ხაზის გაყვანას თბილისიდან კოჯრამდე, სადაც იდგნენ რუსეთის ჯარის ნაწილები და იყო მეფისნაცვლის საზაფხულო რეზიდენცია. შემდგომში იგი აყენებდა სხვა ხაზების გაყვანის საკითხსაც. რადგან ყირიმის ომის შედეგად ხაზინა დაცარიელებული იყო, ბარიატინსკი ითხოვდა კავკასიაში სატელეგრაფო ხაზების გასაყვანად ადგილობრივი შემოსავლის ნაწილის გამოყენების ნებართვას; გარდა ამისა დახმარებას "სიმენსისა და ჰალსკეს" პეტერბურგის განყოფი-

---

76 Н.Л. Н е н и т а ш в и л и, Германский капитал... с.34

77 W. S i e m e n s, Lebenserinerungen, s. 281.

78 H. H a p p e, Werner von Siemens, B., 1934, s.43.

79 В.С.Д я к и н, Германские капиталы в России, Л., 1971, с.29.

80 Н.Л.Н а н и т а ш в и л и, Германский капитал...с.39.

ლებასთან კონტრაქტების დასამყარებლად. იმპერატორის ნებართვის მიღების შემდეგ ბარიატინსკიმ ამ სატელეგრაფო ხაზის გაყვანა დაავალა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს პოლკოვნიკ ივანიცკის. ივანიცკიმ კარგად გაართვა თავი დაკისრებულ დავალებას და "სიმენსისა და ჰალსკეს" ფირმის საშუალებით გაიყვანა თბილის-კოჯორის სატელეგრაფო ხაზი, რომელიც პირველი იყო ამიერკავკასიაში და ამუშავდა 1850 წლის ივლისში[81].

ამის შემდეგ ამოქმედდა კავკასიის სხვა სატელეგრაფო ხაზებიც: თბილისი – ფოთის (ბორჯომის განშტოებით), თბილისი – სტავროპოლის, თბილისი-ბაქოს, კავკასია-სპარსეთის, კავკასია-თურქეთის და ბოლოს თბილისზე გავლით ინდო-ევროპის სატელეგრაფო ხაზი.

1860 წელს თბილისში დაარსდა პეტერბურგის "სიმენსის და ჰალსკეს" ფირმის განყოფილება. მას სათავეში ჩაუდგა ვერნერ სიმენსის ძმა ვალტერი, რომელიც მალე, 1863 წელს, თბილისში გაიხსნილი პრუსიის საკონსულოს ხელმძღვანელი გახდა. თბილისის განყოფილება დროულად და მაღალხარისხოვნად ასრულებდა ფირმის მიერ აღებულ ვალდებულებებს. თბილისის განყოფილება მოგვიანებით გადაიქცა პეტერბურგის "სიმენსის და ჰალსკეს" ფირმის ფილიალად, რომელსაც ევალებოდა სატელეგრაფო ხაზების მშენებლობის გაგრძელება, დაზიანებათა შეკეთება და, საერთოდ, სატელეგრაფო ხაზების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა[82].

1868 წელს ვალტერი დაიღუპა უბედური შემთხვევის გამო. მის ადგილზე – ფირმის თბილისის ფილიალის ხელმძღვანელად დაინიშნა ყველაზე უმცროსი ძმა ოტო, რომელმაც ვერნერის დახმარებით მიიღო თბილისში პრუსიის კონსულის თანამდებობა. ეს განპირობებული იყო იმითაც, რომ ბერლინის ხელისუფალნი საქმის კურსში იყვნენ და დიდ ინტერესს იჩენდნენ ამიერკავკასიაში სატელეგრაფო ხაზების მშენებლობისადმი. ამ რეგიონში სიმენსების მიერ გაყვანილი სატელეგრაფო ხაზების მეშვეობით გერმანიის კაპიტალის წარმომადგენლები გაცილებით სრულყოფილ ცნობებს იღებდნენ აქ სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობათა შესახებ.

ამიერკავკასიაში სატელეგრაფო ხაზების მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა "სიმენსისა და ჰალსკეს" საქმიანობაში, კაპიტალის დაგროვებაში. 1866 წლიდან, როდესაც მეფის მთავრობამ აღარ გააგრძელა ფირმასთან კონტრაქტი რუსეთში სატელეგრაფო ხაზების გამართული მუშაობის უზრუნველყოფის შესახებ, პეტერბურგის "სიმენსისა და ჰალსკეს" საქმიანობა 80-90-იან წლებამდე ძირითადად ამიერკავკასიაში იყო კონცენტრირებული. ამ პერიოდიდან ფირმა კვლავ ძლიერდება რუსეთში, ძირითადად ელექტროტექნიკურ მრეწველობაში. სწორედ ამ პერიოდში, 1866-1867 წლებში

------------------

81 სცსია, ფ. 317, ანაწ. 6, ს. 1.

82 J. M a i, Das deutsche Kapital in Russland I850-I894, Berlin, I970, S.96.

თბილისში დასახლდნენ ვერნერ სიმენსის უმცროსი ძმები ვალტერი და ოტო, ხოლო მოგვიანებით კარლი თავიანთი ოჯახებით. მათ განზრახული ჰქონდათ აქ მტკიცედ დამკვიდრება. როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიმენსები ამიერკავკასიაში საქმიანობას[83].

ამიერკავკასიაში სატელეგრაფო ხაზების მშენებლობას ხელმძღვანელობდა და ამოწმებდა კავკასიის ადმინისტრაცია. 1862 წლიდან, ბარიატინსკის წასვლის შემდეგ, მას მეთაურობდა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი[84], რომელიც ამ დროს მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა. სატელეგრაფო ხაზების მართვა და ექსპლოატაცია ევალებოდა სპეციალურად შექმნილ კავკასიის სატელეგრაფო განყოფილებას.

"სიმენსისა და ჰალსკეს" ფირმის საქმიანობის მთავარი მისწრაფება იყო მაქსიმალური მოგების მიღება და კაპიტალის დაგროვება. ფირმამ გარკვეულად მიაღწია ამ მიზანს. ამიერკავკასიაში სატელეგრაფო ხაზების გაყვანა ხელსაყრელი იყო მეფის მთავრობისთვისაც. იგი ხელს უწყობდა ცარიზმის ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული პოზიციების გაძლიერებას ამიერკავკასიაში. სატელეგრაფო ხაზების გაყვანას ობიექტურად დადებითი შედეგები ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხებისათვის და, კერძოდ, ქართველი ხალხისათვის. იგი ხელს უწყობდა ვაჭრობის, ეკონომიკური და კულტურული კავშირების განმტკიცებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის, რუსეთსა და ევროპის ქვეყნებთან.

რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომის შედეგად ამიერკავკასიას შემოუერთდნენ ბათუმი და ყარსი, რომლებიც სატელეგრაფო ხაზით მალე დაუკავშირდნენ როგორც ცენტრს – თბილისს, ისე ერთმანეთს[85]. ეს ხაზებიც ააგო "სიმენსისა და ჰალსკეს" ფირმამ.

ამრიგად, XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს თითქმის მთელი კავკასია დაიფარა ტელეგრაფის ქსელით. ყველა მოზრდილ ქალაქს სატელეგრაფო კავშირი ჰქონდა სხვა ქალაქებთან. ამ სატელეგრაფო ხაზების დიდი ნაწილი აიგო ადგილობრივი მოსახლეობის სახსრებით.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე კავკასია-სპარსეთისა და კავკასია-თურქეთის სატელეგრაფო ხაზების გაყვანას. 1865 წლის თებერვალში სატელეგრაფო კავშირი დამყარდა თბილისსა და თეირანს შორის. თბილისის საშუალებით სპარსეთი უკავშირდებოდა მოსკოვსა და პეტერბურგს, ხოლო პეტერბურგის საშუალებით ევროპას[86]. ამავე ხაზის წყალობით ინგლისმა მიიღო ინდოეთთან დაკავშირების შესაძლებლობა.

---

83 ნ.ნ ა ნ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

84 ა.კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, გრ.ორბელიანი და საქართველოს სატელეგრაფო ტექნიკა. – "მეცნიერება და ტექნიკა", 1971, №7.

85 Кавказский календарь, 1882, с.196.

86 ა. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, თბილის-თეირანის ტელეგრაფი – "თბილისი" 6.I.1967.

ამ ხაზის მეშვეობით რუსეთის მთავრობამ თავისი კონტროლი დაამყარა ინგლის-ინდოეთის სატელეგრაფო ტრანზიტზე და მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ევროპელთა სავაჭრო ურთიერთობაზე სპარსეთთან.

ინგლისის მთავრობა არ დაკმაყოფილდა რუსეთ-კავკასია-სპარსეთის გავლით ინდოეთთან სატელეგრაფო კავშირით. ინგლისის მთავრობას სურდა კიდევ ერთი სატელეგრაფო ხაზი გაეყვანა ინდოეთში თურქეთის ევროპული და აზიური სამფლობელოების გავლით. 1864 წელს ინგლისისა და ოსმალეთის იმპერიის მიერ ხელმოწერილი კონვენცია ითვალისწინებდა სატელეგრაფო ხაზის მშენებლობის ხარჯების განაწილებას ამ ქვეყნებს შორის[87]. ყირიმის ომის შემდეგ რუსეთ-ინგლისის ურთიერთობა დაძაბული იყო. ამიტომ მეფის მთავრობა ეჭვით უყურებდა ინგლის-ინდოეთის ახალი სატელეგრაფო ხაზის მშენებლობას კონსტანტინეპოლ-ბაღდად-სპარსეთის ყურის გავლით.

ამ დროისათვის ამიერკავკასია სატელეგრაფო ხაზებით უკავშირდებოდა ევროპას, სპარსეთს, ინდოეთს, მაგრამ არ ჰქონდა ასეთი კავშირი თურქეთთან. თურქეთის ინგლისსა და ევროპასთან სატელეგრაფო კავშირს რუსეთი თავისთვის არასასურველად თვლიდა და ცდილობდა მის შეფერხებას. ამ მიზნით იგი შეეცადა თურქეთის ყურადღება ჩრდილოეთით გადაეტანა და ფოთიდან თურქეთის ნავსადგურების – ბათუმისა და ტრაპიზონის სატელეგრაფო ხაზით დაკავშირებოდა კონსტანტინეპოლს. ამ ხაზის გაყვანის საჭიროებას რუსეთის ხელისუფლება იმით ასაბუთებდა, რომ თურქეთის აღნიშნულ ქალაქებთან ამიერკავკასია გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდა. რუსეთმა სატელეგრაფო ხაზი რუსეთ-თურქეთის იმდროინდელ საზღვრამდე, წმ. ნიკოლოზის სადარაჯომდე მიიყვანა. ამ დროისათვის ევროპის სპარსეთთან სატრანზიტო ვაჭრობამ თურქეთიდან თანდათანობით უფრო უშიშარ ამიერკავკასიაში გადაინაცვლა. ამით შეშფოთებულმა თურქეთმა, რუსეთის დიპლომატიის ენერგიული ჩარევის მიუხედავად, უარი თქვა ამიერკავკასიასთან სატელეგრაფო კავშირზე.

მაგრამ, 1869 წლის ბოლოს მაინც დაიდო შეთანხმება რუსეთსა და თურქეთს შორის მოლდავეთიდან და კავკასიიდან თურქეთთან სატელეგრაფო კავშირის დამყარების შესახებ[88]. ამ სატელეგრაფო ხაზების მშენებლობა დამთავრდა 1871 წელს და ამიერკავკასია ბათუმით დაუკავშირდა ოსმალეთის იმპერიას.

სატელეგრაფო ხაზების გაყვანამ სხვა ღონისძიებებთან ერთად (1857 წელს გამოცემული ბრძანება ევროპა-სპარსეთის ამიერკავკასიის გავლით უბაჟო სატრანზიტო ვაჭრობის დაშვების შესახებ, მოგვიანებით, 70-იან წლებში თბილის-ფოთის რკინიგზის გაყვანამ) მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ევროპა-სპარსეთის სატრანზიტო ვაჭრობის თურქეთიდან ამიერკავკასიაში გადმონაცვლებას. ეს მოვლენა გარკვეულად ხელს უწყობდა ამიერკავკასიის ეკონომიკურ აღმავლობას, ვაჭრობის განვითარებას და მნიშვნელოვან თანხას მატებდა მეფის რუსეთის ხაზინას. თურქეთის მთავრობის საპასუხო ღონისძიე-

---

87 სცსია, ფ. 416, ანაწ. 3, საქმე 1108, ფურც. 3.

88 იქვე, ფ. 7, ანაწ. 1, საქმე 981, ფურც. 2.

ბებს, რომლითაც ირანი ცდილობდა ამ სატრანზიტო სავაჭრო გზის კვლავ თავის ტერიტორიაზე დაბრუნებას, არსებითი წარმატებები არ მოუტანია.

ინგლისს ინდოეთთან სამი სატელეგრაფო ხაზი აკავშირებდა: 1) ინგლისი - საფრანგეთი - ხმელთაშუა ზღვა - ეგვიპტე-წითელი ზღვა - სპარსეთის ყურე-ინდოეთი; 2) ინგლისი-ევროპა-პეტერბურგი-თბილისი - თეირანი-ბომბეი; 3) ინგლისი-ბერლინი-ვენა-ბულგარეთი-კონსტანტინეპოლი-ბაღდადი-სპარსეთის ყურე - ყარაჩი - ბომბეი - მადრასი და შემდეგ ბენგალიის ყურით სინგაპური - ინდოეთის ოკეანე-ავსტრალია. სამივე ხაზი ძალზე გადატვირთული იყო და ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან. ამიტომ ინგლისის მთავრობა ეძებდა უფრო მოკლე და მოხერხებულ გზას ინდოეთთან ტელეგრაფით დასაკავშირებლად.

1866 წელს "სიმენსის და ჰალსკეს" ფირმამ ინგლისის მთავრობას შესთავაზა ტრანსკონტინენტური ინდო-ევროპის სატელეგრაფო ხაზის ახალი პროექტი. სატელეგრაფო ხაზის სიგრძე 10 ათასი კილომეტრი იყო და ორმაგი მავთულით აკავშირებდა ინგლისს ინდოეთთან (ლონდონი-კალკუტა). სატელეფონო ხაზის მარშრუტი ასეთი იყო: ლონდონი-ბერლინი-ვარშავა-კიევი-ოდესა-ქერჩი - ქერჩის სრუტე - სოხუმი-თბილისი-თეირანი-ისპაჰანი-ყარაჩი-კალკუტა.

საკმაოდ დიდი ღირებულების მიუხედავად ინგლისის მთავრობამ მიიღო სიმენსების პროექტი. პროექტის დაფინანსებაში, გარკვეული პირობებით, მონაწილეობდნენ გერმანიისა და რუსეთის მთავრობებიც. ამ სატელეგრაფო ხაზის მშენებლობას ახორციელებდა სიმენსების სამივე მთავარი განყოფილება: ლონდონის, ბერლინის, პეტერბურგის.

სიმენსებს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდათ. დაძაბული მუშაობის შემდეგ, 1870 წელს ინგლის-ინდოეთის ახალი სატელეგრაფო ხაზი საექსპლოატაციოდ გადაეცა[89]. ახალი ხაზის გაყვანამ უმოკლესი სატელეგრაფო კავშირი დაამყარა ევროპასა და ინდოეთს შორის. მან მნიშვნელოვნად განტვირთა თბილის-ფოთის, თბილის-სტავროპოლის და თბილის-თეირანის ხაზები, რომლებიც ძალზე გადატვირთულნი იყვნენ ინდოეთისა და ევროპიდან გამოგზავნილი საერთაშორისო დეპეშებით, რის გამოც ადგილობრივი დეპეშები მთელი დღეებით გაუგზავნელი რჩებოდა.

ელექტროტელეგრაფის გაყვანამ ხელი შეუწყო რუსეთსა და მეზობელ ქვეყნებთან ამიერკავკასიის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის გაძლიერებას. თბილისზე გამავალი საერთაშორისო ხაზების მეშვეობით ევროპის ქვეყნები და აშშ უკავშირდებოდნენ არა მარტო ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებსა და ინდოეთს, არამედ ჩინეთს, იაპონიას, ავსტრალიას.

ამიერკავკასიის მსოფლიო სატელეგრაფო სისტემის ერთ-ერთ საკვანძო ცენტრად გადაქცევამ გააძლიერა მის მიმართ ევროპის დიდი სახელმწიფოების და, განსაკუთრებით, გერმანიის იმპერიალიზმის ყურადღება.

---

89 ნ. ნ ა ნ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 96-120.

## § 4. გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიის სპილენძის მრეწველობაში

სოფ. ქედაბეკთან არსებული სპილენძის მადნები ცნობილი იყო უძველესი დროიდან[90]. მაგრამ პირველი პატარა საწარმო ადგილობრივ მეწარმეებს აუგიათ 1855–1856 წწ. აქ ყველა პროცესი დამყარებული იყო ხელით შრომაზე. საწარმო წელიწადში ამზადებდა 1200 ფუთ სპილენძს, რომლის ღირებულება შეადგენდა 14 100 მანეთს[91].

60-იანი წლების დასაწყისში ორ უცხოელს-ჰანოვერელ ტანერსა და დანიის ქვეშევრდომს მორიცს მთავრობის ნებართვით შეუძენიათ ეს ქარხანა, რომელიც 1864 წლის მაისში მიუყიდიათ ვერნერ სიმენსის ძმის ვალტერ სიმენსისათვის. ვალტერ სიმენსს მაშინვე მოუხერხებია ხაზინასთან ხელშეკრულების დადება ქედაბექში კიდევ ერთი ახალი ქარხნის მშენებლობის შესახებ, რომლის წარმადობა იქნებოდა წელიწადში 40 ათასი ფუთი სპილენძი. ხაზინისათვის პირველ ათ წელიწადში მას, წარმოების მოცულობის მიუხედავად, უნდა გადაეცა მხოლოდ 3000 ფუთი სპილენძი. ახალი ქარხნის მშენებლობისათვის სიმენსს გამოუყვეს 60 დესეტინა საკარგული და 16 დესეტინაზე მეტი სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგარი მიწა.

ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში[?] იზრდებოდა უცხოეთის კაპიტალის რაოდენობა. ჩამოდიოდნენ უცხოელი ინჟინრები და მეპატრონეები. მათ შორის აღსანიშნავია ძმები სიმენსები, რომელთაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, უკვე ჰქონდათ ამიერკავკასიაში მუშაობის გამოცდილება - საქველეგრაფო ხაზების მშენებლობა. სიმენსებმა სათანადოდ შეაფასეს ქედაბექის სპილენძის საბადოები და დიდი გულმოდგინებით დაიწყეს ზრუნვა აქ თავიანთი კაპიტალის დაბანდებისათვის[92]. მათ 1865 წ. 25 აგვისტოსათვის ააგეს დიდი სპილენძსადნობი ქარხანა, რომელიც სიმენსების მტკიცებით 1874 393 მან. დაუჯდათ. ხოლო კავკასიის მეფისნაცვლის ცნობით 800 ათასი მანეთი[93].

ოფიციალური მონაცემებით 1865 წელს ქედაბექის ქარხანაში იყო 6 სადნობი ღუმელი, 1 გარმახერის ქურა, 4 ვენტილიატორი, 2 ლოკომობილი[94]. სამი წლის შემდეგ, ე.ი. 1869 წ. სადნობი ღუმელების რიცხვი გაიზარდა 9-მდე. აიგო ორი ახალი ქურა. ქარხნიდან სპილენძის საბადოები დაშორებული იყო 3 კილომეტრით. წარმოების გაფართოებას ხელს უშლიდა ენერგეტიკული ბაზის სისუსტე. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ამიერკავკასიის რკინიგ-

---------------

90 С у м б а т з а д е А.С. Промышленность Азербайджана в XIX в., Баку, 1964, с. 252.

91 Кавказский Календарь на 1867 г. с.293.

92 Всеподданнейший отчет наместника Кавказского за 1863–1881гг. Тифлис, 1882, с.31.

93 ი ქ ვ ე.

94 Сборник статистических сведений о Кавказе, т.I, с.80–81.

ზის თბილის-ბაქოს უბნის დამთავრებამდე ქარხანა მუშაობდა მხოლოდ ხის ნახშირზე. რკინიგზის ხაზის მშენებლობის შემდეგ ქარხანამ შეძლო ნავთობის საწვავის მიღება. ქარხნის ხის ნახშირით უზრუნველსაყოფად მთავრობამ სიმენსებს ქედაბეკის მიდამოებში გამოუყო ოთხი დიდი ტყის მასივი. ამასთანავე ხელშეკრულებით სიმენსებს გაკაფულ ადგილებში უნდა აღედგინათ ტყეები, მაგრამ ისინი ამას არ ასრულებდნენ[95].

1871 წ. სიმენსებმა დამატებით მეორედ მიიღეს მოზრდილი ტყის მასივი,[96] ხოლო 1879 წ., სიმენსების მიერ კალაკენტში ახალი ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით, - ტყის დიდი ფართობი - 5946 დესეტინის რაოდენობით, ე.წ. "ძეგამის აგარაკზე".

სიმენსები მოქმედებდნენ მთავრობის მხარდაჭერით, რაც ჩანს იქიდან, რომ ისინი ახერხებდნენ თავისი ქარხნების შემოგარენიდან ადგილობრივი მცხოვრებლების აყრას და სხვაგან გადასახლებას[97].

ქედაბეკის ქარხანაში 1865 წელს გამოადნეს 8000 ფუთი სპილენძი. 1876 წელს - 42 229 ფუთი, ხოლო 1882 წელს - 43312 ფუთი[98]. სტატისტიკური მონაცემებით კავკასიაში (ჩრდილო კავკასიის ჩათვლით) მოპოვებული სპილენძის 2/3 იძლეოდა ქედაბეკის ქარხანა, ხოლო 1877 წელს ქარხანამ გამოადნო მთელ რუსეთში წარმოებული სპილენძის მეოთხედი[99].

ქედაბეკის ქარხანაში 1865 წ. იყო 260-მდე მუშა, 1867 წელს - 500-მდე, ხოლო შემდეგ წლებში 1000-ს გადააჭარბა, აქვე მუშაობდა 60-მდე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. XIX ს. 70-იან წლებში ქედაბეკის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვმა 1,5 ათას კაცს გადააჭარბა[100]. სწორად რომ შევაფასოთ ამ რიცხვის მნიშვნელობა, უნდა გავიხსენოთ, რომ 1877 წ. კავკასიის სამთამადნო მრეწველობაში მუშაობდა 3431 კაცი. ეს რიცხვი ძალიან სწრაფად იზრდებოდა. პროდუქციის ზრდას მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო 80-იან წლებში ბაქომდე რკინიგზის მშენებლობამ, რომელმაც, გარდა ბაქოს მაზუთით მომარაგებისა, შესაძლებელი გახადა ქარხნის პროდუქციის უფრო დიდი რაოდენობით და სწრაფად გატანა როგორც რუსეთის შიდა ბაზარზე, ისე საზღვარგარეთ (ბაქო-ასტრახანისა და აგრეთვე ბათუმისა და შავი ზღვის სხვა ნავსადგურების მეშვეობით).

მთავრობისაგან დიდი შეღავათებითა და ხელშეწყობით გათამამებულმა ძმებმა სიმენსებმა გადაწყვიტეს, ჯერ ერთი, არსებული ქარხნის გაფართოება და ტექნიკურად უფრო სრულყოფა და, მეორე, მდ. კალაკენტზე კიდევ ერთი ქარხნის აგება, რომელიც ექსპლოატაციაში შევიდა 1883 წ. ივნისში. ქედა-

-------------

95 სცსია, ფ. 264, საქმე 5637, ფურც. 1-16.

96 იქვე.

97 იქვე.

98 Гулишамбаров С. Обзор фабрик и заводов Закавказского края, Тифлис, 1884.

99 სუმბათზადე ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 256-257.

100 იქვე, გვ. 258.

ბექის ქარხნის სიმძლავრის წარმოდგენისათვის უნდა აღინიშნოს, რომ 1887 წ. მასში იყო 8 კილნი – მადნის გამოსაწვავი ღუმელი 10 პერსტენგოფერის სისტემის მადნის გამოსაწვავი ღუმელი, 1 მადნის გამოსაწვავი ღუმელი ნავთობის საწვავით, 7 კილნი კუპფერშტეინის გამოსაწვავად, 4 საშახტო ჩვეულებრივი სპილენძსადნობი ღუმელი, 5 საშახტო ცინზირული ღუმელი, 2 დიდი საცეცხლე ღუმელი, 2 შლეიფოზონი, 1 ბოვი თუჯის გადასადნობად, 6 სამჭედლო ქურა, ცეცხლგამძლე აგურის გამოსაწვავი ქურა, ჩვეულებრივი აგურისა და კრამიტის გამოსაწვავი ქურა, ორი ორთქლის ძრავი, 2 ლოკომობილი. შემდგომში კიდევ უფრო გაფართოვდა როგორც ქედაბექის, ისე კალაკენტის ქარხნები[101].

ქარხნების პროდუქციის თვითღირებულება თანდათან შემცირდა, რადგან აქ ფართოდ დაიწყეს ნავთობის ნარჩენებისა და ელექტროენერგიის გამოყენება. ელექტროენერგიის მისაღებად სიმენსებმა მდ. კალაკენტზე ააგეს პიდროელექტროსადგური, რომელიც ამუშავებდა 2 ტურბინას – 80 და 25 ცხენისძალიანს[102].

იაფი ელექტროენერგიის გამოყენებამ სიმენსებს მისცა შავი სპილენძისაგან ელექტროლიზით წმინდა სპილენძის მიღების საშუალება. ელექტროლიზითვე სიმენსები იღებდნენ ათეულობით ფუთ ფხვნილს, რომელიც მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავდა ოქროსა და ვერცხლს[103].

სპეციალისტების მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად 1800 ფუთი წმინდა სპილენძის ელექტროლიზისას მიიღეს 74,6 ფუთი ოქრო-ვერცხლის შემცველი ფხვნილი, რომელშიც იყო 22,17 % ვერცხლი და 1,23 % ოქრო. მიღებულ ძვირფას ლითონებს, სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ნებართვით, სახელმწიფოს სასარგებლოდ 10 % გადახდის შემდეგ, მთლიანად გზავნიდნენ ბერლინში[104].

ქედაბექისა და კალაკენტის ქარხნები ცეცხლგამძლე აგურისათვის საჭირო მასალებს ღებულობდნენ სოფ. შექირბეკის საბადოდან, რომელიც ეკუთვნოდა მსხვილ მიწათმფლობელს ნასიბ-ბეკ სულთანოვს[105]. წლიურად საბადოდან საშუალოდ იღებდნენ 69-70 ათას ფუთ მადანს და ამზადებდნენ 31 ათასამდე ცალ აგურს[106].

80-იან წლებში ქედაბექის და კალაკენტის სპილენძსადნობი ქარხნების რაიონში ააგეს აზერბაიჯანში პირველი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. 80-იან წლებამდე ქარხანაში ჭვირთის შემოსაზიდად (ბე-ტყე, ხის ნახშირი,

---

101 სცსია, ფ. 264, საქმე 1542, ფურც. 3-6.

102 "Кавказ", 1890, №139.

103 Аргутинский-Долгоруков А. История строительства и эксплуатации Закавказской железной дороги, Тифлис, 1894, с.157.

104 "Каспий", 1895, №98.

105 სცსია, ფ. 264, საქმე 1542, ფურც. 23-24.

106 ი ქ ვ ე, ფურც. 236-237.

ლითონის მოწყობილობა) და პროდუქციის გადასაზიდად იყენებდნენ ჯორებს და ცხოველებს, რაც თავდაპირველად ასე თუ ისე აკმაყოფილებდა ქარხნის მოთხოვნებს. მაგრამ ახლო-მახლო ტყეების გაჩეხვისა და დამზადებული პროდუქციის რაოდენობის ზრდის გამო ეს თანდათან გართულდა. ადგილობრივი მოსახლეობის შეზღუდული სატრანსპორტო საშუალებების გამო ქარხნების სამმართველო იძულებული იყო შეეძინა 200 ცხენი და კატირი (ჯორი)[107]. სიმენსებს ესმოდათ, რომ საჭირო იყო ამ საქმის ძირეული გარდაქმნა. ამ ტომ მათ 1879 წ. გადაწყვიტეს ქედაბექიდან შამქორის ჭალაში 29 ვერსის სიგრძის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანა, რომელიც უნდა მისულიყო მდინარე შამქორამდე - ბაირამალიმდე[108].

აზერბაიჯანში პირველი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიხსნა 1884 წლის იანვარში. მისი მშენებლობა დაჯდა 800 000 მან[109]. იგი ქედაბექისა და კალაკენტის ქარხნებს აერთებდა ერთმანეთთან, მაღაროებთან, აგრეთვე ტყეებთან.

1886 წ. ქედაბექის ქარხანაში დაიწყეს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ნარჩენების საწვავად გამოყენება. 1887 წლიდან ქარხანა ყოველ კვირას იღებდა 5 ვაგონ ცისტერნა ნავთობსა და ნავთობპროდუქტების ნარჩენებს. თხევადი საწვავის შესანახად აიგო 20 000 ფუთი ტევადობის[110] რეზერვუარი. შემდეგში სიმენსებმა ააგეს ნავთობსადენი სადგურ დალარიდან სოფ. ჩარდახლამდე. მისი მშენებლობა დაჯდა 400 ათასი მან. ამ ნავთობსადენებისათვის სიმენსებმა სპეციალური კონსტრუქციის მილები შეუკვეთეს ჩეხეთში. შემდეგში ეს ნავთობსადენი გააგრძელეს ქარხნებამდე[111]

სიმენსებმა ქარხნებიდან ელიზავეტპოლამდე გაიყვანეს სპეციალური ტელეგრაფის ხაზი, რომლის სიგრძე იყო 60 ვერსი[112].

მიღებული ღონისძიებების შედეგად მე-19 საუკუნის მიწურულში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქედაბექისა და კალაკენტის ქარხნების მწარმოებლურობა და გამოდნობილი სპილენძის რაოდენობა.

გარდა ქედაბექის მაღაროსი სიმენსებმა 90-იან წლებში დაიწყეს სპილენძის ახალი საბადოს - ხას-მამედის დამუშავება. ქედაბექის ქარხნისათვის საჭირო შაბს ამზადებდნენ სოფ. აიკენტის მახლობლად, სადაც 1897 წ. მოიპოვეს 16 000 ფუთი შაბი[113].

მადნის დამზადებისა და პროდუქციის წარმოების ასეთი ზრდის შედეგად

---

107 "К а в к а з", 1890, №139.

108 ი ქ ვ ე.

109 ი ქ ვ ე.

110 Отчет о деятельности Управления горной части на Кавказе и за Кавказом 1887 г., Тифлис, 1888, с.107-108.

111 სცსია, ფ. 264, საქმე 5347, ფ. 72.

112 გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი ს.დასახ. ნაშრ. 63.

113 სცსია. ფ. 264. საქმე 1542, ფურც. 234-235.

ქედაბექის და კალაკენტის ქარხნებმა 1907 წლისათვის პირველი ადგილი დაიკავეს რუსეთის სპილენძსადნობ ქარხნებს შორის. ეს ერთხელ კიდევ მიუთითებდა იმაზე, რომ რუსეთსა და, კერძოდ, კავკასიაში სამთო მრეწველობა უფრო ჩქარავითარდებოდა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში.

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ქედაბექისა და კალაკენტის ქარხნები უცხოელებმა ააგეს, მათი პროდუქცია ძირითადად რუსეთის იმპერიაში – ამიერკავკასიასა და შიდა რუსეთში იგზავნებოდა[114].

ამრიგად, ქედაბექისა და კალაკენტის ქარხნებში კაპიტალი და ტექნიკა უცხოური იყო, მადანი და სათბობი – აზერბაიჯანის, ხოლო პროდუქცია საღდებოდა ამიერკავკასიისა და, საერთოდ, რუსეთის ბაზრებზე.

წყაროებში მითითებულია აღნიშნული ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა ეთნიკური წარმოშობის შესახებ. მაგ., 1913 წლის ცნობებში აღნიშნულია, რომ ქარხნის მუშათა დიდი უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეობაა. მათ შორის ჭარბობენ სპარსეთიდან გამოსულები. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი მხოლოდ გერმანელებისაგან შედგება, ხოლო ტრანსპორტზე ძირითადად რუსი სექტანტები მუშაობენ[115].

განსაკუთრებით მძიმე იყო მადნის მთხრელების – მეშახტეების შრომა. რადგან უსაფრთხოების ტექნიკა ცუდად იყო მოწყობილი, – ხშირი იყო უბედური შემთხვევები. ადგილობრივი მცხოვრებნი შეძლებისდაგვარად გაურბოდნენ აქ მუშაობას[116].

სიმენსებს ესმოდათ, რომ მუშათა უკმაყოფილებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა გამოსვლები, ამიტომ მათ ქარხნებთან საკუთარი პოლიცია ჰყავდათ, რომელიც ქარხნის დირექციას ემორჩილებოდა[117].

დაშქესანის რკინის მადნები ძველთაგანვე იყო ცნობილი, რომლითაც სარგებლობდნენ როგორც თვით დაშქესანის, ისე სოფლების კუშის, ბაიანისა და სეიდლიარის შინამრეწველი ოსტატები. XIX საუკუნის დასაწყისში დაშქესანში აღმოჩნდა სპილენძი და კობალტი. მაგრამ მათი დამუშავება დაიწყო მხოლოდ 1856 წელს, როდესაც ბერძენმა სამთომრეწველებმა აამუშავეს სპილენძის ქარხანა. 1864 წლისათვის ამ ქარხანაში 15 კაცი მუშაობდა. თავისი მოქმედების 7 წლის განმავლობაში ქარხანამ გამოადნო 180 ფუთი სპილენძი[118].

ბერძენ მრეწველებს მოუხდათ მადნის დამუშავებისას ათასობით ფუთი კობალტის მადნის ამოთხრა, რომლის მნიშვნელობა მათ არ ესმოდათ.

სიმენსებმა სცადეს დაშქესანის ქარხნის ხელში ჩაგდება, მაგრამ მეპატრონეთა წინააღმდეგობის გამო ვერ მოახერხეს. მაშინ სიმენსებმა ყოველგვარი საშუალებებით დაიწყეს დაშქესანის წარმოებისათვის ხელის შეშლა.

---

114 "Кавказ", 1890, №139.

115 სცსია, ფ. 264, საქმე 5837, ფურც. 1216.

116 СМОМПК, т.VII, Тифлис, 1887, с.99.

117 Гулишамбаров С. Указ. соч., с.63.

118 "Горный журнал", 1869, №10.

სიმენსების ინტრიგების წყალობით დაშქესანის ქარხანაში სპილენძის წარმოება მკვეთრად დაეცა. მაგალითად, 1863 წ. ნაცვლად გათვალისწინებული 2 ათასი ფუთისა აქ გამოადნეს 62 ფუთი და 3 გირვანქა სპილენძი, ხოლო 1864 წ. 13 ფუთი და 15 გირვანქა[119].

1865 წ. მაისიდან სპილენძის გამოდნობა დაშქესანის ქარხანაში საერთოდ შეწყდა. მეპატრონეთა ენერგიული ღონისძიებების მიუხედავად დაშქესანის ქარხნის მუშაობა შეჩერდა, მაღარო ჩაინგრა[120].

1865 წ. სიმენსებმა მიიღეს დაშქესანში არსებული კობალტის მადნის დამუშავების უფლება. 1866 წ. მათ დაიწყეს მადნის ამოღება. სიმენსები კობალტის მოპოვებით ფიქრობდნენ თავისი ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვას, რადგან კობალტის მოპოვება მათ შედარებით იაფი უჯდებოდათ.

1866 წ. გერმანიაში გაიგზავნა 400 ფუთი კობალტის შპეიზი და 1000 ფუთი მადანი, თითქოსდა ამ მინერალის შესაფასებლად. ამ ღონისძიების შედეგად სიმენსებმა საკმაო მოგება მიიღეს. შემდეგაც გერმანიაში გაიტანეს კობალტის შპეიზისა და მადნის დიდი პარტიები. მაგრამ ზუსტი ცნობები კობალტის მადნის მოპოვების, გადამუშავებისა და ექსპორტის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

როგორც ჩანს, სიმენსები განზრახ ყოველთვის არ ამუშავებდნენ კობალტის მადანს, რათა შემოსავალში არ ეჩვენებინათ კობალტის მადნით მიღებული შემოსავალი და მთავრობისათვის არ გადაეხადათ სათანადო თანხა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ დაშქესანში არ იყო სადნობი ღუმელები და კობალტის შპეიზის გამოსადნობად მადანი გადაჰქონდათ ქედაბეკის ქარხანაში, სადაც მათ ადნობდნენ გარკვეული მარაგის დაგროვების შემდეგ[121]. ესეც ხელს უწყობდა სიმენსებს მოპოვებული და დამუშავებული კობალტის რაოდენობის შემცირებულად ჩვენებაში.

დაშქესანში მდგომარეობა არ შეცვლილა მე-20 საუკუნის დასაწყისშიც. გამოვლენილი კობალტის მადნის მარაგი მცირე იყო. ამიტომ სამუშაოები აქ წარმოებდა იმპულსურად, მცირე მასშტაბებით. ახალი საბადოების ძიება გრძელდებოდა. 1906 წ. დაშქესანში მოიპოვეს 15 600 ფუთი სპილენძისა და კობალტის მადნები, რომლიდანაც მიიღეს 56 ფუთი გაწმენდილი კობალტის მადანი[122], 1908 წ. – 50 ფუთი, ხოლო 1913 წ. მხოლოდ 15 ფუთი[123]. აღნიშნული ციფრები ამოღებულია სამთო უწყების მონაცემებიდან, სიმენსების მიერ წარმოდგენილი ცნობების საფუძველზე, რაც შეიძლება მთლად სწორი არ იყოს.

---

119 ცსსია, ფ. 264, ანაწ. 1, საქმე 8, ფურც. 146.
120 ნ. ნ ა ნ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 218.
121 ცსსია, ფ. 264, ანაწ. 1, საქმე 1299, ფ. 114.
122 ი ქ ვ ე, საქმე 3701, ფურც. 60.
123 ი ქ ვ ე, საქმე 1030, ფურც. 19.

ამრიგად, დაშქესანში კობალტის მადნის მოპოვება წარმოებდა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან პირველ მსოფლიო ომამდე. ოფიციალური მონაცემებით მისი მოპოვება დიდი რაოდენობით არ ხდებოდა. მაგრამ ეს მონაცემები უეჭველად ძალზე შემცირებულია, რაც დასტურდება იმითაც, რომ, მიუხედავად მადნის სიმცირისა, ფირმა გულდასმით ეძებდა და ამუშავებდა კობალტის მადანს, რაც უეჭველად კარგი შემოსავლით იყო განპირობებული. მადნის მოპოვება-გადამუშავებაზე განუწყვეტლივ მუშაობდა 15–25 კაცი[124].

მას შემდეგ, რაც ქედაბეგის სპილენძის მაღაროებში შემცირდა მადნის მოპოვება, სიმენსებმა იწყეს ზრუნვა ბათუმის რეგიონის მაღაროებში მადნის დამუშავების უფლების მიღების შესახებ, სადაც აღმოჩნდა სპილენძის მადნის მდიდარი საბადოები.

1901 წ. კარლ სიმენსმა მიიღო ბათუმიდან 57 კილომეტრის მანძილზე, ართვინის მახლობლად, სოფ. ქვარცხანასთან არსებული სპილენძის მდიდარი საბადოს დამუშავების უფლება. აქ მალე ააგეს შახტები და დაიწყეს მადნის მოპოვება. სიმენსებმა იზრუნეს აგრეთვე ახალი მადნიანი მიწის ნაკვეთების შეძენაზე.

1900–1909 წწ. ქვარცხანას ახლოს სოფელ ბაშაულში კარლ სიმენსის მემკვიდრეებმა, რუსეთის ქვეშევრდომმა ბარონესებმა მარია გრევენიცმა და შარლოტა ბუქსჰევდენმა ადგილობრივი გლეხებისაგან შეიძინეს მიწის ნაკვეთები და დაიწყეს მადნის მოპოვება[125]. როგორც წყაროებშია აღნიშნული, სიმენსები მიწას იძენდნენ ჩალის ფასად.

მოპოვებული მადნის ნაწილი საზღვარგარეთ გაჰქონდათ. ნაწილი – ქედაბეგში, ნაწილი ადგილზევე იყიდებოდა 25–30 კაპ. ფუთი, სპილენძის შემცველობის მიხედვით. 1905 წ. ქვარცხანაში სიმენსებმა მოიპოვეს 90 000 ფუთი სპილენძის მადანი. ქედაბეგში ნედლი მადნის გადაზიდვა ძვირი ჯდებოდა. ამიტომ სიმენსებმა გადაწყვიტეს საწარმოს ადგილზე აგება, რომელიც მადანს გადაამუშავებდა და მიიღებდა შავ სპილენძს. 1906 წ. საწარმო ააგეს. აქვე ააშენეს საცხოვრებელი სახლები და ბარაკები მუშა-მოსამსახურეებისათვის. მადნის სადნობი ღუმელები ჩამოიტანეს კალაკენტიდან. 1907 წ. დაიწყეს შავი სპილენძის გამოდნობა. საწარმო უშვებდა 60 000 ფუთამდე სპილენძს წელიწადში. 1907 წ. ქვარცხანაში მოიპოვეს 100 000 ფუთი მადანი და გამოადნეს 53 563 ფუთი შავი სპილენძი. 1909 წ. ქვარცხანაში მოიპოვეს 398 793 ფუთი მადანი, ბაშაულში–38 000[126]. სიმენსების მაღაროებში მადნის მოპოვება ყოველწლიურად იზრდებოდა. ამის მიუხედავად, სიმენსები თავს იკავებდნენ ქვარცხანაში დიდი სპილენძსადნობი ქარხნის აგებისაგან, შიშობდნენ, რომ შემოსავალი ვერ გადააჭარბებდა ხარჯებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა სპილენძის მადნის ახალი დიდი მარაგი, ფირმამ გადაწყვიტა ქარხნის აგება და მისი მშენებლობისათვის გა-

---

124 სცსია. ფ. 264, ანაწ. 1, საქმე 3701, ფურც. 36–44.

125 იქვე, საქმე 4630, ფურც. 1.

126 იქვე, ფურც. 11–17.

მოყო 1 მილიონი მანეთი[127].

ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1912 წ. და დიდხანს გაგრძელდა. ქარხნის ამუშავება ნავარაუდევი იყო 1914 წლის შემოდგომაზე, მაგრამ ამ დროისათვის ვერ მოხერხდა. მას ხელი შეუშალა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ. სულ მალე კი, კავკასიის ფრონტის გახსნის შემდეგ, ქარხანა საომარ მოქმედებათა რაიონში აღმოჩნდა და სიმენსებმა და მათმა მემკვიდრეებმა დიდი მოგების მიღება ვერ მოახერხეს.

ომის დაწყების შემდეგ რუსეთში "გერმანულ ბატონობასთან ბრძოლის" ლოზუნგით დაიწყო ფართო კომპანია გერმანული კაპიტალისა და, საერთოდ, გერმანელების წინააღმდეგ[128]. სიმენსის მემკვიდრეებმა რუსეთის ქვეშევრდომობის საფარქვეშ შეძლეს ამ საფრთხის თავიდან აცილება.

1914 წლის დეკემბერში სარაყამიშის ბრძოლაში თურქეთის მესამე არმიის განადგურების შემდეგ ქვარცხანის ქარხანას და მის საბადოებს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. 1916 წლის ზაფხულში ქარხანა ამუშავდა მთავრობის კონტროლქვეშ. იგი, ისევე როგორც სიმენსის სხვა საწარმოები, მუშაობდა არმიის საჭიროებისათვის, თუმცა სახელმწიფო შეკვეთებით მიღებული შემოსავალი ფირმისა და სიმენსების ბიუჯეტს ემატებოდა.

1917 წელს ქვარცხანის საბადოებიდან ამოიღეს 2 279 962 ფუთი მადანი, ხოლო ქარხანამ გამოადნო 98 343 ფუთი სპილენძი[129].

ცარიზმმა ვერ მიახერხა ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობის შემდეგ მისი სრული ეკონომიკური ათვისება. ამიტომ იგი ხელს უწყობდა უცხოური კაპიტალის მოხიდვას ამიერკავკასიაში. 90-იანი წლებიდან ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ამიერკავკასიაში მოიპოვა გერმანულმა კაპიტალმა. მან წამყვანი პოზიციები დაიკავა ამიერკავკასიის მრეწველობის მრავალ დარგში და მათ შორის სამთამადნო მრეწველობაში. მანგანუმისა და სპილენძის წარმოება – აი ის დარგები, სადაც განსაკუთრებით წარმატებით მოიკიდეს ფეხი გერმანელებმა. როგორც ჩანს, ამ მისწრაფებას არა მარტო კომერციული ზემოგებით, არამედ სამხედრო-სტრატეგიული მიზეზებიც ედო საფუძვლად.

---

127 ი ძ ც ი, საქმე 4453, ფურც. 7.

128 ზ. მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 160.

129 სცსია, ფ. 264, ანაწ. 1, საქმე 5347, ფურც. 3-4.

## II. გერმანიის კაპიტალი ამიერკავკასიის მეტალურგიულ და ლითონდამამუშავებელ მრეწველობაში

### § 1. გერმანიის კაპიტალი ჩათახის რკინისა და თუჯსასხმელ ქარხანაში

რკინის მადნის დამუშავებას ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში უძველესი დროიდან აწარმოებდნენ. ქართველი ტომები ითვლებიან რკინის დამუშავების ერთ-ერთ დამწყებად. რკინასა და მის ნაწარმზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ. რადგან ადგილზე წარმოებული რკინა და მისი ნაკეთობა არ კმაროდა, იგი რუსეთიდან შემოჰქონდათ დიდი რაოდენობით. XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთიდან ამიერკავკასიაში შემოიტანეს 160 000-მდე ფუთი რკინა და მისი ნაკეთობანი. რუსეთიდან რკინის შემოტანა, იმდროინდელი გზების მცირე გამტარუნარიანობისა და დიდი სატრანსპორტო ხარჯების გამო, ძვირი ჯდებოდა. ქვეყნის ეკონომიკური და სამრეწველო განვითარება კი სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით მოითხოვდა ლითონსა და ნაკეთობებს. ამან ხელი შეუწყო ძველი სამადნოების შესწავლას და ახლების ძიებას. ყურადღება მიაპყრეს ბოლნისის რკინის საბადოებს, რომელთაც უძველესი დროიდან ამუშავებდნენ. საქართველოს სამეფოს დაშლამ და შემოსევების გაძლიერებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ამ რაიონში რკინის მადნის მოპოვება-დამუშავება. განსაკუთრებით მძიმე იყო ამ რაიონისათვის 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის შემოსევა, რომლის შედეგად აქ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა და რკინის მადნის დამუშავება შეწყდა. შემდგომ წლებში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა რამდენჯერმე სცადეს ამ საბადოების აღორძინება. XIX საუკუნის დასაწყისში აქ წლიურად 300 ფუთ რკინას აღნობდნენ[1]. მომდევნო წლებში რკინის დამუშავება საერთოდ შეწყდა.

XIX საუკუნის შუა ხანებში ბოლნისის საბადოები შეისწავლა და დადებითად შეაფასა აკად. აბიხმა. მისი დასკვნების საფუძველზე დაისვა სახაზინო თუჯსასხმელი ქარხნის აგების საკითხი. მაგრამ მას მხარი არ დაუჭირა მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა.

კერძო პირების ცდა - შეექმნათ ქარხნის ასაგები და საექსპლუატაციო ამხანაგობა-წარუმატებლად დამთავრდა.

ბოლნისის რკინის საბადოებს კვლავ მიაქციეს ყურადღება მეფისნაცვალ

---

1 Ц Г И А Л, ф.37, оп.65, д.1988, л.28.

ბარიატინსკის დროს. მისი მითითებით შეადგინეს ბოლნისის საბადოთა დამუშავების პროექტი. ბოლნისში უნდა აგებულიყო თუჯსასხმელი ქარხანა, რომელიც წელიწადში 360 000 ფუთ თუჯსა და მის ნაკეთობას გამოუშვებდა. ქარხნის მშენებლობა 390 000 მან. უნდა დამჯდარიყო[2]. ქარხნის მშენებლობა-ექსპლუატაცია უნდა გადაეცათ კერძო პირებისათვის. ბოლნისის რკინის საბადოები საკმაოდ მდიდარი იყო. მადანი შეიცავდა 60 % რკინას. აქ მოიპოვებოდა რამდენიმე მილიონი ტონა რკინის მარაგი[3].

ამ საქმისათვის ხელის მოკიდება იკისრა გერმანელმა (ბადენელმა) დიპლომატმა ერნსტ ლ ი ბ მ ა. იგი 1860 წ. ბოლნისის ხეობაში, სოფელ ჩათახში შეუდგა რკინისა და თუჯის ქარხნის მშენებლობას. მას დიდ დახმარებას უწევდა ხელისუფლება, რომელმაც ქარხნის მოწყობისათვის ლიბს სესხად მისცა 20 000 მანეთი 10 წლის ვადით. ლიბს უნდა დაემუშავებინა ბოლნისის სამადნოები და რკინისა და თუჯის მისაღებად მოეწყო შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი ქარხანა.

ლიბმა, ქარხნის საჭიროებისათვის, ადგილობრივი მემამულეებისაგან იჯარით აიღო 3600 დესეტინამდე მიწა და ტყე[4]. აქ გაიყვანეს საკმაოდ მოზრდილი არხი, რომელიც წყალს აწვდიდა ქარხანას ჰაერსაბერი მანქანის ასამუშავებლად. ჩათახის ქარხნის თითქმის მთელი მოწყობილობა გერმანიიდან ჩამოიტანეს. იქიდანვე ჩამოიყვანეს ოსტატები და სპეციალისტები.

ხელისუფალთა და ლიბის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა არასაკმარისი აღმოჩნდა ქარხნის დასამთავრებლად. ლიბი იძულებული გახდა ხაზინისა და კერძო პირებისაგან აეღო დამატებითი სესხები. 1862 წ. 21 სექტემბერს ლიბი გარდაიცვალა. ქარხანა დაუმთავრებელი დარჩა, ხოლო სესხი შეადგენდა 182 086 მანეთს; აქედან 88 019 მანეთი ხაზინისა იყო, 94 067 მანეთი კი კერძო პირებისა. ლიბის ქვრივის მარია ლიბის თხოვნით ხაზინამ მას 5 000 მანეთი გამოუყო სილეზიიდან მოსატანი ცეცხლგამძლე თიხისაგან ბრძმედის მოსაწყობად[5].

1863 წელს ჩათახის ქარხანა მთელი თავისი მოწყობილობით, მიწებითა და ტყეებით გადავიდა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ ი. ვიტესა[6] და პრუსიელი ბერნელის ხელში.

მთავრობამ ახალ მფლობელებსაც დიდი დახმარება გაუწია სესხების სახით. სულ ჩათახის ქარხნის მოსაწყობად ხაზინამ გაიღო 200 000-მდე მანეთი. ქარხნის მოსაწყობად კერძო პირებისაგან ნასესხები იყო 100 000-ზე მეტი მანეთი.

---

2 С. Г у л и ш а м б а р о в, ОАЗЗК, 1984.

3 M i c h a e l A c h m e t e l i, Die wirtschaftliche Bedeutung Transkaukasien Dissertation, Iena, 1924, S.61.

4 სცსია, ფ. 10, საქმე 1467, ფურც. 40-65.

5 ი ქ ვ ე, ფურც. 41.

6 რუსეთის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ს. ვიტეს მამა.

თვით ი. ვიტემ და ბერნულიმაც დიდი თანხები გაიღეს – 40 000 და 35.000[7]. ამ ორი პირის ავტორიტეტით დაიმედებულმა სხვა პირებმაც მოზრდილი თანხები შეიტანეს ჩათახის ქარხნის ამხანაგობაში, მათგან ყველაზე მეტი თავადმა დიმიტრი აფხაზმა – 31 724 მანეთი.

ქარხნის ახალი მფლობელები იღებდნენ საწარმოს რაც შეიძლება მალე დამთავრებისა და ამოქმედების ვალდებულებას, რათა მას 1866 წლისათვის მიეღწია საპროექტო სიმძლავრისათვის და გამოეშვა ყველა სახის რკინის ნაგლინი, გარდა ფურცლოვანისა. ქარხანა ათი წლით (1863-1873) განთავისუფლებული იყო სამთო საშემოსავლო გადასახადისაგან[8].

ქარხანაში მთავარი განყოფილება იყო სამსხმელი საამქრო, სადაც იდგა ბრძმედი და სილეზიიდან მიღებული ჰაერსაბერი მანქანა. მანქანა მოძრაობაში მოჰყავდა წყლის ბორბალს, რომელსაც არხის წყალი ატრიალებდა. ქარხანას ჰქონდა სხვადასხვა სახის დამხმარე სათავსოები და ნაგებობანი[9].

მოგვიანებით წარმოება გაფართოვდა. სამსხმელო საამქროში თუჯის გადასადნობად მოეწყო მეორე ბრძმედი, აგრეთვე მექანიკური და კრიცის ფაბრიკა, 6 საჭედლო ქურა, შუშის საშრობი ღუმელები, რკინის მოპოვების გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით დაიწყეს საპუდლინგო ფაბრიკის მშენებლობა, რისთვისაც შეუკვეთეს 2 ორთქლის მანქანა. რკინის საბადო ქარხნიდან 6 ვერსზე მდებარეობდა[10].

ქარხანა ამუშავდა 1862 წლის ბოლოს (28 დეკემბერს). ადგილობრივი ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ იგი გადაჭრიდა რკინისა და მისი ნაკეთობების პრობლემას ამიერკავკასიაში. 1863 წელს ქარხანაში მიიღეს 30 000 მანეთის ღირებულების 29 839 ფუთი თუჯი, 1864 წ. – 31 789 ფუთი, დაახლოებით ამდენივე – 1865 წ. ქარხანა თავის პროდუქციას გზავნიდა ამიერკავკასიის სხვადასხვა რკინის დამმუშავებელ საწარმოში. ქარხანა თანდათანობით ფართოვდებოდა. ზოგჯერ მასში 260-მდე მუშა მუშაობდა[11].

ქარხნის დირექტორი გახდა ბერნული, რომელმაც მოგვიანებით ააგო ფირმა "სიმენსისა და ჰალსკეს" ქედაბეკის სპილენძსადნობი ქარხანა[12].

---------------

7 სცსია, ფ. 264, ანაწ. 1, საქმე 516, ფ. 11.

8 Ц Г И А СССР, ф.37, оп.65, д.1968, л.3.

9 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ტ. I, თბ., 1961, გვ. 242.

10 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 19 გვ. 79-80.

11 ი ქ ვ ე, გვ. 80

12 Н.Л. Н а н и т а ш в и л и, Германский капитал в первом Грузинском чугунолитейном заводе, " Мацне ", 1986, №3, с.63.

მაგრამ 1868 წ. ი. ვიტე გარდაიცვალა. მისმა კომპანიონმა ვერ გაართვა თავი საქმეს. ქარხნის პოზიციები შეირყა, გარდა დაუმთავრებელი სამუშაოებისა, მას დარჩა დიდი ვალი – 677 753 მანეთი, აქედან ხაზინის ვალი – 190 271 მანეთი, კერძო პირებისა – 406 910 მან. ამის მიუხედავად, ქარხანა მეტნაკლები სისრულით მუშაობდა 1875 წლამდე.

1863 წლიდან 1875 წლამდე საწარმო მუშაობდა შესვენებებით და საშუალოდ წელიწადში უშვებდა 16–30 ათასამდე ფუთ თუჯს, 2–5 ათასამდე ფუთ რკინას და მათ ნაკეთობებს. ამ ხნის მანძილზე სულ ქარხანაში მიიღეს 119 819 ფუთი თუჯი და 17 000-ზე მეტი ფუთი რკინა. ამ პერიოდის განმავლობაში ქარხანამ ვერ მიიღო მისი წლიური საპროექტო სიმძლავრის რაოდენობის პროდუქცია.

მუშათა რიცხვი ქარხანაში მერყეობდა 150-დან 250 კაცამდე. ისინი ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები იყვნენ: ქართველები, რუსები, გერმანელები, სომხები, თათრები, ბერძნები[13].

პირველად ამიერკავკასიაში ჩათახის ქარხანაში დამზადდა ლითონის ხოვიერი ნაკეთობა. მაგალითად, აქ აუგიათ პირველად ორთქლის მანქანა[14].

ჩათახის ქარხნის ამხანაგობის წევრებმა დახმარება სთხოვეს კავკასიის ხელისუფლებას. 1869 წ. ქარხანამ მიიღო სახაზინო შეკვეთა 90 000 მანეთის ოდენობით. სამთო სამმართველომ განსაკუთრებული ზედამხედველობა დააწესა შეკვეთის შესრულებაზე. ხელისუფლების დახმარებამ ერთგვარად გამოაცოცხლა ქარხნის მუშაობა: 1868–1870 წლებში მადნის წლიური მოპოვება შეადგენდა 200 ათას ფუთზე მეტს, ხოლო მზადდებოდა 58 190 ფუთი სხვადასხვა ფორმის სხმული. მაგრამ 1870 წლის მომდევნო პერიოდში სახელმწიფო შეკვეთის შესრულების შემდეგ, ახალი შეკვეთების უქონლობის გამო, ქარხანა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და თითქმის გაჩერდა[15].

ჩათახის ქარხნის ბედით ძალზე დაინტერესებული იყო მეფისნაცვალი ბარიატინსკი. მან ისარგებლა 1870 წელს საქართველოში ალექსანდრე II ჩამოსვლით და სთხოვა ქარხნისათვის შეღავათების გაწევა. 1871 წელს იმპერატორმა დააკმაყოფილა მეფისნაცვლის შუამდგომლობა. იმპერატორის ბრძანებულებით 1871 წლის 24 ივლისიდან ქარხნისადმი დახმარება ითვალისწინებდა სახაზინო შეკვეთებს წელიწადში 150 ათასი მანეთის ოდენობით. თუ ხაზინას ამ თანხის ნაწარმი არ დასჭირდებოდა, ყოველი 50 000 მანეთის შეკვეთის ნაცვლად უნდა მიეცა 10 000 მანეთის ფულადი სუბსიდია, ხოლო თუ მთავრობა არაფერს შეუკვეთავდა, მაშინ ქარხანა 30 000 მანეთის დახმარებას მიიღებდა[16].

მშენებლობის დასამთავრებლად და 200 000 მან. უპროცენტო ვალის დასაფარავად ქარხანას დაუწესდა სამთო სამმართველოს ზედამხედველობა. ქა-

---

13 დ. ვ ო ჩ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

14 Кавказский календарь, 1869, отд II, стр.177.

15 ЦГИА СССР, ф.37, оп.65, д.1968, л.31.

16 სცსა, ფ. 264, საქმე 516, ფურც. 22.

ხნის მფლობელები ვალდებულნი იყვნენ, კერძო პირების ვალის გადასახდელად და წარმოების საბოლოო და სრულად გასამართავად, ერთი წლის განმავლობაში შეეგროვებიათ 600 000 მან. ეს კაპიტალი უნდა მიეღოთ სააქციო კომპანიის შექმნით ან საბანკო კრედიტით[17].

აღნიშნული კაპიტალის მისაღებად ქარხნის მთავარი მფლობელი და დირექტორი ბერნული ბერლინს გაემგზავრა. ბერლინში მან დაიწყო მოლაპარაკება "ალექსანდრე, ბეილ და კომპანიას" ბანკთან. მოლაპარაკების მონაწილენი ვარაუდობდნენ გერმანიაში სააქციო საზოგადოების დაარსებას 1200 000 მან. საწყისი კაპიტალით, ეს სააქციო საზოგადოება გამიზნული იყო ჩათახის ქარხნისა და მაღაროების გაფართოებისა და ექსპლუატაციისათვის.

გერმანელი ბანკირების აზრით ეს კაპიტალი ორი სახის უნდა ყოფილიყო: 600 ათასი მანეთი – ბანკის პასუხისმგებლობით გამოშვებული ობლიგაციებით და 600 ათასი მანეთი – აქციებით, რომლებიც ითვალისწინებდა წილს ქარხნის მომავალ მოგებაში. ამ კაპიტალის ნაწილი მოხმარდებოდა კრედიტორების დაკმაყოფილებას. საბანკო ვალის წინადადებით 600 000 მან. ობლიგაციებიდან იგი ქარხნის მეპატრონეებს გადაუხდიდა ნომინალური ღირებულების 75 %, ე.ი. 450 000 მან. არაუგვიანეს 1873 წლის 1 ივნისისა. მაგრამ ეს შეთანხმება ძალაში შედიოდა მხოლოდ მეფის მთავრობის წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ. ამ შეთანხმების თანახმად ზემოთ აღნიშნულ ბანკირებსა და მათ მემკვიდრეებს მეფის მთავრობა 1873 წლის 1 იანვრიდან 22 წლის განმავლობაში ყოველწლიურად გადაუხდიდა ქარხნისათვის დაპირებულ სუბსიდიას, 30 ათასი მანეთის ოდენობით – ოქროთი ან ვერცხლით. თუ რუსეთის მთავრობა ამ პირობებს დაეთანხმებოდა, ბერლინის ბანკი "ალექსანდრე, ბეილი და კომპანია" ვალდებულებას იღებდა 600 000 მან. ობლიგაციების მფლობელთათვის გადაეხადა პროცენტები, ხოლო ქარხნის მფლობელებისა და კრედიტორების დასაკმაყოფილებლად 600 000 მან. აქციების სანაცვლოდ გაეცა 450 000 მან.

რაც შეეხება ქარხნის მიერ სახაზინო ვალის 200 ათასი მანეთის გადახდას, მისი წლიური რაოდენობა უნდა განსაზღვრულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქარხანა ბანკირებს გადაუხდიდა სავარაუდო შემოსავლის 6 % – 27 600 მან. წელიწადში. ამასთანავე ბერლინელი ბანკირები ვარაუდობდნენ, ქარხნის წარმატებით მუშაობისას აქციების ძირითადად თავისთვის დატოვებას[18].

შეთანხმება თითქმის არ ითვალისწინებდა ქარხნისა და მისი ყოფილი კრედიტორების ინტერესებს. იგი ძალზე არახელსაყრელი იყო რუსეთის ხაზინისათვისაც. ქარხნისათვის სუბსიდიების მიცემით მეფის მთავრობას სურდ

---

17 Н.Л. Н а н е т а ш в и л и, Германский капитал в первом... с.24.

18 Там же, с.65.

საწარმოს კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა და მისი ამუშავება, რა თქმა უნდა, იგი ამ სუბსიდიებს არ გადასცემდა გერმანელ ბანკირებს, რომლებიც მხოლოდ თავისი ინტერესებიდან გამოდიოდნენ და ნაკლებად ითვალისწინებდნენ ქარხნის საჭიროებებს.

ბერლინელი ბანკირების წინადადება მთავრობამ უარყო, ამიტომ ქარხნის მფლობელები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ ვერ შეძლეს მთავრობისათვის მიცემული პირობის შესრულება – ერთი წლის განმავლობაში 600 000 მან. რაოდენობის კაპიტალის შოვნა, რის გამოც მათ უარი ეთქვათ დაპირებულ ყოველწლიურ სუბსიდიაზე.

ქარხანას სრული გაკოტრება დაემუქრა. ამ დროისათვის მისი საერთო დავალიანება (კერძო კრედიტორების, მუშა-მოსამსახურეთა გაუცემელი ხელფასის, შეუსრულებელი შეკვეთების), მთავრობის ვალის გარდა, შეადგენდა 362 336 მან[19].

1873 წელს გავიდა ათი შეღავათიანი წელი, რომლის მანძილზე ქარხანა თავისუფლდებოდა სახაზინო გადასახადისაგან. ამის შემდეგ ქარხანას უნდა ეხადა საშემოსავლო გადასახადი. მაგრამ ქარხნის ნაწარმზე თითქმის არ იყო მოთხოვნილება. სახელმწიფო შეკვეთების საერთო თანხა მხოლოდ 4 900 მან. შეადგენდა[20].

1873 წლის დასაწყისში თბილისში მცხოვრებმა ბრიტანეთის ქვეშევრდომმა უილიამ პრეტიმენმა მოლაპარაკება დაიწყო ჩათახის ქარხნის მფლობელებსა და კრედიტორებთან. პრეტიმენი ვალების დასაფარავად მათ სთავაზობდა 200 000 მანეთს, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო.

ქარხნის გადასარჩენად კავკასიის ხელისუფლებმა მოიწვიეს მისი კრედიტორების კრება. მათ კრედიტორებს გააცნეს ქარხნის მძიმე მდგომარეობა და დაითანხმეს ისინი, რომ დაკმაყოფილებულიყვნენ კრედიტის 40 %-ის მიღებით, რათა ქარხნის გაკოტრებისას სულ არ დაეკარგათ კაპიტალი.

პრეტიმენს, გარდა ვალების შემცირებისა, მთელი რიგი სხვა შეღავათებიც მიანიჭეს[21]. ასეთ პირობებში 1875 წლის ბოლოსათვის მას უნდა აემოქმედებინა ქარხანა და ყოველწლიურად 160 ათასი ფუთი რკინა გამოედნო.

მაგრამ პრეტიმენმა ვერ შეძლო პირობის შესრულება. მან ახალი შეღავათები მოითხოვა. მაგრამ მალე გაირკვა, რომ პრეტიმენი შეძლებულ მყიდველს ეძებდა ინგლისში, რათა საწარმო სარფიან პირობებში გადაეცა მისთვის და მოზრდილი თანხა მოეგო. ამის გაკეთება მან ვერ შეძლო და იძულებული გახდა უარი ეთქვა ჩათახის ქარხანაზე.

მთავრობის დახმარების მიუხედავად, ვერ მოხერხდა ქარხნის ამუშავება, იგი რენტაბელური ვერ გახდა, ხოლო შემდეგ უფრო ცუდად წავიდა საქმე და 1876 წ. სრულიად შეწყვიტა მუშაობა. 1877 წ. გამოცხადდა ქარხნის საჯარო გაყიდვა. ამ დროისათვის ქარხნის ვალი 604 760 მანეთს

---

19 სცსია, ფ. 264, ანაწ. 1, საქმე 615, ფურც. 10.

20 ЦГИА, ф.37, оп.65, д.1968, л.34

21 სცსია, ფ. 264, ანაწ. 1, საქმე 515, ფურც. 29.

შეადგენდა[22].

1881 წელს, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ქარხანა გადაეცა აზნაურ სოლომონ შაბუროვს. ხაზინამ თავისი ვალები აპატია შაბუროვს, მაგრამ მას უნდა დაეკმაყოფილებინა კერძო კრედიტორები. შაბუროვმა კერძო კრედიტორების გასასტუმრებლად გადაიხადა 400 000 მან. ამის შემდეგ 1886 წლის ოქტომბერში ქარხანა მისი საკუთრება გახდა. სამი წლის განმავლობაში – 1888 წლისათვის შაბუროვს უნდა აემუშავებინა ქარხანა, ხოლო 1890 წელს დაემთავრებინა ყველა სამუშაო, რის შემდეგაც ქარხანას უნდა გამოეშვა 100 000 ფუთი რკინა. მაგრამ შაბუროვს კერძო კრედიტორების გასტუმრების შემდეგ აღარ გააჩნდა ქარხნის ასამუშავებელი სახსრები. გამოსავლის ძებნაში 1888 წელს იგი გარდაიცვალა.

შაბუროვის გარდაცვალების შემდეგ მის ქვრივს, პირადი თხოვნით, ვადა გაუგრძელეს 2 წლით. მაგრამ ქარხნის ამუშავება ვერც მან შეძლო. ამასობაში უპატრონოდ მიტოვებული ქარხანა გაპარტახდა[23]. მაშინ ხაზინამ ქარხანა უკანვე ჩაიბარა 1892 წელს.

1894 წ. კავკასიის ხელისუფლებას თხოვნით მიმართა ავსტრიელმა ინჟინერმა იოსებ ბოგაჩმა, რომელმაც ქარხნის შეძენისა და ამუშავების სურვილი გამოთქვა.

ბოგაჩს ქარხანა გადაეცა მის მიერ წამოყენებულ ძალზე შეღავათიან პირობებში. მას 80000 მანეთად მიჰყიდეს როგორც ჩათახის ქარხანა, ისე სამთო-საქარხნო მამული უძრავ-მოძრავი ქონებითა და საბადოებით. ეს თანხა მას უნდა გადაეხადა 10 წლის განმავლობაში, უპროცენტოდ წელიწადში 8000 მანეთის გადახდით. ბოგაჩის ქარხანა უნდა აემუშავებინა 5 წლის განმავლობაში, ამავე დროს საიჯარო გადასახადი უნდა გადაეხადა მამულის პატრონ შანშიაშვილებისათვის[24].

ფინანსთა სამინისტრომ, რომლის შეფიც ამ დროს იყო ქარხნის ერთ-ერთი ყოფილი მეპატრონის იულიუს ვიტეს ვაჟი სერგეი, ბოგაჩი დაამტკიცა ქარხნის მფლობელად. ბოგაჩმა მოინდომა სააქციო საზოგადოების შექმნა ან რომელიმე ძლიერ სააქციო გაერთიანებასთან შეკავშირება, მაგრამ ვერ შეძლო. მაშინ მან სცადა ქარხნის გაყიდვა. ეს სპეკულაციური განზრახვა ცნობილი გახდა ხელისუფლებისათვის. მთავრობამ ისარგებლა იმით, რომ ბოგაჩმა დროზე ვერ დაფარა 1899 წ. გადასახადი, და ქარხანა ჩამოართვა. ამრიგად, ვერც ბოგაჩმა შეძლო ქარხნის ამუშავება. იგი 1904 წ. გარდაიცვალა.

1913 წელს იოსებ პოპიგიმ სცადა ქარხნის მიღება და ამუშავება[25]. მან სათანადო პირობები წაუყენა ხელისუფლებას, მაგრამ მას მოუსწრო პირველმა მსოფლიო ომმა. ქარხნის ამუშავების საკითხი კვლავ გადაიდო.

-----------

22 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

23 ЦГИАЛ, ф.37, оп.65.д.1988, л.205.

24 Там же, л.396.

25 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 84.

ამრიგად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ვერ აღმოჩნდა პიროვნება, რომელიც ჩათახის ქარხნის მუშაობას მყარ ნიადაგზე დააყენებდა და მას რენტაბელურს გახდიდა. ეს წამოწყება, რომელიც საქართველოსა და ამიერკავკასიისათვის ძლიერ საჭირო იყო, გერმანელ ერნსტ ლიბის სიკვდილის შემდეგ განუხორციელებელი დარჩა.

ჩათახის რკინისა და თუჯსასხმელი ქარხნის წარუმატებლობის მიზეზად სხვადასხვა ფაქტორებს ასახელებენ. ასეთებად თვლიან საბადოთა სიმცირესა და არახელსაყრელ განლაგებას, მეპატრონეთა კაპიტალის სიმცირეს, ლიბის, ბერნელის და სხვათა წარუმატებელ ცდებს, დაკავშირებოდნენ გერმანული კაპიტალის ძირითად წყაროებს და ა.შ.

## § 2. გერმანელთა ლითონდამამუშავებელი და საავეჯო საწარმოები

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ლითონდამამუშავებელ საწარმოთა რიცხვი. ფართოვდება აგრეთვე ისეთ საწარმოთა რიცხვი, სადაც სხვა კომპონენტებთან ერთად (უმთავრესად ხის მასალა) იყენებდნენ ლითონის დეტალებს. ამ საწარმოებს დიდი სახელოსნოების სახე უფრო ჰქონდათ, ვიდრე ფაბრიკა-ქარხნებისა. გერმანელთა მიერ მოწყობილი ლითონდამამუშავებელი საწარმოები ძირითადად თბილისში იყო განლაგებული.

1860 წლიდან თბილისში არსებობდა ერნესტ ზომერის მექანიკური სახელოსნო, რომელიც ლითონის სხვადასხვა ნაკეთობებს აწვდიდა როგორც თვით ქალაქს, ისე მთელ ამიერკავკასიას. სახელოსნოში 10 ქარგალი და 12 შეგირდი მუშაობდა[26]. სახელოსნო სხვადასხვა სახის მანქანა-იარაღებს ამზადებდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სახელოსნოს მიერ 50 ცალი სიმინდის საფშვნელი ხელის მანქანის დამზადება. 1862 წ. სოფლის მეურნეობის სამმართველომ აღნიშნული მანქანები საწარმოს შეუკვეთა, თითოეული 30 მანეთად. ეს მანქანა 1862 წლის საშემოდგომო გამოფენაზე წარუდგენიათ და საერთო მოწონება დაუმსახურებია. შემდგომში ზომერს თავისი წარმოება მნიშვნელოვნად გაუფართოებია.

ასევე პერიოდში მოქმედებდა გოტლიბ გენინგენის საწარმო, სადაც 9 ოსტატი მუშაობდა და ლითონის სხვადასხვა ნაკეთობებს ამზადებდა. იგი წელიწადში 6 000 მანეთამდე ღირებულების პროდუქციას უშვებდა.

60-იანი წლების ბოლოსათვის მექანიკური სახელოსნო გაუხსნია პრუსიელ ვილჰელმ ფრანკენს. საწარმოში 15 მუშა საქმიანობდა. აქ ძირითადად სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები მზადდებოდა, რომელთა საერთო

---

26 ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 129.

ღირებულება წლიწადში 6–7 ათასამდე მანეთს შეადგენდა[27].

70-იან წლებში ეს სახელოსნო ფრანკენის ქვრივის ლუიზა ფრანკენის ხელში გადასულა. გარკვეული სიძნელეების მიუხედავად სახელოსნო წარმატებით განაგრძობდა მოქმედებას.

1883 წელს თბილისში მექანიკური სახელოსნო გაუხსნია ემანუელ შვარცს. თვით შვარცი აქ ფიზიკურად არ მუშაობდა. იგი სახელოსნოს ნაწარმით ვაჭრობდა. სახელოსნოში 12 მუშა მუშაობდა, მათ შორის 8 მცირეწლოვანი. საწარმოს წლიური პროდუქცია 10 000 მანეთს შეადგენდა.

1900 წლისათვის შედარებით მსხვილი საწარმო გაუხსნია ბეპლეს. ამ სახელოსნოში ერთი წყაროს ცნობით 13–14, ხოლო მეორეთი – 21 მუშა მუშაობდა. ასევე წლიური პროდუქცია ერთ შემთხვევაში ნაჩვენებია 5–6 ათასი მან, ხოლო მეორეში 10 000 მან. ამ საწარმოში 1901 წლიდან გაზის ძრავაც ჩნდება[28].

აღნიშნულ მექანიკურ საწარმოებში მანქანა-იარაღებთან ერთად მზადდებოდა რკინა-კავეული (სხვადასხვა სახის ფურნიტურა, კლიტეები), საყოფაცხოვრებო საგნები და სხვ.

მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ გერმანელთა სახელოსნოები ავეჯის წარმოებაშიც. 1846 წელს ფრიდრიხ ზაიტლერს თბილისში დაუარსებია ავეჯის სახელოსნო, რომელიც შემდგომში თანდათანობით გაუფართოებია და 80-იანი წლებისათვის კაპიტალისტურ საწარმოდ უქცევია. საწარმოში ხისა და ლითონის ნაწილებისაგან ამზადებდნენ ყოველგვარ ავეჯს და მაღალი ხარისხის პარკეტს. აქ ამ დროისათვის მუშაობდა 40 მუშა, მათ შორის – 16 მცირეწლოვანი. ფაბრიკის ყოველწლიური პროდუქცია 40 000 მან. აღწევდა.

1877 წელს ავეჯის სახელოსნო გაუხსნია რენცს. აქ მზადდებოდა კარ-ფანჯრები, მაგიდები, სკამები, კარადები. საწარმოში მუშაობდა 6 კაცი, რომლებიც წლიურად 7 000 მანეთის პროდუქციას უშვებდნენ.

ეტლების წარმოებაში აღსანიშნავია მეორე გილდიის ვაჭრის ა. კოტრინის საწარმო, რომელიც 1884 წელს დაარსდა. იგი წელიწადში ამზადებდა 10 ეტლსა და 40 საზიდარს – 10 400 მან. ღირებულების პროდუქციას. კოტრინის საწარმოში 20–24 კაცი მუშაობდა. სახელოსნო მდებარეობდა თბილისის გერმანელთა კოლონიაში, კოტრინის საკუთარ სახლში.

ეტლების დამამზადებელი უფრო მცირე სახელოსნო ჰქონდა დავით მაიერს[29].

აღსანიშნავია, რომ ამ საწარმოებში იშვიათად იყენებდნენ მექანიკურ ძრავებს, მაგრამ მათ ჰქონდათ მრავალი სახის ხელსაწყო იარაღები და მრავალნაირი მოწყობილობა (სახარატო დაზგები, ბურღები, სამჭედლო ქურები და სხვ.), რაც ოსტატებისა და მუშების სათანადო დასპეციალებას, გარკვეულ კვალიფიკაციას მოითხოვდა.

---

27 სცსია, ფ. 17, საქმე 86.

28 ი. ხ ო მ ჟ ა რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

29 გ. მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე, გერმანელი კოლონისტები... გვ. 105.

თავისი ხასიათით ეს საწარმოები ძირითადად კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციული ტიპის საწარმოებს წარმოადგენდნენ. მათ დიდ უმრავლესობას მანუფაქტურის სახე ჰქონდათ, სადაც შრომა დანაწილებული იყო.

შედარებით მსხვილი იყო ბეპლეს სამჭედლო-მექანიკური საწარმო, სადაც პირველ ხანებში მექანიკურ ძრავას არ იყენებდნენ. აქ 20-ზე მეტი მუშა მუშაობდა. ამ საწარმოს 900-იან წლებში აშკარად ქარხნის სახე ჰქონდა.

საკმაოდ მოზრდილი იყო ვულერლიხის რკინა-კავეულის საწარმო, სადაც საუკუნის მიწურულისათვის მუშათა რიცხვი 12-დან 25-მდე გაზრდილა და 12-16 ათასი მანეთის ნაწარმი მზადდებოდა.

საკმაოდ მაღალი ხარისხის ინსტრუმენტებს ამზადებდა ანდერეგის საინსტრუმენტო სახელოსნო. აქ ათამდე ოსტატი მუშაობდა და წლიური პროდუქციის ღირებულება 7 000-მდე მანეთს შეადგენდა.

აღნიშნული საწარმოები, რომელთაც ცალკეულ შემთხვევაში დიდი, გაფართოებული სახელოსნოების სახე ჰქონდათ, ფართოდ იყენებდნენ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სიახლეებს, სხვადასხვა სახის გაუმჯობესებულ იარაღებს. მათ უმრავლესობაში შრომა დანაწილებული იყო. ზოგიერთ მათგანში მოგვიანებით გამოიყენეს მექანიკური ძრავები. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ აღნიშნული სახელოსნოები თავისი ხასიათით მანქანურ წარმოებაზე გარდამავალ საწარმოებს წარმოადგენდნენ. გერმანელმა მეწარმეებმა ერთგვარი წვლილი შეიტანეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში მანქანური საწყისების დანერგვაში, რომლებიც აქ XIX ს. 30-იანი და განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან ჩნდება. შემდგომში მათ საფუძველზე არსდება ფაბრიკულ-ქარხნული ტიპის საწარმოები.

## § 3. სააქციო საზოგადოება "კომპანია ზინგერის" საქმიანობა ამიერკავკასიაში

მანქანათმშენებლობის განვითარებას რუსეთში ძალზე აფერხებდა, ერთი მხრივ თვითმპყრობელური სისტემა, ბატონყმობის გადმონაშთები, შიდა ბაზრის სივიწროვე, მეორე მხრივ – უფრო განვითარებული ქვეყნების, განსაკუთრებით გერმანიის კონკურენცია, რომლებიც ძირითადად აკმაყოფილებდნენ რუსეთის მოთხოვნილებას მანქანათმშენებლობის ნაწარმზე. მაღალი საბაჟო ტარიფის მიუხედავად, საზღვარგარეთის ფირმები სხვადასხვა საშუალებებით აღწევდნენ რუსეთის შიდა ბაზარზე, აფერხებდნენ რუსეთის ინდუსტრიალიზაციას.

რუსეთის ლითონდამმუშავებელი მრეწველობის დინამიკა XX ს. დამდეგს შემდეგ სურათს იძლევა: 1900 წ. წარმოებული პროდუქციის საერთო ღირებულება შეადგენდა 399 მილიონ მანეთს, 1908 წელს – 510, 1910 წელს – 542, 1912 წელს – 715 მილიონ მან. 1900-1908 წწ. განმავლობაში მრეწველობის ეს დარგი, ისევე როგორც მთელი ქვეყანა, არ გამოსულა დეპრესიული მდგომარეობიდან და ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი შეფერხებებით, 1908-1910

წლებში შეიმჩნეოდა ნელი განვითარება, მაგრამ შესამჩნევი აღმავლობა იწყება 1910-1912 წლებში, როდესაც პროდუქციის ზრდამ მიაღწია 32 პროცენტს[30].

ლითონდამმუშავებელი მრეწველობა და მანქანათმშენებლობა რევოლუციამდელ რუსეთში სუსტად იყო განვითარებული; მანქანათმშენებლობის ზოგიერთი დარგი (ავტომობილმშენებლობა, ტრაქტორმშენებლობა და სხვ.) საერთოდ არ არსებობდა.

უცხოეთის კაპიტალდაბანდებანი რუსეთის მანქანათმშენებელ მრეწველობაში უმთავრესად წარმოდგენილი იყო სააქციო კომპანიების სახით[31].

როგორც ცნობილია, სააქციო კომპანიები კაპიტალისტური საწარმოო ორგანიზაციის ყველაზე სრულყოფილი ფორმაა. რუსეთში ისინი წარმოადგენდნენ არა მარტო მსხვილი კაპიტალის ორგანიზაციულ, არამედ, მათი სპეციფიკური თავისებურებების გამო, — პრაქტიკულად ქვეყანაში ფინანსური და მონოპოლისტური კაპიტალის ერთადერთ ფორმას. ამის გარდა, სააქციო კომპანიები ყველაზე ხელსაყრელი იყო რუსეთში უცხოეთის კაპიტალის ფუნქციონირებისათვის. ამიტომ ასეთი კომპანიების რიცხვი და წილი სახალხო მეურნეობაში წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს, ხოლო მათი დაარსების დინამიკა ასახავდა ცვლილებებს კაპიტალისტური მეურნეობის კონიუნქტურაში. ამასთანავე სააქციონერო საზოგადოებების ისტორია ძლიერ ნაკლებადაა შესწავლილი არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბითაც. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაინტერესდნენ ჩვენი ისტორიკოსები ამ საკითხით. მცირეა ამ თემისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები და სტატიები. მის შესახებ არ არსებობს რამდენადმე სრულყოფილი სტატისტიკური კრებულებიც. რევოლუციამდელი რუსეთის ბურჟუაზიულმა სტატისტიკამ მისი გადაჭრა ვერ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიაში არსებული კანონების მიხედვით ყოველ სააქციო კომპანიას სახაზინო ორგანოებისათვის უნდა მიეწოდებინა უტყუარი სტატისტიკური ცნობები; მაგ., 1886 წ. 16 იანვრის კანონი — სავაჭრო-სამრეწველო საწარმოების დაბეგვრის შესახებ — მათ ავალდებულებდათ ჟურნალ "Вестник финансов, промышленности и торговли"-ს სპეციალურ დამატებაში გამოექვეყნებინათ წლიური ანგარიშები და დასკვნითი ბალანსები. მაგრამ სააქციო საზოგადოებები ამ ცნობებს არ აქვეყნებდნენ; რაც ქვეყნდებოდა, ისიც ხშირად შეიცავდა შეგნებულად დამახინჯებულ ცნობებს.

ამავე დროს მთელ რიგ დარგებში მიმდინარეობდა საწარმოთა მონოპოლისტური გაერთიანებების როგორც "ჰორიზონტალური", ისე "ვერტიკალური" პროცესები. პირველ შემთხვევაში ერთიანდებოდნენ საწარმოები, რომლებიც ერთი-

---

30 Л.Я. Э в е н т о в, Иностранный капитал в русской промышленности, М.-Л., 1931, с.70.

31 რუსეთში სააქციო კომპანიები წარმოდგენილი იყო სააქციო საზოგადოებებით და მათთან იურიდიულად გათანაბრებული საპაიო ამხანაგობებით.

სა და იმავე სახის პროდუქციას უშვებდნენ, ხოლო მეორე შემთხვევაში - წარმოების სხვადასხვა სტადიის - ნედლეულის მოპოვებისა და სავაჭრო ქსელის ჩათვლით.

საკერავი მანქანების დამამზადებელი "ზინგერ მენუფექჩურინგ კომპანი"[32] დაარსდა 1851 წელს აშშ-ში, ნიუ-იორკის შტატში. მისი დამაარსებლები იყვნენ ვერტიკალურნემსიანი საკერავი მანქანების ერთ-ერთი პირველი გამომგონებელი ისააკ მ. ზინგერი[33] და ე. კლარკი, რომელთაც 1863 წ. კომპანია სააქციო საზოგადოებად გარდაქმნეს, ხოლო აქციების 2/5 თავის-

---

32 1901 წ. კომპანიის სახელწოდების პირდაპირი რუსული თარგმანი რუსეთის ფილიალის ხელმძღვანელობამ არასწორად ჩათვალა, უწოდა "კომპანია ზინგერი" და ამოიღო ტერმინი "მანუფაქტურა", რადგან რუსეთში ტრადიციის მიხედვით მანუფაქტურულად იწოდებოდნენ სართავი და საქსოვი საწარმოები ( ЦГИА СССР, ф.23, оп.24, д.39I, л.8,9, 83. ). შესაძლოა ამ სახეცვლილების მიზეზი გერმანელთა გავლენაც იყოს.

33 საკერავი მანქანის გამოგონების პირველი პატენტი (№ 701) მიიღო ჩ. ვეიზენტალმა ინგლისში 1755 წ.. 1790 წ. თომას სენთმა შექმნა ფეხსაცმლის საკერავი მანქანა. 1804 წ. სტოუნმა და ჰენდერსონმა საფრანგეთში დააპატენტეს საკერავი მანქანა. ეს მანქანები არასრულყოფილი იყო და ვერ ჰპოვეს გავრცელება. 1829 წ. საფრანგეთში ტიმონიემ შექმნა საკერავი მანქანა, რომელიც ძირითადად ხის ნაწილებისაგან შედგებოდა და ისევე, როგორც ყველა მისი წინამორბედი, ქსოვილს ერთჯაჭვიანი გვირისტით კერავდა. 1848 წლის რევოლუციის დროს ტიმონიეს სახელოსნო განადგურდა და მას სიღატაკეში აღმოხდა სული.

1845 წ. აშშ-ში ელიას ჰოუმ მიიღო პატენტი მაქოიან საკერავ მანქანაზე. ე. ჰოუმ თავის მანქანაში გამოიყენა ა. მადერსპერგერის მიერ ჯერ კიდევ 1814 წელს დამზადებული ნემსი, რომელსაც ძაფის ყუნწი მახვილ წვერზე ჰქონდა. მანქანა გამოირჩეოდა კონსტრუქციული სიახლეებით და ბევრად სჯობდა წინამორბედთა (ჰანტი, ფიშერი, გიბონსი) შექმნილ მანქანებს, თუმცა მასაც გააჩნდა გარკვეული ნაკლოვანებები: ქსოვილი მასზე მაგრდებოდა ვერტიკალურად, მისი გადაადგილება ხდებოდა სპეციალური ლენტით, მოღუნული ნემსი ჰორიზონტალურად მოძრაობდა, ხოლო მაქო წააგავდა საქსოვი დაზგის მაქოს და მასავით მიმოდიოდა. ამ ნაკლოვანებების გამო ჰოუს მანქანა ფართოდ ვერ გავრცელდა.

1850-1851 წლებში რამდენიმე კონსტრუქტორმა (ი. ზინგერი, ა. ვილსონი, გიბსი) გააუმჯობესა ჰოუს მანქანა. ამ ახალ კონსტრუქციებში ნემსი ვერტიკალურად დააყენეს, ხოლო ქსოვილი სპეციალური თათით იყო დაჭერილი ჰორიზონტალურ პლატფორმაზე. ამ კონსტრუქტორებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოქნილი და ენერგიული კომერსანტი ი. ზინგერი, რომელსაც ამასთანავე საკმაოდ კარგი ტექნიკური მომზადებაც გააჩნდა. ი. ზინგერმა ჰოუს მანქანაში, გარდა ნემსის გადაადგილებისა, რამდენიმე ტექნიკური ცვლილებაც შეიტანა, რომელთა შორის ზოგიერთის (მაგალითად, ნაჭრის გადაადგილე-

თვის დაიწყეს. 1875 წ. ი.მ. ზინგერის გარდაცვალების შემდეგ ე. კლარკმა შეინარჩუნა ფირმის სახელწოდება, რადგანაც მას ამ დროისათვის აშშ-სა და მის ფარგლებს გარეთაც საკმაო პოპულარობა ჰქონდა მოხვეჭილი.

საზღვარგარეთ საკერავი მანქანების ექსპორტი "ზინგერ მენუფექჩურინგ კომპანიმ" დაიწყო 1861 წ. ამ მიზნით იგი იყენებდა ე.წ. "პრივილეგირებულ დამოუკიდებელ აგენტებს", რომლებიც რეკლამას უკეთებდნენ და ყიდდნენ ფირმის პროდუქციას მათთვის გამოყოფილ რეგიონებში. 1863 წლიდან კომპანიის სავაჭრო აგენტები გახდნენ ძმები ჟ. და გ. ნაიდლინგერები, რომელთა საკუთარი მთავარი კანტორა მდებარეობდა ქ. ჰამბურგში. ნაიდლინგერები შემდგომში ძალზე მომძლავრდნენ ეკონომიკურად. ისინი თითქმის დამოუკიდებელ კომპანიად გადაიქცნენ და ამერიკულთან, როგორც ტრანსნაციონალურ მონოპოლიასთან, მხოლოდ გარკვეული ურთიერთობა აკავშირებდათ. ჰამბურგის კომპანია, გერმანიის გარდა, ვაჭრობას აწარმოებდა მრავალ ქვეყანასთან. მას საკერავი მანქანები გაჰქონდა ავსტრია-უნგრეთში, რუსეთში, რუმინეთში, სკანდინავიის ქვეყნებში[34].

რუსეთის იმპერიაში "კომპანია ზინგერი" სააქციო საზოგადოების სახით შეიქმნა 1897 წლის 13 ივლისს, როდესაც მთავრობამ დაამტკიცა მისი წესდება[35]. იურიდიულად მის დამაარსებლად ითვლებოდა ამერიკული ფირმა, მაგრამ ფაქტიურად მის საქმიანობას განაგებდნენ გერმანული ფირმის წარმომადგენლები და, საერთოდ, გერმანელები, რომლებიც თავიდანვე ჩრდილში იყვნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ ახლად შექმნილი რუსული საზოგადოების მხოლოდ ამერიკულ ფირმასთან დაკავშირებულად წარმოსახვას. მისი დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო ზემოდასახელებული გ. ნაიდლინგერი, რომელიც ოფიციალურადაც ფ. ბორნსა და ჯ. ალექსანდერთან ერთად ითვლებოდა რუსული საზოგადოების დამფუძნებლად. რუსულ ფირმას დაარსებისთანავე მიენიჭა უფლება, ევაჭრა როგორც რუსეთში დამზადებული, ისე საზღვარგარეთიდან შემოტანილი მანქანებით. ამრიგად "ზინგერის" საზოგადოება თავდაპირველად შეიქმნა, როგორც სავაჭრო ფირმა.

დაარსებისას "მანუფაქტურული კომპანია ზინგერის" სააქციო კაპიტალი უდრიდა 5 მილიონ მანეთს და შედგებოდა 50 000 ათასმანეთიანი აქციისაგან. რუსეთის საზოგადოების თავმჯდომარე იყო ფ. ბორნი, ხოლო დირექტორები - გ. ნაიდლინგერი, ფ. კრაკოვი, ი. კუკი და მ. მიხაელისი.

საზოგადოების აქციები მთლიანად უცხოელთა ხელში იყო. საზოგადოების ხელმძღვანელობის ოფიციალური განმარტებით (განსაკუთრებით მსოფლიო ომის

---

ბა) საკმაოდ მახვილგონიერი აღმოჩნდა. მან შეძლო თავისი ნაწარმის კარგი რეკლამირება, იგი ფართოდ გავრცელდა და ი. ზინგერს დიდი შემოსავალი მოუტანა.

34 M. W i l k i n s, The Emergence of Multinational Enterprise. American Business Abroad from the Colonial Era to 1914. Cambridge, 1970, p.39,42.

35 სცსია, ფ.13, ანაწ. 27, საქმე 7642, ფურც.47, ფ.190, ანაწ.1, საქმე 41, ფურც. 1.

დაწყების შემდეგ) აქციებს თითქმის მთლიანად ფლობდნენ ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომები. ამას აზიარებს ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარიც[36]. დოკუმენტურად ამის დადგენა ძნელდება, რადგან აღნიშნული აქციების კოტირება არცერთი ქვეყნის ბირჟაზე არ ხდებოდა[36ა]. მაგრამ ზოგიერთი მონაცემი, მაგალითად, საზოგადოების მმართველობაში გერმანელი წარმოშობის პირთა სიჭარბე, მიგვანიშნებს, რომ "ზინგერის" აქციების მნიშვნელოვანი წილი გერმანელთა ხელში უნდა ყოფილიყო.

"კომპანია ზინგერი" იყო საკერავი მანქანების რუსეთის ბაზრის ფაქტიური მონოპოლიური მფლობელი, რამდენადაც მას აქ სერიოზული კონკურენტი არ გააჩნდა. მოქმედებდა რა რუსეთის მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე, საზოგადოება ფორმალურად ითვლებოდა დამოუკიდებელ გაერთიანებად, მაგრამ მას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა უცხოელ კაპიტალისტებთან, განსაკუთრებით ამერიკელებსა და გერმანელებთან. ამავე დროს თვით გერმანელები ცდილობდნენ დაეფარათ მჭიდრო კავშირისა და "ზინგერის" რუსეთის საზოგადოების ხელმძღვანელობაში გაბატონებული მდგომარეობის დაფარვას და როგორც წმინდა ამერიკული მონოპოლიის რუსეთის თითქმის დამოუკიდებელ ფილიალად წარმოსახვას. ეს კი გამოწვეული იყო მაშინდელი საერთაშორისო მდგომარეობით. გერმანია და რუსეთი გაერთიანებული იყვნენ ურთიერთდაპირისპირებულ ბლოკებში, რომელთა შორის ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო სამხედრო კონფლიქტი, რაც მოხდა კიდეც 1914 წ. ასეთ ვითარებაში გერმანიის ბურჟუაზიის წარმომადგენლებისათვის ხელსაყრელი იყო ჩრდილში დგომა და სხვისი სახელით მოქმედება. ამ პერიოდში გერმანიის კაპიტალის წარმომადგენლები ასევე მოქმედებდნენ რუსეთის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც.

ამდენად, გაუგებარია რუსული ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენლის ცდა, რუსეთში სააქციო საზოგადოება "კომპანია ზინგერის" დაარსება მხოლოდ და მხოლოდ ამერიკულ მონოპოლიას მიაწეროს და მაქსიმალურად გამორიცხოს მის დაარსებაში გერმანელთა, კერძოდ ჰამბურგის განყოფილების, მონაწილეობა და მათი შემდგომი საქმიანობა რუსეთის საზოგადოების შემადგენლობაში[37].

ამ მხრივ საინტერესოა "ზინგერის" შესახებ უკანასკნელ პერიოდში გამოსული სტატიის ავტორის მ. შაროხინას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რუსეთში საზოგადოების დაარსებისას მის სამმართველოში უმრავლესობას გერმანელი პირები წარმოადგენდნენ, მაგრამ შემდგომში ისინი "თანდათანობით გამოიდევნენ იქიდან"[38], თითქოს რუსეთში "ზინგერის კომპანიის" დამაარსე-

---------------

36 М.П. Ш а р о х и н а, Финансовые и структурные связи "Компания Зингер" с Российским и иностранным капиталом. В кн: Самодержавие и крупный капитал в России в конце XIX- начале XX в., М., 1982, с.160-161.

36ა ცსსია, ფ. 190, ანაწ. 1, საქმე 58.

37 მ. შ ა რ ო ხ ი ნ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 160,162.

38 ი ქ ვ ე, გვ. 161.

ზელი მონოპოლია წმინდა ამერიკული, ხოლო მის მიერ დაარსებული ორგანიზაცია ამერიკულ-რუსული იყო. მაგრამ თვით შაროხინას მიერ მოტანილი მასალა ეწინააღმდეგება მის დასკვნებს.

ამაზე წარმოდგენას გვიქმნის რუსული ფირმის ერთ-ერთი დამაარსებლის გ. ნაიდლინგერის საქმიანობა. როგორც აღინიშნა, გ. ნაიდლინგერი ადრევე თანამშრომლობდა "კომპანია ზინგერთან", ძმასთან ერთად იყო ჰამბურგში მისი გერმანული განყოფილების მფლობელი. "ამასთანავე შეეძლო ამერიკული მანქანების გაყიდვა ევროპაში, კერძოდ რუსეთში". რუსეთის სააქციო საზოგადოების შექმნამდე, ფაქტიურად იგი აწარმოებდა საკერავი მანქანების ვაჭრობას რუსეთში და თითქმის მთლიანად მას ეკუთვნოდა ამ ოპერაციებისათვის საჭირო უძრავი და მოძრავი ქონება. სწორედ ამიტომ რუსეთში შექმნილი "კომპანია ზინგერის" წესდებაში ჩაწერილი იყო, რომ იგი არსდება გ. ნაიდლინგერისაგან "საკერავი მანქანების ვაჭრობის საქმის ... შესაძენად და გასაგრძელებლად"[38ა]. სწორედ ამიტომ მექანიკური სახელოსნოების, საწყობო შენობების და მათში მოთავსებული მოძრავი ქონების, მოპოვებული პრივილეგიებისა და ა.შ. რუსეთის "ზინგერისათვის" გადასაცემად მიიღო 2,4 მილიონი მანეთი და 100 ათასი მანეთის კომპანიის აქციები[39].

აღსანიშნავია, რომ ა. შაროხინა უტყუარ ჭეშმარიტებად მიიჩნევს წყაროს ცნობას, რომ რუსეთის საზოგადოების აქციების 97 % ამერიკელებს ეკუთვნოდა[40], ხოლო როცა იგივე წყარო იძლევა საშინაო სამინისტროს ცნობას, რომ გ. ნაიდლინგერმა ამერიკელი ზინგერებისაგან ქ. ელიზაბეტპორტში საკერავი მანქანების ფაბრიკა შეიძინა, უპირობოდ აცხადებს, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს[41]. მართალია, გ. ნაიდლინგერი 1902 წელს გავიდა პეტერბურგის "ზინგერის" მმართველობიდან, მაგრამ კომპანიასთან მჭიდრო კავშირი მას შემდგომშიც არ შეუწყვეტია.

1901-1913 წლებში "კომპანია ზინგერმა" რამდენჯერმე გამოუშვა ახალი აქციები, რომელთა საერთო რაოდენობა 10-ჯერ გაიზარდა და 60 მილიონ მან. ღირებულებას მიაღწია[42]. მათი კოტირება კვლავ არცერთ ბირჟაზე არ ხდებოდა, ამიტომ მფლობელების დადგენა შეუძლებელია. ამას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ აქციონერთა სრული სია (1901-1917 წწ.) კომპანიის ფონდებში ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. ამდენად გერმანული კაპიტალის ოდენობა მასში გაურკვეველია. აქციების ერთი ნაწილი ინახებოდა ლონდონში, მიდლანდის ერთ-ერთ ბანკში, რომლის მეშვეობითაც რუსეთის "კომპა-

---

38ა იქვე.

39 ЦГИА СССР, ф.23, оп.24, д.39I, л.37-38.

40 იქვე, გვ. 30-31.

41 ა. შ ა რ ო ხ ი ნ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 101;
805, 209; სცსია, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3630, ფურც. 1.

42 გ. მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე, უცხოური კაპიტალი ამიერკავკასიაში (სააქციო საზოგადოება "კომპანია ზინგერი"), მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1975, №3, გვ. 36.

ნია ზინგერი" აწარმოებდა ფინანსურ ოპერაციებს საზღვარგარეთ[43].

"კომპანია ზინგერი" დაარსდა, როგორც სავაჭრო-სამრეწველო ფირმა. დამაარსებლის განცხადებაში ფინანსთა სამინისტროსადმი ნათქვამია, რომ "საზოგადოება რუსეთში თავის ქარხნებს ააგებს იმ რაოდენობით, რომ დააკმაყოფილოს მოთხოვნა ზინგერის მანქანებზე" არა მარტო თვით რუსეთში, არამედ ბალკანეთში, თურქეთში, სპარსეთსა და ჩინეთში[44].

1902 წლამდე კომპანიის მოღვაწეობა რუსეთში მხოლოდ სავაჭრო საქმიანობით შემოიფარგლებოდა. პირველ სრულ საანგარიშო 1899 წელს გაიყიდა 7 მილიონი მანეთის საკერავი მანქანები[45].

1900 წელს სააქციო საზოგადოება "კომპანია ზინგერმა" მოსკოვის გუბერნიის ქ. პოდოლსკში, ჩერიცკის სატყეო აგარაკზე, რკინიგზის მახლობლად შეიძინა 30 დესეტინა მიწის ნაკვეთი (1912 და 1914 წწ. იქვე შეიძინეს ორი ნაკვეთი 44 დესეტინა საერთო ფართობით), სადაც 1901 წ. დაიწყო საკერავი მანქანების და მისი ნაწილების დამამზადებელი ქარხნის მშენებლობა. ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობა თითქმის მთლიანად საზღვარგარეთიდან, უმთავრესად გერმანიიდან, შემოჰქონდათ. სამრეწველო კომპლექსი შედგებოდა თუჯსასხმელი განყოფილებისაგან, ლითონდამმუშავებელი და ხისდამხუშავებელი სახელოსნოებისა და ელექტროსადგურისაგან. 1902 წ. ქარხანა ამუშავდა[46]. პირველ ხანებში ქარხანაში მხოლოდ მანქანებს აწყობდნენ, ხოლო ნაწილები საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. მომდევნო წლებში ქარხანა თანდათანობით გაფართოვდა. შემოზიდული ნაწილებით მანქანების აწყობასთან ერთად მან თვით დაიწყო ნაწილების დამზადება და მანქანების გამოშვება. 1914 წელს ქარხანაში შრომობდა 6047 მუშა და 567 მოსამსახურე[47].

პოდოლსკის ქარხანა უშვებდა მხოლოდ საოჯახო საკერავი მანქანების 6 მოდელს, რომლებზეც დიდი მოთხოვნილება იყო ბაზარზე. სპეციალურ სახელოსნო მანქანებს ქარხანა არ ამზადებდა. ამის მიზეზი იყო როგორც ამ მანქანების მექანიზმების სირთულე და განუწყვეტელი კონსტრუქციული სრულყოფა, ისე მათზე შედარებით ნაკლები მოთხოვნილება. საქარხნო კომპლექსი, რომელიც ორ ეტაპად 1902-1912 წწ. და 1913-1914 წწ. ფართოვდებოდა, ვერ გახდა სრულყოფილი. აქ სრული საწარმოო ციკლის დასრულებას მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. გამზადებული სახელოსნო მანქანები საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. პოდოლსკის ქარხანა, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებდა რუსეთის იმპერიის მოთხოვნილებას საოჯახო საკერავ მანქანებზეც, რომელთა დიდი ნაწილი "კომპანია ზინგერს", მისი საქმიანობის მანძილზე, ასევე საზღვარგარეთიდან, უმთავრესად გერმანიიდან, შემოჰქონდა. პოდოლს-

---

43 სცსია, ფ. 190, ანაწ. 1, საქმე 68, ფურც. 1-2.

44 ЦГИА СССР, ф.23, оп.24, д.391, л.1

45 Там же, л.65.

46 სცსია, ფ. 120, ანაწ. 1, საქმე 68, ფურც. 2-3.

47 М.П. Ш а р о х и н а, указ. соч., с.164.

კის ქარხანა იმ დროს რუსეთში ერთ-ერთ მოწინავე სანიმუშო საწარმოდ ითვლებოდა[48].

როგორც აღინიშნა, პოდოლსკის ქარხანას არ გააჩნდა წარმოების სრული ციკლი. ზოგიერთი ნაწილი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა. ქარხანას განსაკუთრებით ხის ნაწილები და ნემსები აკლდა. 1912 წლისათვის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამ დროიდან ქარხანა 350 ათას მანქანას უშვებდა წელიწადში. ქარხანა ზოგიერთი იმპორტული მანქანისათვის დაზგებს ამზადებდა.

1913-1914 წწ. პოდოლსკში აშენდა ხის ნაწილების დამამზადებელი საამქრო, რომელიც სხვა ნაწილებთან ერთად უშვებდა საკაბინეტო საკერავი მანქანის ნაწილებს. საკაბინეტო მოდელები მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა საოჯახო მანქანებში. ისინი 16-45 %-ით უფრო ძვირი ღირდა სხვა მასობრივ, ხელის და ფეხის მანქანებთან შედარებით. მათ მოსახლეობის უფრო შეძლებული ფენების წარმომადგენლები ყიდულობდნენ.

მაგრამ პოდოლსკის ქარხნის აშენებასა და მისი სიმძლავრეების ზრდას რუსეთის იმპერიაში საკერავი მანქანების იმპორტის შემცირება არ გამოუწვევია. პირიქით, 1904 წლიდან 1912 წლამდე საკერავი მანქანების იმპორტი რუსეთში 2,5-ჯერ გაიზარდა. მისი საერთო ღირებულება 23,7 მილიონ მანეთს შეადგენდა[49]. ეს კი ხელს უწყობდა აშშ-სა და გერმანიაში საკერავი მანქანების ქარხნების წარმადობის ზრდას.

თბილისში პოდოლსკის ქარხნის ერთგვარ ფილიალს წარმოადგენდა თავისუფლების მოედანთან (ლეგენდარული ლესელიძის ქუჩის დასაწყისი) მდებარე "კომპანია ზინგერის" სახელოსნო. ამ სახელოსნოში თავდაპირველად აწყობდნენ მანქანებს საზღვარგარეთისა და რუსეთიდან შემოტანილი ნაწილებით. შემდგომში სახელოსნო გააფართოეს და დაიწყეს საკერავი მანქანების ცალკეული დეტალების დამზადება, მანქანების შეკეთება[50].

პოდოლსკის ქარხნის აშენების მიუხედავად, საზღვარგარეთიდან მანქანების შემოტანის ზრდა განაპირობებდა ბაზარზე საკმაოდ მაღალი ფასების შენარჩუნებას და ამით შესაბამისი დივიდენდების მიღებას, რაც ოფიციალური მონაცემებით 4,5 - 5 % შეადგენდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი შემცირებული უნდა იყოს. მყიდველის მისაზიდად მანქანების დიდი ნაწილი იყიდებოდა განვადებით. ამიტომ მანქანის ღირებულებაში წინასწარ იყო შეტანილი სასაქონლო კრედიტის პროცენტები. განვადების მაქსიმალური დრო განისაზღვრებოდა 3 წლამდე პერიოდით. 1904 წლიდან 1913 წლამდე რუსეთის იმპერიის მოსახლეობის დავალიანება "ზინგერისადმი" 13,7 მილიონი მანეთიდან 70 მილიონ მანეთამდე გაიზარდა, ხოლო 1914 წლის 31 იანვრისათვის 94 მილიონი მან. შეადგინა[51].

"კომპანია ზინგერის" წარმატებით საქმიანობას რუსეთში მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა კომპანიის სტრუქტურა და სავაჭრო ქსელის საქმიანობის

---

48 Л.Н. Э в е н т о в, указ. соч., с.71.
49 ЦГИА СССР, ф.23, оп.24, д.391, л.111,217.
50 სცსსა, ფ.94; ანაწ. 1, საქმე 14, ფურც. 19.
51 М.И. Ш а р о х и н а, указ. соч. с.166,168; ЦГИАСССР, ф.28, оп.24, д.391, л.79.

პრინციპები. საზოგადოების წესდების 23-ე მუხლის თანახმად "კომპანია ზინგერის" მთელ საქმიანობას წარმართავდა მთავარი სამმართველო ხუთი დირექტორის შემადგენლობით[52]. 1912 წლამდე მთავარი სამმართველო იმყოფებოდა პეტერბურგში, ნევის პროსპექტზე № 28-ში აგებულ ფეშენებლურ სახლში, სადაც რევოლუციის შემდეგ მოთავსდა წიგნთა პალატა. 1912 წლიდან მთავარი სამმართველო გადაიტანეს მოსკოვში, ძველ მოედანზე № 8.

დირექტორთა შორის ძირითადად გერმანული წარმოშობის პირები იყვნენ. მთავარი სამმართველოს შემადგენლობა, პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლისათვის ასეთი იყო:

1. ალექსანდერ დუგლასი, დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომი, მუდმივად მცხოვრები ნიუ-იორკში. ამ დროისათვის იყო "კომპანია ზინგერის" ამერიკული საზოგადოების პრეზიდენტი.

2. ვალტერ ფრანკი (იგივე ვასილ ვასილის ძე დიქსონი), აშშ-ს მოქალაქე. ამავე დროს იყო "ზინგერის" პოდოლსკის ქარხნის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი.

3. ოტონ ივანეს ძე (იოჰანეს ძე) მისლიკი, რუსეთის ქვეშევრდომი, გერმანელი.

4. ჰენრიხ ჰენრიხის ძე ბერტლინგი, რუსეთის ქვეშევრდომი, გერმანელი, მუდმივად მცხოვრები მოსკოვში.

5. ალბერტ ჰენრიხის ძე ფლორი, გერმანიის ქვეშევრდომი, მუდმივად მცხოვრები მოსკოვში. დირექტორატის შემადგენლობაში უცვლელად შედიოდა 1902 წლიდან 1915 წლამდე, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის რუსეთიდან გასახლებამდე[53].

ალექსანდერ დუგლასს ხშირად ცვლიდა ამერიკული საზოგადოება "კომპანია ზინგერის" ვიცე-პრეზიდენტი პარკ ფრანკლინი, აშშ-ს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა ნიუ-იორკში. ცხადია, როგორც ა. დუგლასის, ისე პ. ფრანკლინის მონაწილეობა "ზინგერის" რუსული საზოგადოების მმართველობაში მხოლოდ ნომინალური იყო; თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ვ. დიქსონი ძირითადად პოდოლსკის ქარხნის საქმიანობით იყო დაკავებული, ცხადი გახდება, რომ აღნიშნული კომპანიის საქმიანობას რუსეთში ძირითადად გერმანული წარმოშობის პირები განაგებდნენ. რომ ეს ასე იყო, ცხადი ხდება თვით დირექტორთა შორის ფუნქციების განაწილებიდან. ჰ. ბერტლინგი განაგებდა ფინანსებს, ხოლო ა. ფლორი კავშირების ორგანიზაციას[54].

მ. შაროხინა თავის სტატიაში ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსეთის "კომპანია ზინგერი" არა მარტო ფორმალურად, არამედ ფაქტიურადაც ამერიკის კომპანიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამიტომ იგი ყოველნაირად აკნინებს გერმანელთა წამყვან როლს რუსულ სააქციო საზოგადოებაში. იგი წერს:

---

52 სცსია, ფ. 190, ანაწ. 1, საქმე 58, ფურც. 2.

53 იქვე.

54 М.П. Ш а р о х и н а, указ. соч., с.163.

"В "компании Зингер" преобладающим было влияние американской стороны, имевшей 97% акции. Ф.Д.Борн, Д.Александер и В.Черч имели наибольшее число акций. Тем не менее большинство членов правления являлось представителями германской группы, постепенно вытеснившими из него"[55]. აქ დაშვებულია რამდენიმე უზუსტობა: 1) თვით ავტორიც აღიარებს, რომ აქციების კოტირება არ ხდებოდა არცერთ ბირჟაზე[56]. აქციონერთა სრული სიები ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის, ამდენად მათში გერმანიის, აშშ-ს და სხვა ქვეყნების წილის დადგენა შეუძლებელია. 2) ძნელი დასაჯერებელია, რომ დირექტორატში უმრავლესობა გერმანელები იყვნენ, რომლებმაც აქციები თითქმის მთლიანად (97 %) ამერიკელებს დაუთმეს. 3) თვით ომის დაწყების შემდეგაც არ შემცირებულა გერმანელთა რაოდენობა "ზინგერის" ხელმძღვანელობაში . 4) მ. შაროხინას "ზინგერის" ხელმძღვანელობაში გერმანელთა გავლენის შემცირებად მიაჩნია პიროვნული ცვლილება – გერმანიის ქვეშევრდომ ა. ფლორის შეცვლა რუსეთის ქვეშევრდომ ი. მისლიკით. აქაც დასაზუსტებელია. ჯერ ერთი, ა. ფლორი და ი. მისლიკი ერთდროულად მსახურობდნენ "ზინგერის" დირექტორატში 1915 წლამდე, ა. ფლორის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო რუსეთიდან გაძევებამდე. ამის შემდეგ, მისლიკს შესაძლოა გადაეცა ა. ფლორის ფუნქცია – ვაჭრობის ორგანიზაცია იმპერიის მასშტაბით. მეორე, ი. მისლიკს მართლაც რომ შეეცვალა ფლორი კომპანიის მმართველობის ნაციონალურ სტრუქტურაში, ამით ბევრი არაფერი შეიცვლებოდა, რადგან, როგორც ჩანს, ავტორმა ან არ იცის, ან არ აღიარებს, რომ ი. მისლიკიც გერმანელია, ოღონდ რუსეთის ქვეშევრდომი – სარატოვიდან, რუსეთის ქვეშევრდომი გერმანელები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ძალზე ხშირად არანაკლები ერთგულებით ემსახურებოდნენ "ფატერლანდს".

მთავარ სამმართველოს (დირექტორატს) უშუალოდ ემორჩილებოდნენ ცენტრალური განყოფილებები, რომელთა რიცხვი რუსეთის იმპერიაში პირველი მსოფლიო ომის წინ 49-ს აღწევდა[57] და მათი ადგილსამყოფელი იყო შემდეგ ქალაქებში[68]: არხანგელსკი, ბაქო, ბარნაული, ვარშავა-ქალაქი, ვარშავა-ოლქი, ვერნი (ალმა-ატა), ვინიცა, ვლადივოსტოკი, ვორონეჟი, ეკატერინბურგი, ეკატერინოსლავი, ირკუტსკი, კიევი, ყაზანი, კურსკი, კოვნო, ლოძი, მოსკოვი-ქალაქი, მოსკოვი-ოლქი, მინსკი, ნიკოლაევი, ნოვოროსიისკი, ნიჟნი-

---

55 ი ქ ვ ე.

56 ი ქ ვ ე.

57 მ. შ ა რ ო ხ ი ნ ა მიიჩნევს, რომ ამ დროისათვის იყო 50 ცენტრალური განყოფილება (დასახ. ნაშრ. გვ.166), რომლებიც რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ევროპული რუსეთი – 38, ციმბირი – 6, ამიერკავკასია და შუა აზია – 3-3. ამიერკავკასიაში სამი ცენტრალური განყოფილება არასდროს არ ყოფილა. აქ "კომპანია ზინგერის" მთელი საქმიანობის პერიოდში მოქმედებდა ორი – თბილისისა და ბაქოს განყოფილებები.

68 სცსია, ფ. 153, ანაწ. 1, ს. 2860[12], ფ. 89.

ნოვგოროდი, ომსკი, ოდესა, ორენბურგი, ორიოლი, პიატიგორსკი, პერმი, პეტერბურგი - ქალაქი, პეტერბურგი-ოლქი, პოლტავა, რიგა, დონის როსტოვი, სამარყანდი, სმოლენსკი, სევასტოპოლი, სამარა, სარატოვი, ტომსკი, თბილისი, ტაშკენტი, ტულა, უფა, ჩიტა, ხარკოვი, ცარიცინი, იაროსლავლი, ჰელსინგფორსი.

თითოეული ცენტრალური განყოფილება, მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით, მოიცავდა ერთ ან რამდენიმე გუბერნიას. მის სათავეში მდგომი მმართველი, ეროვნებით, როგორც წესი, იყო გერმანელი[59]. განყოფილებასთან არსებობდა კანტორა, რომელსაც განაგებდა კანტორის უფროსი (გამგე) - ასევე აუცილებლად გერმანელი. ცენტრალური განყოფილების მთელი რაიონი დაყოფილი იყო 2-დან 4-მდე სარევიზიო უბნად, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ რევიზორ-ბუღალტრები, აგრეთვე გერმანული წარმოშობის პირები. ეს რევიზორ-ბუღალტრები აკონტროლებდნენ მათთვის მიჩენილ რამდენიმე რაიონს, ე.წ. სხვადასხვა კატეგორიის "დეპოს", რომელთა რიცხვი ცენტრალურ რაიონში მერყეობდა 10-დან 30-მდე[60]. დეპოს სათავეში იდგა გამგე. დეპოს ტერიტორია იყოფოდა ე.წ. საქალაქო და სამაზრო უბნებად. ყოველ ასეთ საქალაქო უბანს ემსახურებოდა უმცროსი საქალაქო ამკრეფი (აგენტი). ყოველ ექვს უმცროს აგენტზე მოდიოდა ერთი უფროსი აგენტი, რომელიც რევიზორის ფუნქციასაც ასრულებდა; ყოველი მაზრა, ან უფრო ხშირად "დეპოს" ტერიტორია, ქალაქგარეთ იყოფოდა სამაზრო ამკრეფთა (აგენტთა) უბნებად, მათ საქმიანობას აკონტროლებდნენ ე.წ. "სამაზრო ინკასენტები", რომლებიც უშუალოდ "დეპოს" თანამშრომლებად ითვლებოდნენ. ყოველ დეპოში ადმინისტრაციისა და აგენტების გარდა იყვნენ მაღაზიის გამყიდველები, რომლებიც ადგილზე ემსახურებოდნენ მყიდველებს, კანტორის მოსამსახურეები, რომლებიც ადგენდნენ ანგარიშებს, მექანიკოსები მანქანების შესაკეთებლად, მეფუთავეები და სხვა დამხმარე მუშები[61].

საკერავი მანქანები წარმოადგენდა მასობრივი მოხმარების ახალ საქონელს, რაც მოითხოვდა დამატებით ღონისძიებებს მომხმარებელთა მოსაზიდად. სავაჭრო ქსელის მუშაკებს ევალებოდათ გაყიდვის წინ მყიდველისათვის გამართული, სამუშაოდ გამზადებული მანქანების მიცემა და მანქანის ექსპლუატაციის მინიმალური წესების ახსნა.

მყიდველთა მოსაზიდად "კომპანია ზინგერი" ფართოდ იყენებდა ძველი მანქანების ჩაბარების წესს, რაც უცხოეთში არსებული "ზინგერის" საზოგადოებებიდან გადმოიღეს. ამ წესის თანახმად ახალი მანქანის შეძენისას, ან უბრალოდ მყიდველის სურვილით, "კომპანია ზინგერი" იძენდა ნებისმიერი კლასის და ფირმის ძველ მანქანებს. თუ შესაძლებელი იყო, მანქანას შეა-

---

59 სცსია, ფ.163, ანაწ.1, ს.2060[12], ფ. 89.

60 ცენტრალური რაიონების და "დეპოების" სახელწოდებები მკაცრად განსაზღვრული და შეტანილი იყო სპეციალურ სიებში ("ცენტრალური განყოფილებების რაიონული სია", "დეპოების რაიონული სია").(სცსია, ფ. 190, ანაწ.1, საქმე 50, ფურც. 5).

61 სცსია, ფ. 190, საქმე 30, ფურც. 9, 20-25.

კეთებდნენ და ყიდდნენ უფრო დაბალ ფასებში, თუ არა და ვარგის ნაწილებს ხსნიდნენ და დანარჩენს ჯართად იყენებდნენ. ახალი მანქანის ყიდვის შემთხვევაში მყიდველს ძველ მანქანაში მით უფრო მეტს უხდიდნენ, რამდენადაც მეტი ღირდა შესასყიდი ახალი მანქანა და მასზე მოთხოვნილება ნაკლები იყო. პოდოლსკის ქარხნის საოჯახო მანქანების ყიდვისას, რამდენადაც მათზე დიდი მოთხოვნილება იყო, მყიდველებს ძველ მანქანაში 3–5 მან. უხდიდნენ. ხოლო სახელოსნო მანქანების შეძენისას, მათი ღირებულების 10 %-ს[62]. ძველი მანქანების შესყიდვა იყო კონკურენტებთან ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი, რადგან სხვა ფირმის ჩაბარებული მანქანები, რაც არ უნდა კარგ მდგომარეობაში ყოფილიყო, უსათუოდ იმტვრეოდა და ჯართში იყრებოდა[63]. მანქანებს იღებდნენ განვადებით მყიდველთაგან, რომლებიც ვერ ახერხებდნენ ვალის დაფარვას და გადააცილებდნენ განვადებით გათვალისწინებულ ვადას. ამ მყიდველებს გარკვეული დროით ენახებოდათ მანქანები, მაგრამ თუ ისინი საბოლოოდ ვერ შეძლებდნენ ვალის გადახდას და უარს იტყოდნენ მანქანებზე, მაშინ ასეთ მანქანებს შეაკეთებდნენ და ყიდდნენ. ვაჭრობის ასეთი სისტემის გამოყენებით "კომპანია ზინგერმა" მნიშვნელოვნად გაადიდა თავისი წლიური საქონელბრუნვა. იგი 1899 წლიდან 1914 წლამდე 8,3-ჯერ გაიზარდა და 61,5 მილიონ მანეთს მიაღწია[64].

ახალი ცენტრალური განყოფილებების ან "დეპოების" გახსნა დამოკიდებული იყო სავარაუდო მყიდველთა რიცხვზე, ანუ ოჯახთა რაოდენობაზე, რადგან "ზინგერის" მესვეურები თვლიდნენ, რომ ყოველი ოჯახი ადრე თუ გვიან გაებმებოდა მათ ქსელში, ნაღდ ანგარიშზე ან კრედიტით შეიძენდა მათ საკერავ მანქანას. კრედიტი, ანუ განვადება ორი სახის იყო: 1) მოკლევადიანი – 3 თვის ხანგრძლივობით და 2) გრძელვადიანი – 6 თვიდან 3 წლამდე ხანგრძლივობით.

დეპოს გამგე განაგებდა ერთ ან რამდენიმე მაღაზიას, საწყობს, მექანიკურ სახელოსნოს და ემსახურებოდა 1000-დან 2500-მდე კრედიტორს[65].

ახალი ცენტრალური განყოფილების, დეპოს ან მაღაზიის გახსნისას კომპანია აწარმოებდა რთულ გაანგარიშებებს: იხილავდა სამოქმედო ტერიტორიაზე მყიდველთა, კრედიტორთა და მცხოვრებთა რიცხვს და მათ ურთიერთშეფარდებას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობას და პერსპექტივებს, მოსახლეობის საშუალო შემოსავალს და ა.შ., რის შემდეგადაც გამოჰქონდათ დასკვნა – მისცემდათ თუ არა მოგებას ამა თუ იმ რაიონში კომპანიის ახალი განშტოების შექმნა და რა სახის და რა მასშტაბის უნდა ყოფილიყო ეს განშტოება.

"კომპანია ზინგერი" რუსეთის იმპერიაში ვაჭრობას, წამყვანი საზღვარ-

---

62 ЦГИАЛ ф. 1275, оп.2, д.5, л.89.

63 Там же, д.40, л.5-9.

64 М.П. Ш а р о х и н а, указ. соч., с.168-169.

65 სცსია, ფ. 190, ანაწ.1, საქმე 38, ფურც. 20-26; საქმე 41, ფურც. 2, 4-5.

გარეთული ფირმების მსგავსად, აწარმოებდა პრინციპით: ყოველგვარი საქონელი საკუთარი მაღაზიებისა და თანამშრომლების საშუალებით მიეყიდოს უშუალოდ მომხმარებლებს ყოველგვარი შუამავლებისა და გადამყიდველების გარეშე. ეს მეთოდი ყველაზე სრულყოფილად ითვლებოდა. როგორც აღინიშნა, "კომპანია ზინგერი" რუსეთის იმპერიის საკმაოდ დაბალმყიდველობითუნარიან მოსახლეობაში საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობით გასავრცელებლად ფართოდ მიმართავდა კრედიტით (განვადებით) ვაჭრობას. ამის საშუალებას მას აძლევდა უცხოეთის ბანკებთან მჭიდრო კავშირი და მათგან დაფინანსება, მაგრამ ამ დაფინანსების წყაროების უმრავლესობის დადგენა არ ხერხდება.

აძლევდა რა კრედიტით მანქანებს, "კომპანია ზინგერი" პირველ რიგში ცდილობდა მაღაზიის ხელმძღვანელობისა და აგენტების მეშვეობით თავისი კლიენტების კრედიტუნარიანობის დადგენას, აგროვებდნენ ცნობებს ყოველი მყიდველის ქონებისა და შემოსავლის შესახებ, არკვევდნენ შეეძლო თუ არა მას ყოველკვირეული ან ყოველთვიური გადასახადის თანხის შეტანა. რადგან იმდროინდელი რუსეთის იმპერიის და, კერძოდ, ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიწათმოქმედი იყო, საკერავი მანქანებით ვაჭრობა დიდად იყო დამოკიდებული მოსავალზე. ამიტომ, თუ მოსალოდნელი იყო კარგი მოსავალი, დეპოს უფროსები (მაღაზიის გამგეები) აღიდებდნენ მოთხოვნებს, შეკვეთებს მანქანებსა და მის ნაწილებზე, თუ არა და, პირიქით, მომმარაგებლებისაგან ნაკლებ საქონელს ითხოვდნენ.

"კომპანია ზინგერი" საკერავი მანქანებით ვაჭრობდა როგორც მაღაზიების, ისე ამკრეფების (აგენტების) მეშვეობით. აგენტებს პირადად ეძლეოდათ მანქანების გარკვეული რაოდენობა. მათ ევალებოდათ, დილის 8 საათზე გამოცხადებულიყვნენ სამსახურში, თავიანთ სამოქმედო უბანზე კარდაკარ ევლოთ და გაეყიდათ თვეში არანაკლებ ოთხი მანქანისა, თითოეულ გაყიდულ მანქანასთან ერთად უნდა გაესაღებინათ სათადარიგო ნაწილებისა და ძაფის გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ჩემოდნით თან უნდა ეტარებინათ[66]. აგენტებს ეკრძალებოდათ "კომპანია ზინგერში" მუშაობასთან ყოველგვარი სხვა საქმიანობის შეთავსება. ადმინისტრაციას თავისი შეხედულებით შეეძლო აგენტების ადგილგადანაცვლება ერთი ქალაქის ან მაზრის ფარგლებში. აღნიშნული სამუშაოს შესრულებისათვის კომპანიის აგენტები იღებდნენ ხელფასს - კვირაში 4 მანეთს და ყოველი გაყიდული მანქანის ღირებულების 5 %-ს[67]. "კომპანია ზინგერში" მუშაობის პირობები თითქოს არ იყო ცუდი. მართლაც, მთელი მისი არსებობის მანძილზე იგი იმით ამაყობდა, რომ სხვა დამსახურებებთან ერთად "საკმაოდ კარგ პირობებში ამუშავებდა და არსებობის საშუალებას უქმნიდა ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს". მაგრამ აგენტების მდგომარეობა სინამდვილეში გაცილებით რთული და მძიმე იყო, ვიდრე შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. ეს შემდგომში არაერთხელ

---

66 სცსია, ფ.190, ანაწ.1, საქმე 4, ფურც.1; საქმე 41, ფურც. 4-5.

67 იქვე.

გახდა მიზეზი, ერთი მხრივ, მატერიალურად შევიწროვებულ და მძიმე პირობებში მომუშავე აგენტებსა (ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს) და, მეორე მხრივ, თითქმის სულ უცხო ელემენტებისაგან შემდგარ ადმინისტრაციას (ცენტრალური განყოფილებებისა და დეპოების ხელმძღვანელებს) შორის მომხდარი კონფლიქტებისა. თვეში ოთხი და მეტი მანქანის თავისი დანამატით გაყიდვა რუსეთის იმპერიაში "კომპანია ზინგერისათვის" კონკურენციის თითქმის არარსებობის პირობებში, თვით მოსახლეობის დაბალმყიდველუნარიანობის გათვალისწინებით, თითქოს არ იყო ძნელი, მაგრამ აგენტებს სასტიკ კონკურენციას უწევდა... თვით "კომპანია ზინგერი", მისი მაღაზიების სახით. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ მყიდველისათვის მაღაზიებში საკერავი მანქანების ფასები და გაყიდვის პირობები მნიშვნელოვნად უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე ეს აგენტებს ჰქონდათ პრეისკურანტით მიცემული. ამიტომ აგენტები, ყოველი კონფლიქტის დროს, თავის მოთხოვნილებების ერთ-ერთ მუხლად აყენებდნენ ერთიანი ფასების შემოღებას მათთვის და მაღაზიებისათვის[68].

"კომპანია ზინგერი" სრულიადაც არ ქმნიდა სამოთხეს თავისი აგენტებისათვის, როგორც ამას ხელისუფლებისადმი განცხადებებში არაერთხელ ამტკიცებდა და პრესის ფურცლებზე ლაღადებდა "ზინგერის" ხელმძღვანელობა. "კომპანია ზინგერის" აგენტები, იმდროინდელი დოკუმენტებისა და პრესის მოწმობით, მოსახლეობის ყველაზე უფრო ექსპლოატირებულ, დაჩაგრულ და დამცირებულ ნაწილს მიეკუთვნებოდნენ[69].

აი, როგორ ახასიათებდა, მაგალითად, "კომპანია ზინგერის" აგენტს ამიერკავკასიის იმდროინდელი პრესის ერთ-ერთი ორგანო: "ყოველმა შეგნებულმა ადამიანმა, რომელიც გაზეთებს კითხულობს, იცის, თუ რას წარმოადგენს "კომპანია ზინგერის" თანამშრომელი. ეს არის აბსოლუტურად დათრგუნული და ულმობელად ექსპლუატირებული არსება. თქვენ ყველამ იცით "ზინგერის" ეს აგენტები, გაყვითლებული ქვაბქუდებით, გაცვეთილი ჩექმებით რომ დაძვრებიან თვალუწვდენელ რუსეთის სოფლებში, ერთგულ ქვეშევრდომებს აგროვებენ "კომპანია ზინგერისათვის" და ამისათვის იღებენ ზუსტად იმდენს, რამდენიც საჭიროა, რომ სიკვდილით არ დაიხოცონ.

"კომპანია ზინგერის" აგენტი – ეს საცოდავი ყველასაგან დავიწყებული არსებაა, რომელიც ვალდებულია, რაც არ უნდა დაუჯდეს, გაყიდოს ყოველთვიურად მანქანებისა და მოწყობილობის გარკვეული რაოდენობა და ყურადღება მიაქციოს გადამხდელთა კეთილდღეობას. აგენტის სიცოცხლე ისეა რეგლამენტირებული, რომ იგი მთლიანად ეკუთვნის "კომპანია ზინგერს".

"ზინგერი"... ეხარმაზარი რვაფეხაა, რომელმაც თავისი საცეცები შემოახვია მთელ რუსეთს და ათეულ ათასობით მშიერი ადამიანი აქცია თავისი გეგმების შემსრულებლად"[70].

"კომპანია ზინგერის" მოგების უდიდეს ნაწილს მისი აქციების მფლობელ-

-----------

68 სცსია, ფ.190, ანაწ.1, საქმე 4, ფურც.1; საქმე 41, ფურც. 4-6.
69 ი ქ ვ ე, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3638, ფურც. 5, 9, 15, 19.
70 Газ. „Каспий", 9, VII 1915, №177.

ნი, რუსეთის ხელისუფლება და ადმინისტრაცია ინაწილებდნენ, ხოლო მანქანების უშუალო მწარმოებელ-გამსაღებლები მთლად საარსებო გროშებს იღებდნენ. თუ რამდენად დიდი იყო განსხვავება ადმინისტრაციისა და რიგითი თანამშრომლების (აგენტების) შრომის ანაზღაურებას შორის, გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი სხვადასხვა წლების მონაცემები.

1905 წლის დეკემბერში თბილისის ცენტრალური განყოფილების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ხელფასის სახით მიიღეს:

1. ცენტრალური განყოფილების მმართველმა შრედერმა - - - - - 1225 მან
2. კანტორის გამგემ ფარენბუხმა - - - - - - - - - - - - - - 250 მან
3. ბუღალტერმა გრაუბემ - - - - - - - - - - - - - - - - - 225 მან
4. კანტორის თანამშრომელმა ბალმიმ - - - - - - - - - - - - 220 მან
5. კანტორის თანამშრომელმა დორიგმა - - - - - - - - - - - - 215 მან

ამავე თვეში თბილისის ცენტრალური განყოფილების რიგითი თანამშრომლების (აგენტების) ხელფასი შეადგენდა:

1. ჭავჭავაძის - - - - - - - - - - - - - - - - - - 52 მან.
2. ზახაროვას - - - - - - - - - - - - - - - - - - 46 მან.
3. კოვალსკაიას - - - - - - - - - - - - - - - - - 46 მან.
4. დიუბეკის - - - - - - - - - - - - - - - - - - 46 მან.
5. ოსიპოვას - - - - - - - - - - - - - - - - - - 41 მან.
6. მომპერანის - - - - - - - - - - - - - - - - - 41 მან.
7. ზამეტის - - - - - - - - - - - - - - - - - - 36 მან.
8. გეგევეს - - - - - - - - - - - - - - - - - - 36 მან.
9. აგაბეკოვას - - - - - - - - - - - - - - - - - 26 მან.
10. მარგველაშვილის - - - - - - - - - - - - - - - 26 მან.
11. ქობულოვას - - - - - - - - - - - - - - - - - 26 მან[71].

ასეთივე თანაფარდობა ხელფასში შეინარჩუნეს შემდგომ წლებშიც.

1910 წ. თბილისის ცენტრალური განყოფილების მმართველმა ესტემ წლიური ხელფასის სახით მიიღო 7160 მან., კანტორის გამგეებმა დეკშენეკმა და შრედერმა, შესაბამისად, - 2630 და 1327, ხოლო კანტორის აგენტების საშუალო ხელფასი იმავე წელს 120-460 მან. იყო[72].

1917 წ. მმართველ ესტეს წლიური ხელფასი შეადგენდა 7280 მან., კანტორის გამგე შრედერის - 1820 მან., ხოლო კანტორის აგენტების საშუალო წლიური ხელფასი - 160-დან 560 მანეთამდე[73].

თუ "ზინგერის" ხელმძღვანელობას ჰქონდა ადმინისტრაციული კადრების (ცენტრალურ განყოფილებათა მმართველები, კანტორის გამგეები, რევიზორ-ბუღალტრები) შერჩევის საშუალება, რა თქმა უნდა, მისთვის ძნელი იყო ყოველი აგენტის შერჩევა - შემოწმება. ამიტომ "კომპანია ზინგერში" აგენ-

---

71 სცსია, ფ. 190, ანაწ. 1, საქმე. 4, ფურც. 1.

72 ი ქ ვ ე, საქმე, 17, ფ. 1-3.

73 ი ქ ვ ე, საქმე 20, ფ. 1-3.

ტად მიღების შემდეგი წესი არსებობდა. ახალი აგენტის მისაღებად საჭირო იყო ძველი, კომპანიისათვის სანდო აგენტის თავდებობა. თავდები მატერიალურად იყო პასუხისმგებელი კომპანიის წინაშე მის მიერ წარდგენილი პირის ყოველგვარი მოქმედებისათვის. ეს პასუხისმგებლობა თავდებს ნოტარიალურად დამოწმებული ხელწერილით უნდა დაედასტურებინა. მაგალითისათვის მოვიტანთ ერთ ასეთ საბუთს, რომელსაც ვინმე დ. არჯევანიძე უდგენდა "კომპანია ზინგერს" დ.გ. ნათიევის (ნათიშვილის) აგენტად (საქალაქო ამკრებად) მიღებისათვის:

"1914 წლის 10 ნოემბერს, მე, ქვემორე ხელისმომწერი, ვაძლევ სააქციო საზოგადოება "კომპანია ზინგერის" მმართველობას ამ ხელწერილს მასზედ, რომ მე ვიღებ ჩემზე ქონებრივ პასუხისმგებლობას ყოველგვარი ზარალისათვის, რომელიც შეიძლება კომპანიას მოუვიდეს მის მიერ სამსახურში საქალაქო ამკრებად მიღებული დიმიტრი გიორგის ძე ნათიევის სამოქალაქო ან სისხლის სამართლის წესით არასწორი, ან დანაშაულებრივი მოქმედებისა და დაუდევრობის გამო. თვით ზარალის, ზარალის მიზეზისა და ოდენობის დამადასტურებელ საბუთად ითვლება კომპანიის ანგარიშსწორება დიმიტრი გიორგის ძე ნათიევთან და ყოველგვარი დავა ამ ვალდებულებასთან დაკავშირებით ექვემდებარება სასამართლო დაწესებულებებს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იმყოფება კომპანიის აღნიშნული მმართველობა.

დავით სიმონის ძე არჯევანიძე"[74]

არჯევანიძის ხელმოწერა დადასტურებულია ქ. თბილისის ნოტარიუსის მიერ. ანალოგიური დოკუმენტები მრავლადაა დაცული საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო-ისტორიულ არქივში. ამ სისტემით "კომპანია ზინგერი" აძლიერებდა თავისი აგენტების დამოკიდებულებას კომპანიისაგან და ამაღლებდა მათ პასუხისმგებლობას.

წარმოდგენილი სისტემით მთელი რუსეთის იმპერიის ტერიტორია "კომპანია ზინგერის" ქსელში იყო გახვეული. არ იყო იმპერიის არცერთი მივარდნილი კუთხე, სადაც "ზინგერის" აგენტთა საქმიანობა არ იყო გაშლილი. ამ მხრივ ძნელია მოინახოს სხვა რომელიმე რუსული ან უცხოური კომპანია, რომელიც "ზინგერს" შეედრებოდეს. პატარა ქალაქ ვერნში (ალმა-ათა), რომლის მოსახლეობა იმ დროისათვის 40 000 კაცს არ აღემატებოდა, "კომპანია ზინგერის" 21 მხოლოდ აგენტი (18 უმცროსი და 3 უფროსი) საქმიანობდა. პირველი მსოფლიო ომის წინ თბილისსა და ბაქოში "ზინგერის" 201-201 თანამშრომელი ირიცხებოდა, ქუთაისის გუბერნიაში[75] – 187. "ზინგერის" აგენტები აქტიურად საქმიანობდნენ ისეთ მივარდნილ კუთხეში, როგორიც საინგილო იყო[76]. საერთოდ, ამიერკავკასიაში პირველი მსოფლიო ომის წინ "ზინგერის" თანამშრომელთა რაოდენობა 800 აღემატებოდა. ხელმძღვანელი თა-

---

74 სცსია, ფ. 190, ანაწ. 1, საქმე 6, ფურც. 4.

75 ი ქ ვ ე, ფ. 153, ანაწ.1, საქმე $2060^{12}$, ფურც. 4–20; ფ.190, ანაწ.1, საქმე 53, ფურც. 1–5; ფ. 13, ანაწ.27, საქმე 3642, ფურც.20.

76 სცსია, ფ. 153, ანაწ. 1, საქმე $2060^{12}$, ფურც. 36.

ნამდვილობის პირთაგან განსხვავებით აგენტთა უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეობიდან იმიტომ ინიშნებოდა, რომ, როგორც თვით კომპანიის მიერ მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათშია აღნიშნული, "მათ კარგად იცოდნენ ის ენა, რომელიც საჭიროა ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისათვის"; ამ მომენტს "ზინგერის" მმართველობა ქვეყნის წინაშე თავის დიდ დამსახურებად თვლიდა და იქვე პირფერულად აღნიშნავდა: "ზოგჯერ ადგილზე გამოცდილ მოსამსახურეთა უკმარისობის გამო, გადაგვყავს იქ მოსამსახურენი სხვა ადგილებიდან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ისეთ თანამდებობებზე, რომლებზეც საჭირო არ არის ადგილობრივი ენის ცოდნა. ასევე ყველგან გვყავს მცირე რაოდენობით უცხოეთის (უმთავრესად გერმანიის – გ.მ.) ქვეშევრდომები, რომლებსაც მათი სპეციალობის და ცოდნის მიხედვით საჭიროებს ასეთი ფართო საქმე, მაგრამ მათი რიცხვი მოსამსახურეთა საერთო რიცხვთან შედარებით უმნიშვნელოა"[77].

ეს მოხსენებითი ბარათი "ზინგერის" მმართველობამ შეადგინა პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ და წარმოადგენს ცდას – ყოველმხრივ გააზვიადოს საკუთარი დამსახურება რუსეთის იმპერიისა და მოსახლეობის წინაშე და მიჩქმალოს თავისი საქმიანობის ჩრდილოვანი მხარეები.

პირველი მსოფლიო ომის წინ "კომპანია ზინგერის" მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა მთელი რუსეთის იმპერიაში შეადგენდა 30.328 კაცს, მათ შორის 6 614 პოდოლსკის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები იყო[78]. ამ რიცხვიდან, კომპანიის მონაცემებით, მხოლოდ 131 იყო გერმანიის ქვეშევრდომი, რაც თითქოს კომპანიაში გერმანელთა მცირე გავლენის დამადასტურებელი იყო, მაგრამ სინამდვილეში გერმანელთა რიცხვი კომპანიაში გაცილებით მეტი იყო, რადგან ამ რიცხვში არ არის შეყვანილი არა მარტო რუსეთის ქვეშევრდომი გერმანელები, არამედ თვით ორმაგი ქვეშევრდომობის მქონე გერმანიიდან გამოსული პირები[78], რომელთა რიცხვი კომპანიის შემადგენლობაში საკმაოდ დიდი იყო. მაგალითად, თბილისის ცენტრალურ განყოფილებას მთელი მისი არსებობის მანძილზე ასეთი პირები ედგნენ სათავეში.

მთელი ამიერკავკასია გაყოფილი იყო "კომპანია ზინგერის" ორი ცენტრალური განყოფილების – თბილისისა და ბაქოს სამოქმედო ასპარეზად. თბილისის ცენტრალურ განყოფილებას ევალებოდა ორივე განყოფილების მუშაობის კოორდინირება, მაგრამ "ზინგერის" ცენტრალური განყოფილებების სამოქმედო ზონების საზღვრები აბსოლუტურად როდი ემთხვეოდა გეოგრაფიულ, ადმინისტრაციულ, ეთნიკურ და ან თვით საეკლესიო საზღვრებს. თბილისის ცენტრალური განყოფილების საქმიანობის არე განსაზღვრული იყო თბილისის გუბერნიით, ქუთაისის გუბერნიით (ბათუმისა და სოხუმის ოლქების ჩათვლით), ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიების ნაწილით, ქ. თავრიზის ოლქით

---

77 სცსია, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3658, ფურც. 2.

78 გერმანელთა ორმაგი ქვეშევრდომობის შესახებ იხ. გ. მანჯგალაძე, იმპერიალისტური გერმანიის ექსპანსიონისტური პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ, "მაცნე", 1971, №1.

(სპარსეთი). ბაქოს ცენტრალური განყოფილების სამოქმედო ტერიტორიაში შედიოდნენ: ბაქოს გუბერნია, ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიების ნაწილი, დაღესტნის ოლქი და თერგის ოლქის აღმოსავლეთ ნაწილი; ბაქოს ცენტრალურ განყოფილებასვე ემორჩილებოდნენ რუშტსა და თეირანში (სპარსეთი) არსებული დეპოები. საკმაო რაოდენობით იყო ამიერკავკასიაში "ზინგერის" მაღაზიებიც: თბილისში - 7, ბაქოში - 9, ქუთაისში - 2, ელისავეტპოლში - 2 და ა.შ. თბილისისა და ბაქოს ცენტრალურ განყოფილებებში დეპოების რაოდენობა სხვადასხვა წლებში მერყეობდა 20-26 ერთეულს[79].

ფართოდ დაქსელილი და ხშირობით ორგანიზაციის არსებობა ხელს უწყობდა რუსეთის იმპერიასა და ამიერკავკასიაში "კომპანია ზინგერის" სულ უფრო მზარდ სავაჭრო ბრუნვას. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში "კომპანია ზინგერის" საქმიანობის პირველი ათწლეული დაემთხვა კრიზისულ პერიოდს, მისი საქონელბრუნვა განუწყვეტლივ ფართოვდებოდა და იზრდებოდა.

კრიზისის პირველმა სიმპტომებმა რუსეთში თავი იჩინა ჯერ კიდევ 1899 წლის ზაფხულში, როდესაც "კომპანია ზინგერი" სულ ორი წლის ჩამოყალიბებული იყო და ახლად იწყებდა თავის საქმიანობას. კრიზისმა გამოიწვია მთელი რიგი საბანკო და სამრეწველო ფირმების გაკოტრება. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საბანკირო მაგნატების ფონ დერვიზისა და მამონტოვის, სამხრეთ რუსეთის მსხვილი მეწარმის ალჩევსკის და სხვ. კრახი. ქვეყნის შიგნით არსებული ფეოდალურ-ბატონყმური გადმონაშთებით განპირობებული შინაგანი ბაზრის სივიწროვე, რაც იწვევდა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, სამრეწველო ნაწარმზე მოთხოვნილების შემცირებას, განსაკუთრებით მწვავეს ხდიდა კრიზისს რუსეთში. კრიზისის გამწვავებას, აგრეთვე, ხელი შეუწყო წინა პერიოდის საგრიუნდერო ციებ-ცხელებამ. ყველაზე ძლიერმა კრიზისმა შეარყია ლითონდამამუშავებელი და მეტალურგიული მრეწველობა. კრიზისის წლებში თუჯის გამოდნობა შემცირდა 15,2 %-ით, რელსების წარმოება 32 %-ით, ორთქლმავლების გამოშვება 26 %-ით. კრიზისის გავლენა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, კაპიტალისტურ გაერთიანებებს ხაზინა რომ არ დახმარებოდა. მთავრობის დახმარებით, რომელმაც დიდი სახელმწიფო შეკვეთები გასცა, კრახი აიცილეს მთელმა რიგმა მსხვილმა საბანკო და სამრეწველო საწარმოებმა (მაგ. ძმების პოლიაკოვის საბანკო ჯგუფმა).

1904 წელს დაწყებულმა რუსეთ-იაპონიის ომმა, მნიშვნელოვნად გაადიდა რა სახაზინო შეკვეთების მოცულობა, ხელი შეუწყო რუსეთის მრეწველობის ნაწილობრივ გამოცოცხლებას. მაგრამ, შემდგომში, 1905 წლის ამბებმა დააფრთხეს უცხოელი და რუსი კაპიტალისტები, რომლებიც თავს იკავებდნენ რუსეთის მრეწველობაში ახალი კაპიტალდაბანდებებისაგან, დეზორგანიზაცია შეიტანეს ქვეყნის ეკონომიკაში, რაც პირველ რიგში განპირობებული იყო პოლიტიკური მიზეზებით. 1906-1907 წლებში დაიწყო ერთგვარი გამოცოცხლება, მაგრამ 1908 წ. ევროპის ქვეყნებში დაწყებული სამრეწველო კრიზისი რუსეთსაც მოედო.

ამგვარად, "კომპანია ზინგერის" საქმიანობის პირველ ათწლეულში რუ-

---

79 სცსია, ფ. 190, ანაწ. 1, საქმე 58, ფურც. 5-6.

სეთის ეკონომიკა შევიწროებულ მდგომარეობაში იყო. მაგრამ ეს ვითარება თითქმის არ შეეხებია "კომპანია ზინგერს", რომელიც განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. როგორც აღვნიშნეთ, "ზინგერი" რუსეთში თავისი საქმიანობის პირველ წლებში, კრიზისული სიტუაციის მიუხედავად, საკმაოდ კარგად აწარმოებდა ოპერაციებს და მნიშვნელოვან მოგებას ღებულობდა. ეს კი განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

1) რუსეთის იმპერიის შიდა ბაზარზე "ზინგერს" საკერავი მანქანებით ვაჭრობაში მონოპოლიური მდგომარეობა ეკავა. იგი იყო ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ამ მანქანებით ვაჭრობდა და თითქმის არ ჰყავდა კონკურენტი[80].

2) "კომპანია ზინგერი" აბსოლუტურად იზოლირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა რუსეთის სამრეწველო–საბანკო კაპიტალთან. მას არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა რუსეთში მოქმედ რუსულ ან უცხოურ ბანკებსა და კაპიტალისტურ საზოგადოებასთან, რის გამოც ნაკლებად განიცდიდა კრიზისული მოვლენების ზემოქმედებას. ამასთანავე, ძალზე მაღალი დივიდენდი და მით განპირობებული საზღვარგარეთის მძლავრი ფინანსური ჯგუფების მხარდაჭერა მას აძლევდა კრედიტით ვაჭრობის საშუალებას, რაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მისი საქონლის გასაღებას.

3) იმ პერიოდში რუსეთში სუსტად იყო განვითარებული სამკერვალო მრეწველობა. ამიტომ საკერავი მანქანების მყიდველები, ძირითადად, კერძო პირები იყვნენ – როგორც შეძლებული კლასების, ისე წვრილი ბურჟუაზიის, ხელოსნების, მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები. როგორც საერთოდ მანქანური წარმოება, საკერავი მანქანა განუზომლად უფრო წარმადი იყო ხელით კერვასთან შედარებით. იგი გარკვეულ დროსა და სახსრებს უზოგავდა ყოველ ოჯახს. ამასთან ერთად, იმ დროისათვის მანქანების მაღალი ხარისხი და საიმედობა მუშაობაში მეტად დიდ პოპულარობას უხვეჭდა მათ. კერვაში გარკვეული დაოსტატება მანქანას არა მარტო ეკონომიის, არამედ შემოსავლის წყაროდაც აქცევდა, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დაბალი კლასების წარმომადგენლებისათვის – ხელმოკლე ოჯახებისათვის, მარტოხელა ქალებისა და ა.შ. "ზინგერის" საკერავი მანქანა იმდენად პოპულარული გახდა, რომ იგი ერთ-ერთ მდიდრულ ნივთად ითვლებოდა ქალის მზითვში. "კომპანია ზინგერი" ფართოდ ზრუნავდა საკუთარი საქონლის პოპულარობისათვის. პრესის, ბუკლეტების, საოჯახო კალენდრების და სხვ. გამოცემით იგი ფართო რეკლამას უწევდა საკუთარ ნაწარმს[81].

განსაკუთრებული პირობების გამო "კომპანია ზინგერი" ამ კრიზისულ წლებშიც აფართოებდა თავის საქმიანობას და მნიშვნელოვან მოგებას იღებდა. 1905 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ამიერკავკასიაში (ქალაქები თბილისი, ბაქო, ბათუმი, ელისავეტპოლი, ქუთაისი, ერევანი, სოხუმი, ყარსი, ფოთი, ალექსანდროპოლი, დერბენტი, შუშა მათი მიმდებარე ტერიტორიებით) გაიყიდა 8 344 საკერავი მანქანა, რომელთა საერთო ღირებულება

---

80 სცსია, ფ.190, ანაწ. 1, საქმე 68, ფურც. 7–11.

81 იქვე, საქმე 3, ფურც. 16.

აღწევდა 586 317 მან. და 12 კაპ[82]. ახალ საკერავ მანქანებთან ერთად უმნიშვნელო რაოდენობით (1-3 %) საღდებოდა დაბრუნებული ძველი და ხელახლა შეკეთებული მანქანებიც. 1906 წ. მხოლოდ იანვარში ამიერკავკასიაში გაიყიდა 61 448 მან. და 41 კაპ. ღირებულების 892 საკერავი მანქანა, 1907 წელს-1 027 681 მან. და 43 კაპ. 14 410 საკერავი მანქანა, ხოლო 1908 წ.მხოლოდ თბილისის ცენტრალურმა განყოფილებამ გაასაღა 556 054 მან. და 6 კაპ. ღირებულების 7 749 მანქანა[83].

კრიზისისა და დეპრესიის წლებში კიდევ უფრო გამოაშკარავდა რუსეთის მრეწველობის ცალკეული დარგების (მანქანათმშენებლობის, ელექტროინდუსტრიის და სხვ.) და ტრანსპორტის განვითარების ცალმხრივი ხასიათი. "უცხოეთის კონცერნები რუსეთში ქმნიდნენ "შვილობილ" საზოგადოებებს, რომელთაც ჰქონდათ "სამამულო მრეწველობის" დროშით გამოსვლისა და ხელისუფალთა მფარველობისა და დახმარების მოთხოვნის შესაძლებლობა"[84]. ასეთ პოლიტიკას მთელი მისი არსებობის მანძილზე ანხორციელებდა "კომპანია ზინგერიც". ზემოაღნიშნულმა მიზეზებმა და ხელისუფლების ორგანოების ყოველმხრივმა დახმარებამ "კომპანია ზინგერს" მისცა საშუალება, ყოველგვარი ჩავარდნების გარეშე თავისი საქმიანობის წარმოების შესაძლებლობა. მოყვანილი ციფრობრივი მონაცემებიდან ჩანს, რომ კრიზისულ წლებშიც კი საქონლის გასაღების შეფერხებას და შემოსავლის კლებას, რომელსაც "ზინგერის" ხელმძღვანელები აცხადებდნენ, ადგილი არ ჰქონია.

ხანგრძლივი შეფერხების შემდეგ, 1909-1910 წლებიდან რუსეთის ეკონომიკის განვითარებაში დაიწყო ახალი სამრეწველო აღმავლობა, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე გრძელდებოდა. მთელ რუსეთის იმპერიაში აღმავლობის წლები აღინიშნა ეკონომიკის ყველა დარგში მონოპოლიურ დაჯგუფებებს შორის ბრძოლის გამწვავებით, ადგილობრივი სამრეწველო-ფინანსური ჯგუფების აქტივიზაციით და ნაციონალური კაპიტალის უცხოური კაპიტალისადმი წინააღმდეგობის გაძლიერებით. რუსეთში გაძლიერდა მრეწველობისა და, განსაკუთრებით, საბანკო კაპიტალის კონცენტრაცია. უცხოეთის ფინანსური კაპიტალის ახალი ტაქტიკის გამო გაიზარდა ბანკების მნიშვნელობა. პირველი სამრეწველო აღმავლობის წლებში (XIX ს. 90-იანი წლები) ევროპული ქვეყნების ბანკები და მონოპოლიები ხშირად მოქმედებდნენ დამოუკიდებლად, უშუალოდ აბანდებდნენ თანხებს რუსეთის სამრეწველო საწარმოებში. მთელმა რიგმა მარცხმა, რომლებიც გამოწვეული იყო რუსეთის იმპერიის კონკრეტული პირობების ცუდი ცოდნით და, რაც მთავარია, რუსეთის ფინანსურ-კაპიტალისტური წრეების წინააღმდეგობით, რომელთაც არ სურდათ თავისი წილი შემოსავლის დაკარგვა, აიძულეს უცხოეთის საბანკო-სამრეწველო კაპიტალის წრეები შეეცვალათ ინვესტიციური პოლიტიკა. ამ პერიოდში უცხოეთის კაპიტალი ცდილობდა ემოქმედა ადგილობრივ კაპიტალთან ერთად. უცხოურიდან

---

82 სცსია, ფ.190, ანაწ.1, საქმე 6, ფურც.1; საქმე, ფურც.19-20.

83 იქვე, საქმე 11, ფურც. 23-24.

84 В.С. Дякин, указ. соч., с.130.

განსხვავებით გერმანული კაპიტალი მოქმედებდა დამოუკიდებლად. გერმანული კაპიტალი უფრო შორსაც მიდიოდა. ხშირად სხვა ქვეყნების მონოპოლიები და მათი აგენტები თანამშრომლობისათვის იწვევდნენ გერმანულ ფირმებსა და მის წარმომადგენლებს, როგორც რუსეთის პირობების საუკეთესო მცოდნეებს. მაგრამ უცხოეთის კაპიტალთან კავშირის პრიორიტეტი, რაც უკავშირდებოდა ქვეყნის ბუნებრივი რესურსებისა და მრეწველობის ექსპლუატაციას, ადგილობრივ კაპიტალისტურ წრეებს რჩებოდათ.

1910-1914 წლებში რუსეთის მანქანათმშენებელ და ლითონდამმუშავებელ მრეწველობაში შეიქმნა მთელი რიგი მონოპოლისტური გაერთიანებები. ამ ახალ სიტუაციაში "კომპანია ზინგერის" მძლავრ სისტემას თითქმის არავითარი ცვლილება არ განუცდია. იგი მონოპოლიურად ფლობდა რუსეთის ბაზარს და წარმატებით აგრძელებდა თავის საქმიანობას.

ამ წლებში რუსეთის იმპერიის ეკონომიკაში კვლავ დიდ როლს ასრულებდა უცხოური კაპიტალი. ქვეყნის ძირითად ბანკებთან მჭიდროდ დაკავშირებულმა, სამრეწველო საწარმოებში ფართოდ მონაწილე უცხოეთის კაპიტალმა თავის გავლენას დაუმორჩილა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგები. მაგრამ ამასთან ერთად ძლიერდებოდა რუსეთისა და, აგრეთვე, ნაციონალური მხარეების კაპიტალი.

გერმანული მონოპოლიები შექმნილი მდგომარეობის გამო იძულებული გახდნენ შეეცვალათ ტრადიციული პოლიტიკა. გერმანელი კაპიტალისტების საქმიანობას რუსეთში გარკვეული თავისებურებები ახასიათებდა. მსხვილი გერმანული კონცერნები რუსეთში ქმნიდნენ "შვილობილ" საწარმოებს, რომლებიც საჭირო სახსრებს იღებდნენ უშუალოდ დამაარსებელი საზოგადოებებიდან ან მათთან დაკავშირებული ბანკებიდან. ზოგჯერ გერმანული კაპიტალი მოქმედებდა სხვა უცხო კაპიტალთან კავშირში. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში წარმმართველ ძალას გერმანელები წარმოადგენდნენ, მაგრამ ხშირად ისინი თავისი კაპიტალის მონაწილეობას ასეთ საზოგადოებებში ნაკლებმნიშვნელოვნად, ან საერთოდ არ აჩვენებდნენ, რაც რუსეთ-გერმანიის წინააღმდეგობებით უნდა აიხსნას. რუსული კაპიტალის მონაწილეობა ასეთ საწარმოებში ძალზე უმნიშვნელო იყო. სააქციო საზოგადოება "კომპანია ზინგერი" მიეკუთვნებოდა მეორე ტიპის საწარმოებს. საერთოდ, გერმანელმა საწარმოებმა ეს დამახასიათებელი თავისებურება შეინარჩუნეს მთელი ომამდელი სამრეწველო აღმავლობის პერიოდში. მაგრამ ისინი იძულებულნი იყვნენ მთელ რიგ შემთხვევებში წასულიყვნენ ზოგიერთ დათმობაზე: უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდნენ რუსეთის ბანკებსა და სამრეწველო საწარმოებს, უფრო ფართოდ გამოეყენებინათ მათი ფულადი სახსრები და გაენაწილებინათ სამრეწველო შეკვეთები, აგრეთვე მათი ხელმძღვანელები შეეყვანათ თავიანთ სამმართველოებში.

ამ მხრივ "კომპანია ზინგერი" უფრო განსაკუთრებულად მოქმედებდა. ამ ცვლილებებიდან მასზე რამდენადმე ხოლოდ უკანასკნელი ვრცელდებოდა. სწორედ ამ პერიოდიდან "ზინგერის" ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნიშნავდნენ არა მარტო გერმანიის, არამედ რუსეთის ქვეშევრდომ გერმანელებსაც.

"ზინგერი" ახალი სამრეწველო აღმავლობის პერიოდში წარმატებით აგრ-

ძლებდა თავის საქმიანობას. ამაზე კარგ წარმოდგენას გვიქმნის თბილისის ცენტრალური განყოფილების სტატისტიკური მონაცემები. 1909 წელს თბილისის ცენტრალურმა განყოფილებამ (თბილისის 3 მაღაზია, ალექსანდროპოლის, ახალციხის, არტვინის, ბათუმის, მიხაილოვის (ხაშური), გორის, შუშის, ელისავეტპოლის, სამტრედიის, ყვირილის, ხონის, ქუთაისის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ოჩამჩირის, ფოთის, სიღნაღის, სოხუმის, თელავის, ნუხის, ნახჭევანის, ერევნის, თავრიზის დეპოები გაიყიდა 794 198 მან. და 80 კაპ. საერთო ღირებულების 10598 მანქანა, 1910 წელს 1 101 917 მან. და 36 კაპ. საერთო ღირებულების 13 636 მანქანა (მათ შორის თავრიზის დეპომ გაყიდა 18752 მან. და 82 კაპ. საერთო ღირებულების 182 მანქანა), 1911 წელს-1255 667 მან. და 21 კაპ. ღირებულების 15 004 მანქანა, ხოლო 1912 წელს - 1382 386 მან. და 79 კაპ. ღირებულების[85] 15 675[86] მანქანა.

ამავე პერიოდში წარმატებით ვაჭრობდა ბაქოს ცენტრალური განყოფილებაც. 1909-1914 წლებში იგი 18 000-მდე მანქანას ყიდდა წლიწადში[87].

ამიერკავკასიაში განუხრელად ფართოვდებოდა "ზინგერის" ვაჭრობა. ვაჭრობის ზრდას ვერ აფერხებდა მანქანების საშუალო ფასის (აგენტებისა და მაღაზიების მიერ გაყიდული სხვადასხვა ტიპის მანქანების საშუალო ფასის) განუხრელი ზრდა. 1910 წ. გაყიდული მანქანების საშუალო ფასი იყო 74 მან. და 74 კაპ., 1911 წელს - 78 მან. და 83 კაპ, 1912 წელს - 82 მან. და 59 კაპ[88].

საშუალო ფასების ზრდა გამოწვეული იყო როგორც ვაჭრობაში აგენტების მიერ გაყიდული მანქანების პროცენტული ზრდით, მანქანების კონსტრუქციების გაუმჯობესებით და უფრო მაღალფასიანი (ფეხის და ელექტრული) მანქანების გასაღების ზრდით, ისე მანქანებზე არსებული ფასების გაძვირებით. 1912 წ. ნოემბრიდან 1914 წ. 1 ივლისამდე სამჯერ მოხდა "ზინგერის" მანქანებზე ფასების მომატება და გაყიდვის პირობების შეცვლა - საკრედიტო ვადების შემცირება, ყოველ მომატებაზე ფასების 5-10 პროცენტით გაზრდა[89].

---------------

85 ისეთი ავტორიტეტული მკვლევარი, როგორიც ლ. ევენტოვი, წერს, რომ 1912 წელს მთელ რუსეთის იმპერიაში გაიყიდა 22 224 საკერავი მანქანა, რომელთაგან 14129 რუსეთში დაამზადეს, ხოლო 8095-საზღვარგარეთიდან შემოზიდეს (იხ. Л.Я.Эвентов, Иностранные капиталы в русской промыш- промышленности)ეს მონაცემები ძალზე შემცირებულია, რადგან შეუძლებელია რომ მთელი რუსეთის იმპერიაში გაყიდული 22 224 მანქანიდან თბილისის განყოფილებას 1912 წ. გაეყიდა 15 675 მანქანა, ამაზე მეტი 1912 წ. ამიერკავკასიაში გაიყიდა. ეს შემთხვევა მიუთითებს, თუ როგორ ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ რუსეთში მოქმედი სააქციო საზოგადოებების შესახებ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს.

86 სცსია, ფ. 190, საქმეები 15, 17, 22, 26.

87 იქვე, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 545-7, ფურც. 25-30.

88 იქვე, საქმეები 15, 17, 22, 26.

89 იქვე, ფ. 190, საქმეები 25, 35.

"კომპანია ზინგერის" მოგების მასშტაბზე ერთგვარ წარმოდგენას იძლევა რევოლუციამდელ პრესაში გამოქვეყნებული მანქანების ღირებულებათა გაანგარიშებანი, რომელთაც "ზინგერის" მესვეურებიც ვერ უარყოფდნენ. როგორც აღნიშნავდნენ, ეს გაანგარიშებანი გაკეთდა "კომპანია ზინგერსა" და მის აგენტებს შორის ერთ-ერთი გამწვავებული კონფლიქტის დროს. მანქანის ნაწილების ღირებულება მოცემულია იმდროინდელი მაქსიმალური ფასების მიხედვით, სახელდობრ: 1 ფუთი თუჯის სხმული – 2 მან. 50 კაპ., 1 ფუთი სხმული ფოლადისა და შენადნობებისაგან დამზადებული მასალები – 20 მანეთამდე; ხის ნაწილები: ხუფი (თალფაქი) – 2 მან.; სადგარი – 1 მან.; ჩვეულებრივი მაგიდა ფეხის მანქანისათვის – 1 მან. და 50 კაპ.; კაბინეტის მანქანის მაგიდა 5 უჯრით – 5 მანეთამდე. ასეთი იყო ძირითადი ნაწილების ფასები. მათი შეკრებით გავიგებთ მანქანის ნამდვილ ღირებულებას. მანქანების გასაყიდი ფასები აღებულია პირველი მსოფლიო ომის დასაწყისის წინა პერიოდის მიხედვით.

1) "ზინგერის" ხელის საკერავი მანქანა, რომელიც განვადებით ღირდა 85 მანეთი, სინამდვილეში ჯდებოდა (მისი თვითღირებულება იყო):

ა) 1/2 ფუთი თუჯის სხმული (თავი, ზესადგარი) – 1 მან. 25 კაპ.
ბ) 5 გირვანქა ფოლადი და შენადნობები (ნაწილები) – 2 მან. 50 კაპ.
გ) ხუფი – – – – – – – – – – – – – – – – – – – – 2 მან.
დ) სადგარი – – – – – – – – – – – – – – – – – – 1 მან.
ე) მანქანის აწყობა და შემოწმება – – – – – – – – – 4 მან.
ვ) მანქანის გადატანა (ტრანსპორტი) – – – – – – – – 3 მან.
ზ) ადმინისტრაციის, პერსონალისა და შენობების ხარჯები – 3 მან.

სულ – 17 მანეთამდე.

2) იმავე სისტემის ფეხის საკერავი მანქანა, რომელიც განვადებით ღირდა 125 მან., სინამდვილეში ჯდებოდა:

ზემოდასახელებული ნაწილების თანხას ემატებოდა:

ა) 1 ფუთი თუჯის სხმული (დაზგა) – – – – – – – – – 2 მან. 60 კაპ.
ბ) მაგიდა – – – – – – – – – – – – – – – – – – 1 მან.

სულ (დამრგვალებით) – 21 მან[90].

თვით ამ მონაცემების შემდგენელთა აღნიშვნით ცალკეული დეტალების ფასები მაქსიმალური და ზოგჯერ გადაჭარბებითაცაა აღებული, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გასაყიდი ფასები რამდენჯერმე აღემატებოდა "ზინგერის" საკერავი მანქანების თვითღირებულებას და იძლეოდა 500-700 პროცენტ მოგებას – ყოველ დახარჯულ მანეთზე "ზინგერი" იგებდა 5-7 მანეთს. პირველი მსოფლიო ომის წინ "კომპანია ზინგერი" რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთ უმდიდრეს სააქციო საზოგადოებად იქცა, რომლის ქონება 60 მილიონ მანეთად იყო შეფასებული[91]. "სააქციო საზოგადოებები, – წერდა მკვლევარი –,

90 სცსია, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3194, ფურც. 81.
91 ი ქ ვ ე, საქმე 3613, ფურც. 25.

მართლაც იმისათვის არსებობენ, რომ ექსპროპრიაცია გაუწიონ გულმინდობილ და ხელმოკლე ხალხს დიდი კაპიტალისტებისა და სპეკულიანტების სასარგებლოდ"[92].

"კომპანია ზინგერი" ზღაპრულად მდიდრდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის არაპირდაპირი ძარცვისა და თანამშრომელთა მრავალრიცხოვანი არმიის შრომის ექსპლუატაციის შედეგად.

1900 წლიდან 1906 წლის დასაწყისამდე "კომპანია ზინგერის" თბილისის ცენტრალური განყოფილების მმართველი იყო შრედერი. 1906 წლის დასაწყისში თბილისის ცენტრალური განყოფილების მმართველად დაინიშნა კოცი. "კომპანია ზინგერის" თანამშრომლებში ფართოდ ვითარდება საპროტესტო მოძრაობა. "ზინგერის" სისტემაში ამ დროს მუშაობდნენ პირები, რომლებიც რევოლუციური სულისკვეთება შეჰქონდათ საზოგადოების თანამშრომლებში[93].

ასეთები იყვნენ სხვადასხვა რევოლუციური და ტერორისტული მიმდინარეობების და ჯგუფების წევრები: ლუკა ლეჟავა, ვარლამ ძნელაძე, ნიკო სულხანიშვილი, აბრამ ჩიქაძე, ვასილ ციბაძე, გევორქ სკანდაროვი, სტეფანე ნაზაროვი და სხვ[94].

აღნიშნულ პირთა ხელმძღვანელობით 1906 წლიდან "კომპანია ზინგერის" თანამშრომელთა შორის გაჩაღდა რევოლუციურ-საპროტესტო მოძრაობა, რომელიც პოლიტიკური და ეკონომიკური ლოზუნგებით მიმდინარეობდა. 1906 წლიდან, რევოლუციური მოძრაობის მარცხისა და მისი დაღმავალი განვითარების ზეგავლენით, ეს მოძრაობა უმთავრესად ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა, გამოიხატებოდა სამუშაო პირობებისა და ანაზღაურების გაუმჯობესებისათვის რიგითი თანამშრომლების ბრძოლით ადმინისტრაციასთან. 1906 წლისათვის ეს მოძრაობა მძაფრ ფორმას იღებს. თბილისის ცენტრალური განყოფილების მმართველი კოცი, დარწმუნდა რა, რომ ძნელი იყო ამ მოძრაობის აღკვეთა, მისივე თხოვნით გაათავისუფლეს თანამდებობიდან. მის ადგილზე მთავარმა სამმართველომ გამოგზავნა კოხენი. მან მკაცრი ზომები გაატარა რიგით თანამშრომელთა მიმართ. როგორც თვით აღნიშნავდა, "თანამშრომელთა დამშვიდებისა და სამუშაოზე ნორმალური წესრიგის დამყარებისათვის" არ ერიდებოდა მკაცრი ზომების და პოლიციისა და ჟანდარმერიის გამოყენებას. კოხენის ასეთმა მოქმედებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია თანამშრომლებში, რის გამოც 1906 წლის 12 დეკემბერს იგი მოკლეს. მის მკვლელობაში მონაწილეობდნენ თბილისის ცენტრალური განყოფილების რკინიგზის სადგურთან მდებარე დეპოს აგენტები[95].

მოკლული კოხენის ნაცვლად თბილისის ცენტრალური განყოფილების მმართველად დანიშნეს ერნსტი, რომელმაც ვერ შეძლო საპროტესტო მოძრაობის შეჩერება. საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით შეშინებული ერნსტი

---

92 სცსია, ფ. 190, ანაწ. 1, საქმე 50.

93 სცსია, ფ. 94, ანაწ. 1, საქმე 14, ფურც. 40-49.

94 იქვე.

95 იქვე, ფ. 20, საქმე 351, ფურც. 445.

ვერ ანხორციელებდა რადიკალურ ზომებს, რის გამოც მთავარმა სამმართველომ 1907 წლის აგვისტოში იგი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ამ სიტუაციით შეშფოთებულმა მთავარმა სამმართველომ უშუალოდ თავის ხელში აიღო თბილისის განყოფილების საქმიანობის წარმართვა: განყოფილების მმართველად გადმოიყვანეს მთავარი სამმართველოს აპარატის მუშაკი მესკატი[96], ხოლო ახლად შექმნილ თანამდებობაზე (ამიერკავკასიაში "ზინგერის" დაწესებულებების მმართველად) - რუსეთის სამმართველოს მთავარი ბუღალტერი ელსტე. ამ უკანასკნელმა პირდაპირ განუცხადა თანამშრომლებს, რომ მათ აქვთ შრომის ანაზღაურების საუკეთესო პირობები, კომპანიას არა აქვს მათი რაიმე ახალი მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, ამიტომ მათ მიერ წამოყენებული ნებისმიერი პრეტენზია უარყოფილი იქნება.

ამის შემდეგ თანამშრომლებს ახალი მოთხოვნები არ წამოუყენებიათ, მაგრამ ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ და ხელს უშლიდნენ მმართველის საქმიანობას. ასე, მაგალითად, მმართველი ვერ ახერხებდა თავისი შეხედულებით თანამშრომლის განთავისუფლებას და ახლის მიღებას; ხოლო მისი ბრძანება და განკარგულება არ სრულდებოდა; მუქარით თუ დაყვავებით თანამშრომლების დამორჩილების ყოველგვარი ცდა უყურადღებოდ რჩებოდა.

ადმინისტრაციის აზრით, ასეთ ვითარებაში საქმიანობის წარმართვა შეუძლებელი იყო. ამიტომ მან გადაწყვიტა რადიკალური ზომების მიღება. 1907 წლის 20 დეკემბერს ელსტემ "ზინგერის" თანამშრომლებს მთელ ამიერკავკასიაში სავალდებულოდ წაუყენა შემდეგი პირობები:

1) თანამშრომელთა მიღებისა და განთავისუფლების, აგრეთვე მათთვის ხელფასის დანიშვნის უფლება, მთლიანად ეკუთვნის ადმინისტრაციას, თანამშრომელთა მხრივ ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

2) თანამშრომლები ვალდებულნი არიან შეასრულონ ადმინისტრაციის ყველა განკარგულება.

3) მომავალი წლის (1908-გ.მ.) იანვრის პირველი საანგარიშო კვირიდან ამკრეფები ხელფასს მიიღებენ "საერთო წესებით", სახელდობრ, შემდეგნაირად: ა) ხელფასი პირველ წელს - კვირაში 4 მანეთი, შემდგომში წელიწადში თითო მანეთის მომატებით, იმ პირობით, რომ ამკრებს კარგი შედეგები ექნება მანქანების გასაღებისას, მესამე წელს ხელფასი შეიძლება გაიზარდოს 6 მანეთამდე, რაც საბოლოო იქნება; ბ) 10 %-ინკასოდან; ბ) 10% ნაღდად გაყიდული მანქანების ბედან.

4) თანამშრომლებმა არ უნდა აწარმოონ არავითარი სხვა საქონლით ვაჭრობა, ან საქმიანობა.

5) ადმინისტრაციის განკარგულებით ერთი ქალაქის ფარგლებში შეიძლება თანამშრომლების გადაყვანა ერთი რაიონიდან- მეორეში, ერთი მაღაზიიდან- მეორეში.

---------------

96 პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში მესკატი შეცვალა ლევინმა, რომელიც ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა საბჭოური ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, "კომპანია ზინგერის" საქმიანობის შეწყვეტამდე.

6) ერთი წლის მუშაობის შემდეგ თანამშრომლებს, გამგის ნებართვით, შეუძლიათ ორკვირიანი შვებულებით სარგებლობა, ხელფასის შენარჩუნებით.

7) თვითნებურად წასულები, დროს მიუღებლად, ითვლებიან სამსახურიდან მოხსნილებად.

8) გაფიცვის შემთხვევაში მონაწილეებს ხელფასი არ ეძლევათ.

თანამშრომლებს მიეცათ სამი დღის ვადა, რომლის განმავლობაში მათ წერილობითი თანხმობა უნდა შეეტანათ ადმინისტრაციის მიერ წაყენებულ პირობებში მუშაობაზე.

შემდეგ თანამშრომლები გააფრთხილეს, რომ ყოველგვარი ტერორისტული მუქარა, ან მათი სისრულეში მოყვანა ადმინისტრაციის რომელიმე წევრის მიმართ, გამოიწვევდა აღნიშნული განყოფილების ან მაღაზიის ყველა თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნას.

თანამშრომლები არ დაეთანხმნენ ამ პირობებს და თავის მხრივ წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნები:

1) ამკრეფების მიღება და სამსახურიდან დათხოვნა უნდა განხორციელდეს ამკრებთა და ადმინისტრაციის საერთო შეთანხმების საფუძველზე;

2) ამკრეფებმა, სამსახურის დაწყებისას, უნდა მიიღონ ხელფასი – 6 მან. კვირაში;

3) ადმინისტრაცია თავაზიანად უნდა მოეპყრას ამკრეფებს;

4) ამკრეფებმა უნდა მიიღონ 10 %. როგორც ნაღდ ფულზე, ისე განვადებით გაყიდულ საქონელზე;

5) მაღაზიას არა აქვს კურტაჟის[97] გაცემის უფლება;

6) ყოველგვარ მანქანებზე, რომლებსაც ყიდიან მაღაზიებიც და ამკრეფებიც, ფასი ერთნაირი უნდა იყოს;

7) ასევე ერთნაირი უნდა იყოს მაღაზიის და ამკრეფების მიერ განვადებით გაყიდული მანქანების პირველი შესატანები;

8) გასაყიდი ნაწილების ფასების 25 %-ით დაკლება;

9) ამკრებთა მიერ გაყიდული საქონელი დასტურდება ჩანაწერით, წიგნაკებით და ზეპირი განცხადებებით;

10) განთავისუფლებულ მაღალ თანამდებობებზე დაინიშნონ მხოლოდ ადგილობრივი თანამშრომლები;

11) თანამშრომელს ავადმყოფობის შემთხვევაში ერთი თვის განმავლობაში მიეცეს სრული ხელფასი;

12) ერთი წლის მუშაობის შემდეგ თანამშრომელს მიეცეს ერთთვიანი შვებულება, ხელფასის შენარჩუნებით;

13) ამკრეფებმა ცნობებისათვის უნდა ისარგებლონ მაღაზიის შემორიალებით;

14) ბოლო პუნქტი ეხებოდა თანამშრომლებისათვის ავანსის მიცემის წესს[98].

---

97 კურტაჟი – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს მაკლერის გასამრჯელოს რაიმე გარიგებაში შუამავლობისათვის.

98 სცსია, ფ. 94, ანაწ. 1, ს. 14, ფურც. 42-43.

თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ მათი მოთხოვნების შესრულებამდე შ
წყვეტენ მუშაობას, მაგრამ რადგან მუშაობის შეწყვეტა გამოწვეული იყო ადმი-
ნისტრაციის მიზეზით, მოითხოვეს უმუშევრობის პერიოდში საშუალო ხელფა-
სის მიცემა. საპასუხოდ ფირმამ დახურა თბილისის მაღაზიები და სამსახუ-
რიდან გააძევა ამ მოძრაობის 40 ყველაზე უფრო აქტიური მონაწილე. პრო-
ტესტის ნიშნად გათავისუფლებულ თანამშრომლებს საბოლოო ანგარიშიც არ მ
ულიათ, იგი "ზინგერის" ადმინისტრაციამ დეპოზიტად შეიტანა.

1908 წლის მაისიდან "კომპანია ზინგერმა" გახსნა მხოლოდ გოლოვინის პროსპექტზე მდებარე მთავარი მაღაზია, თბილისის დანარჩენი მაღაზიები დაკეტილი იყო 1908 წლის აგვისტოს ბოლომდე.

1908 წ. გაზაფხულზე განთავისუფლებული 40 თანამშრომლიდან რამდენიმე ორგანიზატორი დააპატიმრეს. მათ წაუყენეს ბრალდება, რომ, იყვნენ რა "კომპანია ზინგერის" თანამშრომელთა პროფკავშირის წევრები და გაფიცვის ორგანიზატორები, მოაწყვეს მკვლელობა კავკასიაში "ზინგერის" მმართველის ელსტესა და თბილისის განყოფილების გამგის მუსკატის მკვლელობის მიზნით. ამავე ბრალდებაში აღნიშნული იყო, რომ ეს გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოიყვანეს მხოლოდ იმიტომ, რომ ორივე ცხოვრობდა ქალაქის კომენდატურის გვერდით მდებარე მაღაზიის შენობაში.

1908 წ. დეკემბრის დასაწყისში "ზინგერის" მთავარმა სამმართველომ, საზღვარგარეთიდან მიღებული მითითების საფუძველზე, გადაწყვიტა თანამშრომელთა ნაწილის განთავისუფლება, ხოლო დანარჩენის თვიური ხელფასის საშუალოდ 10 მანეთამდე შემცირება. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას შორის. თბილისის ცენტრალური საწყობისა და სამივე მაღაზიის თანამშრომლებმა – სულ 68 კაცმა – უარი განაცხადეს ახალ პირობებში მუშაობაზე და მიატოვეს სამსახური.

"ზინგერის" მესვეურები ხელფასის შემცირების აუცილებლობას იმით ხსნიდნენ, რომ ამიერკავკასიაში კომპანიის შემოსავალმა იკლო, ხოლო ზოგიერთ რაიონში ოპერაციები უკანასკნელ ხანებში წამგებიანი იყო, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. სამსახურის მიტოვების შემდეგ "ზინგერის" თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ისინი სამუშაოს დაუბრუნდებიან მხოლოდ ძველ პირობებში. მათმა ნაწილმა სხვაგან დაიწყო მუშაობა, ხოლო უმუშევრად დარჩენილები არალეგალურად იღებდნენ პროფკავშირის საიდუმლო სალაროდან კვირაში 2 მანეთს[99]. ამის შემდეგ, 12 დეკემბრიდან ცენტრალური განყოფილების მმართველმა დაკეტა თბილისის ყველა მაღაზია და პეტერბურგში გაემგზავრა მთავარ ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლად.

1909 წლიდან, საერთო ეკონომიკური კონიუნქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, "კომპანია ზინგერის" ადმინისტრაციამ შეძლო თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა რაიონებში არსებული კონფლიქტების მოგვარება. ერთის მხრივ, ეკონომიკურმა აღმავლობამ, მეორეს მხრივ კი რევოლუციის დამარცხებამ და რეპრესიებმა შეანელეს "ზინგერის" რიგით თანამშრომელთა წი-

99 სცსია, ფ. 94, ანაწ. 1, ს. 14, ფურც. 20.

ნააღმდეგობა და მათი დიდი უმრავლესობა იძულებული გახდა სააქციო საზოგადოების მიერ შეთავაზებულ ძველ პირობებში დაბრუნებოდა სამუშაოს. მაგრამ წინააღმდეგობა ადმინისტრაციასა და რიგით თანამშრომლებს შორის არ შეწყვეტილა შემდგომშიც. განსაკუთრებით გამწვავდა ეს ურთიერთობა 1914 წლის ზაფხულში. 10 ივლისს "ზინგერის" მოსამსახურეებმა ახალი წერილობითი "შუამდგომლობა-მოთხოვნა" წაუყენეს "კომპანია ზინგერის" ადმინისტრაციას. იგი 23 პუნქტისაგან შედგებოდა და ძველ მოთხოვნებთან ერთად ახლებსაც ითვალისწინებდა. ახალი მოთხოვნებიდან აღსანიშნავია გასაყიდი მანქანების თვიური ნორმის 4-დან 2-მდე შემცირება, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, აგენტების დაზღვევა კომპანიის ხარჯზე, სამუშაო დროის ნორმირება და ა.შ.[100].

ამ მოთხოვნების ასლი ყველა აგენტის ხელმოწერით წარუდგინეს თბილისის გუბერნატორს. პასუხისათვის მიცემული იყო ერთი კვირის ვადა. მაგრამ ხელისუფალთა დახმარებით "ზინგერის" ადმინისტრაციამ კვლავ შეძლო თანამშრომელთა ამ ცდების მოგერიებაც. ამ საქმეში "ზინგერის" მესვეურებს ხელი შეუწყო დაწყებულმა მსოფლიო ომმა. აგენტთა უფრო გაბედული, აქტიური ნაწილი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა რიგით თანამშრომელთა წინააღმდეგობისა და ერთობლივი მოქმედების ძალა. ომის დასაწყისშივე თბილისის ცენტრალური განყოფილების თანამშრომელთაგან ჯარში გაიწვიეს 105 კაცი[101]. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა ბაქოს ცენტრალურ განყოფილებაშიც.

მსოფლიო ომმა ძირეულად შეცვალა ძალთა თანაფარდობა რუსეთის მრეწველობაში. სამხედრო მრეწველობის ზრდა და ამით გამოწვეული სტრუქტურული ცვლილებები მრეწველობის განვითარებაში, საზღვარგარეთთან კავშირის გაძნელება ან გაწყვეტა, კრედიტის სიმცირე და ინფლაცია ძალზე ადიდებდა ფულადი სახსრების მოთხოვნას მრეწველობაში და ქმნიდა მრეწველობის ბანკებისადმი დამოკიდებულების შემდგომი გაძლიერების საფუძველს. მეორე მხრივ, საომარი პერიოდის გიგანტური მოგებანი და ინფლაციური მდგომარეობა რუსეთში სამრეწველო მაგნატებსა და სპეკულიანტებს აძლევდა მთელი რიგი მსხვილი ბანკების ხელში ჩაგდების საშუალებას. ამის შედეგად რუსეთის ფინანსურ ოლიგარქიაში ხდებოდა ძალთა მნიშვნელოვანი გადაჯგუფება და მწვავდებოდა ბრძოლა.

ომის წლებში ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა სახელმწიფო-მონოპოლისტური ტენდენციების ზრდა, რაც გამოწვეული იყო სამხედრო მრეწველობის რეგულირებისათვის მიღებული მთავრობის ზომებით და რუსეთის წინააღმდეგ მეომარ სახელმწიფოთა ქვეშევრდომების საწარმოთა მიმართ გატარებული ღონისძიებებით. მთელი რიგი საუწყე-

---

100 სცსია, ფ. 13, ანაწ. 27, ს. 3274, ფურც. 400; ფ. 190, ანაწ. 1, ს. 40, ფურც. 1.

101 სცსია, ფ. 190, ს. 33.

ბო "განსაკუთრებული სათათბიროები", დაგვირგვინებული 1915 წ. შექმნილი "სახელმწიფო თავდაცვის საჭირო გაერთიანებული ღონისძიებების განსაკუთრებული სათათბირო", არეგულირებდნენ ქვეყნის შიგნით პროდუქციის წარმოებასა და ნედლეულის განაწილებას. ცარიზმის ბიუროკრატიულმა მანქანამ ვერ შეძლო ეკონომიკის სათანადო რეგულირების მოწესრიგება, მაგრამ მრეწველობის საზედამხედველოდ შექმნილმა მთელმა რიგმა ორგანოებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს მასში ძალთა შეფარდების შეცვლაზე.

ომმა მკვეთრად შეცვალა იმ საწარმოების მდგომარეობა, რომლებიც ეკუთვნოდა გერმანულ კაპიტალს ან რომლებშიც მონაწილეობდა ეს უკანასკნელი. რუსეთში გერმანიასთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულების გადასინჯვის მომზადებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო, ხოლო ომის დაწყების შემდეგ განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა კამპანია "გერმანულ ძალმომრეობასთან" საბრძოლველად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ კამპანიაში ერთმანეთს შეერწყა რუსეთის სახალხო მეურნეობაში გერმანელი კაპიტალისტების ბატონობით გამოწვეული საზოგადოების აღშფოთება, რუსეთის ბურჟუაზიის მისწრაფება უცხოელთა კონკურენციისაგან განთავისუფლებისაკენ და შოვინისტური პროპაგანდა. ომის გამოცხადების შემდეგ კამპანიამ ოფიციალური სახე მიიღო. 1914 წლის 22 სექტემბრისა და 5 ოქტომბრის ბრძანებულებებით შეიზღუდა რუსეთის წინააღმდეგ მეომარ სახელმწიფოთა ქვეშევრდომების უფლებები, ხოლო იმავე წლის 15 და 28 ნოემბრის დადგენილებით შემოიღეს ზედამხედველობა მათდამი კუთვნილ საწარმოებზე. მოგვიანებით გამოიცა მთელი რიგი ბრძანებულებები, რომლითაც მთავრობის ორგანოებმა კიდევ უფრო ფართო უფლებები მიიღეს გერმანულ საწარმოთა მიმართ, მათ შორის თვით სეკვესტრამდე. ამ დადგენილებებით მთლიანად შეიზღუდა გერმანელ ვაჭართა და ხელოსანთა რუსეთში არსებული საწარმოები. გერმანული მონოპოლიების შვილობილი საწარმოები ახერხებდნენ რეპრესიებისათვის თავის არიდებას. ეს ხორციელდებოდა ფიქტიური პირებისათვის აქციების გადაცემით და ზოგჯერ მთავრობის მოხელეების პირდაპირი მოსყიდვით. ჯერ კიდევ ომამდე ფართოდ იყო გავრცელებული გერმანული საწარმოების შენიღბვა ამერიკელის, ბელგიურის, შვეიცარიულის და სხვ.იარლიყებით. გერმანული ფირმებისა და საწარმოების წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღებას ხელს უშლიდნენ რუსეთის ფინანსური წრეებიც. ეს გამოწვეული იყო როგორც გერმანელებთან მჭიდრო კავშირურთიერთობით, ისე კერძო საკუთრების რაიმე ფორმის ხელყოფის შიშით. აღნიშნული გარემოებების გავლენით მთავრობა, რომელიც თავადაც არ ამჟღავნებდა გადამწყვეტი მოქმედებისაკენ მისწრაფებას, მხოლოდ დიდი დაგვიანებით და უნიათოდ შეუდგა რუსეთში მოქმედი ზოგიერთი მსხვილი გერმანული სამრეწველო გაერთიანების წინააღმდეგ ზომების გატარებას. საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით დაიწყო შენიღბულ საწარმოთა ნამდვილი ვინაობის დადგენა. მაგრამ ეს პროცესი ისე ზერელედ მიმდინარეობდა, რომ ბევრი რამ გაურკვეველი დარჩა.

ძალზე რთული გამოდგა სააქციო საზოგადოება "კომპანია ზინგერის" წარმოშობის დადგენაც. რუსეთში მოქმედი საზოგადოება "კომპანია ზინგერის"

ნამდვილი ვინაობის, მისი კაპიტალისა და აქციების ნამდვილი მფლობელი სახელმწიფოს განსაზღვრა თავიდანვე დავას იწვევდა. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დაისვა მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ. მეფის რუსეთის მთავრობამ და მისმა ორგანოებმა ვერ გადაჭრეს ან არ მოინდომეს ამ საკითხის გადაჭრა. მკვლევართა შორისაც არ არსებობს ამის შესახებ ერთიანი აზრი. მკვლევართა ერთი ჯგუფი (მ. შაროხინა, ვ. ბოვიკინი და სხვ.) "კომპანია ზინგერს" ამერიკული წარმოშობის რუსულ საზოგადოებად მიიჩნევს, მკვლევართა მეორე მრავალრიცხოვანი ჯგუფი (მ. ბონჩ-ბრუევიჩი, ნ. ევენტოვი, ი. ლევინი, ს. რონინი და სხვ.) მას რუსულ-ამერიკული ფასადით შენიღბულ გერმანული ფირმის შვილობილ საზოგადოებად თვლის. პირველი მოსაზრება, როგორც ჩანს, ემყარება თვით "ზინგერის" იურიდიულ დოკუმენტაციასა და მისი ხელმძღვანელობის მონაცემებს. მაგრამ ეს მონაცემები საკმარისი არ არის ძირითადი კაპიტალის მფლობელი ქვეყნის განსაზღვრისათვის. მკვლევარები არაერთგზის მიუთითებენ, რომ ძალზე ფრთხილად და ყურადღებით უნდა მივუდგეთ რუსეთში მოქმედი საზოგადოებების კაპიტალთა ეროვნული კუთვნილების განსაზღვრას. სხვა მონაცემებთან ერთად ამისათვის საჭიროა მის შინაგან სტრუქტურებში შეღწევა, მისი ფინანსური ორგანიზაციის გაშიფვრა, რაც ჩვეულებრივ დაფარულია გამოქვეყნებულ ანგარიშებში. ეს არის იმპერიალისტური ეპოქის რუსეთის სოციალ-ეკონომიკური ისტორიის ერთ-ერთი რთული საკითხი. შეიძლება შეცდომა დავუშვათ, თუ ამ საკითხს მთლიან ფირმის სახელწოდებით და ოფიციალური მონაცემებით გადავწყვეტთ. მარტო სახელწოდებით ძნელია ფირმის ეროვნული კუთვნილების განსაზღვრა. საჭიროა მრავალი სხვა მონაცემიც. ცნობილია შემთხვევები, როდესაც რუსეთში მოქმედი ფირმის სამმართველო იმყოფებოდა ერთ უცხო ქვეყანაში, ხოლო ფირმას კონტროლს უწევდა სხვა ქვეყნის კაპიტალი[102].

ჩვენი აზრით, სიმართლესთან გაცილებით ახლოა მეორე მოსაზრება. ეს მოსაზრება მტკიცდება ჩვენს ხელთ არსებული მთელი რიგი მონაცემებით:

1. სააქციო საზოგადოება "კომპანია ზინგერის" ხელმძღვანელი ორგანიზაციები ძირითადად დაკომპლექტებული იყვნენ გერმანიის ქვეშევრდომი გერმანელებით, რომელთაგან ბევრმა რუსული ენა ხეირიანადაც არ იცოდა;

2. "კომპანია ზინგერის" მთავარი სამმართველოს სამუშაო და საზღვარგარეთ მიმოწერის ენა იყო გერმანული;

3. რამდენადაც გაზვიადებული არ უნდა იყოს პრესის თუ სხვა მონაცემები, თვით ოფიციალური პირთა და დოკუმენტური მასალითაც მტკიცდებოდა, რომ საზოგადოება ჯაშუშობას ეწეოდა გერმანიის სასარგებლოდ.

4. "კომპანია ზინგერს" მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა გერმანულ საწარმოებთან. მარტო 1914 წელს, ომის დაწყებამდე, "ზინგერმა" თვით მისი

---

102 С.И. П о т о л о в, Монополия грозненской нефтяной промышленности, в кн: Монополии и иностранный капитал в России, М.-Л., 1962, с.119.

აღიარებით და საკმაოდ შემცირებული მონაცემებით გერმანიიდან შემოტანა 185 541 მან. და 52 კაპ. საქონელი[103];

5. საარქივო მონაცემებით ინგლის-ამერიკის მოქალაქეებს ეკუთვნოდათ საზოგადოების აქციების ერთ მესამედზე ნაკლები[104];

6. თვით ფირმის სახელწოდება "Singer " რუსეთში იხმარებოდა გერმანული ("ზინგერ") და არა ინგლისური ("სინგერ") ტრანსკრიფციით;

7. "ზინგერის" აქციების ღირებულება (თითოეული – 1000 მანეთიანი) ადასტურებს მის გერმანულ წარმოშობას. ასეთი დიდი ღირებულების აქციები დამახასიათებელი იყო გერმანიისათვის. ინგლის-ამერიკაში უმთავრესად წვრილი აქციები იყო. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით მკვლევარი: "უფრო მოწინავე, ან უფრო ძველ და "გამოცდილ" კაპიტალისტურ ქვეყნებში ნებადართულია მცირე ღირებულების აქციების გამოშვება. გერმანიაში კანონით აკრძალულია 1000 – მარკიანზე უფრო მცირე ღირებულების აქციების გამოშვება, და გერმანელი ფინანსური მაგნატები შურით შეჰყურებენ ინგლისს, სადაც ნებადართულია ერთ გირვანქა სტერლინგად ღირებული (20 მარკა დაახლოებით 10 მანეთი) აქციის გამოშვებაც კი. სიმენსმა, გერმანიის უდიდესმა მრეწველმა და "ფინანსთა მეფემ", 1900 წლის 7 ივნისს რაიხსტაგში განაცხადა: "ერთ გირვანქა სტერლინგად ღირებული აქცია ბრიტანეთის იმპერიალიზმის საფუძველიაო". ამ ვაჭარს იმპერიალიზმის უფრო ღრმა, უფრო "მარქსისტული" გაგება ეტყობა, ვიდრე ვიღაც უგვანო მწერალს, რომელიც რუსული მარქსიზმის დამაარსებლად ითვლება[105] და რომელიც ფიქრობს, რომ იმპერიალიზმი ერთ-ერთი ხალხის ცუდი თვისებააო"[106].

ამ პერიოდის რუსეთისათვის "ზინგერი" არ იყო გამონაკლისი. რუსეთში მრავლად იყვნენ გერმანულ კაპიტალზე დაფუძნებული ფირმები და საწარმოები, რომლებიც სხვა ქვეყნის სახელით მოქმედებდნენ. ასე, მაგალითად, თბილისის ცხენის ტრამვაის ("კონკა") და "თბილისის ელექტრონული ფუნიკულიორის საზოგადოების" დამაარსებლად და მფლობელად ითვლებოდა ბელგიური საზოგადოება "ტრამვაელთა კავშირი", მაგრამ ეს უკანასკნელი ბერლინის ბანკის დახმარებით ხელთ იგდო "ზინგერის" სეხნიამ – ოფიციალურმა გერმანულმა ელექტროტექნიკურმა საზოგადოებამ "ზინგერმა", რომელმაც მოგვიანებით ბელგიური საზოგადოებაც და ისიც თბილისური საწარმოებიც სხვა გერმანულ ელექტროტექნიკურ საზოგადოებას – "კელიოსს" დაუთმო. თბილისის ცხენის ტრამვაი (იგი 1904 წლიდან ელექტროწევაზე გადაიყვანეს) და თბილისის ფუნიკულიორი ფორმალურად ბელგიური საზოგადოების კუთვნილ სატრანსპორტო საწარმოებად ითვლებოდნენ, ფაქტობრივად კი ისინი ეკუთვნოდნენ ზემოაღნიშნულ გერმანულ ელექტროტექნიკურ საზოგადოებებს[107]. ხშირად

-----------

103 სცსია, ფ. 120, ანაწ. 1, ს. 58, ფურც. 6–7.

104 იქვე, ფურც. 1.

105 იგულისხმება სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობა.

106 სცსია, ფ. 190, ანაწ. 1, საქმე 58.

107 В.С.Дякин, Германские капиталы... с.50,93,94,97.

გერმანელები, კარგად იცნობდნენ რა რუსეთის პირობებს, ექსპორტს უწევდნენ სხვა ქვეყნის კაპიტალს რუსეთში და თვით გამოდიოდნენ შუამავლის როლში. "არის ბევრი მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელთაც სხვადასხვა ნიშნით, ჩვეულებრივ, მიაკუთვნებენ რუსულ, ბელგიურ, ფრანგულ საწარმოებს. მაგრამ ყურადღებით შემოწმებისას აღმოჩნდება ხოლმე, რომ მათი ხელმძღვანელები და გარკვეული სახით მსხვილი აქციონერები არიან გერმანელები. ეს, ერთი შეხედვით უცნაური ფაქტი, აიხსნება იმით, რომ ხშირად ბელგიური ან ფრანგული საწარმოს დაარსებისას შუამავლები არიან გერმანელები, რომლებიც გაცილებით უკეთ იცნობენ ადგილობრივი რუსული ბაზრის პირობებს, ვიდრე ყოველი სხვა უცხოელი. შემდგომში შუამავალი გერმანელები აღმოჩნდებიან ასეთი საწარმოების სათავეში"[108].

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გერმანიის კაპიტალის ასეთი შენიღბული მოქმედება აიხსნება ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზებით.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან, განსაკუთრებით 1894 წ. კანცლერ კაპრივის გადადგომიდან, გერმანია-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობა ძალზე გამწვავდა და თითქმის საბაჟო ომის ხასიათი მიიღო. გერმანიის მემამულურ-იუნკრული წრეების ინტერესებისათვის შემოტანილ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე გაიზარდა საბაჟო ტარიფი, რაც დიდ ზიანს აყენებდა რუსეთის ექსპორტს. ამის საპასუხოდ რუსეთმა გაადიდა ბაჟები გერმანიიდან შემოტანილ სამრეწველო ნაწარმზე. ეკონომიკურ წინააღმდეგობათა გამწვავებამ კიდევ უფრო დაძაბა პოლიტიკური სიტუაცია და სხვა მიზეზებთან ერთად მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსეთისა და გერმანიის სამხედრო პოლიტიკურ დაპირისპირებულობას.

გერმანიასა და რუსეთს შორის პოლიტიკურ წინააღმდეგობათა გამწვავებას, ეკონომიკურის გარდა, ხელს უწყობდა სხვა მიზეზებიც: – ევროპასა და მსოფლიოში გავლენისათვის ბრძოლა, კოლონიური ექსპანსია ახლო აღმოსავლეთსა და სხვა რეგიონებში და ა.შ. ასეთ პირობებში რუსეთში მომუშავე გერმანულ ფირმას, მით უმეტეს, თუ მას სხვა სახელწოდების ეტიკეტი ექნებოდა, მრავალმხრივი სარგებლობის მოტანა შეეძლო თავისი ქვეყნისათვის. საერთოდ ცნობილია, რომ გერმანიის ბანკები და ფირმები ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი სამხედრო-სადაზვერვო და სხვა მილიტარისტულ ორგანოებთან და დიდ "პატრიოტულ" მუშაობას ეწეოდნენ, მაშინ, როდესაც ევროპის სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით საფრანგეთში, განუწყვეტლივ ისმოდა ჩივილი საწარმოებისა და საკრედიტო დაწესებულებების სრულ ნაციონალურ ინდიფერენტიზმზე[109].

ასეთ ვითარებაში რუსეთში მოქმედ გერმანულ საფაბრიკო-სამრეწველო გაერთიანებებისათვის გაცილებით ხელსაყრელი იყო "ნიღბის" სხვა ქვეყნის(კონკრეტულ შემთხვევაში ამერიკულ) ფირმის ამოფარება, მით უმეტეს რომ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა სულ სხვაგვარი იყო.

---

108 "Торгово-Промышленная газета", 1913, №36.

109 И.И.Л е в и н, Германские капиталы в России, СПб, 1914, с.50.

ცალკეულ წინააღმდეგობათა მიუხედავად XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ფართოვდება აშშ-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობა. ამას ხელს უწყობდა ორივე ქვეყნის მისწრაფება, გამოეყენებინა პარტნიორის ეკონომიკის თავისებურება. XIX საუკუნის ბოლოს და XX ს. დასაწყისში რუსეთი ცდილობდა ამერიკის კაპიტალის ევროპის კაპიტალთან შედარებით უფრო ხელსაყრელ პირობებში მოზიდვას, ხოლო აშშ სულ უფრო და უფრო მეტ დაინტერესებას იჩენდა რუსეთის ბაზრით. რუსეთის მთავრობა შეღავათიან პირობებს უქმნიდა აშშ რუსეთის შიგნით მეწარმეობისათვის. 1905 წელს რუსეთის მთავრობამ, ს. ვიტეს ინიციატივით, კვლავ განაახლა შეღავათიანი ტარიფი რუსეთში ამერიკული მანქანებისა და ლითონის ნაწარმის შემოსაზიდად. რუსეთ-აშშ-ს ეკონომიკური დაახლოება განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდა პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში. აშშ-ში გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, 1912 წლისათვის აშშ-მ რუსეთში თავისი ექსპორტის მოცულობით უკან მოიტოვა ინგლისი და მხოლოდ გერმანიას ჩამორჩებოდა. 1914 წლის ზაფხულისათვის აშშ-ში თვლიდნენ, რომ ყოველწლიურად რუსეთში შეჰქონდათ 100 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ამერიკული საქონელი.

აშშ-ს საქმიანი წრეები და მთავრობა მხარდ ინტერესს იჩენდნენ რუსეთში ამერიკის ექსპორტის გასაფართოებლად. მთელი 1913 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება რუსეთ-აშშ-ს შორის ახალი სავაჭრო შეთანხმების დასადებად. 1913 წლის მაისში, ამერიკის დიპლომატიის ინიციატივით, მოსკოვში დაარსდა რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატა. 1914 წლის ზაფხულში რუსეთის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც იგი უარს ამბობდა რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების გაგრძელებაზე, რომელსაც ვადა გადიოდა 1916 წელს. ამის შემდეგ ამერიკის საქმიან წრეებში დაისვა რუსეთის ბაზრის დაკავებისა და იქ განმტკიცების საკითხის ფართოდ განხილვა. იმავე პერიოდში მრეწველთა ნაციონალური ასოციაციის რუსეთის განყოფილებამ აცნობა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს პეტერბურგში, რომ იგზავნებოდა სპეციალური კომისია ორი დირექტორის შემადგენლობით. ომის დაწყების შემდეგ რუსეთ-აშშ-ს ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა[110].

ომის დაწყების შემდეგ გამოირკვა, რომ "ზინგერის" ბევრი თანამშრომელი გერმანიის დაზვერვის აგენტს წარმოადგენდა; მრავალი მათგანი დააპატიმრეს სათანადო სამხილით და გააძევეს რუსეთიდან; ან ომის განმავლობაში გადაასახლეს ჩრდილოეთ გუბერნიებში. თვით "ზინგერის" ხელმძღვანელობაც ეწეოდა ორგანიზებულ ჯაშუშობას. 1914 წლის ივლისის დასაწყისში ცენტრალურმა სამმართველომ დეპოებს დაუგზავნა მათი რაიონების რუკები - სულ 246. დეპოებს ეს რუკები უნდა დაერიგებინათ თავისი

-----------

110 Р.Ш. Ганелин, Финансово-экономические отношения России и США после начала первой мировой войны, в кн: Из истории империализма в России, М.-Л. 1959, с.270-271.

ამკრებებისათვის, რომელთაც უნდა აღენიშნათ მათ რაიონში არსებული ყველა სოფელი და დასახლებული პუნქტი (განურჩევლად იმისა, იყვნენ იქ თუ არა "ზინგერის" მოვალეები), ღირსშესანიშნაობები (საწარმოები, საზოგადოებრივი შენობები), მცხოვრებთა რაოდენობა და საქმიანობა. აგენტებს ყოველ ექვს თვეში უნდა შეემოწმებინათ ეს რუკები, შეეტანათ მათში ამ პერიოდში მომხდარი ცვლილებები და ყოველი შემოწმების შემდეგ თითო ეგზემპლარი დეპოების მეშვეობით დაებრუნებინათ მთავარი სამმართველოსათვის[111].

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს რუკები სულ თავისუფლად მოხვდებოდნენ გერმანიის გენერალური შტაბის განკარგულებაში, სადაც სათანადოდ გამოიყენებდნენ მათ.

"რუსეთში, – წერდა რევოლუციამდელი რუსეთის კონტრდაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მ.დ. ბონჩ-ბრუევიჩი, – არა ერთი ათეული წლის განმავლობაში მოქმედებდა ფართოდ ცნობილი საკერავი მანქანებით მოვაჭრე ფირმა "კომპანია ზინგერი". წარმოადგენდა რა გერმანულ საწარმოს, ამ სააქციო საზოგადოებამ ომის დაწყების შემდეგ თავი გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კუთვნილად. მაგრამ ამ გადაღებვამ ვერ იხსნა ეს ფირმა კონტრდაზვერვის ყურადღებისა და ჯაშუშური საქმიანობის მხილებისაგან.

ყოველ აგენტს ჰქონდა სპეციალური, ფირმის მიერ მიცემული, მისი რაიონის გეოგრაფიული რუკა. მასზე აგენტს პირობითი ნიშნებით შეჰქონდა განვადებით გაყიდული მანქანების რიცხვი და სხვა კონკრეტული მოსაზრებანი. კონტრდაზვერვამ დაადგინა, რომ ამ რუკებს მეტად მაიკილგონივრულად იყენებდნენ რუსეთის შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო მრეწველობაზე ცნობების შესაკრებად. აგენტები აწვდიდნენ ამ ცნობებს უახლოეს მაღაზიას, სადაც დგებოდა ნაკრები ანგარიში. მიღებული კარტოგრამა იგზავნებოდა საზოგადოება ზინგერის ცენტრალურ სამმართველოში, ხოლო გერმანიის დაზვერვისათვის საინტერესო ცნობები – საზღვარგარეთ"[112].

მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როდესაც "ზინგერის" საქმიანობით განსაკუთრებით დაინტერესდნენ ხელისუფლების ორგანოები, პრესა და საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოების ხელმძღვანელობამ რიგი "პატრიოტული" ღონისძიებების გატარებით სცადა შელახული ავტორიტეტის რეაბილიტაცია. ამ მიზნით ომში მობილიზებულ თანამშრომელთა ოჯახებს ომის განმავლობაში დასახმარებლად გამოუყო 600.000 მანეთი[113]. სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ემსახურებოდნენ არმიის საჭიროებებს, უსასყიდლოდ გადაეცა 10.000 საკერავი მანქანა (ომის დამთავრების შემდეგ ეს მან-

---

111 სცსია, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3638, ფურც. 16.

112 М.Д. Бонч-Бруевич. Вся власть Советам (воспоминания), М., 1957, с.79.

113 ომში მობილიზაციით გაიწვიეს "ზინგერის" თანამშრომელთა ერთი მესამედი – დაახლოებით 10.000 კაცი.

ქანები უკან უნდა დაებრუნებინათ "ზინგერისათვის"). საზოგადოების ხარჯზე დაარსდა და არმიის საჭიროებისათვის მუშაობდა ორი სახელოსნო: ერთი ამზადებდა თეთრეულს, ხოლო მეორე აირწინაღებს. "ზინგერი" ყოველმხრივ რეკლამას უწევდა თავის ქარხანას ქ. პოდოლსკში, რომელიც მნიშვნელოვან სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა[114].

"ზინგერი" ამით არ კმაყოფილდებოდა. იგი ფართოდ იყენებდა პრესას. გაზეთებში მრავლად იბეჭდებოდა სტატიები, რომლებიც ქება-დიდებას ასხამდნენ "ზინგერის" ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებს, ცდილობდნენ წამოყენებული ბრალდებების გაბათილებას და "ზინგერის" ამერიკა-ინგლისის კაპიტალით შექმნილ რუსულ სააქციო საზოგადოებად წარმოდგენას. ასეთი მტკიცებებით იყო გაჯერებული, მაგალითად, 1915 წლის ზაფხულში რუსულ პრესაში ("უტრო როსსიი" და სხვ.) გამოქვეყნებული "ზინგერის" მთავარი სამმართველოსა და 607 თანამშრომლის მიერ ხელმოწერილი ორი წერილი[115] (შემდეგ გამოირკვა, რომ თანამშრომელთა უმრავლესობას ძალით და მუქარით მოაწერინეს მასზე ხელი).

ამის საპასუხოდ რუსეთის სხვადასხვა მიმართულების პრესაში ქვეყნდებოდა "ზინგერის" ჯაშუშური საქმიანობის მამხილებელი მასალები. გაზეთმა "უტრო როსსია"-მ ამავე პერიოდში გამოაქვეყნა სამხედრო კორესპონდენტ იაკოვლევის სტატია, რომელშიც ნათქვამი იყო: "ომისწინა სამი წლის განმავლობაში ვისლისპირა მხარეში რუსებსა და პოლონელებს ყველგან ათავისუფლებდნენ და მათ ადგილზე ნიშნავდნენ მხოლოდ გერმანელებს. ამ გერმანელთა შორის ბევრი იყო თადარიგის ოფიცერი, რომლებიც ცნობებს აწვდიდნენ ბერლინს. ომის წინ, - აღნიშნავდა იაკოვლევი, - გერმანულ ენაზე შედგენილი განსაკუთრებული ცირკულარით "ზინგერის" ცენტრალურმა სამმართველომ განყოფილებებისაგან გამოითხოვა ცნობები ამ მხარეში განლაგებული ყველა სამხედრო ნაწილის შესახებ; გერმანიაში გაიგზავნა, აგრეთვე, რუსეთის გენერალური შტაბის 400 რუკა, განყოფილებებმა გააკეთეს სხვადასხვა ხასიათის სამხედრო-სტრატეგიული აღნიშვნები"[116].

პირველი ოფიციალური ცნობები "კომპანია ზინგერის" ჯაშუშური საქმიანობის შესახებ გენერალური შტაბის მთავარმა სამმართველომ ჯერ კიდევ 1914 წლის მაისში მიიღო. შემდგომში ეს ცნობები დასტურდებოდა ახალი მონაცემებით. 1915 წლის 3 აპრილს რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე კომპანიის საქმიანობაზე ზედამხედველობისათვის დაინიშნა ვაჭრობის ინსპექტორი - ფინანსთა სამინისტროს იურისკონსულტის თანაშემწე ზურაბ დავითის ძე ავალოვი (ავალიშვილი)[117]. "კომპანია ზინგერის" საქმიანობას ამოწმებდნენ აგრეთვე თბილისის სახაზინო პალატის განყოფილების გამგე

---

114 სცსია, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3638, ფურც. 5.

115 Газ "Утро России", 1915, 30 VII; "Терек", 1915, 15 VIII.

116 სცსია, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3638, ფურც. 4.

117 იქვე.

ა.ლ.იზიუმსკი, ბაქოს ცენტრალური განყოფილების ზედამხედველ - ინსპექტორიიზიუმსკის ბაქოელი კოლეგა ნ.ა. ვოიკოვი[118]. დაახლოებით ამავე პერიოდში აშკარა ჯაშუშური საქმიანობისათვის ზოგიერთი არმიის განლაგების რაიონში დაიწყო "ზინგერის" მაღაზიებისა და კანტორების დახურვა. ამიერკავკასიაში პირველად ამ მიზეზით 1914 წლის 17 ოქტომბერს დახურეს ქ. ბათუმში მდებარე "ზინგერის" მაღაზია[119]. იმავე დღეს გამოცემული ბრძანებით კავკასიის მეფისნაცვალი ადგილობრივ სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთ მიუთითებდა "ზინგერის" თანამშრომლებზე გაძლიერებული მეთვალყურეობის დაწესებას[120].

1915 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში "ზინგერის" ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე იმდენი მასალა დაგროვდა, რომ აუცილებელი შეიქმნა მის წინააღმდეგ გადამჭრელი ღონისძიებების მიღება.

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე 1916 წლის 26 სექტემბერს კავკასიის ოლქის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ვოლსკიმ გასცა კავკასიაში არსებული "ზინგერის" ყველა კანტორის, მაღაზიისა და საწყობის დახურვის, მათში არსებულ ქონებაზე სეკვესტრის დადების ბრძანებულება. ეს აქცია უნდა გატარებულიყო ომის მთელ პერიოდში[121]. ანალოგიური ღონისძიებები გატარდა მთლიანად რუსეთის იმპერიის მასშტაბით.

სეკვესტრის დადებისა და "ზინგერის" დოკუმენტაციის განხილვისას, საეჭვო ჯაშუშურ საქმიანობასთან ერთად, გამოაშკარავდა მრავალი სხვა დარღვევაც. მაგალითად, "კომპანია ზინგერი" მთელი თავისი არსებობის მანძილზე არ იხდიდა აგენტებზე კანონით გათვალისწინებულ სარეწაო გადასახადს. ისინი "ზინგერს" წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც დროებით დაქირავებული პირები[122].

"კომპანია ზინგერის" ხელმძღვანელობა მოუმზადებელი შეხვდა ამ ღონისძიებას. საზოგადოებრივი აზრის მისამხრობად პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა წერილები ქვეყნის წინაშე "ზინგერის" "დამსახურებების" შესახებ, თანამშრომელთა თხოვნა, არ დაეკარგვინებინათ ათასობით ადამიანისათვის ლუკმა-პური, ქვეყნდებოდა მასალები "ზინგერის" მნიშვნელობის შესახებ საომარ მოქმედებასა და სამხედრო მრეწველობასთან დაკავშირებით. მაგრამ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით კავკასიასა და მთელ რუსეთში გაუქმდა "ზინგერის" საწინააღმდეგო ბრძანებულებები.

სააქციო საზოგადოება "კომპანია ზინგერის" ეროვნული კუთვნილების გამორკვევა მთავრობამ დაავალა იუსტიციის სამინისტროს. სამინისტრომ

---

118 ცსსია, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3638, ფურც. 67.
119 იქვე, ს. 3366, ფურც. 5.
120 იქვე, ფურც. 6.
121 იქვე, საქმე 5457, ფურც. 10.
122 იქვე.

1916 წლის აგვისტოში გამოყო სპეციალური პირი – ვარშავის საოლქო სასამართლოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, კოლეგიის მრჩეველი მატვეევი, რომელსაც ევალებოდა "კომპანია ზინგერის" წარმოშობის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის, მისი თანამშრომლების ჯაშუშურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა. მატვეევს უნდა ემოქმედნა რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. მას უნდა დახმარებოდა და მისი საქმიანობისათვის მეთვალყურეობა გაეწია ვარშავის სასამართლო პალატის პროკურორის თანაშემწეს ჟიჟინს. ამ პირთა საქმიანობის გასაადვილებლად იუსტიციის სამინისტრომ თავის ორგანოებს ადგილზე დაუგზავნა კითხვარი. ორგანოებს ევალებოდათ პასუხი გაეცათ შემდეგ კითხვებზე:

1. გაარკვიონ, რომელი ქვეყნის – რუსეთის, გერმანიის თუ ამერიკის საწარმოა რუსეთში მოქმედი სააქციო საზოგადოება "კომპანია ზინგერი";

2. ვინ ხელმძღვანელობს ამ საწარმოს (ხომ არ არიან მათში გერმანიის სათადარიგო სამხედრო პირები);

3. ხომ არ არის მინიშნება იმაზე, რომ რუსეთში მოქმედ "კომპანია ზინგერს" ხელმძღვანელობენ გერმანიიდან (კერძოდ, ჰამბურგიდან);

4. არის თუ არა ცნობა, რომ რუსეთში მოქმედ "კომპანია ზინგერს" კავშირურთიერთობა აქვს საზღვარგარეთის ქვეყნებთან (ამერიკის გარდა);

5. როგორი ხასიათის სტატისტიკურ ცნობებს აგროვებდნენ რუსეთზე "ზინგერის" თანამშრომლები და ვისი განკარგულებით ხდებოდა ეს.

შემდეგი კითხვები ეხებოდა "ზინგერის" ორგანიზაციას, მის თანამშრომელთა ნაციონალურ შემადგენლობას, ადგილობრივ ხელისუფლებთან ურთიერთობას, აქციების განაწილებასა და კუპონილებას, მთავარი სამმართველოს პეტერბურგიდან მოსკოვში გადატანის მიზეზს, "ზინგერის" სამუშაო ენას, დაფინანსებასა და დაზღვევას და ა.შ. სულ იყო 10 კითხვა[123].

როგორც ამიერკავკასიიდან, ისე სხვა ადგილებიდან გაცემულ პასუხებში მეტნაკლებად დასაბუთებული იყო, რომ "კომპანია ზინგერი" წარმოადგენს გერმანული სააქციო საზოგადოების ფილიალს და მას ძირითადად კონტროლს უწევენ გერმანელები.

ამავე დროს გრძელდებოდა სხვადასხვა უწყებების და განსაკუთრებით სამხედრო ორგანოების მიმართვები, განცხადებები, შეკითხვები ხელისუფლებისადმი "ზინგერის" საქმიანობასთან დაკავშირებით.

1916 წლის 25 აგვისტოს სამხედრო სამინისტრომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა წერილით, რომელშიც ითხოვდა მინისტრთა საბჭოს სხდომაზე "კომპასია ზინგერის" საკითხის განხილვას, მიუხედავად ამერიკული წარმოშობისა, "კომპანია ზინგერი", – აღნიშნული იყო წერილში, – მჭიდროდ არის დაკავშირებული გერმანიასთან და კომერციულ საქმიანობასთან ერთად აწარმოებს რუსეთის გეგმაზომიერ და ყოველმხრივ შესწავ-

---

123 სცსია, ფ. 115, ანაწ. 2, საქმე 433, ფურც. 4-5.

დას, შეგროვებული მასალა სანდო წყაროების ცნობით იგზავნება გერმანიაში"[124]. რამდენიმე დღის შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გორემიკინმა მიიღო უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსის გენერალ ალექსეევის წერილი, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ თუმცა "კომპანია ზინგერის" მასალები წინასწარ გამოძიებაშია, მაგრამ უკვე გამოკვლეული ვრცელი დოკუმენტაციიდან ცხადი ხდება, რომ აღნიშნული ფირმა ფართოდ აგროვებდა მასალებს რუსეთის თავდაცვით და სხვა სამხედრო მნიშვნელობის ობიექტებზე, რომელთაც არავითარი კომერციული მნიშვნელობა არ ჰქონდათ. ორივე ამ წერილში წამოყენებული იყო მოთხოვნა რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე "ზინგერის" დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის შესახებ[125].

ამ პრობლემის გადაჭრა დაევალა მინისტრთა საბჭოს, რომელსაც უნდა განეხილა და გადაეწყვიტა რუსეთში "კომპანია ზინგერის" შემდგომი საქმიანობის საკითხი. 1916 წლის 18 სექტემბერს მინისტრთა საბჭომ განიხილა "კომპანია ზინგერის" საკითხი. როგორც ჩანს, მინისტრთა საბჭოზე სათანადო ზეგავლენა მოახდინეს გარკვეულმა პირებმა და წრეებმა. მინისტრთა საბჭომ, არსებული დოკუმენტური მასალების მიუხედავად, "ზინგერი" რუსულ-ამერიკულ ფირმად გამოაცხადა და გამოძიების დამთავრებამდე მის წინააღმდეგ ყოველგვარი რეპრესიული ზომების მიღება აკრძალა. აქედან გამომდინარე, "ზინგერის" განყოფილებებსა და მაღაზიებს მიეცათ საქმიანობის უფლება. ამასთანავე, აღიარებდა რა, რომ "სამხედრო უწყების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ცხადი ხდება კომპანიის ცალკეულ აგენტთა საქმიანობის აშკარა საეჭვო ხასიათი", მინისტრთა საბჭო თანხმდებოდა საომარ მოქმედებათა ზონაში "ზინგერის" დაწესებულებების შემდგომი საქმიანობის განსაზღვრის უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისათვის გადაცემას.

მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების საფუძველზე, გენერალმა ვოლსკიმ 1916 წლის 18 ნოემბერს გააუქმა თავისივე 26 სექტემბრის ბრძანებულება. "ზინგერის" ყველა დაწესებულებას კავკასიაში ეხსნებოდა სეკვესტრი და მაღაზიებს ეძლეოდათ მთავრობის მიერ დანიშნული ინსპექტორების მეთვალყურეობით ვაჭრობის ნება[126].

ამ ინციდენტის შემდეგ, 1916-1917 წლებში "კომპანია ზინგერი" შეუფერხებლად განაგრძობდა თავის საქმიანობას. "ზინგერის" მანქანების დიდი მარაგი აღმოჩნდა, როგორც ადგილებზე – მაღაზიებსა და საწყობებში, ისე რუსეთის სანავსადგურო ქალაქებში – საზღვარგარეთიდან მიღებული ტვირთების სახით. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ეს ტვირთები თავმოყრილი იყო ბალტიისპირეთის ნავსადგურებსა და არხანგელსკში. 1915 წლის ბოლოსათვის მარტო ბაქოს ცენტრალური განყოფილების საწყობებსა და მაღაზიაში ინახებოდა 9.000 საკერავი მანქანა.

---

124 სცსია, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3653.

125 იქვე.

126 იქვე, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 5457, ფურც. 128.

"ზინგერი" მოიერიებულად იყენებდა ომისაგან მოშლილ, ისედაც მცირე გამტარუნარიანი რუსეთის სატრანსპორტო არტერიებს. მაგალითად, 1916 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩრდილოეთის რკინიგზაზე ქ. ვოლოგდასა და მის მიმდებარე სადგურებში ეშელონებს გადაჰქონდათ "ზინგერის" 700 000 ფუთამდე ტვირთი. "ზინგერის" წარმომადგენლებმა შეუფერხებლად მოახერხეს ვოლოგდაში სატვირთო ვაგონების საჭირო რაოდენობის მიღება მაშინ, როცა იმავე ვოლოგდაში, სატვირთო სადგურზე, დიდხანს ეყარა ფრონტისათვის ისეთი აუცილებელი და დეფიციტური მასალა, როგორიც ეკლიანი მავთული იყო[127].

ომისაგან გამოწვეული სიძნელეების მიუხედავად, ამ წლებში "ზინგერის" ვაჭრობა ამიერკავკასიაში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, რაც მას აძლევდა თანამშრომელთა შტატის ძირითადად შენარჩუნების საშუალებას. თანამშრომელთა რიცხვი უმნიშვნელოდ შემცირდა. ამას ადმინისტრაცია იყენებდა და აცხადებდა, რომ პირველ რიგში დაითხოვდნენ იმ თანამშრომლებს, რომლებიც ვერ შეძლებდნენ სათანადო რაოდენობით მანქანების გასაღებას. ეს კი აიძულებდა კომპანიის აგენტებს, ემუშავათ მაქსიმალური დაძაბულობით, ისეთ პირობებში, როდესაც ხელფასი თითქმის არ იზრდებოდა და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ფასების ზრდას.

ვაჭრობის მაღალ დონეზე შენარჩუნებას ხელს უწყობდა მანქანების დიდი რაოდენობით შეძენა ომის საჭიროებისათვის მომუშავე ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორიც იყო სამხედრო უწყება, ქალაქთა კავშირი, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები და სხვ. ამავე პერიოდში საკერავ მანქანებს მნიშვნელოვანი რაოდენობით იძენდნენ საშუალო და დაბალი ფენების წარმომადგენლები, რომლებიც მათ იყენებდნენ არა მარტო საკუთარი საჭიროებისათვის, არამედ შეკვეთებისათვის - სხვადასხვა ორგანიზაციების (წითელი ჯვარი, ქალაქების კავშირი და სხვ.) მიერ გახსნილი ლაზარეთებისათვის საჭირო თეთრეულის, საცვლების და სხვ. დასამზადებლად.

ომის პერიოდში არაერთხელ მოხდა ტრადიციული შეჯახება "კომპანია ზინგერის" ადმინისტრაციასა და რიგით თანამშრომლებს შორის. 1917 წლის ზაფხულში "ზინგერის" ხელმძღვანელობასა და მოსამსახურეთა შორის განსაკუთრებით გრანდიოზული კონფლიქტი იყო. ივლისის შუა რიცხვებში მშრომელთა პროფესიული კავშირის დელეგაციამ, რომელშიც მონაწილეობდნენ მაღაზიის გამგეებიც, ხელფასის მომატების თხოვნით მიმართა ამიერკავკასიაში "ზინგერის" დაწესებულებების მმართველს ი. ლეკინს. თხოვნაში სრულიად სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ თანამშრომელთა ხელფასი მთელი ომის მანძილზე უცვლელი რჩებოდა, მაშინ როცა ფასები განუწყვეტლივ იზრდებოდა, თვით "კომპანია ზინგერმაც" არა ერთხელ მოუმატა ფასი თავის საქონელს. მარტო 1917 წლის პირველ ნახევარში "ზინგერის" ხელმძღვანელობამ ოთხჯერ გაზარდა ფასები თავის საქონელზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო უკანასკნელი მომატება, რომლითაც მანქანების ფასები გადიდდა 60 %-ით, ხოლო ნაწილებისა - 100 პროცენტით. ამ მომატების შემ-

---

127 იქვე, საქმე 3638, ფურც. 29.

დებ საკერავი მანქანის ნემსი, რომელიც ომამდე 2-3 კაპიკი ღირდა, 20 კაპიკი გახდა. ყოველი ეს მომატება მძიმე ტვირთად აწვებოდა ომისაგან ისედაც გაწამებულ ხალხს, მაგრამ არავითარი გაუმჯობესება არ მოჰქონდა "ზინგერის" საშუალო და რიგითი პერსონალისათვის[128].

ამ მოთხოვნებზე უარის მიღების შემდეგ, 16 აგვისტოს დაიწყო "ზინგერის" თანამშრომელთა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც მალე მთელ რუსეთს მოედო. ეს გაფიცვა გამოირჩეოდა თავისი ორგანიზებულობით. მიუხედავად იმისა, რომ გაფიცულები მთელი რუსეთის მასშტაბით მტკიცედ მოითხოვდნენ თავიანთი მოთხოვნების შესრულებას, "ზინგერის" ხელმძღვანელობამ ახალი ხელისუფლების დახმარებით მშრომელთა ამ შეტევის მოგერიებაც შეძლო.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთში "კომპანია ზინგერის" საქმიანობა შეწყდა.

ამიერკავკასიაში "კომპანია ზინგერის" მოღვაწეობა გაგრძელდა 1919 წლის დასაწყისამდე, როდესაც, ოფიციალური ცნობით, იგი შეცვალა ნამდვილმა ამერიკულმა ფირმამ "სინგერ სევინგ მაშინ კომპანი"-მ (Singer sewing machine company). მის განკარგულებაში გადავიდა ამიერკავკასიაში არსებული "კომპანია ზინგერის" მთელი ქონება და პერსონალი[129].

---

128 ი ქ ვ ე, ფ. 190, ანაწ. 1, საქმე 40, ფურც. 12-14.

129 ი ქ ვ ე, საქმე 54, ფურც. 2; საქმე 56, ფურც. 1-5.

## III. გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიის ნავთობის მრეწველობაში და მისი ბრძოლა ევროპის ბაზარზე გაბატონებისათვის

გერმანული კაპიტალი "სიმენსისა და გალსკეს" ფირმის იყო წარმოდგენილი ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს ნავთობის მრეწველობაში. შემდგომშიც გერმანული კაპიტალი მეტ-ნაკლები რაოდენობით მონაწილეობდა ამიერკავკასიის, განსაკუთრებით ბაქოს ნავთობის მრეწველობაში, სადაც იგი გამოჩნდა XIX საუკუნის 70-იან წლებში. ამ დროიდან გერმანელები აარსებენ საკუთარ ფირმებს ან უფრო ხშირად მონაწილეობენ მეპაიეებად სხვადასხვა ადგილობრივ ფირმებში. აქ ერთ-ერთი პირველი დამკვიდრდა ჰამბურგელი კომერსანტი დოქტორი მაქს ალბრეხტი. იგი იყო ფირმა "ა.ელრიხის და კომპანიის" თანამფლობელი. მან ბაქოს მახლობლად, საბუნჩაიში შეიძინა ნავთობის სარეწები დაააგო ნავთობგადამამუშავებელი საწარმო, სადაც ძირითადად მანქანის ზეთი მზადდებოდა. შემდეგ მან გააფართოვა ეს ქარხანა, ააგო "ნავთობის ქარხნები" ბათუმსა და ჰამბურგში. შემდგომში ამ ფირმას "რუსეთ-კასპიის სააქციო ნავთობის საზოგადოება" ეწოდა. ფირმის წარმადობა დიდი არ იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, გერმანიისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი ძირითადად სხვადასხვა სახის მანქანის საცხებ-ზეთებს ამზადებდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ამ მასალებით გერმანიის მომარაგებაში. შეიძლება ფირმის ასეთი სპეციალიზაცია შემთხვევითი არ იყო და წინასწარ განზრახულად ემსახურებოდა გერმანიის პოლიტიკურ და სამხედრო ინტერესებს. პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანიამ რუსეთიდან 200 ათას ტონამდე საცხებ-საპოხი მასალები გაზიდა[1].

80-იან წლებში ადგილობრივ, თუ უცხოურ კაპიტალთან დაკავშირებულ ფირმებში მრავლად მონაწილეობდნენ გერმანიის ქვეშევრდომები: გაკი, ვაიზერი, კველი, ლენცი და მრავალი სხვა[2].

გერმანიაში ნავთობპროდუქტების შეხიდვის გასაადვილებლად 1893 წელს ბერლინში ბაქოს ნობელის ფირმის ინიციატივით და მონაწილეობით დაარსდა სააქციო საზოგადოება "გერმანია-რუსეთის ნავთობის იმპორტის საზოგადო-

---

1 Н.Д. Н а н и т а ш в и л и, Экспансия иностранного капитала в Закавказье, Тбилиси, 1988, с.308.

2 А.С. С у м б а т з а д е, Социально-экономические предпосылки с.33.

ბა" ("ნაფტაპორტ")[3]. XIX ს. ბოლოს მისი კაპიტალი 1,5 მილიონ მარკას უდრიდა. გერმანული კაპიტალის ნაწილი შავი ზღვის ნავსადგურებიდან (ბათუმი, ნოვოროსიისკი) ნედლი ნავთობის გატანაშიც იღებდა წილს (შუბერტი, გროტე). მნიშვნელოვანი წილი ედო, აგრეთვე, მანთაშევ-ლიანოზოვის საზოგადოებაში.

გერმანული კაპიტალი მოხერხებულად სარგებლობდა ბაქოს ნავთობმრეწველთა ფინანსური სიძნელეებით, კრიზისებით და მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებდა რუსეთის ნავთობის მრეწველობაში. გერმანული კაპიტალი განსაკუთრებით მჭიდროდ უკავშირდება "ნობელის" ფირმას. თავისი მდგომარეობის გასამტკიცებლად იგი იმასაც კი ცდილობდა, რომ გაეუმჯობესებინა რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა, რომელიც XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რამდენადმე გაუარესდა.

გერმანული კაპიტალის დახმარებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ნობელის ფირმის ფინანსური მდგომარეობა. 80-იანი წლებიდან "ძმ.ნობელების" ფირმა მჭიდროდ უკავშირდება გერმანულ კაპიტალს. 1884 წელს გერმანიაში "დისკონტო გეზელშაფტის" და სხვა გერმანული ფირმების დახმარებით გავრცელდა "ძმ. ნობელების" საობლიგაციო სესხი 5 მილიონი მარკის რაოდენობით. XIX საუკუნის მიწურულში რეალიზებული იქნა კიდევ უფრო დიდი სესხი – 21,6 მილიონი მარკის ოდენობით[4].

XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში გერმანიის საფინანსო-სამრეწველო წრეებმა, მთავრობის მხარდაჭერით, ბრძოლა დაიწყეს გერმანიისა და ევროპის ბაზრებზე მონოპოლიურად გაბატონებული როკფელერის ამერიკული ნავთობის ფირმის "სტანდარდ ოილის" წინააღმდეგ. მათი მიზანი იყო გერმანიაში ამერიკული ნავთის შემოტანის შეფერხება და იმ გერმანელს საქმოსანთა ხელის შეწყობა, რომლებიც აწარმოებდნენ რუსეთის ნავთობპროდუქტების იმპორტს[5].

1890 წელს ბერლინში "დოიჩე ბანკის" ინიციატივით და ხელმძღვანელობით დაარსდა "გერმანია-რუსეთის ნავთობის საიმპორტო საზოგადოება". რუსეთის მხრიდან მასში შევიდნენ ნობელისა და როტშილდის ფირმები, გერმანიის მხრიდან - "დოიჩე ბანკის" გარდა რამდენიმე გერმანული საფინანსო დაწესებულება. ამ გაერთიანების მთავარი მიზანი იყო რუსეთის ნავთის შემოზიდვის გადიდებით გერმანიისა და ევროპის ბაზრებიდან "სტანდარდ ოილის" გაძევება. მაგრამ ამის განხორციელება ვერ მოხერხდა. რუსეთის ნავთობის მრეწველობა ჯერ არ იყო იმ სიმაღლეზე, რომ თუნდაც გერმანიის ფინანსური დახმარებით დაეძლია მძლავრი "სტანდარდ ოილი". საბოლოოდ "გერმანია-რუსეთის ნავთობის საიმპორტო საზოგადოება" მთლიანად "ნობელმა" შეისყიდა.

80-იანი წლების ბოლოს გერმანიის მთავრობამ რუსეთს უარი უთხრა კრედიტებზე და დახურა გერმანიის ფულის ბაზარი რუსეთის ფასიანი ქაღალდე-

---

3 Л.Я. Эвентов, Иностранный капитал... с.19.

4 იქვე, გვ. 18.

5 А.С. Ерусалимский, Внешняя политика... с.348-349.

ბისათვის. ეს გარკვეულად აფერხებდა რუსეთის კაპიტალისტურ განვითარებას, რაც კარგად ესმოდათ მმართველი ელიტის გარკვეულ წრეებს. 1892 წლის აგვისტოში რუსეთის ფინანსთა მინისტრად დაინიშნა ამ წრეების წარმომადგენელი ს.ი. ვიტე. მის სახელთანაა დაკავშირებული ბურჟუაზიული გარდაქმნების მთელი პროგრამა, რომლის გატარებითაც ს.ი. ვიტე ცდილობდა თვითმპყრობელური წყობილების გახსნილებას.

გერმანიის მთავრობის ამ მოქმედებამ, ერთის მხრივ, გამოიწვია რუსეთ-გერმანიის სავაჭრო-საბაჟო ომი, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებას.

ვიტეს თქმით, სავაჭრო ომი რუსეთსა და გერმანიას შორის დაიწყო მას შემდეგ, რაც გერმანიის მიერ რუსეთის პურსა და, საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე შემოღებული მაღალი ბაჟების საპასუხოდ, 1891 წელს რუსეთმაც შემოიღო პროტექციონისტული ტარიფი გერმანიის სამრეწველო ნაწარმზე[6]. ამ საბაჟო ომის დროს გერმანია-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობა თითქმის შეწყდა. გერმანიამ ჯერ პროტესტი განაცხადა, შემდეგ იძულებული გახდა, დაედო რუსეთთან სავაჭრო შეთანხმება, რომელშიც მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდა, რადგან სავაჭრო ომმა ეკონომიკურად მეტად განვითარებული გერმანია უფრო დააზარალა, ვიდრე რუსეთი[7].

XIX საუკუნის ბოლოს ინგლის-საფრანგეთსა და აშშ-სთან გერმანიის ურთიერთობათა გამწვავების გამო გერმანიის მმართველ წრეებში წარმოიშვა მისწრაფება, აღედგინათ რუსეთთან "ძველი კარგი" ურთიერთობა, რომელიც გართულდა ბერლინის კონგრესისა და, განსაკუთრებით, რუსეთ-გერმანიის საბაჟო ომის დაწყების შემდეგ. მაგრამ გერმანიის ხელმძღვანელობის ცდა-დასავლეთის დიდი სახელმწიფოების და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს წინააღმდეგ ეკონომიკური ბრძოლის საბაბით პრაქტიკულად განეხორციელებინათ ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებში არსებული შუა ევროპის იდეის ერთ-ერთი ვარიანტი – მარცხით დამთავრდა. რუსეთისათვის იგი მიუღებელი იყო. გერმანიის ჰეგემონობით ევროპის ეკონომიკური გაერთიანების გეგმა იყო ევროპის შეერთებული შტატების შექმნის პროექტის ერთ-ერთი ვარიანტი.

გერმანიის სამრეწველო წრეების ბრძოლა "სტანდარდ ოილის" წინააღმდეგ განსაკუთრებით გამწვავდა 1897 წლის გაზაფხულზე, როდესაც აშშ-ში მიიღეს პროტექციონისტული "დანგლის ტარიფი", რომელიც ძალზე ზღუდავდა გერმანიის ექსპორტს აშშ-ში. ამან გერმანიაში მძლავრი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. გერმანიის სამრეწველო წრეები მოითხოვდნენ საპასუხო ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარებას და, პირველ რიგში "სტანდარდ ოილის" ალაგმვას. ამისათვის კი გერმანიის მესვეურებს სრულიად სამართლიანად მიაჩნდათ, რომ საჭირო იყო რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება[8].

---

6 С.Ю. В и т т е, Воспоминания, т.I, М., 1960, с.371-374.

7 Там же с.377.

8 Н.Д. Н а н е т а ш в и л и, Экспансия иностранного... с.317

გერმანია-ამერიკის ურთიერთობა ნავთობის ექსპორტში შემდგომში კიდევ უფრო გამწვავდა. გერმანიის მთავრობა ყოველნაირ დახმარებას უწევდა იმ ფირმებს, რომლებსაც რუსეთიდან გერმანიაში გაჰქონდათ ნავთობი და იქ ამუშავებდნენ.

1895-1897 წლებში გერმანია წლიურად მოიხმარდა 40-50 მილიონ ფუთ ნავთს. აქედან "ნაფტაპორტის" წილად მოდიოდა მხოლოდ 1-1,5 მილიონი ფუთი. ეს გაერთიანება ვერ უწევდა ღირსეულ კონკურენციას "სტანდარდ ოილს".

ბრძოლა გერმანიისა და ევროპის ბაზრებისათვის გერმანიის ფინანსურ ჯგუფებსა და "სტანდარდ ოილს" შორის მრავალი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, თვით მსოფლიო ომამდე და მან მიიღო "ნავთობის ომის" სახელწოდება. ამ ბრძოლას ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკური მოტივებიც ედო საფუძვლად. "შუა ევროპის" გეგმის განხორციელებით გერმანია ცდილობდა პოლიტიკურად გაბატონებულიყო ევროპაში და შემდეგ შესაძლოა მსოფლიოშიც[9].

1897 წელს ჰამბურგის ბანკმა დაიწყო მოლაპარაკება პეტერბურგის "საერთაშორისო ბანკთან", რათა ნავთობის საბადოების დახვერვის, მოპოვების და გადამუშავების მიზნით შექმნათ რუსეთში გერმანულ კაპიტალზე დაფუძნებული გაერთიანება. მისი ძირითადი კაპიტალი უნდა ყოფილიყო 6 მილიონი მარკა[10]. ეს იყო ნაწილი გერმანიის მთავრობის სანავთობო პროექტისა, რომლის რეალიზაციის შესახებ მოლაპარაკება წარმოებდა ბანკების საშუალებით. რუსეთის მთავრობა დასთანხმდა ამ პროექტს. გერმანიის მთავრობა პირობას იძლეოდა რუსეთის ნავთობის ექსპორტისათვის დაეწესა შეღავათიანი საბაჟო ტარიფი, მაგრამ მიუთითებდა მხოლოდ ნედლ ნავთობს და არა ნავთობპროდუქტებს, ნავთობი გერმანიაში უნდა გადაემუშავებინათ გერმანელ მეწარმეებს. პროექტის ამ პუნქტის წინააღმდეგ გამოვიდნენ ნობელი და ზოგიერთი სხვა მეწარმე. მთავრობამ, კერძოდ ფინანსთა მინისტრის ვიტეს სახით, მხარი დაუჭირა მათ. ამის გამო მოლაპარაკება გაჭიანურდა და წარუმატებლად დამთავრდა.

გერმანია მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული ნავთობის რაოდენობით[11]. საერთოდ, გერმანია დიდი რაოდენობით მოიხმარდა ნავთს და ნავთობპროდუქტებს. ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა, როცა გერმანიაში დაიწყეს შიდაწვის ძრავების – დიზელების წარმოება. მათ დიდი რაოდენობით უშვებდა როგორც თვით დიზელი, ისე სხვა გერმანული ფირმები. დიზელების ერთ-ერთ გამომშვებ ფირმა "ზინგის" გერმანიაში აფინანსებდა "ნობელი"[12].

ნავთობზე მოთხოვნილების ზრდამ როგორც გერმანიაში, ისე მთელ მსოფლიოში ცხადჰყო მისი, როგორც სტრატეგიული ნედლეულის, უდიდესი მნიშვნელობა. დიდი გეოლოგიური ძიების მიუხედავად გერმანიაში ვერ აღმოაჩინეს

---

9 А.С. Е р у с а л и м с к и й, указ. соч., с.330.

10 А.А. Ф у р с е н к о, Нефтяные тресты... с. 142.

11 ЦГИА СССР, ф.626, оп.I, д.370, л.33-35.

12 АВПР, ф.П, департамент I-5, опись №407, д.739, л.6-7.

ნავთობის რამდენადმე მნიშვნელოვანი საბადო. ამიტომ გერმანიის ყურადღება კვლავ მიპყრობილი იყო აფშერონის ნახევარკუნძულის საბადოებისადმი. გერმანიაში სხვადასხვა წინადადებები და პროექტები დგებოდა ბაქოს ნავთობის მოპოვებაში გერმანიის კაპიტალის შეღწევის გაძლიერებისა და გერმანიაში მისი მოხერხებულად და უსაფრთხოდ (მაგალითად, დუნაის გზით) ექსპორტისათვის.

გერმანიაში რუსეთის ნავთით ვაჭრობა თითქმის მთლიანად თავმოყრილი იყო ნობელის ხელში, ამიტომ, ბუნებრივია, გერმანელებმა მისი საშუალებით სცადეს ბაქოს ნავთობის მრეწველობაში შეღწევა. ამასთანავე, გერმანიის ხელისუფლება ცდილობდა "ძმ. ნობელებისა" და რუსეთის სხვა ფირმებისათვის გერმანიაში ნავთობის ხელსაყრელად გასაღებაში ხელის შეწყობას: შეღავათიანი საბაჟო ტარიფების დაწესებას, მათი პროდუქციის პირველ რიგში შესყიდვას და სხვ. გერმანელები მხოლოდ მოითხოვდნენ, რომ რუსეთის ფირმები რაიმე სახით არ მორიგებულიყვნენ ამერიკელებთან გერმანიის ბაზრიდან ზემოგების მისაღებად, ამასთან, გერმანელები შიშს გამოთქვამდნენ ნობელის მიმართ, რადგან ვარაუდობდნენ, რომ მისი შეთანხმება "სტანდარტ ოილთან" კვლავ ძალაში დარჩებოდა[13].

ამიტომ გერმანელებმა სცადეს ბაქოს სხვა ნავთობმრეწველებთან მოლაპარაკება, ნავთით მოვაჭრე ისეთი სინდიკატის შექმნა, რომელიც მათ მისცემდა გერმანიის შიდა ბაზარზე რუსეთის ნავთით ვაჭრობის ხელში ჩაგდების საშუალებას, მაგრამ ვერ მოახერხეს. მაშინ გერმანელმა ფინანსისტებმა სცადეს მეორე დიდ ნავთობსამრეწველო და სავაჭრო გაერთიანების მეთაურ როტშილდთან დაკავშირება. ამ მოლაპარაკებაში შუამავლის როლს ასრულებდა ბანკირი როტშტეინი. მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობდა 1898 წლის ოქტომბრიდან 1899 წ. მაისამდე, რამდენჯერმე შეწყდა გერმანელთა დიდი მოთხოვნების გამო და საბოლოოდ ჩაიშალა.

გერმანელთა ასეთი პოლიტიკის შედეგი მოულოდნელად მათ საწინააღმდეგოდ შემოტრიალდა. ნობელის ინიციატივით 1898 წ. ოქტომბერში მასსა და როტშილდს შორის დაიდო თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რომლითაც გამორიცხა გერმანელ საქმოსანთა ცდა-შეექმნათ ნავთობის კარტელი[14].

1899 წ. 29 მაისს რუსეთისა და გერმანიის მთავრობებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც გერმანიის მთავრობა ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რუსეთის ნავთის გასაღებას გერმანიის ბაზარზე და სანაცვლოდ მოითხოვდა, რუსეთის მთავრობას არ დაეშვა რუსეთის ნავთით მოვაჭრე ორგანიზაციების შერწყმა ამერიკულთან, არ გაედიდებინა ამიერკავკასიის რკინიგზაზე (ბაქო–ბათუმი) იმჟამად მოქმედი ტარიფი (ყოველ გადაზიდულ ფუთ ნავთზე – 12 კაპიკი), ხელი შეეწყო გერმანიის ქვეშევრდომთა საქმიანობისათვის რუსეთში და სხვ.[15].

მაგრამ გერმანიის მთავრობა ყოველნაირად აფერხებდა ამ საიდუმლო შე-

---

13 А.А. Ф у р с е н к о, Нефтяные тресты., с.I52.

14 ი ქ ვ ე, გვ. 152-160.

15 АВПР, ф.П, департамент I-5, оп. №407, д.740, 1899, л.I-2.

თანხმების დამტკიცებას რაიხსტაგში. ამ მიმართულებით გარკვეულად მოქმედებდნენ ამერიკის მთავრობა და "სტანდარდ ოილი", როდესაც რუსეთში დარწმუნდნენ, რომ გერმანია მხოლოდ თავისი ინტერესებისათვის მოქმედებს, საბაბად გამოიყენეს გერმანიის მთავრობის მიერ ხელშეკრულების ვადის გადაცილება და ხელშეკრულება გააუქმეს[16].

თავის მხრივ ნობელმა გერმანიაში თავისი ნავთის ექსპორტის ინტენსიფიკაციისათვის გამოიყენა წარმოების კრიზისული ვითარება, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ნავთობის საშუალო და წვრილი მწარმოებლები. 1902 წ. სექტემბერში მან შესთავაზა ბაქოს ნავთობმრეწველებს "ნაფტაპორტში" შესვლა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, 1903 წლის 20 თებერვალს, ხელი მოაწერეს შეთანხმებას. მაგრამ შინაგანი წინააღმდეგობების გამო ეს შეთანხმება პრაქტიკულად არ განხორციელებულა[17].

XX ს. დასაწყისიდან გერმანიამ, რომელიც ფლობდა გარკვეულ კაპიტალს, საწარმოებსა და ტრანსპორტზე გამოყენებულ ძრავებში ქვანახშირი წარმატებით შეცვალა იმპორტული ნავთობით. ამის გამო ამ პერიოდიდან კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის განსაკუთრებით მწვავდება ბრძოლა ნავთობის საბადოებისათვის, რომელშიც აქტიურად ებმება გერმანიაც.

1902 წ. ჰამბურგში შეიქმნა ანონიმური "ნავთობპროდუქტების სააქციო საზოგადოება". საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 3 მილიონი მარკა იყო. იგი მიზნად ისახავდა ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ ფილიალების შექმნას, რომელთა საშუალებითაც უნდა მომხდარიყო ნავთობპროდუქტების, გადაზიდვის საშუალებების, სხვადასხვა მოწყობილობების ყიდვა-გაყიდვა.

1902 წელსვე საზოგადოებამ თხოვნით მიმართა რუსეთის მთავრობას, მისთვის მიეცათ რუსეთიდან ნავთობ-პროდუქტების ექსპორტის წარმოების უფლება, ამასთანავე, საზოგადოებამ გამოთქვა ბაქოში ნავთობსახდელი ქარხნის, ხოლო ბათუმში ნავთობსაცავების აგების სურვილი[18]. მაგრამ რუსეთის ხელმძღვანელ წრეებში წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა ამ სააქციო საზოგადოების რუსეთში დაშვების შესახებ. კავკასიის ადმინისტრაცია და მეფისნაცვალი, დაინტერესებულნი უცხოური კაპიტალის მოზიდვით, თანახმანი იყვნენ, რომ ჰამბურგის "ნავთობპროდუქტების სააქციო საზოგადოება" დაეშვათ რუსეთში სამოქმედოდ. მათ მხარს უჭერდა ფინანსთა მინისტრი ს. ვიტე. მაგრამ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა საზღვაო ვაჭრობისა და ნავსადგურების მთავარი სამმართველო, რომლის თავმჯდომარე იყო საკმაოდ გავლენიანი არისტოკრატი, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე. ეს უკანასკნელი შიშობდა, რომ რუსეთის ნავთობსაზიდი ფლოტის სიმცირისა და სისუსტის გამო შეიძლებოდა გერმანული კაპიტალის ხელში მოქცეულიყო რუსეთის ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა გერმანიაში, მცირე აზიასა და ზოგიერთ სხვა რეგიონში. კამათი ამ საკითხზე გაგრძელდა 1904 წლამდე. ამ წელს ვიტე გადადგა ფინანსთა მინისტრის თანამდებობიდან და ამ საკითხის

---

16 Н.Л.Н а н и т а ш в и л и, Экспансия иностранного... с.328.

17 ЦГИА СССР, ф. 1458, оп.1, 1322, л.23-24.

18 ЦГИА СССР, ф.23, оп.25, д.303, 1902-1903, л.4-10, 21.

საბოლოო გადაწყვეტა დაევალა მის შემცვლელს, ახალ ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს.

1904 წლის მაისში კოკოვცევმა მინისტრთა კომიტეტის სხდომას წარუდგინა ვიტეს "მოხსენებითი ბარათი" და თავის მოსაზრებანი ამ საკითხზე. მინისტრთა კომიტეტმა დადებითი დადგენილება გამოიტანა ამ საკითხზე. 1904 წლის 16 მაისს ნიკოლოზ II-მ დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტის დადგენილება[19].

სამოქმედოდ დაშვებისთანავე ჰამბურგის სააქციო საზოგადოებამ აქტიური საქმიანობა გააჩაღა ბაქოს ნავთობის მრეწველობაში. თავიდანვე მან ბაქოში გახსნა თავისი სააგენტო, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ი. ხემერი. მაშინვე, სავაჭრო სახლ "გლოხი, კაპენგეიმი და კომპანია"-საგან შეიძინეს ნავთისა და ზეთების გადამამუშავებელი ქარხანა, თავისი საცავებით. სააქციო საზოგადოება შემდგომშიც აფართოებდა თავის საქმიანობას. 1906 წლის აპრილისათვის მისი სააქციო კაპიტალი 3 მილიონიდან 9 მილიონ მარკამდე გაიზარდა, ხოლო შემდგომ 12 მილიონ მარკას მიაღწია[20]. "ჰამბურგის ნავთობპროდუქტების სააქციო საზოგადოებას" კაპიტალდაბანდებათა გაფართოებაში დიდ დახმარებას უწევდნენ გერმანელი ბანკები და სხვა საზოგადოებები, რომელთა საერთო მიზანი იყო რუსეთის, რუმინეთისა და გალიციის ნავთობის იმპორტის ხელში ჩაგდება და გერმანიისა და სხვა ქვეყნების ბაზრებიდან "სტანდარდ ოილის" გაძევება.

ასეთი საქმიანობის მიუხედავად, "ჰამბურგის ნავთობპროდუქტების სააქციო საზოგადოებისა" და სხვა გერმანული საზოგადოებების წილი ბაქოს ნავთობის მრეწველობაში – მოპოვება-ექსპორტში – მცირე იყო და თავისი მასშტაბებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ინგლის-საფრანგეთის კაპიტალს. რუსეთის პირველმა რევოლუციამ დიდი შეშფოთება გამოიწვია უცხოეთის კაპიტალის წარმომადგენელთა და, მათ შორის, "ჰამბურგის ნავთობპროდუქტების სააქციო საზოგადოების" აქციონერთა შორის: სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ბაქოში მნიშვნელოვნად შემცირდა ნავთობის მოპოვება. ნავთობის ფასები თითქმის გაორმაგდა. მუშაობა შეწყვიტა საზოგადოების ნავთსახდელმა ქარხანამ. საზოგადოებამ შეაჩერა რუსეთიდან ნავთობის ექსპორტიც. ასეთი მდგომარეობა პერიოდულად მუშაობის მცირე გამოცოცხლებით გაგრძელდა 1908 წლამდე.

1908 წლის ბოლოს "ჰამბურგის ნავთობპროდუქტების სააქციო საზოგადოებამ" შეწყვიტა ყოველგვარი ოპერაცია რუსეთში, დახურა თავისი სააგენტო და გაყიდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა[21].

მაგრამ ამ საზოგადოების მოღვაწეობის შეწყვეტას არ შეუსუსტებია გერმანიის კაპიტალის ლტოლვა ამიერკავკასიისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ნავთობის მრეწველობაში ინგლისური კაპიტალი მნიშვნელო-

---

19 Н.Л. Н а н и т а ш в и л и, Экспансия иностранного... с.331-337.

20 იქვე. გვ. 338.

21 ЦГИА СССР, ф.23, оп.25, д.303, л.173

ნაც აღიწრობდა გერმანელს, გერმანიის ფინანსური წრეები მაინც ენერგიულად ცდილობდნენ თავისი პოზიციების განმტკიცებას.

XX საუკუნის დასაწყისიდან ამიერკავკასიაში გერმანული კაპიტალის შეღწევა და ეკონომიკური ურთიერთობა თანდათანობით ფართოვდება. ეს ურთიერთობა ძირითადად ამიერკავკასიის ნავსადგურების მეშვეობით ხორციელდებოდა. გერმანიიდან უმთავრესად შემოჰქონდა სამრეწველო ნაწარმი, სხვადასხვა სახის მანქანები, ხოლო გერმანიაში ძირითადად ნედლეული გაჰქონდათ. ბათუმიდან გადიოდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ხოლო ფოთიდან - მანგანუმის მადანი. ამ პერიოდში საოცრად იზრდება ნავთობპროდუქტების ექსპორტი თურქეთში. 1909 წელს მან 5 მილიონ ფუთს მიაღწია და ამ მაჩვენებლით თურქეთი პირველ ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში. თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის ჩამორჩენილ სახალხო მეურნეობას ამდენი ნავთობპროდუქტების ათვისება არ შეეძლო, შეიძლება საფუძვლიანი იყოს ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება, რომ თურქეთი ამ გატანილი ნავთობპროდუქტების დიდ ნაწილს, გერმანიის მითითებით, მარაგად ინახავდა ანტანტასთან ომის შემთხვევაში[22].

1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ გერმანია განსაკუთრებით აძლიერებს კავკასიიდან ბენზინის ექსპორტს. 1908 წელს იგი მსოფლიოში პირველ ადგილზეც კი გამოვიდა ამ მაჩვენებლით, მაგრამ შემდგომ წლებში, ინგლის-საფრანგეთის მძაფრი კონკურენციის გამო, რამდენადმე დათმო პოზიციები. როგორც ჩანს, ბენზინის ექსპორტის მკვეთრი გაძლიერება გამოწვეული იყო საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებით და მოსალოდნელ ომში მისი ფართოდ გამოყენების პერსპექტივით. ბენზინთან ერთად გერმანია მნიშვნელოვნად აფართოებდა ამიერკავკასიიდან ლიგროინისა და სხვა საცხებ-საპოხი ზეთების იმპორტს.

XX საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ, გერმანიის სამრეწველო-საფინანსო წრეების ენერგიული ღონისძიებების მიუხედავად, გერმანული კაპიტალის პოზიცია ბაქოს ნავთობის მრეწველობაში შედარებით სუსტი რჩებოდა. იგი უმეტესად ნაკლებ მონაწილეობდა ნავთობის მოპოვება-გადამუშავებაში. მისი მისია ძირითადად მანქანა-დანადგარების მიწოდებაში გამოიხატებოდა. გერმანია, პირველ რიგში, ტექნიკით ამარაგებდა "ნობელის" ფირმას, რომლის აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი მას ეკუთვნოდა, აგრეთვე "კასპია-შავი ზღვის საზოგადოებას", "მირზოევების", "ზუბალოვების" და სხვა შედარებით მსხვილ და საშუალო ფირმებს.

დიდი ცდის მიუხედავად, გერმანიის მეწარმეთა და სამრეწველო-საფინანსო წრეების ცდა, - რუსეთის ნავთობმრეწველთა დამარცხებით შექმნათ ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, რომელიც გერმანიისა და ევროპის ბაზრებიდან განდევნიდა როკფელერის "სტანდარტ ოილს", - მარცხით დამთავრდა. ამის შემდეგ გერმანელებმა ენერგიული გეოლოგიური საძიებო სამუშაოები გააჩაღეს თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე. მაგრამ ეს ღონისძიება უშე-

---

22 И.Д. Н а н и т а ш в и л и, Экспансия иностранного... с.341.

დუბო აღმოჩნდა. ამ წარუმატებლობის შემდეგ გერმანელებმა თვალი რუმინეთის ნავთობის სარეწებს მიაპყრეს და იქ დაიწყეს საქმიანობა კონცესიების მისაღებად.

1902 წელს "დოიჩე ბანკმა" ინგლისურ ფირმა "შელსა" და როტშილდებთან ერთად ჩამოაყალიბა კომპანია "პეტროლეუმ-პროდუქტი", რომლის ძირითადი მიზანი იყო ნავთობპროდუქტების გაყიდვა გერმანიის შიდა ბაზარზე და იქიდან "სტანდარტ ოილის" გაძევება. ამასთანავე გერმანიის კაპიტალი ("დოიჩე ბანკი", "დისკონტო გეზელშაფტი", დრეზდენისა და სხვა ბანკები) დაეუფლა რუმინულ "სტიაუა რომინას" და სხვა წვრილ რუმინულ ფირმებს და მტკიცედ დამკვიდრდა რუმინეთის ნავთობის მრეწველობაში. მაგრამ როკფელერს არ გამოპარვია გერმანელთა საქმიანობა და იქვე რუმინეთში განახორციელა საპასუხო ღონისძიებები. ეს მეტოქეობა გადაიჭრა ავსტრია-უნგრეთის კუთვნილ გალიციის ნავთობსარეწებზეც. კონკურენტების დასამარცხებლად "სტანდარტ ოილმა" დაიწყო ნაცადი ხერხის "ფასების ომის" განხორციელება[23]. ამას მოჰყვა გერმანიის პრესისა და საზოგადოებრივი აზრის აღშფოთება. გერმანელებს მხარი დაუჭირეს რუსმა ნავთობმრეწველებმაც, რომლებიც ვარაუდობდნენ, რომ წარმატების შემთხვევაში შეძლებდნენ გერმანიის ბაზარზე "სტანდარტ ოილის" ადგილის დაკავებას. ასეთ პირობებში აღმოცენდა "ევროპის სანავთობო კავშირის" შექმნის იდეა, რომელიც უნდა ყოფილიყო გამსაღებელი ორგანიზაცია ევროპის ფარგლებში. ამ ორგანიზაციის შექმნა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. საბოლოოდ "დოიჩე ბანკმა" შეძლო წინააღმდეგობების გადალახვა და ამ კავშირის ჩამოყალიბება.

"ევროპის სანავთობო კავშირის" (ესკ) შექმნის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1906 წლის 12 ივნისს. მასში შედიოდნენ შემდეგი ბანკები და კომპანიები: "დოიჩე ბანკი", "გერმანიის ნავთის სააქციო საზოგადოება", "რუმინეთის ნავთობმრეწველთა სააქციო საზოგადოება", ინგლისის "კავკასიის სტიმშიპინგ კომპანი", "კასპია-შავი ზღვის ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება" (ბნიტო) და "ძმ.ნობელების" ამხანაგობა.

რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა რუსეთის ნავთობის ექსპორტი. ამით ისარგებლა "სტანდარტ ოილმა" და მკვეთრად განიმტკიცა პოზიციები ევროპაში. გერმანელ მრეწველებსა და ბანკირებს სურდათ ამ კავშირის მეშვეობით "სტანდარტ ოილის" განდევნა ევროპიდან და "დოიჩე ბანკის" მეთაურობით გაბატონება. საამისოდ მათ კარგი საფუძვლები გააჩნდათ. გერმანულ კაპიტალს ძლიერი პოზიციები ჰქონდა რუმინეთის ნავთობის მრეწველობაში და ცდილობდა რუსეთის ნავთობის მრეწველობაში უფრო მძლავრად შეჭრას. ამასთანავე, 1907 წლის 10 სექტემბრის მონაცემებით კავშირში შეიყვანეს ბელგიისა და პოლანდიის წარმომადგენლები, რომელთა კაპიტალის ნახევარზე მეტი "დოიჩე ბანკის" წილად მოდიოდა[24].

---

23 А.А. Ф у р с е н к о, указ. соч., с. 293-294.

24 МЭШР, С.706.

აღსანიშნავია, რომ "ევროპის სანავთობო კავშირის" შექმნის შემდეგ, კავშირის წევრები, ხელშეკრულების პირობების თანახმად, წყვეტდნენ თავიანთი ობიექტების დამოუკიდებელ მუშაობას და "კავშირის" განკარგულებაში გადასცემდნენ მათ. ევროპისა და აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში "ნობელისა" და რუსეთში მოქმედი სხვა ნავთობის ფირმების ფილიალები "კავშირის" განკარგულებაში გადავიდა. "კავშირის" ცენტრალური სამმართველო-მისი წევრების, განსაკუთრებით რუსეთის წარმომადგენლების, თხოვნით-იმყოფებოდა ლონდონში. ეს ერთხელ კიდევ მიუთითებდა წინააღმდეგობაზე მის წევრთა შორის, რომელთაც მხოლოდ "სტანდარტ ოილთან" ბრძოლის აუცილებლობა აერთიანებდათ.

"ევროპის სანავთობო კავშირის" "სტანდარტ ოილის" წინააღმდეგ ბრძოლა წარუმატებელი აღმოჩნდა. 1907 წელს "კავშირი" იძულებული გახდა 8 წლით კარტელური შეთანხმება დაედო ამერიკელებთან. ამ შეთანხმებით ამერიკელები ინარჩუნებდნენ გერმანიაში ნავთის ექსპორტის 75 პროცენტს, დანარჩენი ეძლეოდა "კავშირს"[25]. მაგრამ ვადის გასვლამდე, 1912 წელს, "ევროპის სანავთობო კავშირმა" უარი თქვა შეთანხმების პირობების შესრულებაზე. ამას მოჰყვა მძაფრი კონფლიქტი შეთანხმების დამდებ მხარეებს შორის. ამ ბრძოლაში გერმანიის საბანკო-საფინანსო წრეები ცდილობდნენ დაყრდნობოდნენ რუსეთში მოქმედ ფირმებს, პირველ რიგში "ნობელს". ჯერ კიდევ 1911 წელს გერმანიის ბანკებმა მთელი რიგი შეღავათები მისცეს "ნობელს" - მათ ბერლინის ბირჟაზე კვლავ დაუშვეს "ნობელის" აქციები 15 მილიონი მანეთის რაოდენობით. გერმანელებს ნავთით ვაჭრობაზე მონოპოლიის შემოღების დიდი იმედი ჰქონდათ და "ნობელსაც" აქეზებდნენ მისთვის მხარდასაჭერად. "ნობელი", რომელიც "კავშირში" მეორეხარისხოვან წევრობამდე ჩამოქვეითდა, თვლიდა, რომ "კავშირის" პოლიტიკა ხელს არ უწყობდა მის ძირითად ინტერესებს საზღვარგარეთ. 1913 წლის 30 იანვარს რაიხსტაგის კომისიამ უარყო კანონპროექტი ნავთობის მონოპოლიის შესახებ. ამით საბოლოოდ განიცადა მარცხი გერმანიის საფინანსო-სამრეწველო წრეების მისწრაფებამ - რუსეთისა და რუმინეთის ნავთობის მრეწველობაზე დაყრდნობით დაეპყრო ნავთობის შიგა ბაზარი და იქიდან გაეძევებინა "სტანდარტ ოილი". ერთგვარი წარმატებების მიუხედავად, რუსეთის ნავთობის მრეწველობა შედარებით ჩამორჩებოდა ამერიკულს, რომელიც "სტანდარტ ოილის" სახით იყო წარმოდგენილი. გერმანიის მხრიდან "სტანდარტ ოილის" გასადევნად ხანგრძლივი ბრძოლა მარცხით დამთავრდა. ახლოვდებოდა დიდი ომი. გერმანიას საკუთარი სახალხო მეურნეობისა და არმიის მომარაგება, ნავთობპროდუქტების გარკვეული მარაგის შექმნა, მხოლოდ "სტანდარტ ოილის" დახმარებით შეეძლო.

ამრიგად, გერმანიის საფინანსო-სამრეწველო წრეების ცდა - "დოიჩე ბანკის" ხელმძღვანელობით, აგრეთვე ფირმა "ნობელის" დახმარებით ხელთ ეგდო ბაქოს ნავთობის მრეწველობის დიდი ნაწილი და მისი საშუალებით გაე-

---

25 М.Л. Л и с и ч к и н. Очерки по истории развития отечественной нефтяной промышленности в дореволюционный период, М.-Л., 1954, с.211.

ძევებინათ, თუ ევროპის ნავთობის ბაზრიდან არა, გერმანიიდან მაინც. "სტანდარდ ოილი", - მარცხით დამთავრდა. გერმანიის საფინანსო მესვეურები მხოლოდ იმით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ, რომ ამ ბრძოლაში გარკვეული მოგება მიიღეს და ამიერკავკასიის ნავთობის მრეწველობაში წილი დაიდეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1912 წელს მხოლოდ "დისკონტო გეზელშაფტის" სეიფებში ინახებოდა "ნობელის" ფირმის ფასიანი ქაღალდების - აქციებისა და ობლიგაციების - 40 პროცენტი.

ოპერაციების გაფართოების გამო 1912 წ. "ნობელის" ფირმამ გადაწყვიტა თავისი კაპიტალის ორჯერ გადიდება, რაც საბოლოო ჯამში 30 მილიონს მიაღწევდა. ახლად გამოშვებული აქციები წარმატებით გასაღდა ბერლინისა და პეტერბურგის ბირჟებზე.. გერმანიის ბანკებმა დიდი დახმარება გაუწიეს ნობელს ახალი აქციების გაყიდვაში. ამ ოპერაციაში მონაწილეობით გერმანიის ბანკებმა, განსაკუთრებით "დისკონტო გეზელშაფტმა", დიდი მოგება მიიღეს[26]. ამან განაპირობა, რომ "ნობელების" ფირმის აქციონერთა საერთო კრებამ 1912 წ. "დისკონტო გეზელშაფტის" ბერლინელი წარმომადგენელი სოლომონსონი თავისი ფირმის საბჭოს წევრად მიიწვია[27].

"ევროპის სანავთობო კავშირი",. როგორც აღინიშნა, შეიქმნა როგორც "სტანდარდ ოილის" წინააღმდეგ მიმართული ევროპელ ნავთობის მწარმოებელ-გამსაღებელთა კავშირი. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ კავშირს არ შეეძლო ნავთობით და ნავთობპროდუქტებით უზრუნველეყო ის ქვეყნები, რომლებიც მისი ინტერესების ზონაში შედიოდნენ. ამ ქვეყნებს არ შეეძლოთ "სტანდარდ ოილის" მიწოდების გარეშე დაეკმაყოფილებინათ თავიანთი მოთხოვნები ნავთობპროდუქტებზე. ამერიკელებმა "კავშირის" ეკონომიკური საფუძვლის შესარყევად ნაცად ხერხს მიმართეს - დაიწყეს "ფასების ომი", რამაც "კავშირს" დიდი ზარალი მიაყენა. ამან დააჩქარა "ევროპის სანავთობო კავშირში" შემავალი წევრების საიდუმლო, ცალ-ცალკე მოლაპარაკება "სტანდარდ ოილთან", რათა თავიდან აეცილებინათ ამერიკელებთან კონკურენციის მძიმე შედეგები. ამასთანავე "კავშირის" წევრები უკმაყოფილონი იყვნენ "დოიჩე ბანკის" დიქტატორული მმართველობით, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებდა "კავშირს" და სხვა მიზეზებთან ერთად განაპირობებდა მის წარუმატებლობას "სტანდარდ ოილის" წინააღმდეგ საკონკურენციო ბრძოლაში. გერმანული კაპიტალის ხელში აღმოჩნდა რუმინეთისა და გალიციის ნავთობის მრეწველობა. მას გარკვეული პოზიციები ეკავა ბაქოს ნავთობის მრეწველობაში. ნავთობის ახალი საბადოების ხელში ჩასაგდებად გერმანელები ინტენსიურ გეოლოგიურ საძიებო სამუშაოებს ატარებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში. მაგრამ ყოველივე ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ევროპის მსხვილი ნავთობ მრეწველობის გაერთიანებისა და მძლავრი "სტანდარდ ოილის" წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით წარმოებისათვის. ამავე დროს თანდათანობით ძალას იკრებდნენ ნავთობმრეწველთა ის გაერთიანებები, რომლებშიც ბრიტანეთის კაპიტალი იყო გაბატონებული.

---

26 Д. Ф и о н т о в, указ. соч., с.93-96.

27 А х у н д о в, указ.соч., с.36.

1907 წ. შეიქმნა "როიალ დატჩ შელი", რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი ნავთობმონოპოლია გახდა მსოფლიოში[20]. 1908 წლიდან ბრიტანეთის იმპერიალიზმმა შეძლო სამხრეთ ირანში ნავთობით მდიდარი ვრცელი ტერიტორიების ხელში ჩაგდება, სადაც შექმნა "ინგლის-ირანის ნავთობის კომპანია" და შეუდგა ენერგიულ საქმიანობას. ბრიტანული კაპიტალის მიერ მსოფლიოს ნავთობის მრეწველობაში წამყვანი პოზიციების მოპოვება გამორიცხავდა მის მონაწილეობას ნავთობის მრეწველთა რაიმე გაერთიანებაში, სადაც ხელმძღვანელი როლი ექნებოდა გერმანული კაპიტალის წარმომადგენელს. ამრიგად, გერმანული კაპიტალისა და მისი ერთ-ერთი ლიდერის "დოიჩე ბანკის" ცდა, თავისი ეგიდით შეექმნა ევროპის სანავთობო კავშირი, განწირული იყო მარცხისათვის.

ინგლისის ნავთობის მაგნატები, თავიანთი პოზიციების გაძლიერების შედეგად, უნდა დაპირისპირებოდნენ "სტანდარტ ოილს". ამის შემდეგ "დოიჩე ბანკს" ისღა დარჩენოდა, თვით ეძია შეთანხმება როკფელერის კომპანიასთან. გერმანული კაპიტალისა და მის ზურგს უკან მდგომი საიმპერიო მთავრობის ბრძოლა მსოფლიო ნავთობის მრეწველობაში წამყვანი პოზიციების დაკავებისათვის მარცხით დამთავრდა.

-------------

20 Н.Д. Н а н и т е ш в и л и, Экспансия иностранного... с.290.

# დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

რუსეთის მიერ ამიერკავკასიის დაპყრობის შემდეგ მისი ეკონომიკა თანდათან უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა იმპერიის ეკონომიკას. ბატონყმობის გაუქმებისა და 60-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ როგორც რუსეთში, ისე ამიერკავკასიაში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა კაპიტალიზმი. ყალიბდებოდა ახალი კლასები – ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ამ დროისათვის ახლად ფეხადგმული რუსეთის ბურჟუაზია საკმაოდ სუსტი იყო იმისათვის, რომ ეკონომიკურად აეთვისებინა არა მარტო მთელი იმპერია, არამედ თვით საკუთრივ რუსეთიც კი. ვერ ახერხებდა რა საკუთარი ძალებით ამიერკავკასიის მდიდარი რესურსების ათვისებას, მეფის მთავრობა იძულებული იყო მოეზიდა, ისევე როგორც მთელ რუსეთში, უცხოური კაპიტალი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მკვეთრად იჩინა თავი რუსეთის იმპერიის კრიზისმა. ყირიმის ომში რუსეთის სამარცხვინო დამარცხებამ ნათლად გამოავლინა იმპერიის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამხედრო-ტექნიკური ჩამორჩენილობა. მეფის მთავრობა იძულებული გახდა გაეუქმებინა ბატონყმობა და გაეტარებინა რიგი ბურჟუაზიული რეფორმები, რომლებიც ხელს უწყობდნენ კაპიტალიზმის განვითარებას. ამ ღონისძიებების მიზანი იყო რუსეთის ეკონომიკის გარდაქმნა და სოციალური რევოლუციის თავიდან აცილება. მეფის მთავრობას ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნა საკუთარი სახსრებით არ შეეძლო. ქვეყნის ფეოდალური მმართველობა, უზარმაზარი ბიუროკრატიული და სამხედრო-პოლიციური აპარატი უდიდეს სახსრებს ნთქავდა. იმპერიის მმართველი წრეებისათვის აშკარა გახდა, რომ გადამჭრელი ღონისძიებების გატარების გარეშე რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს, შენარჩუნება ძნელი იქნებოდა. ამიტომ მისი ყველაზე უფრო გონიერი ნაწილი სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევდა, რომ ქვეყნის შემდგომი არსებობისათვის აუცილებელი იყო ეკონომიკის და, პირველ რიგში, მრეწველობის განვითარება. რუსეთის სუსტ ბურჟუაზიას არ ძალუძდა ამ ამოცანის გადაჭრა. ამიტომ იყო, რომ 60-იანი წლების შემდეგ რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ხელს უწყობდა უცხოეთის კაპიტალის მოზიდვას და ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რუსეთის იმპერიაში, მათ შორის ამიერკავკასიაში, საქმიანობისათვის.

მეფის მთავრობას უცხოური კაპიტალის მოზიდვა რუსეთში მიაჩნდა მრეწველობის განვითარების მთავარ საშუალებად. მაგრამ უცხოეთის კაპიტალის მოზიდვა საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. რუსეთის იმპერიისა და მასში შემავალი ხალხების ხარჯზე საკმაოდ დიდი თანხები გადიოდა საზღვარგარეთ

დივიდენდების სახით. ამის დასადარავად ცარიზმი ყოველნაირ რეკლამას უკეთებდა რუსეთში უცხოეთის კაპიტალის მოზღვავებას და მნიშვნელოვნად აზვიადებდა იმ ობიექტურად მასტიმულირებელ, დადებით მხარეს, რომელსაც უცხოეთის კაპიტალი შეასრულებდა რუსეთის სამეურნეო ცხოვრებაში.

რუსეთის ხელისუფლება და ბურჟუაზია, ეკონომიკური სისუსტის გამო, იძულებულნი იყვნენ უცხოეთის კაპიტალისათვის დაეთმოთ იმ მოგების დიდი ნაწილი, რომელიც იქმნებოდა მშრომელთა სასტიკი ექსპლოატაციით და იმპერიის ბუნებრივი სიმდიდრეების მტაცებლური ათვისებით. ნაკლებად აინტერესებდათ რა ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიკური ინტერესები, ქვეყნის ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება, მეფის მთავრობაც და უცხოური კაპიტალიც ცდილობდნენ ურთიერთდახმარებით მაქსიმალური მოგება ამოექაჩათ ამიერკავკასიიდან. ამასთანავე მთავრობა ცდილობდა ტრადიციული კოლონიური პოლიტიკის გატარებას - რუსეთის მხარეთ მრეწველობის ინტერესებისათვის, ამიერკავკასია გადაექცია ნედლეულის ბაზად და საკუთარი საქონლის გასაღების ბაზრად.

საიმპერიო უწყებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი თავგამოდებით უჭერდა მხარს რუსეთის სამრეწველოსა და, კერძოდ, ამიერკავკასიაში უცხოეთის კაპიტალის მოზღვავებას. ამასთანავე თითქმის არ უყენებდნენ მას არავითარ შემზღუდავ პირობებს, არ აქცევდნენ არავითარ [illegible] ჩარჩოებში. ხელისუფალთა ასეთი წინდაუხედავი პოლიტიკის შედეგად, ამიერკავკასიაში დიდი რაოდენობით შემოდიოდა უცხოეთის კაპიტალი. უცხოეთის კაპიტალის შემოსვლა იმდენად ფართო ხასიათს იღებს, რომ მათ შორის იწყება მძაფრი საკონკურენციო ბრძოლა წარმოებისა და მოპოვების სხვადასხვა დარგებში გასაბატონებლად.

ამიერკავკასიის ეკონომიკაში დაბანდების ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკუთვნოდა გერმანულ კაპიტალს, რომელმაც სხვა კონკურენტებთან (ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, აშშ-ს და ა.შ. კაპიტალი) თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლის შედეგად შეძლო მნიშვნელოვანი პოზიციების დაკავება ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. კოლონისტური ელემენტის სოფლის მეურნეობაში დაბანდების შემდეგ, სადაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში იქმნება რამდენიმე მსხვილი სპეციალიზებული მეურნეობა, გერმანული კაპიტალი თავის გავლენას მეტნაკლებად აძლიერებდა ლითონმომპოვებლებზე და დამმუშავებლებზე, მანქანათმშენებელ და გამსაღებელ, ნავთობის, მანგანუმის მომპოვებელ და გადამუშავება-გამსაღებელ წარმოებებში და ა.შ.

გერმანული კაპიტალიც ისევე, როგორც საერთოდ უცხოური კაპიტალი, რომელიც რუსეთში შემოდიოდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მიზნად ისახავდა მაქსიმალური მოგების მიღებას, ამ დროისათვის რუსეთში საკუთარი კაპიტალის დაგროვების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, ამიტომ უცხოური კაპიტალი უნებურად, მაგრამ სრულიად ობიექტურად გარკვეულად ხელს უწყობდა რუსეთში მრეწველობისა და საწარმოო ძალების განვითარებას: მაქსიმალური მოგებისაკენ მისწრაფება აიძულებდა უცხოურ კაპიტალს წარმოების განვითარებასა და მაღალ დონეზე აყვანას. იგი იძულებული იყო შემო-

იტანა და წარმოებაში დანერგა იმ დროისათვის მოწინავე ტექნიკა, მოწყო-ბილობა და ტექნოლოგია. ამასთანავე, რადგანაც უცხოეთიდან მაღალკვალიფი-ციური მუშახელის შემოყვანა ძალზე ძვირი იყო, უცხოური, მათ შორის გერ-მანული, კაპიტალი იძულებული იყო საკმაოდ მაღალ დონეზე მოეწყო ადგილო-ბრივი მუშახელის პროფესიული მომზადება, რითაც, ობიექტურად, ხელს უწყო-ბდა ამიერკავკასიაში კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებასა და სამ-რეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბებას.

უცხოელთაგან გერმანული კაპიტალის წარმომადგენლები, ერთ-ერთი პირვე-ლები ჩაებნენ ჭიათურის მანგანუმის წარმოებაში დამკვიდრებისათვის ბრძო-ლაში. ჭიათურის რაიონში მანგანუმის წარმოების დანერგვისთანავე ერთმა-ნეთს შეეჯახნენ უცხოეთისა და ადგილობრივი კაპიტალის წარმომადგენლები. ეს ჭიდილი ადგილობრივი კაპიტალის გამარჯვებით დამთავრდა. მისმა წარ-მომადგენლებმა გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს მანგანუმის წარმო-ებაში. ამის შემდეგ უცხოეთის კაპიტალი მკვიდრდება მადნის ადგილობრივ ბაზარზე. იგი მადანს ყიდულობდა და აგზავნიდა, რასაც მნიშვნელოვანი მო-გება მოჰქონდა.

XX საუკუნის დამდეგს გერმანიის კაპიტალის პოზიციები ჭიათურის სამ-რეწველო რაიონში რამდენადმე სუსტდება და საკმაოდ ჩამორჩება ევროპელი კონკურენტების - ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალის საქმიანობას. მა-გრამ ამავე საუკუნის დასაწყისში გერმანელთა საქმიანობამ ჭიათურის მან-განუმის მრეწველობაში ახალი იმპულსი შეიძინა, რის ერთ-ერთ მთავარ მი-ზეზად მკვლევრებმა მსოფლიო ომისათვის სამზადისი მიიჩნიეს. 1909-1910 წლებში გერმანელმა ფირმებმა დიდძალი კაპიტალი დააბანდეს ჭიათურის მა-ნგანუმის წარმოებაში. მათ ძლიერ შეავიწროვეს როგორც ადგილობრივი მწა-რმოებლები, რომლებიც კაპიტალის ქრონიკულ ნაკლებობას განიცდიდნენ, ისე ევროპელი მეტოქენი. უნდა აღინიშნოს, რომ თუ, ერთის მხრივ, გერმანული კაპიტალი, განსაკუთრებით პირველ ხანებში, ხელს უწყობდა მანგანუმის მრეწველობის განვითარებას, აჩქარებდა მის მატერიალურ-ტექნიკურ პროგ-რესს, შემოჰქონდა იმ დროისათვის ახალი ტექნიკა, ნერგავდა ახალ ტექნო-ლოგიას, მეორეს მხრივ, შემდგომში, ცდილობდა რა აქ დამკვიდრებას და გა-ბატონებას, სასტიკ ექსპლოატაციას უწევდა ადგილობრივ მუშებსა და მად-ნის მოპოვებას მტაცებლური წესებით ეწეოდა, მნიშვნელოვან ზიანს აყენე-ბდა ჭიათურის რეგიონის ლანდშაფტსა და ბუნებას. ამ პერიოდში ჭიათურა-ში, ძირითადად, ორი გერმანული ფირმა - "გელზენკირხენი" და "კავკასიის საბადოთა ამხანაგობა" საქმიანობდა. ისინი კაპიტალსა და ენერგიას არ ზოგავდნენ მანგანუმის მრეწველობაში გასაბატონებლად. ამის შედეგად მათ ხელში აღმოჩნდა მოქმედ საბადოთა თითქმის ნახევარი. მაგრამ საკუთარი საბადოებიდან მადნის მოპოვებას ისინი არა თუ არ აჩქარებდნენ, არამედ მიზნად ამცირებდნენ კიდეც. გერმანული ფირმები ამჯობინებდნენ ადგილობ-რივ მეწარმეთაგან მანგანუმის მადნის შეძენას და გერმანიაში დიდი რაო-დენობით გაზიდვას. მათ ამ სტრატეგიული მადნის იმდენად დიდი მარაგი შექმნეს გერმანიაში, რომ ომის დროს, მიუხედავად ანტანტის ქვეყნების

ცაცრი ბლოკადისა, გერმანიის ინდუსტრია მის ნაკლებობას თითქმის არ განიცდიდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კავკასიაში გერმანიის ფირმების საქმიანობა შეაჩერეს და გამოაცხადეს მათი ლიკვიდაცია. 1914-1917 წწ. სალიკვიდაციოდ გამოცხადებული გერმანული ფირმების საბადოებისა და ქონების დიდი ჩასაგდებად დიდი ბრძოლა გაიმართა ადგილობრივ, რუსულ და უცხოურ კაპიტალს შორის. ამ მეტოქეობამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო, მაგრამ იგი საბოლოოდ გადაუწყვეტელი დარჩა. გერმანულმა ფირმებმა ვერ მოასწრეს კავკასიაში მონოპოლიურად გაბატონება.

ამიერკავკასიაში გერმანულ ფირმათაგან ერთ-ერთი პირველი დამკვიდრდა "სიმენსი და ჰალსკე". იგი მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა და მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში - ტელეგრაფის ხაზების მშენებლობაში, სპილენძისა და ნავთობის წარმოებაში, კობალტისა და ძვირფასი ლითონების მოპოვებაში და ა.შ. "სიმენსისა და ჰალსკეს" ფირმას გარკვეული წვლილი მიუძღვის, აგრეთვე, ამიერკავკასიაში ელექტროსადგურების მშენებლობაში და გერმანიის საკუთარი საწარმოებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით ელექტროტექნიკური საქონლის შემოზიდვასა და სარფიან ვაჭრობაში.

ფირმამ "სიმენსმა და ჰალსკემ" ამიერკავკასიაში საქმიანობა სატელეგრაფო ხაზების მშენებლობით დაიწყო. 1866 წლიდან რუსეთის მთავრობამ აღარ განაახლა კონტრაქტი ფირმასთან რუსეთის სატელეგრაფო ხაზების მოვლა-შეკეთებაზე. ამის შემდეგ, "სიმენსისა და ჰალსკეს" რუსეთის ელექტროტექნიკურ მრეწველობასა და ვაჭრობაში დაუძნებამდე, მისი საქმიანობა ძირითადად ამიერკავკასიაში მიმდინარეობდა. სატელეგრაფო ხაზების მშენებლობამ საფუძველი ჩაუყარა ფირმის ფინანსურ ძლიერებას. "სიმენსი და ჰალსკე" რუსეთსა და კავკასიაში სატელეგრაფო ხაზების მშენებლობას აწარმოებდა გერმანიის მთავრობასთან მჭიდრო კონტაქტში, მისი ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით. ამიტომ იყო, რომ სიმენსები საწარმოო საქმიანობას უთავსებდნენ დიპლომატიურ სამსახურს - პრუსიის პირველ კონსულებად თბილისში დაინიშნენ ვერნერ სიმენსის უმცროსი ძმები - ჯერ ვალტერი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ოტო.

სატელეგრაფო ხაზების მშენებლობის შედეგად მიღებული კაპიტალის დიდი ნაწილი სიმენსებმა ამიერკავკასიის ნავთობისა და სპილენძის მრეწველობაში დააბანდეს, ამ დარგებში ისინი, მოწინავე ტექნიკასა და ტექნოლოგიას იყენებდნენ.

სიმენსებმა გაითვალისწინეს რუსეთსა და ამიერკავკასიაში სპილენძზე დიდი მოთხოვნილება და, შესაბამისად დააწესეს საკმაოდ მაღალი ფასები, ამასთან კაპიტალის დიდი ნაწილი დააბანდეს ამიერკავკასიის სპილენძის მრეწველობაში. მათ XIX ს. 60-იან წლებში დიდი ქარხანა ააგეს ქედაბეგში, ხოლო 80-იან წლებში - კალაკენტში. ქარხნები აღჭურვილნი იყვნენ იმ დროის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ფირმამ "სიმენსმა და ჰალსკემ" იოლად გაიმარჯვა ადგილობრივ წვრილ მეწარმეებთან საკონკურენციო ბრძოლაში და მონოპოლიური მდგომარეობა

ტაიკავეს ამიერკავკასიის სპილენძის ნაწარმთა ბაზარზე. XX საუკუნის დამდეგს "სიმენსისა და ჰალსკეს" ფირმა შეავიწროვა ჯერ საფრანგეთის კაპიტალმა (ალავერდის ქარხანა), შემდეგ ინგლის-ამერიკის კაპიტალმა (ჭინკათელის ქარხანა) მონოპოლიური მდგომარეობის აღდგენა სიმენსებმა ვერ შეძლეს ქვარცხანის ქარხნის აგების შემდეგაც.

XIX ს. ბოლოს და XX ს. დამდეგს ფირმა "სიმენსი და ჰალსკე", გამოდიოდა რა რომანოვების იმპერიაში "რუსული სააქციო საზოგადოების" ნიღბით, ფაქტიურ კავშირს ინარჩუნებდა თავის ძირითად ფირმასთან ბერლინში, აგრეთვე ლონდონის განყოფილებასთან. სარგებლობდნენ რა ხელისუფალთა ყოველმხრივი დახმარებითა და წაყრუებით, სიმენსები მტაცებლურად აწარმოებდნენ ადგილობრივი სიმდიდრეების - საბადოების, ტყეების და სხვ. ექსპლოატაციას და უმოწყალოდ ანადგურებდნენ ბუნებას. მათ ამიერკავკასიაში 20 მილიონ მანეთზე მეტი მოგება მიიღეს[1].

ამიერკავკასიის მრეწველობის ერთ-ერთი დარგი, სადაც გერმანული კაპიტალი ცდილობდა ფეხის მოკიდებას, იყო მეტალურგია, უძველესი დროიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ცნობილი იყო რკინის მადნის საბადოები, რომლებსაც პრიმიტიული წესით ამუშავებდნენ. ერთ-ერთი ასეთი საბადო იყო ბოლნისის მიდამოებში.

XIX საუკუნის შუა ხანებში ამიერკავკასიაში რკინასა და მის ნაწარმზე გაიზარდა მოთხოვნილება. ამ დროიდან რუსეთიდან ამიერკავკასიაში წელიწადში შემოჰქონდათ 150 000-მდე ფუთი რკინა და მისი ნაკეთობანი. რუსეთიდან რკინის შემოტანა, უგზოობის გამო, დიდ სატრანსპორტო ხარჯებს მოითხოვდა და ძვირი ჯდებოდა. კავკასიის ადმინისტრაციამ რამდენჯერმე სცადა კერძო პირების საშუალებით ბოლნისის რკინის მადნის საბადოს საექსპლოატაციოდ რკინისა და თუჯსასხმელი ქარხნის აგება. კავკასიის ადმინისტრაცია ქარხნის აგება-ამუშავების მსურველებს გარკვეულ შეღავათებსა და დახმარებას ჰპირდებოდა.

1860 წ. ქარხნის მშენებლობა დაიწყო ბადენელმა დიპლომატმა ერნსტ ლიბიმ, მაგრამ მან ვერ შეძლო ქარხნის ამუშავება. მთავრობის მიერ გაწეული შეღავათებისა და მატერიალური დახმარების მიუხედავად, ქარხნის შემდგომმა მეპატრონეებმაც (პრუსიელი ბერნული, სტატსკი სოვეტნიკი ვიტე, ავსტრიელი ბოგაჩი და სხვ.) ვერ შეძლეს ქარხნის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. პირველ მსოფლიო ომამდე ქარხანა პერიოდულად მუშაობდა, ომის დაწყების შემდეგ მან საერთოდ შეწყვიტა საქმიანობა.

ჩათახის რკინისა და თუჯსასხმელი ქარხნის წარუმატებლობის მიზეზები იყო საბადოთა სიმცირე და მიუდგომლობა, ტრანსპორტის სუსტი განვითარება, უცხოური, კერძოდ გერმანული კაპიტალის, ნაკლები მხარდაჭერა და სხვ.

XIX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ ამიერკავკასიაში, უმთავრესად თბილისში, ჩნდება რკინისა და რკინის ელემენტების შემცველი ნაწარმის დამამზადებელი სახელოსნოები. ზოგი მათგანი საკმაოდ მოზრდილი იყო, სადაც

---

1 Н.Л.Н е и д т е ш в и л и, Германский капитал... с.346.

20-25 კაცი მუშაობდა. ამ სახელოსნოების მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანიიდან გამოსულ პირებს ეკუთვნოდათ. თავისი ხასიათით ეს საწარმოები კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციული ტიპის საწარმოებს წარმოადგენდნენ. თითქმის ყველა მათგანში ძრომა დანაწილებული იყო და მანუფაქტურის სახე ჰქონდათ. ზოგიერთ მათგანში მექანიკურ ძრავებს იყენებდნენ. ეს სახელოსნოები, თავისი ხასიათით, უკვე მანქანურ წარმოებაზე გარდამავალ საწარმოებს წარმოადგენდნენ.

ამიერკავკასიაში მოქმედ, გერმანული კაპიტალის მონაწილეობით, შექმნილი ფირმებიდან განსაკუთრებით ინტერესს იწვევს სააქციო საზოგადოება "კომპანია ზინგერის" საქმიანობა, რომელიც დღემდე თითქმის შეუსწავლელი იყო და ზოგადად იხსენიებოდა, როგორც რევოლუციამდელ, ისე შემდეგდროინდელ ისტორიკოსთა ნაშრომებში. საკერავი მანქანების დამამზადებელ-სავაჭრო ფირმა, სააქციო საზოგადოება "კომპანია ზინგერი", დაარსდა 1851 წ. ამერიკის შეერთებულ შტატებში. შემდგომში მისი ფილიალები შეიქმნა ევროპისა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამ ფილიალებიდან განსაკუთრებით მომძლავრდა გერმანიაში, ქ. ჰამბურგში, დაარსებული "ზინგერის" განყოფილება. მისი დამაარსებლები იყვნენ ძმები ზინგერები. ჰამბურგის ფირმა, გარდა გერმანიისა, საკერავი მანქანებით ვაჭრობდა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში. სწორედ ჰამბურგის ფირმა იყო რუსეთში სააქციო საზოგადოების "კომპანია ზინგერის" დაარსების ინიციატორი, თუმცა თვით, როგორც იმ დროს რუსეთში მოქმედ გერმანულ ფირმათა უმრავლესობა, ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა და ყოველნაირად ცდილობდა რუსეთში დაარსებული "ზინგერის" ფილიალი რუსულ-ამერიკულ სააქციო საზოგადოებად წარმოედგინა, რაც გამოწვეული იყო ამ დროისათვის რუსეთ-გერმანიას შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ წინააღმდეგობათა გამწვავებით. "კომპანია ზინგერის" ნამდვილი წარმომავლობის დადგენას აძნელებს ის, რომ მისი აქციების კოტირება არ ხდებოდა არცერთი ქვეყნის ბირჟაზე, მის აქციონერთა სრული შემადგენლობა და ერთვნული კუთვნილება ჯერჯერობით დაუდგენელია, ხოლო გერმანული კაპიტალის რაოდენობა გაურკვეველი. მაგრამ მთელი რიგი ფაქტორები – გერმანელთა სიჭარბე მის ხელმძღვანელობაში, რუსულთან ერთად სამუშაო ენად გერმანულის გამოყენება, სადაზვერვო საქმიანობა გერმანიის სასარგებლოდ, მჭიდრო ურთიერთობა გერმანიასა და გერმანიის საწარმოებთან, თვით ფირმის სახელწოდება – "ზინგერი", აქციების დირებულება, მიუთითებენ "ზინგერის" უპირატესად გერმანულ წარმოშობაზე.

"კომპანია ზინგერი" თავისი სიძლიერითა და სტრუქტურით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა რუსეთის იმპერიაში მოქმედ უცხოური, მათ შორის გერმანული, ფირმებისაგან. იგი იყო საკერავი მანქანების რუსეთის ბაზრის ფაქტიურად მონოპოლიური მფლობელი. აქ მას სერიოზული კონკურენტი არ გააჩნდა. "ზინგერი" მოქმედებდა რუსეთის მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე, რის გამოც იგი ითვლებოდა ამერიკული ფირმის დამოუკიდებელ საზოგადოებად, მაგრამ მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა უცხოელ კაპიტალისტებთან, განსაკუთრებით გერმანელებთან. მისი ხელმძღვანელობა ძირი-

თავად გერმანელებით იყო დაკომპლექტებული.

რუსეთის იმპერიაში "კომპანია ზინგერის" სტრუქტურა და სავაჭრო საქმიანობა ორიგინალურად იყო მოწყობილი და ძლიერ განსხვავდებოდა უცხოეთის, მათ შორის გერმანული ფირმების, საქმიანობისაგან. სააქციო საზოგადოება "ზინგერის" სათავეში იდგა მთავარი სამმართველო, რომლის ადგილსამყოფელი იყო ჯერ პეტერბურგი, შემდეგ, 1912 წლიდან, მოსკოვი. მთავარ სამმართველოს ექვემდებარებოდა 49 ცენტრალური განყოფილება, მათ შორის ამიერკავკასიაში იყო ორი - თბილისისა და ბაქოს. ცენტრალური განყოფილება თავის მხრივ ხელმძღვანელობდა 10-დან 30-მდე "დეპოს". "დეპოს" შემადგენლობაში იყო მაღაზიები, საწყობები, სახელოსნოები. მათ შტატში ირიცხებოდნენ გამგეები, გამყიდველები, მექანიკოსები, მუშები, ამკრებები (აგენტები) და ა.შ. ამკრებებს ევალებოდათ მოსახლეობაში გარკვეული რაოდენობის მანქანების გასაღება. ასეთნაირად მოწყობილი ქსელის წყალობით "ზინგერი" კონტროლს უწევდა რუსეთის იმპერიის თითქმის მთელ ტერიტორიას, რაც განაპირობებდა მის წარმატებით საქმიანობას, თვით კრიზისულ წლებშიც. "ზინგერს" პირველად მანქანები შემოჰქონდა საზღვარგარეთიდან, უმთავრესად გერმანიიდან. 1902 წელს მან ქ. პოდოლსკში ააგო იმ დროისათვის საუკეთესოდ აღჭურვილი ქარხანა, სადაც მზადდებოდა საკერავი მანქანები და მათი სათადარიგო ნაწილები. მაგრამ ამას არ შეუწყვეტია უცხოეთიდან, უმთავრესად გერმანიიდან, მანქანების შემოტანა, რაც განპირობებული იყო "ზინგერის" ვაჭრობის განუზომელი ზრდით. პოდოლსკის ქარხნის ბაზაზე მთელ იმპერიაში, მათ შორის თბილისში, გაიხსნა სახელოსნოები, სადაც აწყობდნენ მანქანებს, ამზადებდნენ ცალკეულ დეტალებს და არემონტებდნენ მანქანებს.

"კომპანია ზინგერი" უდიდეს მოგებას იღებდა ადგილობრივი მოსახლეობის არაპირდაპირი ძარცვისა და მრავალრიცხოვან თანამშრომელთა ექსპლოატაციის შედეგად. ეს იწვევდა პერიოდულ შეტაკებას "ზინგერის" ხელმძღვანელობასა და რიგით თანამშრომლებს შორის. ამ დაპირისპირებამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო თბილისის ცენტრალურ განყოფილებაში. აქ იგი ტერორისტულ აქტებამდეც კი მივიდა. მაგრამ მოგვიანებით, 1905-1907 წწ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ზინგერის ადმინისტრაციამ, ხელისუფლების დახმარებით შეძლო კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება, თუმცა იგი შემდგომშიც არაერთხელ გამწვავდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ გარკვეული საფრთხე შეუქმნა "ზინგერის" კეთილდღეობას. თუ იგი არ დაამტკიცებდა, რომ მას არავითარი საერთო არ ჰქონდა გერმანიასა და გერმანულ კაპიტალთან, მაშინ მასზე გავრცელდებოდა რუსეთის წინააღმდეგ მეომარ სახელმწიფოთა საწარმოებზე გამოცემული სალიკვიდაციო კანონები. ამას დაურთო ისიც, რომ, როგორც ომის დაწყების შემდეგ გამოირკვა, "ზინგერის" ბევრი თანამშრომელი გერმანიის დაზვერვის აგენტს წარმოადგენდა; მრავალი მათგანი დააპატიმრეს სათანადო სამხილით და გააძევეს რუსეთიდან, ან ომის დამთავრებამდე გადაასახლეს ჩრდილოეთ გუბერნიებში. "ზინგერი" მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მრავალ რეგიონში, განსაკუთრებით სამხედრო ოპერაციის ზონაში, დაიწყო "ზინგერის"

დაწესებულებათა დახურვა და მის ქონებაზე სეკვესტრის დადება.

მაგრამ, "ზინგერს" საკმაოდ აღმოაჩნდა მაღალი რანგის გავლენიანი მფარველები. მათი ზეგავლენით მინისტრთა საბჭომ 1915 წლის 18 სექტემბერს განიხილა "კომპანია ზინგერის" საკითხი. მინისტრთა საბჭომ, წარმოდგენილი დიდძალი დოკუმენტური მასალის მიუხედავად, "კომპანია ზინგერი" რუსულ-ამერიკულ ფირმად გამოაცხადა და შემდგომი ძიების დამთავრებამდე აკრძალა მის მიმართ ყოველგვარი რეპრესიული ღონისძიებების გატარება. ამის შემდეგ "კომპანია ზინგერი", გარდა საომარი რეგიონის ზონებისა, შეუზღუდავად განაგრძობდა საქმიანობას.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში გერმანიის კაპიტალი, თავისი მთავრობის ენერგიული დახმარებით და რუსეთის ნავთობმრეწველობის ხელშეწყობით, ცდილობდა გერმანიისა და შემდეგ ევროპის ბაზრებიდან ამერიკული ფირმა "სტანდარდ ოილის" გაძევებას და თვით გაბატონებას. ამ მიზნით "დოიჩე ბანკის" ნებართვით შეიქმნა "ევროპის სანავთობო გაერთიანება" (ესგ), რომელშიც შედიოდნენ მსხვილი გერმანული ბანკები, რუსეთის, ინგლისის, რუმინეთის ნავთობის კომპანიები. მაგრამ როკფელერის "სტანდარდ ოილის" წინააღმდეგ მოკავშირეთა ბრძოლა წარუმატებელი აღმოჩნდა. გერმანიის კაპიტალის ბრძოლა ამერიკული ფირმის გერმანიიდან და ევროპიდან გაძევებისა და მსოფლიო ნავთობის ბაზრებზე წამყვანი პოზიციების დაკავებისათვის მარცხით დამთავრდა.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

I. გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიის სამთამადნო მრეწველობაში . . 8

§ 1. გერმანიის სამრეწველო-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში . . . . . . . . . . 8

§ 2. გერმანული კაპიტალი ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში . . 15

§ 3. ფირმა "სიმენსი და ჰალსკეს" საქმიანობის დასაწყისი ამიერკავკასიაში. სატელეგრაფო ხაზების მშენებლობა . . . 32

§ 4. გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიის სპილენძის მრეწველობაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 39

II. გერმანიის კაპიტალი ამიერკავკასიის მეტალურგიულ და ლითონდამამუშავებელ მრეწველობაში . . . . . . . . . . . . . . . 47

§ 1. გერმანიის კაპიტალი ჩათახის რკინისა და თუჯსასხმელ ქარხანაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 47

§ 2. გერმანელთა ლითონდამამუშავებელი და საავეჯო საწარმოები . 54

§ 3. სააქციო საზოგადოება "კომპანია ზინგერის" საქმიანობა ამიერკავკასიაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . 56

III. გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიის ნავთობის მრეწველობაში და მისი ბრძოლა ევროპის ბაზარზე გაბატონებისათვის . . 96

დასკვნები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 108

**Манджгаладзе Гурам Христофорович**

ГЕРМАНСКИЙ КАПИТАЛ В ЗАКАВКАЗЬЕ
(1860—1918 гг.)

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

**სბ 4755**

გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე
მხატვრული რედაქტორი მ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ც. დევდარიანი
გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 25.12.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.01.91;
ქაღალდის ზომა 60×84 1/16; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური;
პირობითი საბეჭდი თაბახი 7,25; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,25;

ტირაჟი 1500; შეკვეთა 941;

ფასი 2 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის 19
Типография АН Грузии, 380060 Тбилиси, ул. Кутузова, 19